

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ინსტიტუტი

საგზის ტაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია

ტომი II

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1970

სარგის ცაიშვილის ნაშრომის I ტომი, რომელიც გამოქვეყნდა 1970 წელს, თეორიული ხასიათისაა და ეხებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის ძირითად საკითხებს, ვეფხისტყაოსნის რედაქციებს. განხილული იყო რედაქციების ჩამოყალიბების თავისებურებანი და პოემის ტექსტის აღდგენის პრობლემები. წინამდებარე ტომში. პოემის რედაქციების კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დალაგებული და მეტწიერულად აღწერილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და ცალკეული ფრაგმენტები, რომელზედაც ავტორს ხელი მიუწვდებოდა (სულ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი); ამდენად აღნიშნულ ტომს, რომელშიც პირველად ერთად არის თავმოყრილი და აღწერილი პოემას ხელნაწერები, ერთგვარად საცნობარო ხასიათიც ექნება და გარკვეულ სამსახურს გაუწევს ვეფხისტყაოსნის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ამავე ტომში იბეჭდება აგრეთვე ამავე საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე გამოკვლევა და მოკლე საძიებლები.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები

1. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიიდან

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცალკეული ფრაგმენტები მხოლოდ მე-15 საუკუნიდან მოგვეპოვება. ისინი პომის ზეპირ ჩანაწერებს წარმოადგენენ. მაგალითად, სამხრეთ საქართველოში (მესხეთში) კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულში (ვანის ქვაბთა კომპლექსი) ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ნაპოვნი იქნა ერთი ამგვარი ფრაგმენტი. იგი წარმოადგენს ორ სტროფს ნესტანის წერილიდან (სტრ. 1300, 1301). მტრის გამუდმებული შემოსევების დროს ვანის ქვაბი, ალბათ, სახიზრებად იყო ქცეული. სწორედ ნესტანის სიტყვები: „ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ძლოვ გარდასწვდებიან...“ მოჰგონებია და კედელზე მიუწერია ქვაბებში შეფარებულ პოეტ ქალს ანა რჩეულა-შვილს¹. რამდენიმე ნაწყვეტი მიწერილია ძველ ხელნაწერთა არეებზეც, მაგრამ მათგან ძალიან ცოტაა მე-16—17 საუკუნეებში შესრულებული². მეტი წილი მინაწერებისა შესრულებულია მოგვიანებით.

ვეფხისტყაოსნის ამჟამად არსებული ხელნაწერები კიდევ უფრო გვიანდელ ხანას ეკუთვნიან. საფიქრებელია, რომ შედარებით ძველი ხელნაწერები დაიღუპა მე-13—14 საუკუნეებში, როცა აყვავებული ქვეყანა ნანგრევებად და ნასოფლარებად გადაიქცა. ჯალალედინის შემოსევების შემდეგ (1225—1230 წწ.) ქვეყანა წელში ვერ გაიმართა. ხვარაზმელებს მონღოლთა ბატონობა მოჰყვა. რისი განადგურებაც მათ ვერ მოასწრეს (თუმცა ამისთვის საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ),

1 ლ. მუსხელიშვილი, ვანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 9—11; ვ. ციხკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 175—177); შ. ონიანი, ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში (კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებული), 1959, გვ. 287.

2 ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956, გვ. 016—017; თ. ბრეგაძე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 93—96)

იმას სპარს-ყიზილბაშებმა და შემდეგ თურქებმა მოუღეს ბოლო. გასაგებია, რომ ამ ხანებში ლიტერატურული შემოქმედებისათვის არავის ეცალა. ყოველ შემთხვევაში, ამ ხანიდან რაიმე მნიშვნელოვანს ჩვენამდე არ მოუღწევია. განადგურდა და დაიკარგა კლასიკური ხანის უამრავი ძეგლი, რომელთა არსებობაზე ჩვენ დოკუმენტური ცნობები მოგვეპოვება³. რა თქმა უნდა დაიღუპა ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერებიც, რომელთა რიცხვი, რუსთველის პოემის პოპულარობას თუ გავითვალისწინებთ, თავის დროზე მცირე არ იქნებოდა. ბევრი ხელნაწერი დაიკარგა შემდეგაც, ახალ საუკუნეებში. პოემის ხელნაწერები, როგორც ძვირფასი რელიქვია, თან მიჰქონდათ სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს. რამდენიმე ათასი ქართველი, მეტწილად მაღალი წრის ოჯახებიდან, წავიდა ემიგრაციაში შორეულ რუსეთში, მე-17—მე-18 საუკუნეებში და, საგულეებელია, რომ ამ დროს ბევრი ხელნაწერი წაიღეს თან (რამდენიმე მათგანის კვალი შემდეგში აღმოჩნდა და ჩამოტანილ იქნა საქართველოში)⁴. მე-19 საუკუნეშიც არსებულა რამდენიმე საკმაოდ ძველი ხელნაწერი, რომელაც დღეს დაკარგულად ითვლება. ისინი უნახავს ისტორიკოს პლატონ იოსელიანს. ერთი მათგანი, უთარილო, მაგრამ აშკარად ძველი. ეტრატზე ყოფილა ნაწერი, ხოლო მეორე მე-15 საუკუნეში (1443 წ.) ყოფილა შესრულებული⁵. ჩვენთვის ცნობილი არაა, თუ რა ბედი ეწია ამ ხელნაწერებს (ამაზე დაწერილებით შემდეგ).

ამჟამად არსებულ თარიღიან ხელნაწერთა შორის უძველესია სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის კარზე შესრულებული ნუსხა (ხელნაწერთა ინსტიტუტის H—599), რომელიც გადაუწერია ცნობილ პოეტსა და კალიგრაფს მამუკა თავაქარაშვილს. ხელნაწერის თარიღია 1646 წელი. პალეოგრაფიული და რედაქციული მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ ხელნაწერს დროის მიხედვით წინ უნდა უსწრებდეს რამდენიმე ხელნაწერი. მაგალითად, უფრო ადრეული ჩანს ფრავმენტი (სულ რამდენიმე გვერდი), რომელიც ახლახან აღმოჩნდა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (მესხეთი)⁶, ასევე მე-17 საუკუნის შუა წლებ-

³ შირ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 11, 1958; პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 1—80.

⁴ იხ. აქვე ხელნაწერთა აღწერილობებში.

⁵ Платон Иоселиани, Шота Руставели, Кавказ, 1870, № 13, стр. 2—4

⁶ ხელნაწერის ფრავმენტი მოიპოვა პროფ. ი. აბულაძემ (წინასწარი ცნობა ამ ხელნაწერზე იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის 1963 წლის სამეცნიერო სესიის თეზისებში). მაივე, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრავმენტი, ეურნ. „მაცნე“, 1964, № 3, გვ. 142—150.

ში უნდა იყოს დაწერილი რამდენიმე სხვა ხელნაწერიც (მაგალითად, ხელნაწერთა ინსტიტუტის H—2074 და სხვ.)⁷.

ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება. მაგალითად, ორი ხელნაწერი — ერთი მე-17, ხოლო მეორე მე-18 საუკუნისა — არის ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში, ხოლო ერთიც — 1702 წელს გადაწერილი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

ხელნაწერთა საცავებში, თუ კერძო ოჯახებში ამჟამად გამოვლენილია 160-ზე მეტი ნუსხა. ერთი შეხედვით ეს არცთუ მცირე მემკვიდრეობაა, მაგრამ როგორც შესწავლამ გამოარკვია, აქედან მხოლოდ 52 ხელნაწერია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, დანარჩენი ნუსხები გვიანდელია და პირველი ბეჭდური გამოცემებიდან მომდინარეობენ. ამდენად, მათი ღირებულებაც ტექსტის დადგენისათვის ძალზე საეჭვოა.

პოემის შედგენილობის თვალსაზრისით ხელნაწერებში (იჯულისხმება მე-17, მე-18 საუკუნის ნუსხები) რთული ვითარებაა. აშკარად შეიმჩნევა დამატებათა სხვადასხვა პლასტი. პოემაში არის ინტერპოლაციები (სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა რაოდენობით), და პოემას ერთვის გაგრძელებათა მთელი ციკლები. ჩანართია ან ყოველ შემთხვევაში, რესტავირებული ჩანს „ინდო-ხატაელთა ამბავი“⁸. პოემის მოყვარულთ (რომელთა შორის გადამწერლებიც უნდა ვიგულისხმოთ) გაუგრძელებიან ვეფხისტყაოსანში გადმოცემული ამბები. შემოტანილია ახალ-ახალი ეპიზოდები: ტარიელის დასნეულება და ხვარაზმელთა შურისძიება, ხვარაზმელთა ხელახალი დამარცხება, გმირთა გარდაცვალება და მათი ანდერძები (ზოგ ხელნაწერში ორმაგად და სამმაგად არის გაზრდილი გამოთხოვების ეპიზოდები). ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათაგან დამოუკიდებელი თხზულებაც კი არის შექმნილი („ომანიანი“)⁹.

ვეფხისტყაოსნის ინტერპოლირება ადრევე დაუწყიათ. პირველ ინტერპოლატორთაგან ცნობილია სარგის თმოგველი (არა „ვისრამიანის“ მთარგმნელი), რომელსაც მიეწერება ვეფხისტყაოსნის გაგრ-

7 იხ. აქვე ხელნაწერთა აღწერილობებში.

8 ალ. ბარამიძე, წარკვევები, ტ. III, 1952, ვვ. 87—93; ს. ციციშვილი, ახალი მასალები და ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხი, ჟურნ. „ციცქარი“, 1957, № 1, გვ. 127—130.

9 მათი ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ დაწერილებით იყო საუბარი წინამდებარე ნაშრომის პირველ ტომში.

ძელებათა პროზაული ვერსიის შემუშავება¹⁰. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი გაულექსავს „ვინმე მესხს“ (სავარაუდოა, მე-15 საუკუნის შემდგომ რადგან „ხვარაზმელთა ამბის“ ზოგიერთ ეპიზოდს ატყვია მე-15 საუკუნეში თარგმნილი „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების კვალი. ამაზე მიუთითებს სხვა ისტორიული ხასიათის რეალიებიც)¹¹. ცნობილი არიან სხვა ინტერპოლატორებიც: ნანუჩა ციციშვილი, იოსებ ტფილელი, ბაღდასარაშვილი, გიორგი თუმანიშვილი და სხვ.

ვეფხისტყაოსნის დამატებათა ახალ-ახალი ცკლების წარმოშობა დაკავშირებულია ქართული მწერლობის ვამოცოცხლებასთან, რომელიც იწყება დაახლოებით მე-16 საუკუნიდან. ამ ხანებში კვლავ ითარგმნა ქართულად სპარსული ეროვნული ეპოსი „შაჰ-ნამე“, რომანტიკული პოემები „იოსებ-ზილიხანიანი“ (არსებობს მისი რამდენიმე ვერსია), „ლეილ-მეჯნუნიანი“, მსოფლიოში განთქმული იგავ-არაკთა კრებული „ანვარი სოჰაილი“ ანუ „ქილილა და დამანა“ და სხვ. მაგრამ ბუნებრივია, რომ ქართული მწერლობის აღორძინების დროს პირველ რიგში უნდა მიემართათ მე-12 საუკუნის ქართული კლასიკური ხანის მწერლობისათვის. მართლაც, ამ ხანებში იგრძნობა რუსთველის პოემისადმი განსაკუთრებული ინტერესი. განუზომელი იყო რუსთველის გავლენა. როგორც ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ არამარტო ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებს, ნათარგმნ თხზულებებსაც აშკარად ატყვია რუსთველის პოეტიკის კვალი. მაგალითად, რუსთველური სახეები და მზამზარეული მეტაფორები უხვად გვხვდება თეიმურაზ I მიერ სპარსულიდან ნათარგმნ პოემებში, უცნობი ავტორის მიერ თარგმნილ „იოსებ-ზილიხანიანში“ და სხვა თხზულებებში¹².

უნდა ვიფიქროთ, რომ ძირითადად ამ დიდი სიყვარულისა და დაინტერესების ნაყოფია ვეფხისტყაოსნის ჩანართი პლასტების წარმოშობაც. გადამწერები, თუ ვეფხისტყაოსნის თაყვანისმცემლები თავის კომენტარებსა და სიუჟეტურ ვარიანტებს ურთავდნენ პოემის ტექსტს, თავისი ეპოქის აზრებსა და შეხედულებებს თავს ახვევდნენ დიდი პოეტის ქმნილებას.

მაგრამ ეს არ არის ჩანართთა წარმოშობის ერთადერთი გზა. ვეფხისტყაოსნის ავტორი, რომელიც თავისუფალი ადამიანის იდეალს ელტვოდა. რომლისთვისაც უცხო იყო ვიწრო რელიგიური აზროვნება.

¹⁰ შტრ. ს. ციციშვილი. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 5—26.

¹¹ ა. ბარამიძე. ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღების თვის. უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1928, გვ. 124—131; ს. ციციშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 3—41.

¹² დაწერილებით იხ. ჩვენი ნაშრომის I ტომში.

ბუნებრივია, რომ იმთავითვე გაიჩენდა მტერს ეკლესიას წიაღში. განსაკუთრებით მწვავედ აღიქმებოდა პოემის სიუჟეტის მაჰმადიანურ სამყაროში გადატანა, რაც გაიციხულია კიდევ ერთ პოლემიკური ხასიათის სტროფში¹³. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ვეფხისტყაოსნის წაკითხვა ეკრძალება სასულიერო პირებს, რადგან ვეფხისტყაოსნის ავტორი ქადაგებს ხორციელ სიყვარულს და ქრისტიანულ სამებას არსად არ ახსენებს. ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც მე-15 საუკუნის შუა წლებში, როგორც ცნობილია, ჩამოგვიტანა ძვირფასი ცნობები რუსთაველის იერუსალიმში არსებული პორტრეტის შესახებ, ეხება ვეფხისტყაოსნის ეთიკურ მხარესაც. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში აღწერილი სასიყვარულო ამბები ცუდ გავლენას ახდენდა ქართველ ქალთა ზნეობაზე¹⁴. ამგვარი ხასიათის ცნობები ჩვენ სხვაც მოგვეპოვება¹⁵ და, სამართლიანად ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთ „მოყვარულთა“ მიერ არის შერყვნილი ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილი. რაც კიდევ უფრო ართულებს პოემის თავდაპირველი სახის აღდგენას.

ვეფხისტყაოსნის ბეჭდური გამოცემა განხორციელდა 250 წლის წინათ. სწავლულმა მეფემ ვახტანგ მეექვსემ მის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში 1712 წელს დაბეჭდა შოთა რუსთაველის პოემა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ამ სტამბაში დაბეჭდილი პირველი საერო ხასიათის წიგნი (მანამდე გამოცემა სახარება დავითნი და სხვა სასულიერო დანიშნულების წიგნები). როგორც ცნობილია, ვახტანგს უმთავრესად ორი მიზანი ამოქმედებდა. მან უარყო ვეფხისტყაოსნის გადამწერების მეთოდი, რაც პოემის განვრცობაში გამოიხატებოდა. ამ წიგნის გამოცემით — აღნიშნავდა ვახტანგი — „გაცუდდეს ყოვლნი მჩმახელნი“. ამასთან, ვახტანგმა მიზნად დაისახა ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის განმარტება. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი მორალისტური ხასიათის ნაწარმოებია და მასში „საღვთო მიჯნურობა“ გამოხატული. ვახტანგი ამ განმარტებით ვეფხისტყაოსანს იცავდა კლერიკალთა თავდასხმისაგან. მან გამოცემას დაურთო ლექსიკონის ტიპის კომენტარები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ კვლევას.

13 იხ. ძველი ხელნაწერების პირველი სტროფი: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ (ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსანი, ჩინარტი და დანართი ტექსტებით, 1956 წ., გვ. 1).

14 ტ. გაბაშვილი, „მომოსვლა“, ელ. მეტრეველის რედაქციით, 1956, გვ. 80.

15 უტრ. აღ. ბარამიძე, ბრძოლა რუსთაველის გარშემო, წიგნში „შოთა რუსთაველი“, 1966.

ვახტანგის გამოცემის თავისებურება ამჟამად გარკვეულია, აქ პოემის ტექსტი მკვეთრად უპირისპირდება ხელნაწერთა შემკვიდრებებს. ბექდურ გამოცემაში პოემის მოცულობა ბევრად მოკლეა, ვიდრე მე-17 საუკუნის ხელნაწერებში. ასეთი სხვაობის მიზეზი შემდეგში უნდა ვეძიოთ¹⁶: ვახტანგმა კარგად იცოდა, თუ რამდენად იყო დამახინჯებული გვიანდელი ჩანართებით ვეფხისტყაოსნის ტექსტი. სხვა რომ არა, ამის გასაგებად მართო მეფე პოეტის არჩილის ცნობები იყო საკმარისი. არჩილი არა მართო აღნიშნავდა ინტერპოლაციების არსებობის ფაქტს, არამედ კიდევ ასახელებდა პოემის ერთ-ერთ გამგრძელებელს ნანუჩას (ციციშვილს): „ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია“.

როგორც ჩანს. ვახტანგმა შეისწავლა მის დროს არსებული ძველი ხელნაწერები და შექლებისამებრ გაცხრილა პოემის ტექსტი მერმინდელი ჩანართებისაგან¹⁷.

ეს გამოცემა შემდეგში ძალზე პოპულარული შეიქნა. საკმარისია აღინიშნოს, რომ გადაამწერლები ძველი ნუსხების მოპოვების ნაცვლად უკვე ვახტანგის ბექდური გამოცემიდან იწერდნენ ტექსტს. ამ გამოცემის დიდი გავლენითაა შექმნილი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის გამოცემათა დიდი უმრავლესობა¹⁸.

ვახტანგის გამოცემის ტრადიციას (როგორც რედაქციულად, ისე ლექსიკონით) ძირითადად გაჰყვა ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემაც (1841 წ.). აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემის მომზადებაში ქართველ მოღვაწეებთან ერთად (დ. ჩუბინაშვილი, ზ. ფალავანიშვილი) მონაწილეობდა ეროვნებით ფრანგი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე და ვეფხისტყაოსნის პირველი ფრანგული თარგმანის ავტორი, აკადემიკოსი მარი ბროსე. მანვე გამოცემას წარუძღვარა ძალზე საყურადღებო ნარკვევი, რომელშიც მაშინდელი მეცნიერული დონის კვალობაზე განიხილა ვეფხისტყაოსნის პოეტური თავისებურებანი, პოემის იდეური მიმართულება. ეს გამოცემა საინტერესოა რედაქციულადაც. რადგან აქ ვახტანგის გამოცემასთან შედარებით დამატებულია რამდენიმე ათეული სტროფი. ამით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ვახტანგისეულ გამოცემას სჭირდებოდა კრიტიკული მიდგომა ტექსტის დახვეწისა და პოემის შედგენილობის თვალსაზრისით.

16 დაწერილობით ამ საკითხზე საუბარია ზენი ნაშრომის I ტომში.

17 იხ. აგრეთვე ა. შანიძის გამოკვლევები, რომლებიც მოთავსებულია მიხივე რედაქციით გამოცემულ 1712 წლის აღდგენილ გამოცემაში, 1937, გვ. V—VI, გვ. 367—393; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 42—64.

18 ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 3—15.

მე-19 საუკუნეში, როცა საქართველოში გაღვივდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ვეფხისტყაოსნისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. რუსთველის პოემა ნათელი გამოხატულება იყო ქართველი ხალხის ძველი და თვითმყოფი კულტურისა. ასე ესმოდათ ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ამ დიდი მოძრაობის მეთაურებს. სწორედ ამ ხანებში დაიწყეს ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის მომზადება. მუშაობის სულისჩამდგმელი იყო დიდი ქართველი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე, ხოლო ტექსტის დადგენაში მონაწილეობას იღებდა მე-19 საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე. გამოცემა, რომელიც გაფორმებული იყო ქართული ეროვნული ხელოვნების ტრადიციებზე დაყრდნობით, დაიბეჭდა 1888 წელს. აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემის ილუსტრაციები ეკუთვნის უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის. ვერ ვიტყვით, რომ ფილოლოგიური თვალსაზრისით ეს გამოცემა უნაკლო იყოს, ბევრ შემთხვევაში გაიპარა გვიანდელ ხელნაწერთა დამახინგებული წაკითხვები, მაგრამ ახალ გამოცემაში სწორად მიუდგნენ პოემის შედგენილობის საკითხს. ფაქტიურად აქაც დაცულია ვახტანგის გამოცემის ტიპის პოემის მოკლე ტექსტი. მწერალთა კომისიის დიდი დამსახურება იყო ისიც, რომ ამ დროს პირველად თავი მოუყარეს პოემის ჯერ კიდევ აქა-იქ გადაჩენილ ნუსხებს¹⁹.

ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგი იყო ნ. მარის 1910 წლის გამოცემა, სადაც ტექსტის ფილოლოგიურ ანალიზთან ერთად მოცემული იყო ბუნდოვანი ადგილების განმარტება და მეცნიერულად სრულყოფილი სიტყვა-სიტყვითი თარგმანი რუსულ ენაზე. მაგრამ ეს გამოცემა პოემის მცირე მონაკვეთს (პროლოგ-ეპილოგი) მოიცავდა.

საინტერესო გამოცემები ეკუთვნის პროფ. ს. კაკაბაძესა და პროფ. იუსტ. აბულაძეს, ს. კაკაბაძემ დაარღვია ვახტანგის გამოცემიდან მომდინარე ტრადიცია და გამოსცა ხელნაწერებში დაცული პოემის ვრცელი ტექსტი ჩანართებითა და გაგრძელებებითურთ (1913 წ.). ამით ვეფხისტყაოსნის სპეციალისტებს თვალწინ გადაეშალათ ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტის სრული სურათი. აღნიშნული გამოცემა მოითხოვდა შემდგომ სრულყოფას, რაც გამოცემის ავტორს შეუსრულებელი დარჩა. იუსტ. აბულაძის გამოცემების (1914 წ., 1926 წ.) თავისებურება ის იყო, რომ მან პირველმა დაუროო ტექსტს კრიტიკული აპარატი და ხელნაწერთა ზოგიერთი განსხვავებული წაკითხვა. პოემის ვრცელი ხელნაწერების ტრადიციას ნაწილობრივ ასახავდა პოეტ კონსტანტინე კიკინაძის მიერ მომზადებული გამოცემა (1934 წ.).

¹⁹ ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ამ თვალსაზრისით დახასიათება იხ. ჩვენი ნაშრომის პირველ ტომში: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“.

1937 წელს რუსთაველის პირველ იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა პოემის ახალი გამოცემა, რომელიც ბოლო დრომდე თითქმის ხელშეუხებლად ითვლებოდა. სათანადო მეცნიერული აპარატის უქონლობის გამო ვერც ეს ჩაითვლება პოემის აკადემიურ გამოცემად, თუმცა პოემის ბევრი საკმაოდ დამახინჯებული წაკითხვა გასწორდა. ამ გამოცემის უმთავრესი ხარვეზია პოემის ძალზე თავისებური შედგენილობა. ზოგ შემთხვევაში აქ დაკლებულია რუსთაველური სტროფები, ხოლო ზოგჯერ კი აშკარა ჩანარტები გაპარულა პოემის ტექსტში.

როგორი ვითარებაა ვეფხისტყაოსნის კვლევის ამ მნიშვნელოვან უბანზე ამჟამად? უნდა ამთავითვე ითქვას, რომ უკანასკნელ ათეულ წელიწადში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ძველ გამოცემათა უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა წინასწარი ხასიათის სამუშაოებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ისეთი რთული პრობლემის დაძლევა, როგორცაა საუკუნეთა მანძილზე შერყენილი ტექსტის აღდგენა.

აკადემიკოსი გ. წერეთელი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. დეტალურად და ზედმიწევნით არის შესწავლილი ისტორია პოემის ცალკეული ხელნაწერებისა და მათი ურთიერთმიმართებებისა, გამოქვეყნებულია ვარიანტები, და მნიშვნელოვან ნაწილში დადგენილია ტექსტი ყველა არსებული, ცოტად თუ მეტად საყურადღებო ხელნაწერის მიხედვით. ბევრი რამ გაკეთდა პოემის ამა თუ იმ ძნელად გასაგები ადგილის განმარტებისათვის“²⁰.

აღნიშნულ სამუშაოთა საფუძველზე რუსთაველის საიუბილეო დღეებში განხორციელდა ვეფხისტყაოსნის რამდენიმე გამოცემა, რომელთა შორის აღსანიშნავია ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დაზღვევ კომისიაში მომზადებული პოემის მასობრივი და მინიატურული გამოცემები (ტექსტი დაადგინეს გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე), საიუბილეო გამოცემა (სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი (როგორც აქ აღნიშნულია, ამ გამოცემას საფუძვლად დაედო საიუბილეო კომიტეტის მიერ მოწონებული „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მომზადებული ტექსტი, რომელშიც სარედაქციო კოლეგიამ შეიტანა

²⁰ იხ. ეურნალ „მაცნეში“ (1966 წ. № 5) მოთავსებული შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 189.

მცირეოდენი ცვლილებები“), დასასრულ, ა. შანიძისა და ა. ზარამიძის რედაქციით გამოვიდა ვეფხისტყაოსნის გამოცემა, რომელსაც ერთვის შედარებით სრული სახის ვარიანტები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებიდან, რაც უეჭველად წინგადადგმული ნაბიჯია.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ პირველი ეტაპია არსებული პრობლემის დასაძლევად. ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი ვეფხისტყაოსნის ურთულესი ენობრივი სამყარო, მისი კავშირი უძველეს ენობრივ ტრადიციებთან. არ არის შესწავლილი სათანადო პარალელები როგორც რუსთაველამდელ, ისე რუსთაველის შემდეგი დროის ლიტერატურულ ძეგლებთან მიმართებით. სწორედ ამ მიზნით დიდი სამუშაოებია გაშლილი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, სადაც თავს უყრიან ძველი ქართული ლექსიკის უმდიდრეს მარაგს (ამჟამად ამ ტიპის მამოწმებელ ინდექსთა კარტოთეკა 3 მილიონს აღწევს), ენობრივად შესწავლილი და დამუშავებულია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელოვანი ხელნაწერები, სათანადო ყურადღება ექცევა უმდიდრეს ქართულ ფოლკლორსა და მთის კილოებს. ლექსიკონისა და სრულყოფილი კომენტარების შესადგენად გზადაგზა მიმდინარეობს როგორც ქართული, ისე უცხოური რუსთველოლოგიური ლიტერატურის შეგროვება, ძიება პოემის მხატვრული სისტემის კავშირების აღმოსაჩენად, როგორც აღმოსავლეთის. ისე დასავლეთის (ანტიკურ) სათანადო ძეგლებთან. აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ ხელახლა მოამზადა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, რომლებშიც გამოვლენილია ხელნაწერებში დაცული ყველა სახესხვაობანი, როგორც სტილისტურ-გრამატიკული, ისე ორთოგრაფიული ხასიათისა, რაც საიმედო საფუძველს მოგვცემს ვეფხისტყაოსნის ენის შესწავლაში.

წინამდებარე გამოკვლევა (რომელიც ჩვენი მონოგრაფიის II ტომად გამოდის) აღნიშნულ სამუშაოთა ერთი ნაწილია. აქ, პირველად რუსთველოლოგიის ისტორიაში, ერთად არის თავმოყრილი და სათანადო რედაქციების მიხედვით დალაგებული ვეფხისტყაოსნის ყველა ის ხელნაწერი, რომელზედაც ჩვენ მეცნიერებას ხელი მიუწვდება. რასაკვირველია, ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ კვლავაც აღმოჩნდება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პოემის ტექსტის დადგენის საშვილიშვილო საქმეს. აქ საკიროა აღინიშნოს, რომ ვიდრე შევეხებოდეთ იმ პრინციპებს, თუ რა თავისებურებათა მიხედვით არის დალაგებული წინამდებარე წიგნში ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ზოგიერთ საინტერესო ცნობას ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მოპოვებას ისტორიიდან.

2. ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე (მე-19 საუკუნე)

ჩვენ დრომდე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოაღწია ვეფხისტყაოსნის 160-ზე მეტმა ხელნაწერმა და მრავალმა ფრაგმენტმა. ერთი შეხედვით, ეს არც ისე ცოტაა, თუ გავიოჯავლისწინებთ ქვეყნის მკაიმე ისტორიულ წარსულს, მაგრამ ამ ხელნაწერთა უფრო ახლო გაცნობა არც ისე სანუგეშო სურათს წარმოგვიდგენს. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ, როცა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ემზადებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ვარიანტული დამუშავებისათვის, მე დამევალა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მემკვიდრეობის შედარებითი შესწავლა. გამოირკვა, რომ ხელნაწერთა მეტი წილი მომდინარეობს მოკლე, კრიტიკული რედაქციებიდან, კერძოდ, ვახტანგ VI 1712 წლის გამოცემიდან, ან კი ამავე გამოცემის სახესხვაობიდან, როგორცაა „არტანუჯული ვარიანტი“, ან ბროსეს 1841 წლის გამოცემა. მოკლე რედაქციათა გავლენის გარეშე ჩვენ გვრჩება 52-მდე ხელნაწერი, რომელთა რიცხვი ახალ დაკვირვებათა შემდეგ თანდათან კიდევ უფრო მცირდება (ზოგ მათგანში აშკარად ჩნდება 1712 წლის გამოცემის გავლენა).

ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ამ ხელნაწერთაგან ნახევარზე მეტი მე-18 და მე-19 საუკუნეში არიან გადანუსხულნი, რაც, თავისთავად, აქვეითებს მათ მნიშვნელობას. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხელნაწერთა რაოდენობა სულ 25-მდე ძლივს აღწევს. თარიღიან ხელნაწერთა შორის, როგორც ცნობილია, ყველაზე ძველია მამუკა თავაქარაშვილის ნუსხა (H—599, გადაწერილია 1646 წ.), თუმცა ზოგი უთარილო ხელნაწერი ჩვენის აზრით, არანაკლებ ძველი ჩანს.

აღნიშნულ ხელნაწერებზე დაკვირვება ერთ საინტერესო მოსაზრებას ბადებს. ამ ხელნაწერებს, თითო-ოროლა ნუსხებს გარდა, არა აქვს უშუალო კავშირი ერთმანეთთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ეს ხელნაწერები არ წარმოადგენენ ერთმანეთის პირებს. უფრო მეტიც, შედგენილობით და წაკითხვებით ერთი და იმავე რედაქციის შემცველი ხელნაწერები ზუსტად არ იმეორებენ ერთმანეთს და იგულისხმება, რომ მათ შორის ერთი, ორი ან ზოგ შემთხვევაში რამდენიმე აწ დაკარგული ხელნაწერი იგულისხმება. მარტო გადარჩენილ ნუსხებზე ამ თვალსაზრისით დაკვირვება გვაპარაუდებინებს, რომ მე-17 საუკუნისათვის სულ ცოტა 100-მდე ვრცელი რედაქციის მქონე ხელნაწერი მაინც არსებულა. შემდგომში, როგორც ჩანს, სხვადასხვა ისტორიულ მიზეზთა გამო განადგურებულა

მეტი წილი ამ ნუსხებისა, ხოლო მათი განახლებისათვის გადამწერ-
ლებს თავი დაუწებებიათ. ძნელი არ უნდა იყოს ამ უკანასკნელი მი-
ზეზის ამოცნობა. ერთგვარად კანონიკური ტექსტის უფლება მოიპო-
ვა ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემამ და როგორც აღვნიშნეთ,
დღეისათვის ხელნაწერთა ორ მესამედზე მეტი, სწორედ ამ გამოცე-
მიდან მოდის.

რასაკვირველია, ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიც
აღმოჩნდება ძველი რედაქციის შემცველი ხელნაწერები, რომლებიც
კიდევ უფრო ნათელს მოფენენ პოემის შედგენილობასა და დამახინ-
ჯებულ წაკითხვებს. მაგრამ, საჭიროა კიდევ ერთხელ გადაისინჯოს
ცნობები, რომლებიც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შესახებ შემო-
გვინახეს მე-19 საუკუნის მოღვაწეებმა. ამ ცნობათა უმეტესობა დღეს
უკვე გაშიფრულია. ზოგ მათგანზე კი ჩვენ კიდევ მოგვიწევს მუშაობა.
ჯერ კიდევ 1828 წელს გამოქვეყნებულ წერილში მარი ბროსე (ეურნ.
Nouveau journal Asiatique, 1828; II) ახსენებდა ხელნაწერს, რო-
მელიც ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ეს ხელნა-
წერი ბროსემ მთლიანად გადაწერა და იყენებდა მას თავისი ფრანგულ-
ლი თარგმანის შესასრულებლად. მის მიერ გადაწერილი ეს ხელნაწე-
რი ამჟამად ინახება ლენინგრადში¹. როგორც შემდეგში გახდა ცნობი-
ლი², იგი წარმოადგენს პირს 1702 წელს შემახაში გადაწერილი ვეფ-
ხისტყაოსნისა, რომელიც ახლაც ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბ-
ლიოთეკაში (ამ ხელნაწერის აღწერილობები თავის დროზე გამო-
აქვეყნეს ი. მეუნარგამ, ა. ხახანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა. ამჟამად
კი ჩვენ მოგვეპოვება ამ ხელნაწერის სრული ფოტოპირი — იხ. ხელ-
ნაწერი — P—10).

1847 წელს ვეფხისტყაოსნით დაინტერესებული მკვლევარი (და
შემდეგ წიგნის ავტორი) ი. ევლახოვი ერთ თავის მოგზაურობის დღი-
ურში ახსენებს თავად ნ. დ-ს კუთვნილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს:
მკვლევარი იძლევა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობას, ცხადია, რომ
თავად ნ. დ-ს-ში იგულისხმება სამეგრელოს თავადი ნ. დადიანი, რო-
მელმაც სხვა საქველმოქმედო საქმეებთან ერთად იმითაც ისახელა
თავი, რომ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა
თავისი მდიდარი საგვარეულო წიგნთსაცავი და ხელნაწერთა კოლექ-
ციები (ვეფხისტყაოსნის ეს ხელნაწერი ალბათ ამ გზით მოხვდა
აღნიშნულ საზოგადოების ფონდებში, რაც 1908 წელს აღწერა ექვთ.

¹ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნა-
წერთა ფონდი K—23 (ძველი შიფრით 103).

² იხ. აქვე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა.

თაყაიშვილმა. იხ. მისი „Описание...“ т. II, вып. III, გვ. 570—591).

მე-19 საუკუნის მოღვაწეთა შორის მაინც ყველაზე საგულისხმო ცნობები დაგვიტოვა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა. ჭერ კიდევ 1852 წელს, მის მიერ გამოცემულ ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვის“ ერთ-ერთ შენიშვნაში, სადაც იგი ეხება რუსთველის პორტრეტს იერუსალიმში, მკვლევარი წერს: „არა ვუწყი არისა დღესაცა სახე ესე შოთა რუსთველისა იერუსალიმს. — აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქვნდა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი სახით ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთაველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით. ეს წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის ფლერისა საფრანგეთისა ქალაქსა პარიჟსა, რათა გარდაბეჭდონ იგი. მრავალრიცხვედ ეგზემპლარებად ხრომო-ლიტოლრაფიით“.

პლატონ იოსელიანის ამ ცნობამდე რამდენიმე წლით ადრე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერსა და კერძოდ, იქ გამოხატულ რუსთველის პორტრეტს შეეხო გრ. გაგარინი თავის ცნობილ ალბომში (*Le Caucase pittoresque* 1847, პარიზი, XI). შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე მანამდე ცნობილი ტრადიციული ამბების გამეორებასთან ერთად იგი აქვე გვაწვდის ცნობებს იმ ნახატის შესახებ, რომლის პირიც მოთავსებულია გაგარინის ალბომში, „პორტრეტი — წერს გრ. გაგარინი — რომელიც XI ტაბულაზეა მოთავსებული, ეკუთვნის ძალიან ძველ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი არის ნაწილი თავად რევაზ ერისთავის ქალიშვილის მზითვისა. ხოლო რევაზ ერისთავი ცხოვრობდა დაახლოებით 1700 წელს. შემდეგ იგი (ეს ხელნაწერი — ს. ც.) გახდა ირაკლი მეფის ქალის თეკლა ბატონიშვილის საკუთრება. დღეს კი ეკუთვნის მის ვაჟს ალექსანდრე ორბელიანს, რომელმაც იგი გადასცა ამ გამოცემის ავტორებს (როგორც ირკვევა, გრ. გაგარინი, როცა იგი ამ თავის პირველ ცნობას გვაწვდის რევაზ ერისთავის შესახებ ემყარება პორტრეტის მე-4 გვერდზე გვიანდელ მინაწერს. თუმცა წარწერა ზუსტად ვერ ამოუშიფრავს)³.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს ორი ცნობა ერთსა და იმავე ხელნაწერს გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პლ. იოსელიანი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა საკითხს. 1870 წელს პლ. იოსელიანი, თავის ფრიად საყურადღებო წერილში შოთა რუსთაველზე, ვრცლად შეეხო, როგორც ვახტანგისეულ გამოცემას,

³ სხვათა შორის, გაგარინის ეს ცნობები გამორჩენილია გ. იმედაშვილის წაგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“, 1957.

ასევე ხელნაწერებსაც⁴. საინტერესოა, რომ მან. თითქმის ერთ-ერთმა პირველთაგანმა, სწორად შენიშნა 1712 წლის გამოცემის რედაქციული სახე: „დრო, უეჭველია გაწმენდს ამ ნარევს და აღადგენს უძველეს ტექსტოს (გაზ. „Кавказ“, 1870, № 13). ის იქვე იძლევა უფრო დაწერილებით ცნობებს ხელნაწერთა შესახებაც. მე ვნახეო — წერს ისტორიკოსი — საუკეთესო კალიგრაფების მიერ შესრულებული სამი უძველესი ნუსხა. მათ შორის უძველესი ყოფილა ეტრატზე დაწერილი და ხარვეზების მქონე ხელნაწერი, რომელიც იმერელ თავადს პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთელს ეკუთვნოდა. ნუსხა ნაწერი ყოფილა მსხვილი, მრგვალი მხედრულით, გვერდების ჩარჩოები წითელი მელნით, ხოლო კუთხეები კი აღმოსავლური გემოვნებით ჰქონია მოხატული (უფრო ზუსტად: «Четыре оконечности этой рамки красовались фигурами, призованными в восточном затейливом вкусе»)⁵.

მეორე ხელნაწერი მას უნახავს აზნაურ ნიკოლოზ ელიაზიშვილის ოჯახში. ეს ხელნაწერი თავდაპირველად ეკუთვნოდა თურმე მეფე ალექსანდრეს და გადაწერილი ყოფილა დაახლოებით 1440-იან წლებში. ეს თარიღი მკვლევარს ალექსანდრე დიდის (1412—1443) მეფობის წლების მიხედვით უნდა ჰქონდეს დადგენილი. მკვლევარი შენიშნავს, რომ მესამე ხელნაწერი ყოფილა ვახტანგ შაჰნავაზის (პ. იოსელიანის თარიღით, 1678, Sic!) კუთვნილება. ბოლოს კი ხელთ ჰქონია თეკლა ბატონიშვილს. ხელნაწერის აღწერის შემდგომ მკვლევარი დასძენს, რომ თეკლა ბატონიშვილის ეს ხელნაწერი შემკვიდრეთა დავალებით მკვლევარს თვითონვე გადაუცია მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვისათვის.

ცხადია. ამ მესამე ხელნაწერზე საუბრისას, პლ. იოსელიანი ეხება იგივე ხელნაწერს. რომელზედაც იგი ტიმოთე ვაბაშვილის „მოხილვის“ კომენტარებში აღნიშნავდა 1852 წელს.

მართლაც, 1935 წელს ლენინგრადიდან საქართველოში ჩამოიტანეს ერთი ხელნაწერი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ვორონცოვთა საგვარეულო არქივში რჩებოდა. მაგრამ იმ ცნობებზე დაყრდნობით, რაც პლ. იოსელიანმა, როგორც ვნახეთ, 1870 წელს წარმოადგინა, საკმაოდ გაძნელებოდა ამ ხელნაწერში სწორედ ის მესამე ხელნაწერი შეგვეცნო. საქმე ის არის, რომ მინიატურები და რუსთაველის პორტრეტი, როგორც ეს აღნიშნული აქვს მკვლევარს, უკვე აღარ ჰქონდა ხელნაწერს. უფრო მეტიც, პლ. იოსელიანი დაბეჭითებით აღნიშნავს, რომ ხელნაწერის გვერდე-

4 «Кавказ», 1870 г., № 13, 2—4.

5 იქვე.

ბის აშვიები პოლიტიკური გამოცემების მსგავსად, სხვადასხვა სცენებით ყოფილა მოხატულა. ნამდვილად კი ამ ხელნაწერის ყველა ფურცლის აშვი ყვავილოვანი გრაფიურითაა მოოქროვილი და არავითარი სცენები აქ არ გვხვდება. ვთქვათ მინიატურები და პორტრეტი შემდეგ ჩამოაშორეს ხელნაწერს (პორტრეტთან დაკავშირებით ეს, მართლაც, ასე მოხდა), მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, აშვიებს არავითარი კვალი სცენების მოხატულობისა არ ეტყობა. მეორეც — პლატონ იოსელიანი ზუსტად ასახელებს ხელნაწერის გადაწერის თარიღს — 1678 წელს, ხოლო ჩამოტანილ ხელნაწერს არავითარი ჩვენება თარიღზე არ ახლავს (ჩვენის აზრით არც უნდა ჰქონოდა, რადგან ანდერაძე მთლიანადაა დაცული). მესამე — პლ. იოსელიანს ხელნაწერის მფლობელად ვახტანგ V შაჰნავაზი მიაჩნია (თუმცა, ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ 1678 წელს შაჰნავაზი უკვე გარდაცვლილი იყო). ნამდვილად კი ხელნაწერის მფლობელად სხვა პიროვნება ჩანს⁶.

გაუგებრობას ჰფანტავს თვით ხელნაწერის სატიტულე ფურცელი, რომელიც უკვე მე-19 საუკუნეშია ჩამატებული. აქ მოიპოვება პლ. იოსელიანის ხელითვე შესრულებული წარწერა: «Книга эта «Барсова кожа» принесена в дар князю М. С. Воронцову князем Александром Орбеллиановым 1 сентября 1853 года. Тифлис».

ამ ხელნაწერისა და თეკლა ბატონიშვილისეულ ხელნაწერის იგივეობას, რომელზედაც 1850-იან წლებში გვაწვდიან ცნობებს გრ. გაგარინი და „მოხილვის“ კომენტარებში პლ. იოსელიანი, სხვა გარემოებაც ამტკიცებს. 1923—1924 წლებში. როგორც ვეფხისტყაოსნის თავის მეორე გამოცემაში (1927 წ.) გვაუწყებს პროფ. ს. კაკაბაძე, — თავად ორბელიანების ყოფილი მოურავის ოჯახში აღმოჩნდა შოთა რუსთაველის პორტრეტი. იგი წარმოადგენს გრ. გაგარინის ალბომში შეტანილი რუსთაველის პორტრეტის დედანს. დღეს ეს პორტრეტი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. იგი, მართლაც, ზემოაღნიშნული ხელნაწერის ნაწილს წარმოადგენს და ამ მხრივ ზუსტია იოსელიანის ცნობა. რაც შეეხება სხვა მონაცემებს, ისინი არ ემთხვევიან, რადგან როგორც ჩანს 1870-იან წლებში პლ. იოსელიანს ზეპირად შეუტანია თავის შრომაში ეს ცნობა. მაგალითად, აშვიების არაზუსტი დახასიათების გარდა ცნობა, თითქოს ამ ხელნაწერს მინიატურებიც ჰქონდა, არ არის სანდო. სპეციალური შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ხელნაწერის ხარვეზები მოდის სწორედ ტექსტზე

⁶ გ. ლეონიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, წიგნში „ძიებანი...“, 1949, გვ. 304—323.

და ხელნაწერს მინიატურები არ ჰქონია (პლ. იოსელიანის ეს მოსაზრება გაიზიარა გ. ლეონიძემ⁷, მაგრამ ხელნაწერის დეტალური შესწავლა მას მხარს არ უჭერს. იხ. ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია“, 1957, გვ. 81, საინტერესოა, რომ 1852 წელს პლ. იოსელიანი არაფერს ამბობდა ამ მინიატურებზე, ასევე სდუმს გრ. გაგარინიცი).

ეს ხელნაწერი მეცნიერულად შეისწავლა გ. ლეონიძემ. მან პირველმა გამოავლინა ამ ხელნაწერის ნამდვილი მფლობელი ზაზა ციციშვილი და გაარკვია ხელნაწერთან დაკავშირებული რიგი ისტორიული-ლიტერატურული საკითხი⁸. დღეს ეს ხელნაწერი მეცნიერებაში „ზაზასეულის“ სახელითაა ცნობილი და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელნაწერად ითვლება⁹.

მესამე ანუ „ზაზასეულ“ ხელნაწერზე ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდით მხოლოდ იმის გამო, რომ დავრწმუნებულიყავით შემდეგში: პლ. იოსელიანი გვაწვდის ზოგ დეტალში თუმცა არა ზუსტ, მაგრამ ძირითადში სანდო ცნობებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შესახებ. „ზაზასეულ“ ხელნაწერთან დაკავშირებით ეს ჩვენი მოსაზრება დასტურდება. ასევე შეიძლება ვენდოთ ცნობებს პირველ ორ ხელნაწერთა შესახებაც. ფაქტია, რომ პლ. იოსელიანს „ზაზასეულ“ ხელნაწერებთან ერთად თავის თვალთ უნახავს ორი სხვა ძველი ხელნაწერიც.

მკვლევარი არ გვაწვდის დაწვრილებით ცნობებს მათ შესახებ. აქ არის ხელნაწერთა ზოგადი დახასიათება და მოხსენებულია მათი მფლობელების გვარები. როგორც აღვნიშნეთ, ერთია პოლკოვნიკი გრ. წერეთელი და მეორე კი ნიკოლოზ ელიოზიშვილი. ბუნებრივად ესმის კითხვა, ხომ არ არის რომელიმე ეს ხელნაწერი იმ ნუსხათა შორის, რომლებიც დღეს ცნობილია და ვიყენებთ ტექსტის დადგენის დროს. ასეთი ეჭვი გამოთქმული იყო ამჟამად ცნობილ ხელნაწერზე, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერით არის N, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტის შიფრით S—5006. საქმე ის არის, რომ ეს ხელნაწერიც ერთ დროს წერეთლების ოჯახიდან არის წამოღებული. ამ ხელნაწერს აქვს ძალზე საინტერესო თავგადასავალი, რომელიც დაწვრილებით მოთხრობილი აქვს აკად. ექვთ. თაყაიშვილს თავის „მოგონებებში“¹⁰. მე ამ ხელნაწერზე დაწვრილებით არ შევჩერდები.

7 იხ. გ. ლეონიძის დასახელებული შრომა.

8 იქვე.

9 შტრ. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 87—109.

10 ეურნ. „მნათობი“, 1958, № 7.

მაგრამ შევნიშნავ, რომ ზოგი მონაცემი მხარს არ უჭერს ასეთ ვარაუდს. პირველი — ხელნაწერი გასანთლულ ქალაღღზეა ნაწერი, ხოლო პლ. იოსელიანი მასალად პერგამენტს ასახელებს (თუმცა ირკვევა, რომ მე-19 საუკუნის ზოგი მოღვაწე ხშირად ვერ ერკვევა პერგამენტისა და გასანთლული ქალაღღის სხვადასხვაობაში, მაგ. აღ. ხახანაშვილი პარიზის ხელნაწერს პერგამენტის მასალაზე ნაწერად მიიჩნევს. ასევე S—5006 ხელნაწერს პერგამენტზე ნაწერად მიიჩნევს კოტიჩი თავის წერილში 1879 წ. (იხ. გაზ. „დროება“, 1879, № 38). მეორე — მკვლევარი აღნიშნავს რომ პოლკოვნიკ წერეთლის ხელნაწერი მსხვილი, მრგვალი მხედრულით ყოფილა შესრულებული, S—5006 კი პირიქით — წვრილი. მთავარი კალიგრაფიული ხელითაა შესრულებული. მესამე — S—5006 ხელნაწერს არ გააჩნია აშეების მოხატულობა, პლ. იოსელიანის აღწერილ ხელნაწერს კი აშეები აღმოსავლური გემოვნებით ჰქონია მოხატული. მეოთხე და ყველაზე უმთავრესი კი ის არის, რომ S—5006 ხელნაწერში არის 90-მდე სრულიად უნიკალური მინიატურა, რომელიც საერთოდ გამოირჩევა ვეფხისტყაოსნის მინიატურათა შორის. უეჭველია, ასეთ თავისებურებებს პლ. იოსელიანი არ გამოტოვებდა. ყოველივე ამის გამო, უნდა ვიფიქროთ. რომ პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული პოლკოვნიკ გრ. წერეთლის ხელნაწერი და პელაგია წერეთლის კუთვნილი ხელნაწერი S—5006 სხვადასხვა ნუსხეებია. ამდენად, კვლავ სძიებელია პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული ნუსხა. აქვე საინტერესოა მოვიტანოთ ერთი ცნობა, რომელიც მოთავსებულია 1880 წელს გაზეთ „დროების“ № 270-ე ნომერში: „პელაგია წერეთელს მწერალთა კომისიისათვის გადასაცემად დ. ყიფიანისთვის მიუცია ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი“. ეს არის სწორედ ზემოთ ნახსენები S—5006 ნუსხა. იქვე ცნობაში აღნიშნულია, რომ საჩხერეში მცხოვრებ თ. ა. დავითის ძე წერეთელს აქვს ვეფხისტყაოსანი, რომელიც სიძველითა და ღირსებითაც სჯობია პელაგია წერეთლის კუთვნილ ვეფხისტყაოსანსო. ეს ხელნაწერი ჩვენთვის ამჟამად არ უნდა იყოს ცნობილი და შესაძლოა გვეკარაუდნა, რომ მას იქნებ აქვს კავშირი იმ ცნობასთან, რომელსაც წერეთლების ნაქონ ვეფხისტყაოსანზე გვაწვდის პლ. იოსელიანი (ამას უნდა შემდგომი დაზუსტება). მაგრამ შესაძლოა დარჩეს მაინც ერთგვარი ეჭვი, რომ S—5006 ხელნაწერი და პლატონ იოსელიანის მიერ მოხსენებული წერეთლიანთ ნუსხა ერთი და იგივეა; 1870 წელს იოსელიანი ვერ გვაწვდის ზუსტ ცნობებს ხელნაწერებზე, რადგან ამ დროს ისინი მას ხელთ არა აქვს (გავიხსენოთ „ზაზასეული“ ნუსხის დახასიათება). ამავე დროს არსებობს ცნობა, რომ პელაგია წერეთლის ხელნაწერი (S—5006) ერთ დროს უნახავს პლატონს და, სხვათა შორის, სპარ-

სულ გასანთლულ ქალაღდზე ნაწერი ეს ნუსხა მას ეტრატად მიუჩნე-
ვია. ეს უამბებს ექვთიმე თაყაიშვილს პელაგია წერეთლის ვაჟებმა
(„მნათობი“, 1958 წ. № 7, გვ. 165—156). იქნებ პლატონს შემდეგში
(1870 წ.) ერთმანეთში აერია „ზაზასეულისა“ და S—5006-ის თავისე-
ბურებანი და ამან გამოიწვია აღნიშნული გაუგებრობანიც? ამ საკითხს
კვლავ უნდა შესწავლა¹¹.

პლ. იოსელიანის ეს საყურადღებო ცნობები, როგორც ჩანს. მხედ-
ველობიდან არ გამორჩენიათ მე-19 საუკუნის ჩვენს საზოგადო მოღ-
ვაწეებს და უძებნიათ კიდევ ეს ხელნაწერები. გაზეთ „დროების“
1881 წლის ქრონიკაში იონა მეუნარგია მიმართავს ძველ ქართულ
ოჯახებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების თაობაზე და იქვე ახსენებს
პლ. იოსელიანის წერილს, სადაც საუბარია ნიკოლოზ ელიოზიშვი-
ლის ოჯახში არსებულ მე-15 საუკუნის ხელნაწერზე. უნდა აღინიშნოს,
რომ ამგვარი ცნობებით, ჭიებებითა და საინტერესო მასალებით სავსეა
მე-19 საუკუნის პერიოდული პრესა, მათი შესწავლა და საბოლოო გა-
შიფრვა უეჭველად საყურადღებო შედეგებს მოგვცემს შემდგომ
კვლევა-ძიებაში¹². ზემოთაც ითქვა, რომ 1880 წლის მწერალთა და სა-
ზოგადო მოღვაწეთა კომისიის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი დამ-
სახურება ის არის, რომ ამ დროს მოხდა პირველი თავმოყრა ვეფხის-
ტყაოსნის ხელნაწერებისა. ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ნუსხა პირვე-
ლად მაშინ მოხვდა მკვლევართა ყურადღების სფეროში. აქვე საჭიროა
შევნიშნოთ, რომ ზოგი ამ ხელნაწერთაგან მაშინ კვლავ დაუბრუნდა
პატრონებს და იქნებ ზოგი მათგანი ჯერ კიდევ არ არის მოხვედრილი
ჩვენს ხელნაწერთა საცავებში (ამას მოწმობს „დროებაში“ გამოქვეყ-
ნებული მფლობელთა გვარები, რომელთაგან ზოგი აღარ ჩანს ჩვენ-
თვის ცნობილ ხელნაწერთა შესწავლის შედეგად).

პლ. იოსელიანის აღნიშნულ წერილებთან ერთად, ვეფხისტყაოს-
ნის ხელნაწერული მემკვიდრეობის შესასწავლად განსაკუთრებით სა-
ყურადღებოა მე-19 საუკუნის ორი მოღვაწის ცნობები. პირველი არის
ცნობილი მკვლევარი პ. კარბელაშვილი, რომელსაც ეკუთვნის რამ-
დენიმე წერილი ვეფხისტყაოსანზე. 1880 წელს გაზეთ „დროების“
ფურცლებზე (№ 130), მან გამოაქვეყნა მოკლე ცნობა ვეფხისტყაოს-

11 პლატონ იოსელიანის მიერ ნახული ნუსხა და ხელნაწერი S—5006, რომ
სხვადასხვა ნუსხები ჩანს ეს მოსაზრება გაიზიარა ზოგი ახალი დაკვირვების მოშვე-
ლიებით გ. შარაძემ თავის ჯერ დაუბეჭდავ ნაშრომში S—5006 ხელნაწერის გარ-
შემო.

12 იხ. მაგალით. ზ. ჩხიკვაძის წერილი (გაზ. „დროება“, 1909, 1 ივლისი), სა-
დაც საუბარია სოფელ ძველგაევაზში ნახულ ტყავზე ნაწერ ვეფხისტყაოსანზე, რო-
მელიც შემდეგ დაკარგულა.

ზის ერთი ვრცელი ვარიანტის შესახებ, ხოლო იმავე წელს ჟურნ. „ივერიაში“ (1880 წ. III) მთლიანად დაბეჭდა ამ ვარიანტის ბოლო თავები. მოკიდებული „ინდოხატაელთა ამბიდან“ და შეძღვევ. უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც არ არის ცნობილი, თუ რომელი ხელნაწერით სარგებლობდა მკვლევარი. ვეფხისტყაოსნის ბოლო თავებზე შეეჩერდებით სხვა დროს, აქ კი წინასწარი ცნობის სახით შევნიშნავთ შემდეგს: პ. კარბელაშვილის ხელში გაუვლია ორ ხელნაწერს, ეს არის H—2610, და თარხან-მოურავისეული ხელნაწერი W—27. ჯერ ს. ყუბანეიშვილმა¹³, ხოლო ბოლო ხანებში ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და ირკვევა, რომ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ნუსხა არ ემთხვევა არც ერთ ამ ხელნაწერს. კარბელაშვილი საკმაოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდის მის მიერ ნახულ ხელნაწერებზე, და ამის გამო, იმედს არ ვკარგავთ, რომ საბოლოოდ მივაკვლევთ აღნიშნულ ხელნაწერს.

მე-19 საუკუნის მოღვაწეთაგან, განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე გვაწვდის აგრეთვე ეპისკოპოსი კირიონი, რის გამოც, ჩვენ მათზე უფრო დაწერილებით შეეჩერდებით.

1904 წლის ჟურნალ „მოამბის“ V ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ვეფხისტყაოსნის შესამოწმებელი მასალა“, რომელსაც აქვს ასეთი ხელისმოწერა ე. კ. წერილის ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ერთ ხელნაწერს, რომელიც ავტორს ხელთ ჰქონია რამდენიმე დღის განმავლობაში. იგი წერს, „ამ ათი წლის წინათ ჩვენ ჩავვივარდა ხელში ერთი შესანიშნავი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, მაგრამ შემთხვევა არა ვკმონდა ვაგვეცნო ქართველი საზოგადოებისათვის ეს ძვირფასი ხელნაწერი. ვარიანტი რამდენსამე დღით მომიტანა სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ ბ. მიროტაძემ და, როგორც მან გადმომცა, ის ეკუთვნოდა თბილისში მცხოვრებ სომეხ ქვრივ მანდილოსანს“.

ე. კ. ამავე წერილში შენიშნავს, რომ მას 1895 წლის „ივერიაში“ (№ 93) გამოუქვეყნებია ასეთივე ხასიათის წერილი. მართლაც, „ივერიის“ ამ ნომერში არის წერილი ვეფხისტყაოსანზე და იგი ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მკვლევარს ეპისკოპოს კირიონს (წერილს აწერს გ. საძაგელოვ-ივერიელი). წერილის ავტორი აქ ეხება ვეფხისტყაოსნის ერთ ხელნაწერს, რომელზედაც გვაწვდის საყურადღებო ცნობებს. ავტორისეული ცნობით აშკარა ხდება, რომ აქ ორ სრულიად სხვადასხვა ხელნაწერზე არის საუბარი (რადგან სხვადასხვანაირად)

¹³ ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1958 წ. დანართი თავი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების მოკლე აღწერილობა.

მონაცემებია მოტანილი ნუსხების მოცულობის, კალიგრაფიის, გადამწერის ვინაობის შესახებ და ა. შ.).

ამდენად, ჩვენ მოგიხდება ორივე ხელნაწერის ცალ-ცალკე შესწავლა.

პირველი ხელნაწერის შესახებ, რომელსაც პირობით მისი აღმწერის სახელს ვუწოდებთ, კირიონი გვაწვდის შემდეგ ცნობებს: ჯერ ხელნაწერის გარეგნული სახე: „ეს ვარიანტი — წერს კირიონი — გადაწერილი იყო გასანთლულ ქალაქში in folio და შეიცავდა 227 ფურცელს“ (გვ. 21). რაც შეეხება მოცულობას, წერილის ავტორი შენიშნავს, რომ ამ ვარიანტში, რომელიც ჩვენ გადავსინჯეთ, გაგრძელებაში არის მხოლოდ 222 ტაეპი, მაშინ როდესაც ბ. პ. კარბელაშვილისაგან დაბეჭდილის დამატება უფრო ვრცელია და შეიცავს 315 ტაეპს“. ამის შემდეგ აღმწერი გვაძლევს სტროფული შედგენილობის ზოგად სურათს და ხელნაწერის თავისებურ წაყობვას რამდენიმე ნიმუშს ჩუბინაშვილის 1860 წლის გამოცემასთან მიმართებით.

ჩვენ ვიდრე განვიხილავდით ამ ნუსხას, ამჟამად ცნობილ ხელნაწერებთან მიმართებით, შეძლებისამებრ კიდევ ერთხელ გადავსინჯეთ სპეციალური ლიტერატურა და მე-19 საუკუნის წერილობითი ცნობები, რომლებიც მიმოფანტულია მაშინდელ პერიოდულ პრესაში. კირიონი, როგორც ვნახეთ, შენიშნავდა, რომ ეს ხელნაწერი ინახებოდა ვიღაც სომეხი მანდილოსნის ოჯახში. როგორც ცნობილია, პროფ. ლეონ-მელიქსეთბეგს საგანგებოდ აქვს აღწერილი ის ხელნაწერები, რომლებიც დაკავშირებული არიან სომეხ გადამწერლებთან ან სომეხ პატრონებთან, მაგრამ მკვლევარი არ ეხება კირიონის ხელნაწერს. ამასთან, როგორც შეჯერებამ გვიჩვენა, კირიონის ხელნაწერს არა აქვს საერთო ამ ხუთ ხელნაწერთან, რომლებიც მოხსენიებულია ლეონ-მელიქსეთბეგის მიერ. ეს ხელნაწერებია: H—757. H—54, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ნუსხა P—10, გორგიჯანიძისეული ნუსხა (გვიანდელი ნუსხა, გადაწერილია 1839 წელს) და ე. წ. ყარაბაღული ხელნაწერი (ისიც გვიანდელია, გადაწერილია 1826 წ.).¹⁴

კირიონის ცნობასთან, ამ ხელნაწერის სომეხი პატრონის შესახებ, ყველაზე უფრო ახლოს ჩანდა რამდენიმე შენიშვნა. რომლებიც გამოქვეყნებულია გასული საუკუნის 90-იან წლებში. მაგალითად, 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 189) მოთავსებული იყო ცნობა, რომ ერევნის გუბერნიაში, კერძოდ იგდირში, ერთი სომხის ოჯახში აღმოჩენილა თითქოს ყველაზე უძველესი ვეფხისტყაოსანი. იგი თურ-

¹⁴ ლეონ-მელიქსეთ-ბეგი, სომეხი გადამწერი ვეფხისტყაოსნისა, ჟურნ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. 1935, ტ. I, გვ. 669.

მე უპოვიათ ქურთების სოფელში, ხელნაწერი ტყავზე ყოფილა შესრულებული. ამავე ცნობას ეხმაურება თითქმის ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებული მღვდელ დ. ვარდიაშვილის წერილი „ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ერევანში“ (გაზ. „ივერია“, 1899 წ. № 27). ავტორის ცნობები დაახლოებით იგივეა, მაგრამ დამატებით შენიშნავს, რომ ხელნაწერი იწყებოდა 93-ე სტროფით „მეფე ლალი და წყლიანი“ და რომ ხელნაწერი იმეამად ხელთ ჰქონია ერევნის ვიცე-გუბერნატორს თავად ნაკაშიძეს. იმავე წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 5179) ასეთვე ცნობები გაიმეორა ვ. კ-ძემ.

როგორც შემდეგში ექვთ. თაყაიშვილის გამოკვლევებით და „მოგონებებით“ ცხადი ვახდა, ეს არის იგივე ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ვეფხისტყაოსნის ძალზე ვრცელ დასასრულს, კერძოდ მას ახლავს ტარიელის მესამე ანდერძი იხ. S—4499. როგორც ამ ხელნაწერისა და კირიონის ნუსხის მონაცემების ზოგადი შეჯერება არკვევს (მაგალითად. ორივე ხელნაწერს სხვადასხვაგვარი დასასრული მოეპოვება: S—4499-ს ვრცელი, ხოლო კირიონისას ბევრად მოკლე და ა. შ.) და ზოგი სპეციფიკური წაკითხვა ადასტურებს, რომ ამ ორ ხელნაწერს შორის არ არის რაიმე ნიშანდობლივი მსგავსება.

მხოლოდ ამის შემდეგ მე შევეცადე კირიონის ხელნაწერი შემესწავლა იმ 52 მნიშვნელოვან ხელნაწერთან მიმართებით, რომლებიც ამჟამად ჩვენს ხელთ არის. იმ ვარაუდით, რომ იქნებ მათ შორის რომელიმე არის კიდევ კირიონის ნაქონი ნუსხა, ხოლო თუ არა, მაშინ აღგვეჩვენებდნენ ის თავისებურებანი, რომელიც უცნობ, კირიონის ნუსხას ახასიათებს. აღნიშნული საკითხის გამორკვევაში, განსაკუთრებულად შედეგიანი აღმოჩნდა ის მონაცემები, რომლებიც მოგვეპოვება ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციების კლასიფიკაციის შედეგად. კირიონი, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს ხელნაწერში დაცული პოემის შედგენილობის ზოგ თავისებურებას. გამოირკვა შემდეგი: კირიონის ხელნაწერის პროლოგი თავისი მოცულობითა და თანრიგით ახლოს არის ჩვენი კლასიფიკაციით მეორე ტიპის პროლოგთან (ე. ი. მოცულობით იქ არის ჩანართებიანი, ვრცელი პროლოგი, ხოლო სტროფების თანამიმდევრობა პირვანდელია ე. ი. არა აქვს ისეთივე ნახტომები, როგორცაა „ზაზასეულ“ ხელნაწერში და აგრეთვე „ვახტანგისეულ“ გამოცემაში). პოემის შუა მონაკვეთზე კირიონი არ იძლევა სრულ მონაცემებს, მაგალითად, არაა აღნიშნული ჩანართი სტროფები. რაც შეეხება დასასრულის საკითხს, აქ მოცემულია მხოლოდ სტროფთა რაოდენობა. თუმცა ესეც საკმარისია ხელნაწერის დასასრულის ზოგადი დახასიათებისათვის. ხელნაწერი „ინდო-ხატაელთა“. „ხვარაზმელთა“ და „გმირთა გარდაცვალების“ თავებში თურმე შეიცავდა 222

სტროფს, რაც დაახლოებით თანხვედბა ისეთ ხელნაწერებს, რომელთაც შემონახული აქვთ დასასრულის, პირველი, მოკლე ტიპის რედაქცია (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, 1970).

ახლა თუ გადავხედავთ ზემოთ აღნიშნულ 52 ხელნაწერს, პროლოგისა და პოემის დასასრულის მიხედვით ირკვევა, რომ ისეთი ხელნაწერი, რომელსაც მეორე ტიპის პროლოგი და პირველი რედაქციის მქონე დასასრული ჰქონდეს არის მხოლოდ ერთი ხელნაწერი, ეს არის Q—261 (ახალი ლიტერით I). მაშასადამე, კირიონის ხელნაწერი არის ან იგივე Q—261, ან კი ძალზე ახლოს დგას მასთან. ჩვენი ეს ვარაუდი კიდევ უფრო განამტკიცა ერთმა დეტალმა. Q—261 ხელნაწერს, როგორც აღვნიშნეთ, მოეპოვება მეორე ტიპის პროლოგი, მაგრამ აქ არის დამატებით ასეთი თავისებურებაც. პროლოგი თავდება არა საიუბილეო გამოცემის 31-ე სტროფით: „თუ მოყვარე მოყვრისათვის...“ არამედ მეორე სტროფით: „ჰე, ღმერთო, ერთო...“ (არსებითად ეს არის პოემის მეორე სტროფის თავისებური ვარიანტი). ირკვევა, რომ ეს მეორე სტროფიც კირიონის ხელნაწერში ისევე პროლოგის ბოლოსაა გადმოტანილი.

ამის შემდეგ ჩვენ შევუდექით ამ ორი ხელნაწერის წანაკითხებზე რედაქციულ თავისებურებათა შეჯერებას. ჩვენი ვარაუდი მხოლოდ ზოგადად დადასტურდა. კირიონის ხელნაწერი ზოგჯერ ძალზე ახლოსაა ან მთლიანად იმეორებს Q—261 ხელნაწერის წაკითხვას, მაგრამ ზოგჯერ კი აშკარად სცილდება მას. მოვიტან ორივე შემთხვევის რამდენიმე მაგალითს, პირველი — ე. ი. საცა ორივე ხელნაწერი გვაძლევს ერთნაირ წაკითხვას: 113 (164) სტროფი: „ქალმან ჰკადრა: მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბელსა“. ხელნაწერთა შორის მხოლოდ Q—261 იკითხება ასე „მე სიტყვასა დ ი ა ყ ბ ე ღ ს ა“. ირკვევა, რომ ზუსტად ასეთივე წაკითხვას გვაძლევს კირიონის ხელნაწერიც („მე სიტყვასა დ ი ა ყ ბ ე ღ ს ა“). შემდეგ, სტრ. 127 (196) „გიკვირს, მოგვხდა წამის ყოფით საქმე შენგან საეკვო რად“. Q—261 ხელნაწერში იკითხება: „საქმე შენგან სახე ჰირად“. ირკვევა რომ ამავე წაკითხვას იზიარებს კირიონის ხელნაწერიც (სხვათა შორის, ასეთივე წაკითხვა არის აგრეთვე რამდენიმე ხელნაწერშიც: H—599, S—2829, H—461, S—4499). მეორე — ე. ი. შემთხვევა, როცა კირიონის ხელნაწერი არ იზიარებს Q—261 წაკითხვას. მაგალითად, სტრ. 63 (84) „ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“. კირიონის ხელნაწერი ამ ადგილას ასე იკითხება: „ცოტასა შე მ გ ა ვ ს ავთანდილ ჩემისა გ ა ზ რ დ ი ლ ო ბ ი თ ა“. რაც შეეხება Q—261 იგი აქ სრულიად სხვა წაკითხვას გვაძლევს: „ცოტასა შე მ წ ე ვ ს ავთანდილ ჩემგანვე ნ ა ზ ა რ დ ო ბ ი თ ა“ (ე. ი. იმეორებს ხელნაწერთა უმრავლეს

სობას). კიდეც ერთი მაგალითი: სტრ. 71 (99) „ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს. მოდით და მოიჯარენით“. Q—261 — ხელნაწერი აქ ასე იკითხება: „მოდით და მოიჯარენით“. ხოლო კირიონის ნუსხა გვაძლევს წაკითხვას: „მოდით და მოეჯარენით“, რაც არის აგრეთვე სხვა ხელნაწერშიც (მაგ. H—599 და სხვ.).

მაშასადამე უნდა დავასკვნათ, რომ კირიონის ხელნაწერი რედაქციულად ახლოს დგას (შედგენილობითა და წაკითხვებით) ხელნაწერ I (Q—261)-თან, მაგრამ კირიონის ხელნაწერი და Q—261 სრულიად სხვადასხვაა. აქ შეიძლება წერტილის დასმა, რომ არა შემდეგი მოსაზრება: ხელნაწერი I (Q—261) რედაქციულად ძალზე ახლოს დგას, როგორც ეს გამორკვეული გვაქვს ჩვენს სხვა შრომებში, ორ ხელნაწერთან: ეს არის ოქსფორდული ნუსხა, ე. წ. თარხან-მოურავისეული ხელნაწერი W—27 და აგრეთვე ე. წ. „გურგენასეული“ ნუსხა, ლიტერით R (Q—930). ამ ორივე ნუსხას დაზიანებული აქვს პროლოგი და ამდენად, გაწელებული იყო შედგენილობის მიხედვით მათი დაახლოება კირიონის ხელნაწერთან (როგორც ვნახეთ, კირიონისა და Q—261 ხელნაწერს მეორე ტიპის პროლოგი ჰქონდათ). მაგრამ დასასრულის მიხედვით ეს ორივე ხელნაწერი ძალზე ახლოს არიან Q—261-თან, ე. ი. გვაძლევენ დასასრულის პირველ რედაქციას, მაშასადამე პოემის ამ მონაკვეთის მიხედვით ისინიც ახლოს დგანან კირიონის ხელნაწერთან. რაც შეეხება, რედაქციულ წაკითხვებს თარხან-მოურავისეული ხელნაწერი Q—261-ის მსგავსად კიდეც ახლოს დგას და ამავე დროს მთლიანად არც ემთხვევა კირიონის ხელნაწერს. მაშასადამე, განსახილველი დარჩა კირიონისა და ე. წ. „გურგენასეული“ ხელნაწერი R (Q—930).

კირიონის მონაცემებისა და „გურგენასეული“ ხელნაწერის შედარებითმა შესწავლამ სრულიად დაადასტურა ჩვენი მოსაზრება. როგორც ცნობილია, „გურგენასეულ“ ხელნაწერს სულ ახლახან ჩაუტარდა რესტავრაცია, რაც არ არის ასახული ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოცემაში, ამიტომ ჩვენ უშუალოდ მივმართეთ ხელნაწერს, რადგან ვარიანტების აღნიშნულ გამოცემაში ამ ორი ხელნაწერის ურთიერთობის კვალიც კი არ ჩანდა.

აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ვითარება. კირიონის ხელნაწერი ყველა შემთხვევაში არა მარტო შედგენილობით, არამედ წაკითხვითაც ზუსტად იმეორებს „გურგენასეულ“ ხელნაწერს. უფრო მეტიც, ყველა მონაცემებით მტკიცდება, რომ კირიონისა და „გურგენასეული“ ხელნაწერი არის ერთი და იგივე ნუსხა, ყველა წანაკითხის აქ მოტანა შეუძლებელია, მაგრამ მე აქ მოვიტან მხოლოდ ისეთ წაკითხვებს, რომ-

ლებიც ძალზე სპეციფიკურნი არიან და ამავე დროს არ დასტურდებიან სხვა არც ერთ ხელნაწერში:

1. სტრ. 37 (49) — კირიონის და „გურგენასეულ“ ხელნაწერში ვკითხულობთ:

„წარი თუ დასკენეს, ეგრეცა ვმართებს მისივე ჟრობა
მისივე მეტობს ყვავილი, სული და ტურფა ფერობა“.

ირკვევა, რომ სიტყვები: „დასკენეს“ და „ყვავილი“ არის მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ ხელნაწერში.

2. სტრ. 63 (84) --- ეს სტროფი ჩვენ ზემოთაც მოვიტანეთ, როცა ვნახეთ კირიონისა და I (Q—261) ხელნაწერს განსხვავებანი. ირკვევა, რომ წაკითხვა: „ცოტასა შემგავს ავთანდილ ჩემისა გაზრდილობითა“ — არის მხოლოდ კირიონისა და „გურგენასეულ“ ნუსხაში.

3. სტრ. 74 (103) — ორივე ხელნაწერში არის ასეთი წაკითხვა „მშვილდსა ხელ-ფიცხლად“, რაც არ დასტურდება სხვა ხელნაწერებში (საინტერესოა, რომ ამასთან ახლოა ასეთი წაკითხვა „მშვილდსა ხელ-ფიცხლად“ იხ. ხელნ. Q—261).

4. 97 (145) სტრ. ორივე ხელნაწერში არის ასეთი წაკითხვა: „ჰგვანდა ქვესკნელს ჩანაძვრენსა“, რაც არ დასტურდება არც ერთ ხელნაწერში.

5. ჩანართ სტროფში: „თუ ყოფალა იგი მოყმე...“ (169), სარიტმო ერთეულია კლაუზულა „ლელად“. ხოლო კირიონთან და „გურგენასეულში“ კი „ლელი“, რაც არ დასტურდება არც ერთ ხელნაწერში.

6. 196 (274) სტროფში ორივე ხელნაწერში გვაქვს: „სამნი რამე ცხენოსანნი“, როცა ყველა სხვა ხელნაწერში არის წაკითხვა „ექვსნი რამე ცხენოსანნი“.

7. დასასრულ მოვიტან კიდევ ერთ ძალზე დამახასიათებელ მაგალითს: 1957 წ. გამოცემის 153-ე სტროფში ვკითხულობთ: „ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხვდეს ხისაცა რგულისა“. როგორც ცნობილია, ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება ხელნაწერებში. ძალზე სპეციფიკურია „გურგენასეული“ ხელნაწერის წაკითხვა: „მე ქმრად არ მინდა უშენოდ რომ ხასი მამხვდეს გულისა“. ირკვევა, რომ ასეთი სპეციფიკური წაკითხვა ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ კირიონის მიერ აღწერილ ხელნაწერში (Q—261 ხელნაწერი კი ასე იკითხება: „მე ქმრად არ მინდა უშენოდ რომ მომხვდეს სახე გულისა“).

ამის შემდეგ უნდა გავიმეოროთ ზემონათქვამი. ყველა მონაცემებით: შედგენილობით, წანაკითხებით, ხელნაწერის ისტორიით (ორი-

ვე ხელნაწერი სომხის ოჯახიდან მოდის). ჩანს, რომ კირიონის მიერ ნახული და აღწერილი ხელნაწერი იგივე ნუსხაა, რომელიც 1946 წელს საქართველოს გამოსცა საჩუქრად სომხეთის მთავრობამ და „გურგენასეული“ ნუსხის სახელითაა ცნობილი.

ამასთან აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: კირიონის აღწერილობა ამის შემდეგაც კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას. პირველი: ამ აღწერილობიდან ირკვევა, რომ „გურგენასეული“ ხელნაწერის აწ დაკარგული პროლოგი ისეთივე ყოფილა, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ I (Q—261) ხელნაწერისა და კირიონის აღწერილობის შედარების დროს. მეორე — კირიონის აღწერილობაში შემონახულია ზოგი ისეთი სტროფის წაკითხვა, რაც დღეისათვის დაზიანებულია „გურგენასეულ“ ხელნაწერში და, ამდენად, ესენიც უნდა დამუშავდეს სხვა ხელნაწერთა მსგავსად.

დამატების სახით აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი. როგორც ზევითაც აღვნიშნე, კირიონი ადრე, 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 93) ეხებოდა ხელნაწერს, რომელიც აშკარად სხვა ხელნაწერია (იხ. ამის შესახებ ზემოთ). რასაკვირველია, საინტერესო იქნებოდა ამ ხელნაწერის მიკვლევა. იმ მონაცემების მიხედვით, რაც გამოაქვეყნა კირიონმა, არ არის ძნელი აღნიშნული ხელნაწერის მიგნება. ხელნაწერის გადამწერი ყოფილა პეტრე ტაბლიაშვილი, ხელნაწერი შეიცავს 1434 სტროფს და დასასრულ, რედაქციულად ეს ხელნაწერი, კირიონის ცნობით, მხოლოდ რამდენიმე სტროფით მეტი ყოფილა ვახტანგისა და ჩუბინაშვილის გამოცემებზე. ხელნაწერთა შემკვიდრეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ პეტრე ტაბლიაშვილს გადაუწერია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ნუსხა. კერძოდ, ნუსხა S—2686 შეიცავს ზუსტად 1434 სტროფს. ხოლო რედაქციულად იგი, მართლაც, შეიცავს ვახტანგისა და ჩუბინაშვილის გამოცემებთან შედარებით რამდენიმე დამატებით სტროფს. როგორც ახლა გარკვეულია, ეს ჩანართი სტროფები ეკუთვნის გიორგი თუმანიშვილს, ხოლო ამ ტაპის ხელნაწერებს კი ეწოდება ე. წ. „ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტი“, რაც ვახტანგისეული გამოცემის გვიანდელ სახესხვაობას წარმოადგენს მხოლოდ¹⁵.

3. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობისათვის

იმ ნაშრომებში, რომელიც ჩვენ ადრე მივუძღვევით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერ რედაქციებს, პირველ რიგში გარკვეული იყო ამ რე-

¹⁵ „არტანუჯული ვარიანტის“ შესახებ იხ. ალ. სარაჯიშვილის წერილი „ძველ საქართველოში“, ტ. IV, გვ. 3—11; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65—73. აგრეთვე წინამდებარე ნაშრომის I ტომი.

დაქციათა უმთავრესი მიჯნა¹⁶; ვეფხისტყაოსნის ნუსხათა შორის გამოირჩევა საკმაოდ დიდი ჯგუფი ხელნაწერებისა, რომლებშიც პოემა წარმოდგენილია ვრცელი ვარიანტით (ვრცელია იგი როგორც პოემის ძირითად ნაწილში, ისე გაგრძელებებითურთ). ეს ხელნაწერები მეტწილად მე-17, მე-18 საუკუნეში არიან გადაწერილნი (რამდენიმე მათგანი გადაწერილია მე-19 საუკუნეშიც) და მათ პირობით პოემის ძველ რედაქციებს ეუწოდებთ, რადგან ამ ხელნაწერებს არ განუცდიათ გამოცემელი რედაქტორთა ოპერაციები და შედარებით ძველ ხელნაწერთა ტრადიციებს იცავენ¹⁷.

რაოდენობის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანია ხელნაწერთა ის ჯგუფი, რომელიც მომდინარეობს 1712 წლის, ანუ ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემიდან. როგორც ცნობილია, ამ გამოცემის თავისებური რედაქციის შემუშავება მიეწერება პირველ რუსთველოლოგს ვახტანგ VI, რის გამოც იგი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის სახელითაა ცნობილი. ვახტანგ მეექვსემ, როგორც ეს ადრეც იყო აღნიშნული, თავის შეხედულებისამებრ გაცხრილა პოემის ვრცელი რედაქციის შემცველი ხელნაწერი და მოგვცა ვეფხისტყაოსნის მოკლე, კრიტიკული ხასიათის ტექსტი. ამ გამოცემამ თავის დროზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა სწორედ 1712 წლის ტექსტიდან იღებს სათავეს (გარდა ცალკეული ფრაგმენტებისა, ჩვენ მიერ ქვემოთ 90-მდე ასეთი ნუსხაა გამოვლენილი).

ცალკეა აღსანიშნავი შერეული, ასე ვთქვათ კომპილაციური ტიპის რედაქციათა შემცველი ხელნაწერები. ფაქტიურად ეს ხელნაწერები მაინც ვახტანგისეული რედაქციის ტყვეობაში არიან, ოღონდ ამ ხელნაწერთა გადამწერლებს (თუ დამკვეთებს) აღარ აკმაყოფილებთ ვახტანგისეული რედაქციის განსაკუთრებული სიმოკლე პოემის ბოლო თავებში. ისინი კვლავ მიმართავენ ვრცელ რედაქციათა შემცველ ნუსხებს და აქედან გადმოაქვთ ვეფხისტყაოსნის დასასრული თავის გაგრძელებებითურთ.

ჩვენ ცალკე გვქონდა აგრეთვე საუბარი აღნიშნულ ხელნაწერთა

16 ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957; ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963; ლიტერატურული წერილები, 1966. აგრეთვე წინამდებარე ნაშრომის 1 ტომი.

17 ვრცელი რედაქციები, რომელთა შესახებ დაწერილებით ზემოაღნიშნულ ნაშრომებშია საუბარი, თავის მხრივ ქვერედაქციებს შეიცავენ, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ავთენტურობის თვალსაზრისით, მაგრამ უმთავრესი ნიშანი: ტექსტის ვრცელი ვარიანტი და გამოცემათა გავლენისაგან თავისუფლება მათ ერთ ძირითად ჯგუფად აერთიანებს.

ერთ თავისებურ ჯგუფზე. ამ ხელნაწერებში მოთავსებული ანდერძის მიხედვით, რომლის სიყალბე ამჟამად ნათელი შეიქმნა, აღნიშნულ ჯგუფში შემავალ ნუსხებს ტრადიციისამებრ პოემის „არტანუჯული ვარიანტი“ ეწოდება. მართალია, ეს ხელნაწერები არსებითად ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარეობენ, მაგრამ როგორც გზადაგზა, ისე ბოლოშიც ამ „ვარიანტის“ პირველ შემქმნელს¹⁸ დაურთავს მის მიერვე შეთხზული სტროფები და თითქოს უცდია 1712 წლის გამოცემის ცალკეული ხარვეზების შევსება. შემდეგში სხვა გადამწერლებს უნებურად გაუვრცელებიათ პოემის ამ ტიპის „ვარიანტი“.

მართალია, 1841 წელს პეტერბურგში გამოვიდა ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემა, რომელიც მოამზადეს მარი ბროსემ, ზაქარია ფალავანდიშვილმა და დავით ჩუბინაშვილმა (სხვათა შორის, ეგვევ გამოცემა გაიმეორა 1846 წ. დ. ჩუბინაშვილმა¹⁹), მაგრამ, როგორც ჩანს, ვეფხისტყაოსანზე მოთხოვნილება ვერც ამ გამოცემებს დაუკმაყოფილებია. გადამწერლები ახლა უკვე ამ ახალი გამოცემებით სარგებლობენ და რამდენიმე მათგანს ჩვენამდეც მოუღწევია.

დასასრულ, ცალკეა გამოყოფილი ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ სტროფთა, ფრაგმენტთა აღწერილობები (ისინი მოიპოვებიან მინაწერების სახით), რომელთაგან ზოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის კვლევის დროს. სხვადასხვა ხელნაწერებში თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში შესაძლოა ბევრად უფრო მეტი რაოდენობით მოიპოვებოდეს ამგვარი მინაწერები და მათი გამოვლენა ძალზე სასარგებლო საქმე იქნება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აქ წარმოდგენილი მასალა არც თუ ცოტაა და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მათ გავრცელებაზეც.

სწორედ ასეთი თანამიმდევრობით არის დალაგებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობანი წინამდებარე წიგნშიც. დაცულია, როგორც ხელნაწერთა რედაქციულ თავისებურებათა ურთიერთსიახლოვის პრინციპი, ისევე ქრონოლოგიურიც (გარკვეული რედაქციული ჯგუფის ფარგლებში), ასევე უმთავრესი რედაქციული ჯგუფებიც მისდევენ ერთმანეთს (ჯერ ვრცელი რედაქციები, შემდეგ ვახტანგისეული და ა. შ.)²⁰. როგორც ეს მათი თანდათანობითი წარმოშობის მიხედვით ივარაუდება (გამონაკლისია მხოლოდ ის ვანყო-

18 ვეფხისტყაოსნის „არტანუჯული ვარიანტის“ შექმნა, როგორც ახლა გარკვეულია, მიეწერება პოეტს გიორგი თუმანიშვილს (გარდაიც. 1837 წ.).

19 ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, 33. 64—65.

20 ოღონდ რედაქციების ფარგლებში ერთი და იმავე ფონდში მოთავსებული ხელნაწერები ერთადაა წარმოდგენილი.

ფილება, სადაც წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ფრაგმენტთა აღწერილობანი, თუმცა ამ განყოფილების ფარგლებში ძირითადად დაცულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა).

ახლა ორიოდ სიტყვა თვით აღწერილობათა შესახებ. როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის მრავალრიცხოვანი ხელნაწერები ამჟამად მიმოფანტულია როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც, როგორც სახელმწიფო ხელნაწერთა საცავებში, ისე კერძო პირთა ხელშიც. ბევრი მათგანი ამჟამად აღწერილია. ზოგ ხელნაწერზე მნიშვნელოვანი ცნობები მოთავსებულია სპეციალურ მონოგრაფიებში, თუ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებში, ხოლო არსებობს რიგი ხელნაწერებისა, რომელთა მთლიანი აღწერა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჯერ არ ჩატარებულა. წინამდებარე გამოკვლევის უპირველესი მიზანიც ეს არის. აქ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავმოყრილი და აღწერილია ყველა ხელნაწერი, რომელზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა. ტექნიკურ აღწერილობასთან ერთად (ეს ნაწილი სათანადო შემოწმების შემდეგ ზოგჯერ უცვლელად არის ამოღებული იმ გამოცემებიდან, სადაც გვხვდება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობანი) მოცემულია ცალკეულ ხელნაწერთა რედაქციული დახასიათება და ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები, დასახელებულია უმთავრესი ლიტერატურაც თითოეული ხელნაწერისათვის ცალ-ცალკე.

შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ხელნაწერთა რედაქციულ თავისებურებებზე საუბრის დროს დასახელებულია არა ყველა ჩანართი სტროფები (ეს ეხება მეტწილად ვრცელ რედაქციებს), არამედ მხოლოდ ამ ჩანართ სტროფთა ძირითადი პლასტების აღნიშნული პირობითი ნიშნები (ჩანართების ა, ბ, გ და დ პლასტები), რომელთა მთლიანი სურათი წარმოდგენილია ჩვენი ნაშრომის „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ პირველ ტომში (იხ. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, ტ. I, გვ. 200, 210—211, 220, 227—229).

I. ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციების შემცველი ხელნაწერები

S—1418; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით P

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

10 ფ.; 26,9×19,7; ქაღალდი ევროპული; მხედრული; სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; (XVII ს.); კვირნიშანი აქვს¹.

იწყება:

„... ზარი გაისმა, შემოკრბეს ქალაქისა ერნი სრულად,
იქით აქათ იჯრებოდეს, უკუერიტოთო ამას სრულად,
ზოგნი ნდომით შეფრფინვიდეს, ზოგნი იყუნეს სულწასულად,
და მათთა ცოლთა მოიძულეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად...“

(1r)

წყდება:

„... მოიღეს, ტანსა ჩააცუეს შესამოსელი ტანისა,
მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თუალისა,
და მუნ ვარდსა ფერი აშუენებს ბროლისა გამკუთრვალისა...“

(10v)

ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წ. გამოცემის მიხედვით შეიცავს 1075—1125 და 1153—1187 სტროფებს (სულ გადარჩენილია 86 სტროფი).

ხელნაწერში ტექსტი მცირე ნაწყვეტითაა მოღწეული, ამიტომ გაძნელებულია მისი რედაქციული სახის გამოვლენა. წაკითხვებით კი ამ მონაკვეთში იგი ძირითადად მისდევს პირველი რედაქციის (H—599 და სხვ.) ნუსხებს. თუმცა რიგ შემთხვევაში აქვს ძალზე თავისებური წაკითხვებიც (იხ. სტრ. 1259, 1260 — ვრცელი გამოცემისა).

¹ ხელნაწერს სხვადასხვა ადგილას მოეპოვება რამდენიმე სახის კვირნიშანი (ა. გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით, ბ. სამი გორა ჩიტით, გ. აღდგომის კრავი), რომლებიც რ. პატარიძის დასკვნით გვხვდებიან XVII საუკუნის 60—70-იან წლებში. იხ. მისი დაუბეჭდავი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კვირნიშნები“, გვ. 20, განახება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიის მიერ. ქვემოთ მითითებული იქნება შემოკლებით.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომელიცაგან 10 ფურცელი ვეფხისტყაოსნის სტროფებს უკავია.

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფ. შედგენილობა, 1959, გვ. 306; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. II, 1961, გვ. 193; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, 1963, გვ. 91.

S—1675-ა; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით C'.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

2 ფ.; 32X20; ქალაღი ეეროპული; მეტად დაზიანებულა; უყუღა; მხედრული; (XVII ს.); გადარჩენილ ფურცლებს ჰვირნიშანი არ გამოკყოლია; ქალაღის სპეციფიკა. ხელი და ტექსტის თავისებურებანი მიგვანიშნებენ ხელნაწერის თარიღზე — XVII საუკ. მეორე ნახევარი.

პირველი ნაწყვეტი:

„ჩვენ სამთა ძმათა, ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით.

მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიღე დავეცილენით...“ (1r)

წყდება:

„და ასრე მწარედ მათრაკითა ჩამოგვეფრიწნა არ კმალ ხებით...“ (1v)

შედგება ნაწყვეტებისაგან. პირველი მოიცავს ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ (იხ. ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით 1956 წ.)¹ 282—289 სტროფებს.

1957 წ. გამოცემასთან შედარებით მეტია 2 სტროფი:

„რა მათ კაცთა ესე სიტყვა თქვეს, აუთანდილ ვაგლახ ვება, მოეგონა მისი მზე და მეფესთანა მისი შუება,

ჰე მოგშორდი, ჩემო მზეო, მამხუდეს შენი თუ შოვება, და იყო ჩემთა ჰირთა ნაცულად ნეტარ მე და იშოვება“

(ვრც. გამოც. 286 სტრ.)

„ჩვენ მისითა მიზეზითა აწ ვართ ლომო, შექირვებით,

ცაცა მისად არა ჰკვირან, მოვიდოდა თავის ნებით,

შესაპყრობლად კელი ვჰკადრეთ, მაგრა მეტად შეზარებით,

და ასრე მწარედ მათრაკითა ჩამოგვეფრიწნა არ კმალ ხებით“

(ვრც. გამოც 289 სტრ.)

¹ ქვემოთ ვეფხისტყაოსნის 1956 წლის გამოცემა აღინიშნება მოკლედ — ვრცელი გამოცემა.

შეორე ნაწყვეტი:

„ესე ამბავი მართალი პირმზემან, პირად ვადა[m]ან
რა მოისმინა, იამა, სხვად არა გაუცხადამან...“ (2r)

წყდება:

„ფატმან ყელსა ეხვეოდა, პირსა მზესა აკოცებდა...“ (2v)
(იმავე გამოცემის 1429—1436 სტროფები).

შენიშვნა: რედაქციულად აქ წარმოდგენილა ტექსტი მისდევს პოემის
შუა მონაკვეთის მიხედვით მეორე რედაქციის იმ ნუსხებს, რომლებშიც
მოიპოვებიან ზემოაღნიშნული ჩანართი სტროფები (იმავე ანუ ვრცელი
გამოცემის 286 და 289 სტროფები) ამასვე უკერს მხარს ამ ხელნაწერის
სპეციფიკური წაკითხვებიც.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, 1908,
გვ. 393; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედ-
გენილობა, 1959, გვ. 316; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი
რედაქციები, 1963, გვ. 138; 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S
ფონდი, 1963, III, გვ. 133—134.

S—2525; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით P¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

13 ფ.; 22×17,5; უყლო; დაკულია 127 სტროფი; გადაწერილია მე-19
საუკუნის მეორე ნახევრის ხელით (ქალაქის მოეპოვება სპეციფიკური
ტიფტები: 1856, 1857 წწ.). შეიცავს ინდო-ხატაელთა და მის მომდევნო
ამბებს; 1r-ზე მარჯვენა გვერდზე მიწერილი უკვ: „ვეფხისტყაოსნის ბო-
ლო“; მუზეუმისთვის შეუწირავს დავით ბარათაშვილს.

გადარჩენილია მხოლოდ დასასრული. ნაწყვეტი შეიცავს 127 სტროფს
იგი ამ მონაკვეთში მეორე რედაქციის მისდევს (წდრ. ხელნაწ. H—54,
H—2074, განსაკუთრებით ახლოა H—2610, A—1123 და ა. შ.).

ლიტერატურა: 1. E. Такашвили, Описание, т. II, вып. IV, Тифлис,
1906, 1912, стр. 603; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის
სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 319; 3. ს. ცაიშვილი, ვეფ-
ხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 127.

S—2829; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით F

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი (1688)

246 ფ.; 26,5×20; ქალაქი; ევროპული, კვირნიშნისანი; კოლენკორ-
გადაკრული მუყაოს ყდა; ამეამად რესტავირებულია; დაზიანებულია

მხოლოდ პირველი ფურცელი, სულ შეიცავს 1846 სტროფს; მხედრულად ნაწერი (მელანი შავი); სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები შესრულებულია სინგურით; შემკვეთი: ერეკლე I სახლთუხუცესი პაპუნა ბებურიშვილი; გადაწერა დაუსრულებიათ 1688 წელს (232v); დაუნერეულია ფურცლები: 242v, 244v.

სათაური და დასაწყისი: „პირველი დასაწყისი ვეფხისტყაოსანთა ამბავი ტარიელისა [და ნესტა]ნდარეჯანისა სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები. —

[პირველ] თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად, ვუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს კორც არ სულად...“
(1r—232v)

ხელნაწერს ახლავს ლექსიკონი, შესრულებული სხვა ხელით, გვიან, როგორც ჩანს XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ახლავს აგრეთვე ანდერძები, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი:

1) ლექსითი ანდერძი, საკმაოდ დაზიანებული:

„... მოსულარ შავდივარ მე ტა...“

სიცოცხლეშია ლხინსა ვიჭვე და ვზმირია

... დი მის... აქეთ თვალსა გარდმეცა ბინდია

მი... სიკუდილს უკან მე დიად გავღარბდია.

ვედრებულთა ყოველთა ქრისტიანულ

სასიქადულო დედოფალ ლთოს მარია

მეოხ მექმენ წინაშე ძისა შენისა... ამინ

ქკს ტოვ“ ე. ი. 1688 წ. [1r]

2) მეორე ანდერძი გვაძლევს ცნობებს დამკვეთსა და თარიღზე:

„ბებურიშვილს ღმერთმან აჰმაროს, პაპუნა სახელიანი,

ერეკლეს სახლო უხუცესია, ბრძანდების სამართლიანი

ბატონისშვილი ერეკლე მოწყალე, დავა:თ-სვიანი.

და ქორანიკონი ჯდებოდა ტარი, ონი, ვინიანი“ (232v).

3) 122-ე გვერდზე მინაწერი გვაუწყებს, რომ ხელნაწერის შემდეგი მფლობელი ყოფილა სალომე წერეთლის ასული (ზურაბ წერეთლის ასული??) არის აგრეთვე შედარებით უმნიშვნელო და გვიანდელი მინაწერები. იხ. 219r, 232v, 242v, 243r, 245v, 246r და სხვ.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ამივბზე არის კრიპტოგრაფული ხასიათის მინაწერები, რომელთა გაშიფრვის შემდეგ მკვლევარმა ვ. მიქაძემ აქაც ამოიკითხა ცნობები სალომე წერეთელსა და მის ახლობლებზე (იხ. ვ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XII, 1959 წ., გვ. 235—238). 2. შეჯერებით ჩანს, რომ ამ ხელნაწერისა და S—4499 ხელნაწერის გადამწერი ერთი და იგივე კალიგრაფია, ოღონდ მას სხვადასხვა ლედნით უსარგებლნია (შდრ. S—4499-ის დახასიათება).

რედაქციულად ხელნაწერი ვრცელ ნუსხებს მისდევს. ოღონდ მათთან შედარებით უფრო მოკლე ტექსტს შეიცავს. ხელნაწერში პოემა წარმოდგენილია პირველი ტიპის პროლოგით, ასევე პირ-

ველი, შედარებით მოკლეა რედაქციულად პოემის შუა მონაკვეთიც (ჩანართების მხოლოდ ა პლასტი), დასასრულითაც აქ პოემა შედარებით მოკლეა და მისდევს პირველ რედაქციას. მთლიანად აღებული ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით პირველი რედაქციისაა.

ლიტერატურა: 1) ექვთ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, 1908, გვ. 565—566; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. 1957, გვ. 106—111, მისივე, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 37, 57, 120; 3. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 303; 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი. ტ. IV, 1965, გვ. 197—198.

S—3077; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით — N

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

56 ფ.; 33,5×23; ქალაღი სპარსული, ფერშეცეული; ყდა ახალი კოლენკორისა; ხელნაწერი ნაკულია; მხედრული; სათაურები და სტროფის პირველი სიტყვები სინგურით. პალეოგრაფიულად მე-17 საუკუნისა, ამასვე მოწმობს რედაქციული თავისებურებებიც.

ხელნაწერში ტექსტი იწყება შემდეგი სტროფით:
... კვალი სქებნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევისა...“
(1957 წ. გამოც. 98-ე სტრ.).

წყდება:

... თუმც მაშინ არ დამეშალა, თქვენ უმართლვე ხართ მღურვასა,
თავსამცა ჩემსა ვაბრალებ მას საშინელსა ურვასა,
მაგრამ უბრალოდ ჩაივიკერ ცრემლთა მორევსა ცურვასა,
და ამად ვერავინ დამიშლის გულსა სისხლისა წურვასა...“
(ვრცელი გამოცემის 2005-ე სტრ.).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტის რედაქციული თავისებურებებისათვის. თუმცა ხელნაწერი ძალზე ნაკულია, გადარჩენილია 543 სტროფი (თუ რამდენი სტროფი აკლია გზადაგზა ხელნაწერის დაზიანების გამო საიუბილეო გამოცემასთან შედარებით იხ. ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. IV, გვ. 279), მაინც ჩანს მასში დაცული ტექსტის შედგენილობა და რედაქციული სახე. პროლოგი მთლიანად დაზიანებულია, რაც შეეხება პოემის შუა მონაკვეთს, ისევე როგორც პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით პირველი რედაქციის მქონე ხელნაწერებში, აქაც, ყოველგვარი დაზიანების გარეშე, არ არის 1937 წ. გამოცემის ზოგი სტროფი, მაგ.: 191, 193, 222, 264, 968, 1043, 1373, 1620 და ა. შ. ამ რედაქციასთან სიახლოვეს ამჟღავნებს რამდენიმე ჩანართი სტროფიც (დაწვრ. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, გვ. 59), რაც

მოწმობს, რომ ხელნაწერი ამ მონაკვეთში იცავს ვრცელ რედაქციითა შორის უმოკლეს ანუ პირველ რედაქციას (თუმც არის რამდენიმე გამონაკლისიც. იხ. დასახ. შრომა, გვ. 59). რაც შეეხება პოემის გაგრძელებებს, მიუხედავად ფრაგმენტული ხასიათისა, ხელნაწერი ამ შემთხვევაში მისდევს მეორე რედაქციას (H—54, H—2074 და სხვ.).

დამახასიათებელია აგრეთვე ერთი სტროფი (ერც. გამოცემა 1567'), რომელიც მარტო ამ ხელნაწერშია მოთავსებული:

„მიუწდეს ჭოგი წაუსხეს, დალუწეს ჩიხი და ლობა,
იგ უყვეს შეუტყობელად მათ ლალთა კარგი ლალობა,
ფრიდონ გაფრთხილდა საომრად, მაგრამ ტარიელ დალობა,
და სამთავ შვენოდა საცილი და ტკბილი ამხანაგობა“ (35v).

შენიშვნები: 1. 52r-ზე ქაღალდის დაკრულ ზოლზე იკითხება მთელი სტრიქონი: „აბჯარ ახილნი დაკრცილნი, ტან-სარო შემოფრეწილი“. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, ტ. IV, გვ. 280 აღნიშნულია, რომ ხელი საბა ორბელიანისას წააგავს. 2. ხელნაწერს ახლავს აგრეთვე სხვა გვიანდელი ხანის მინაწერებიც. იხ. 21v; 39v; 7r; 18r; 31r; 38r და ა. შ.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, 1908, გვ. 563—564; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 305; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები. 1963, გვ. 59, 125 და სხვ.; 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. IV, 1965 წ., გვ. 279—280.

S—4499; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით K

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII საუკ. მეორე ნახევარი)

246 ფ.; 30,5×22; შეიცავს 1969 სტრ.: ქაღალდი ევროპული, ჩასმული ახალ ყდაში (კოლენკორგადაკრულა მუყაო). ნაწერია მხედრულად, ლამაზი მრგვალი ასოებით, შავი მელნით. სტროფთა დასაწყისი და ფურცლის ბოლოს სიტყვათა გადასატანი შესრულებულია სინგურით. სიტყვათა შემდეგ გამკვეთი ორწერტილები; კვირნიშანი მიუთითებს მე-17 საუკ. მეორე ნახევარზე (გვირგვინი და მტევანი იხ. რ. პატარიძე, გვ. 43); ხელნაწერი თავში და ბოლოში დეფექტურია; გადამწერი უცნობია, მაგრამ ხელი ძალზე წააგავს S—2829 ხელნაწერის გადამწერისას. თუმცა რედაქციულ სხვაობას ამჟღავნებს მასთან. პალეოგრაფიული ნიშნებით, აგრეთვე რედაქციული თავისებურებებით (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 136 და სხვ.) ხელნაწერი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

ხელნაწერი ვრცელი რედაქციისა, ოღონდ ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: თუმცა პროლოგი გაუარჩინილია მ სტროფიანი ფრაგმენტის სახით, მაგრამ სტროფთა თანამიმდევრობის მიხედვით ჩანს, რომ აქ დატულია მეორე ტიპის პროლოგი, შუა მონაკვეთით აქ წარმოდ-

გენილია მე-4 რედაქცია ე. ი. აქ არის ჩანართების ა და ლ პლასტები (ისევე, როგორც მაგალითად H—461 და W—17 ხელნაწერებში), ხელნაწერს ამ მონაკვეთში ახლავს რიგი თავისებურებანიც. ზოგი ჩანართი სტროფით და წაკითხვებით ხელნაწერის დასასრული მეორე რედაქციას მისდევს. რომელსაც დართული აქვს იოსებ ტუილელის ანდერძები და აველაზე გვიანდელი მესამე ანდერძი ტარიელისა (იხ. აღნიშნ. ნაშრომი, გვ. 130). მთლიანად კი ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მე-4 რედაქციას შეიცავს.

შენიშვნები: 1. ეს ხელნაწერი მოუპოვებია თავად მიხეილ ალექსანდრეს ძე ნაკაშიძეს იგდირში (ერევნის ყოფილი კუბერნია). რომელსაც შემდეგში გადაუცია იგი ექვთ. თაყაიშვილისათვის. ამ უკანასკნელს 1905 წელს ხელნაწერი შოუთავსებია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცემში (გვ. 5). ცნობა ამ ხელნაწერზე გვხვდება გაზეთ „ივერიაში“ (1888 წ. № 189), ხოლო მისი პოპოვების მთელი ისტორია გადმოცემული აქვს ექვთ. თაყაიშვილს („მოგონებები“, შნათობი, 1958, № 7, გვ. 163).

2. 394-ე გვ. აშიაზე სომხურად მიწერილია: „მივიღე ეს ქართული მატრიანე უზეშთავს კათალიკოზისაგან 1836 წ. დეკ. 17 წმ. ექმიაწინს“.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, *Описании*, 1908, ტ. II, გვ. 564—565; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 304—305; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 39—40, 86, 130; 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. V, 1967, გვ. 310—311.

S—4527; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით F¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1805 წ.)

188 ფ.: 20×15,5; შეიცავს 2074 სტროფს. ჩასმულის მუყაოს ყდაში. რუხი ფერის რუსული ქაღალდი, გაკრული მხედრული, სათურები წითლურით. გადამწერი ესაე ბეგთაბეგოვი, შესრულებულია 1805 წლის 20 მარტს (375r) ამასვე ეთანხმება ქაღალდის კვირინშით აღნიშნული თარიღი (1801 წ.).

იწყებ: „ამა ამბისა დასაწყისის პირველი ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა. ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით უქმობენ...“

პირველი სტროფი: პირველ თავი დასაწყისი ნათქვამი იგ სპარსულად (ვრც. გამოც. I სტროფი).

თავდება: ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“ (375r).

რედაქციულად ხელნაწერში მოთავსებული ტექსტა ვრცელია. პროლოგი სტროფთა თანამიმდევრობისა და რაოდენობის მიხედვით შესამეტიპისაა, შუა მონაკვეთში ტექსტს ახლავს მეორე რედაქციისათვის დამახასიათებელი ჩანართები: ა და ბ პლასტები, (მღრ. Q—1082 და S—4988 ხელნაწერებს), დასასრულიც მეორე რედაქციისაა, ოღონდ ერთვის იოსებ ტფილელის ანუერძები. მთლიანობაში აღებული კი ჩვენი კლასიფიკაციით ხელნაწერის ტექსტი მეორე რედაქციას განეკუთვნება.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს ახლავს გადაწერა. ანდერძი: „აღიწერა ვეფხისტყაოსანი ესე კელთა თავალის ესავ ბეგთაბეგოვისათა მისის კწელსა ჩყე, ქართულსა ქკს უეგ (375r)“, ე. ი. 1805 წ. მისის 20.

2. ს. ყუბანეიშვილის აზრით, ეს პირი ცნობილი ვადამწერის ბეგობეგ მარტიროზაშვილის (მას სხვათა შორის ვადამწერია: II—54 ხელნაწერი) შვილიშვილი უნდა იყოს, მაგრამ ეს სავკუთა. რადვან შათ დროის ძალზე დიდი მონაკვეთი აწორებს. თანაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ხელნაწერი სულ სხვა დედნიდან მოდის. ვიღვრე II—54 (მღრ. ამ ორი ხელნაწერის რედაქციული დახასიათებანი).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, *Описание*. 1908. ტ. II, გვ. 562; 2. ს. ყუბანეიშვილი, *ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა*, 1959, გვ. 316, 3. ს. ყ. იშვილი, *ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები*, 1963, გვ. 43, 71, 133, 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S-ფონდი. ტ. V, 1967, გვ. 315—316.

S—4988; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის ლიტერით G

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII საუკ. მეორე ნახევარი)

199 ფ.; 28,5X20,5; ქალღღი ვერობული; კოლენკორც:დაკრულ მუყაოს ყდაში; შეიცავს 1991 სტროფს; დაზიანებულია ხელნაწერის დასაწყისი; ვადამწერილია, როგორც ამას კალიგრაფიული ნიშნები და ხელნაწერის რედაქციული თავისებურებები არკვევს, მე-17 სუკუნის ბოლო ათეულ წლებში; მოეპოვება კვირნიშანი: ვეირვენი მტეპნით და ბუკი ფარზე (რ. პატარიძე, აღნ. ნაშრომი, გვ. 42). ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს, 200 ფ. შემდეგ მოთავსებული „ომარინაი“ (200r—284v) და „იოსებ ზილხანაინა“ (285r—305v). მეზეუმში შემოსულია ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან 1909 წლის შემდგომ.

იწყება სტროფით:

„რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს...“
(1957 წ. გამოც. სტრ. 11)

წყდება:

„ესეა ესე სოფელი, არვისგან მისანდობელი...“

(1957 წ. გამოც. სტრ. 1668).

რედაქციულად ხელნაწერი ვრცელი შედგენილობისაა, ოღონდ აშკარა ნაწილებს შემდეგ თავისებურებებს: მიუხედავად ფრაგმენტებისა, ჩანს, რომ აქ თავდაპირველად (ამჟამად გადაჩენილია დასაწყისის მხოლოდ ორი ფურცელი) იყო მესამე ტიპის პაროლოგი (შდრ. „ზაზასეულ“ ანუ Q—1082 ხელნაწერს), შუა მონაკვეთით იგი ძირითადად ემთხვევა მეორე რედაქციის შემკველ ხელნაწერებს, როგორცაა Q—1082, A—363 და ა. შ. და შეიცავს ა და ბ ჩანართებს. დასასრულითაც აქ მეორე რედაქციაა წარმოდგენილი. მთლიანად კი ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მეორე რედაქციას მიეკუთვნება.

ლიტერატურა: 1. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 93—115; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 304; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 38, 67, 123; 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, 1969, გვ. 299—300.

S—5006; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით — U

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

289 ფ.; 33X22; სულ შეიცავს 2036 სტროფს; ნაწერია გასანთლულ ქალღმერთზე (სპარსული ქალღმერთი); ხელნაწერში ჩართულია 87 ილუსტრაცია (მესრულებული რამდენიმე მხატვრის მიერ); გადამწერი უცნობია.

იწყება: ამა ამბისა (ამბვისა, 2r) დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უქმობენ...

პირველ თავი დასაწყისი...

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანისძე მოსე უქია...“

რედაქციულად ხელნაწერი ორ პლასტს შეიცავს. პირველი ნაწილი (ახთანდლის ფრიდონთან გამგზავრებამდე) და ბოლო ნაწილი (ინდოხატაეულითა ამბიდან მოკიდებული ბოლომდე) გადაწერილია ვრცელი რედაქციითა, ხოლო დანარჩენი (ე. ი. პოემის ძირითადი ტექსტის მეორე ნახევარი) ვახტანგისეული გამოცემიდან (დაწვრ. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 55—61). ვრცელი რედაქციიდან გადმოწერილი ტექსტი ახლოსაა ე. წ. „ზაზასეულ“ (Q—1082), H—306; და სხვა ამ ტიპის ნუსხებთან ე. ი. აქ პაროლოგი მესამე ტიპისაა (სტრაფთა თანამიმდევრობით და რაოდენობით), შუა მონაკვეთი მეორე რედაქციისა (ასლავს ა და ბ ჩანართები), ხოლო პოემის გაგვრძელებათა თავები შეიცავს მეორე რედაქციას, რომელსაც ერთვის იოსებ ტფილელისეული ორი ანდერძი (მეორე ანდერძი ტარიელისა და მეორე ანდერძი ავთანდილისა). ე. ი. აქ მთლიანობაში პოემის მეორე რედაქციაა დატული (გარდა ხელნაწერის იმ მონაკვეთისა, რომელიც ვახტანგისეული გამოცემიდან მოდის).

შენიშვნები: 1. ხელნაწერის წერა-კითხვის საზოგადოების ფონდში მოხვედრის საინტერესო ისტორია მოთხრობილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს (იხ. ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 164—165), საიდანაც, სხვათა შორის, ირკვევა ისიც, რომ ერთ დროს ეს ხელნაწერი უნახავს პლატონ იოსელიანს და იგი ეტრატზე დაწერილად მიუჩნევია.

2. S—5006 ხელნაწერზე მოიპოვება დიდალი ლიტერატურა, რადგან იგი ერთ-ერთ უძველეს ნუსხად და ვახტანგისეული გამოცემის ერთ-ერთ პირველ წყაროდ მიაჩნდათ. ამჟამად გამოჩვეულია ამ ხელნაწერის ზუსტი აღწავლა, თარიღი (XVIII საუკ. პირველი ნახევარი) და მისი მიმართება როგორც ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერებთან, ისე ვახტანგის 1712 წლის გამოცემასთან (ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 55—61).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, Описание. 1908, ტ. II, გვ. 567; 2. კარიკაშვილი, ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, ჟურნ. „განათლება“, 1913, VI, გვ. 414—422; 3. პ. ინგოროყვი, რუსთველიანა, 1926, გვ. 19, მისივე, ჟურნ. „მნათობი“, 1927, № 3, № 4; 4. კ. კეკელიძე, რეცენზია რუსთველიანაზე, ჟურნ. „მნათობი“, 1927, № 2; 5. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 55—61; 6. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, 307—311; 7. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 41, 70, 132; 8. ვეფხისტყაოსნის დასურათება. მცნობურები შესრულებული XVI—XVIII სს., შ. ამირანაშვილის შესავალი წერილი, 1966, გვ. 17—19.

S—5207; რუსთაველის ხაზ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით X¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

74 ფ.; 22×18; სულ შეიცავს 365 სტროფს; გადარჩენილია ძირითადი ტექსტიდან ერთი სტროფი (სამ თვე ვლეს... 1578-ე სტრფ. 1957 წ. გამოცემით) და ინდო-ხატაელთა ამბავი გაგრძელებითურთ.

ქალაქი და პალეოგრაფიულ მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ დაწერილია იგი XIX საუკ. მეორე ნახევარში.

იწყება სტროფით:

„სამ თვე ვლეს, — ღმერთმან მათებრ სხვა ნურავენ დაბადოსა...“
(1957 წ. გამოც. სტრ. 1578).

წყდება სტროფზე:

„ნურადინ ფრიდონ მოსტქმიდა ორთავე მისთა ძმობილთა...“
(ვრც. გამოცემის სტრ. 2118).

როგორც ჩანს, გადარჩენილია მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბავი და მომდევნო გაგრძელებები. ეს მონაკვეთი მისდევს დასასრულის მიხედვით მეორე რედაქციის შემცველ ნუსხებს და დამატებით ურ-

თავს იოსებ ტფილელისეულ ორივე ანდერკს (ვრცელი გამოცემით 20631-34 და 2079—2105 სტროფებს).

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 321; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 134.

Q—261; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით I

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII ს. მეორე ნახევარი)

224 ფ.; 28X19,5; შეიცავს პოემის 1794 სტროფს; ქალღმერთი ევროპული, კვირნიშნაინი; მუყაოს ყდა; მცენარეული სახეები ტვიფრული ტყავით შემოსილი; ხელნაწერის ფ. ფ. მეტად დაზიანებულია: 1-ლი ფ. ზემო ყურე და ქვემო კიდე მოხეული და დაკარგულია, დანარჩენი ნაწილი ირიბად გახეულია ორად და თეთრი აბრეშუმის ძაფით არის მიმაგრებული; იგივე 1-ლი ფურცელი უხეშად რესტავირებულია XIX საუკუნეში; ამგვარ მდგომარეობაში არის აგრეთვე 157-ე ფ. რომლის მოხეული ნაწილი მიეკრებოდა თეთრი აბრეშუმის ძაფით. გახეულია აგრეთვე 19, 20, 21, 27, 68, 78, 84—87, 94, 102, 112, 114, 158 ფურცლები; ზოგიერთი მათგანი უხეშად რესტავირებულია (20, 21, 27, 69, 78, 94); ლაქებიანია 13v, 128, 129 ფ. ფ. უმნიშვნელო ნაშთების სახით არის მოღწეული 140—141 ფ. ფ. მოცილებულია 130—158, 215—224 ფ. ამთგან მეტად არის დაზიანებული 221—224 ფ. ამ უკანასკნელს $\frac{1}{3}$ ნაწილი აკლია, კიისაგან დაზიანებულია 96—122 ფ. ფ. ნაპირი; ყოველი გვერდის ტექსტი ჩაწერილია ფერადებით (ოქრო-მელნით, წითლით, მწვანით, ლურჯით და შავით) დახატულ ოაზკუთხედ ჩაჩოში, გადაწერილია ჩინებული მხედრულით; სათაურები, სტროფების დასაწყისი სიტყვები, სტროფის მეოთხე სტრიქონის დასაწყისი „და“ — სინგურით; უთარილო, პალეოგრაფიულად, აგრეთვე კვირნიშნის მიხედვით — XVII საუკუნის მიწურული (იხ. რ. ბატარიძე, ვეფხისტყაოსნების კვირნიშნები, გვ. 34—37), აღქვსანდრე ილიას ძის ჯავახიშვილისაგან (ხოვლელო) შემოწერილი 1933 წელს. ს. ყუბანეიშვილის აზრით ამ ხელნაწერისა და S—5006 ხელნაწერის გადამწერი ერთი და იგივე უნდა იყოს.

ხელნაწერში ტექსტი იწყება: „დასაწყისი პირველი, ამბავი რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უქმობენ...“

„პირველთავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“... (ვრც. გამოცემის 1 სტროფი) თავდება სტროფით: „ცუდია ესე სოფელი, ვითა სიზმარი ღამისა...“ (ვრც. გამოც. 2124²).

ხელნაწერი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ვრცელ რედაქციას, ჩანართებითა და გაგრძელებებით. პროლოგი თუმცა საკმაოდ არეულადაა

მოდწეული (გადამულ-გადმოსმულია სტროფები) მაინც შეიმჩნევა, რომ თავდაპირველად აქ პროლოგის კეთვნილ სტროფთა ჩვეულებრივი რიგი იყო დაცული (არაა ნახტომი 1957 წ. გამოცემის მე-7 და 22-ე სტროფებს შორის), მაგრამ ამასთან შეინიშნება საკმაოდ მრავალი ჩანართი სტროფი (მათ შორის სტროფები: „შენ შექმენ დავით...21 და მეფობა. სახელი, გვირგვინი...22, არის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში. მაგალითად, K—205, S—4527, ლიტ. მუზეუმის C—10768/191 და ვახტანგ ასლანიშვილისეული კოლექციის ნუსხაში). ამდენად, აქ წარმოდგენილია ჩვენი კლასიფიკაციით მეორე ტიპის ანუ ვრცელი შედგენილობის მქონე პროლოგი. პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით ხელნაწერო მისდევს ნაკლებ ჩანართებთან ხელნაწერებს, რომლებიც გვაძლევენ ე. წ. პირველ რედაქციას (შდრ. ხელნაწერებს H—599, S—2829 და ა. შ.), მაგრამ სხვა უფრო ვრცელ ხელნაწერთა გავლენით აქ არის რამდენიმე ჩანართი, რომელთაც პირველი რედაქციის მქონე ხელნაწერები არ იცნობენ (მაგალ. ვრცელი გამოცემის: 42, 69, 89, 100, 120, 289, 324, 520, 540 — დაწერილ. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, 1963, გვ. 58—59). ასევე გაგრძელებანი აქ პირველი შედარებით მოკლე რედაქციითაა წარმოდგენილი (ძალზე ახლოსაა S—2829 ხელნაწერთან, იხ. ს. ცაიშვილის დასახ. შრომა, გვ. 120—121) ჩვენი კლასიფიკაციით ხელნაწერი მთლიანობაში აღებულ იქნა პირველი რედაქციის ტექსტს მისდევს.

შენიშვნები: 1. კიდეებზე გვიან, მონათლო ფანქრით ვილაცას მიუწერია სტროფთა სათვალავი, ფანქრით ხაზგასმულია ზოგი სიტყვა, გვერდებზე გამოტანილია რამდენიმე სიტყვის გასწორება და ა. შ.

2. აქა-იქ გვიანდელი ხელით აშაზე მიწერილია სტროფები, რომლებიც ამოღებულია შედარებით ვრცელი ტექსტის მქონე რედაქციებიდან.

ლიტერატურა: 1. აღ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. 1. 1945, გვ. 406—410; 2. ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. I, 1957, გვ. 268—269; 3. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 304; 4. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ქვენი რედაქციები, 1963, გვ. 38—39, 58. 120—124.

Q—488; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით E¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1856)

161 ფ.; 35X20; ქაღალდი; დაშლილი; ტყავდაკრული ხის ყდა (დაზიანებული); ყდა მოცილებულია; მხედრული; დასაწყისი სიტყვები სინგურით; თანაკლული; ქაღალდის კიდეები შემოკვეთილი; ქაღალდი დალაქავებულია; დაზიანებულია: 1—2, 156—161 ფ. ფ. (XIX); შეიცავს პოემის 2015 სტროფს; გადაწერა დაუმთავრებლათ 1856 წ. მოეპოვება მინაწერები (იხ. Ir, 322v და სხვ.).

შეძენილია ელისე ჭიჭიშვილისაგან (ლანჩხუთი) 1937 წ.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი იწყება:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღთო საღთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი...“
(სტრ. 12; 1957 წ. გამოც.).

დასასრული:

„მალორებლისა მუხთლისა სოფლისა წესი ბარი...
ყოვლთა მოაწევს ბოლოდ ჟამ ტკივილსა საუბარი,
იგი სოფლისა ჭავარნი საფლავთა მიაბარი,
ზედა მიწანი მიყარეს, მინიჩბეს მთა და ბარი“
(სტრ. 2063; ვრც. გამოცემით).

პოემის ვრცელი რედაქციის შექცეული ნუსხაა. პროლოგი თუმცა დეფექტურია (აკლია წინა სტროფები), მაინც ჩანს, რომ აქ წარმოდგენილია სტროფთა ჩვეულებრივი თანამიმდევრობის, მაგრამ ჩანართებით ძალზე გავრცობილი შესავლის ტექსტი, რაც ჩვენ მიერ მიღებული კლასიფიკაციით პროლოგის მეორე ტიპს მიეკუთვნება (შდრ. ხელ. H—2074, H—54 და ა. შ.). ხელნაწერი პოემის შუა მონაკვეთით მთლიანად მისდევს ყველაზე ვრცელ რედაქციებს (მესამე რედაქცია), რომელთა შორის ტიპურია H—2074, II—54 და ა. შ. (არის მხოლოდ რამდენიმე ამჟამად შემთხვევითი განსხვავება. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 81), ე. ი. აქ ძირითად ტექსტთან ერთად წარმოდგენილია ა, ბ და გ ჩანართები. დასასრულის მიხედვით ასევე ახლოსაა იგი H—54 ხელნაწერთან. ე. ი. პოემის გაგრძელებები აქ მეორე რედაქციით არიან წარმოდგენილნი. მთლიანობაში აღებული ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მესამე რედაქციის ტექსტს მისდევს.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. I, 1957, გვ. 444; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 316; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 42, 81—82, 126.

Q—779; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით M

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

181ფ; 33X23; ქალაღი სპარსული; ამჟამად ჩასმულია კოლენკორ-გადაკრულ ახალ ყდაში. თავბოლონაკლულია. აკლია აგრეთვე შიგადაშიგ, ზოგი ფურცელი დაზიანებულია. ნაწერია მხედრულით; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურიით; შეიცავს 1451 სტროფს.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი იწყება:

„უბრძანა აჰა შერმადინ, ამაღ მე შენგან მრცხენიან...“
(1957 წლის გამოც. სტრ. 151).

ტექსტი წყდება:

„ისია ჩემი გამზრდელი და თქუნენ...“

იქ ვერ მივალ მრცხუნენინ გუ...“

ჩემად არაკად სულდგმული კაცი...“

(მღრ. 1957 წ. გამოც. სტრ. 1511).

ხელნაწერში წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქცია შემდეგი თავისებურებებით. როგორც ტექნიკური აღწერილობიდანაც ჩანს ხელნაწერი თავში დაზიანებულია და პროლოგი არ მოეპოვება. პოემის შუა მონაკვეთი ზუსტად მისდევს ყველაზე ვრცელ ე. ი. პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქციას (მღრ. ხელნაწ. H—2074, H—54, H—757), ახლავს იგივე ჩანართები ა, ბ და გ პლასტიდან. ვაგრძელებანი დაზიანების გამო ხელნაწერს არ მოეპოვება. საერთოდ ხელნაწერი მესამე რედაქციის ტექსტს მისდევს.

შენიშვნა: 1. ეს ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს H—757-ის (გადაწ. 1671 წელს) გადამწერის, აღმურანთ ბაღდასარაშვილი მუშრიბი გასპარას მიერ, რასაც ამტკიცებს კალიგრაფული სიახლოვე (ეს მართებულად შენიშნა ს. ყუბანეიშვილმა. იხ. ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემა, 1956, შესავალი წერილი, გვ. 06—07); 2. ამასთან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი წინ უსწრებს H—757 ხელნაწერს. რადგან აქ არ არის H—757 ხელნაწერში ჩამატებული ის 28 სტროფი (მღრ. H—757 ხელნაწერის აღწერილობა, აქვე), რომელთაგან მეტი წილი თვით H—757 ნუსხის თავისებურებას წარმოადგენს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ Q—779 ხელნაწერი წინ უსწრებს H—757-ს. ე. ი. გადაწერილია 1671 წლამდე; 3. ხელნაწერის ყდაზე (რომელიც ამჟამად აღარ ჩანს) მიწერილი ყოფილა ამ ხელნაწერის შემდეგი მფლობელის დაკით მდივნის ცნობა, თუ როგორ მოხვდა ეს ხელნაწერი მათ ოჯახში (სოლომონ იმერთა მეფეს იგი უჩუქებია ხახული აბაშიძისათვის, რომელსაც შემდეგ მზითვში გაუტანებია მდივანზე გათხოვილი თავის ქალისათვის. ზესტაფონში მცხოვრებ მდივნის ოჯახიდან ხელნაწერი შეუძენია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს (1936 წ.), ხოლო 1942 წელს იგი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს (ამჟამად ეს ფონდები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ლიტერატურა: 1. ვეფხისტყაოსანი ჩანართებით და დანართებით, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1956, გვ. 06—07; მისივე, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 305; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q—ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 221; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 30.

Q—796; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით G¹

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი XIX საუკ.

171 ფ.; 34,5×21,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; შეიცავს

1978 სტროფს: დაუწერელია: 1—4, 170—171 ფ. ფ. პალეოგრაფიულად
ხელნაწერი XIX ს. ჩანს.

სათაური და დასაწყისი სტროფი: „ამბავი პირველი დასა-
წყისი. რუსთველისაგან ნათქვამი —

„ჰე, ლმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა...“
(სტრ. 2, 1957 წ. გამოც.).

ხელნაწერში ტექსტი წყდება სტროფზე:

„რაზმთა მფრეწო, ყოველთ თქვენთა მებრძოლთა

მძლეველნო...

(ვრც. გამოცემის 2114-ე სტრ.).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ვრცელი რედაქციისაა. სახელ-
დობრ, პროლოგი აქ. მეორე ტიპისაა. ე. ი. სტროფთა ჩვეულებრივ
თანამიმდევრობასთან ერთად შეინიშნება იგივე ჩანარები, რაც, მაგალი-
თად, არის H—54, H—757 და ა. შ. (თუმცა ხელნაწერში პროლოგის
სტროფები ისევეა გადასმულ-გადმონსმული როგორც ხელნაწერ K—205-
ში). პოემის შუა მონაკვეთს ემჩნევა, რომ გადაწერილი დეფექტური დედ-
ნით სარგებლობდა, მაინც შესაძლებელია მისი რედაქციული სახის გარ-
კვევა. ხელნაწერი ამ მონაკვეთში მისდევს მეოთხე რედაქციის
შემსველ ხელნაწერებს ე. ი. ახასიათებს ჩანარებებსა და აღქმასტები
(განსაკუთრებულ სიახლოვეს იგი S—4499 და K—205 ხელნაწერთან
ამჟღავნებს. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები,
1963, გვ. 88—89). პოემის გაგრძელებები აქ წარმოდგენი-
ლია მეორე რედაქციით, ოღონდ გავრცობილია იგი ტფილელი-
სეული ორი ანდერძითა და ერთი ყველაზე გვიანდელი მგზუთე ანდერ-
ძით (ამ მონაკვეთში ხელნაწერი ახლოსაა ზემოდასახელებულ ხელნაწე-
რებთან, განსაკუთრებით კი K—205 ხელნაწერთან). მთლიანობაში ხელ-
ნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მეოთხე რედაქციის ტექსტს შეიცავს.

ლიტერატურა: 1 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. II,
1958, გვ. 227; 2 ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული
შედგენილობა, 1959, გვ. 316; 3 ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძვე-
ლი რედაქციები, 1963, გვ. 43, 80—81, 133.

Q—030; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით R

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII საუკ.)

220 ფ.; 25×17,5; ქალაღი, ახლად ყდაში ჩასმული; შეიცავს 1749
სტროფს (რესტავრაციის შემდგომ); ხელნაწერში არსებულ კვირნიშნე-
ბით (გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარე) რ. პატარიძე მე-17 საუკ. 60-იან

წლებით ათარიღებს. იხ. დასახ. ნაშრომი. გვ. 30. აკლავ დასაწყისში დაახლოებით 4—5 ფურცელი და ამდენივე შიგნით. ნაწერია მხედრულით; სათურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები სინგურით; სიტყვები ერთ-ბანეთისაგან ორი და სამი წერტილით გამოიყოფა; ხელნაწერი 1946 წელს, საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების 25 წლისთავზე, სომხეთის მთავრობამ საჩუქრად გადმოსცა საქართველოს მთავრობას. იმის გამო, რომ ხელნაწერის აშეიბზე რამდენიმე ადგილას მოიპოვება ვილაც გურგენას მეორე გვიან შესრულებული მინაწერი, რის გამოც ამ ხელნაწერს სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ „გურგენასეულს“ უწოდებენ.

ხელნაწერი იწყება სტროფით:

„აწყა დავიწყით ამბავი მის ხელმწიფესა ზენისა...“

(გრც. გამოცემის 43-ე სტრ.).

ხელნაწერი თავდება სტროფით:

„მე ვთქვი ქება თამარისა და ხმელთა შინა მნათისა...“

(გრც. გამოც. 2123-ე სტრ.).

ხელნაწერი წარმოგვიდგენს პოემის ვრცელ რედაქციას შემდეგი თავისებურებებით: დაზიანების გამო ხელნაწერს პროლოგი არ გააჩნია. შუა მონაკვეთით აქ დაცულია შედარებით მოკლე, ე. ი. ჩვენი კლასიფიკაციით პირველი რედაქცია (ერთის მხოლოდ ჩანართების ა პლასტი) და ახლოსა ხელნაწერებთან Q—261, S—2320 და ა. შ. გარკვეულბათა თვალსაზრისით ხელნაწერი ასევე ახლო დგას პირველი რედაქციის შემცველ ნუსხებთან (მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ხელნაწერის ბოლო 12 ფურცელი აღდგენილია შემდეგ, სხვა ხელით და შეიცავს მეორე რედაქციიდან აღებულ ზოგ ჩანართ სტროფს). მთლიანობაში ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით პირველი რედაქციის ტექსტს მისდევს.

შენიშვნა: 1. როგორც ახლა გარკვეულია, ეს ხელნაწერი იგივეა, რაც ე. წ. კირიონისეული ნუსხა, რომელზეც მოთავსებული იყო ცნობები ჟურნალ „მოამბის“ 1904 წლის V ნომერში. დაწერილებით იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერი, ჟურნ. მოამბე (ამჟამად „მაცნე“), 1963, № 3. იმავე კირიონის აღწერილობიდან ჩანს, რომ მაშინ ხელნაწერს ჰქონია პროლოგი სწორედ პირველი ტიპისა, მაშასადამე Q—261 ხელნაწერის მსგავსი. 2. ამ ხელნაწერის მონაკემები ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოცემაში“ ასახულია ნაკლებად, რესტავრაციის ჩატარებამდე.

ლიტერატურა: 1. ალ. ბარამიძე, ნარკვევები III, გვ. 230—235; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 60, 120; 3. მისივე, ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერი, 1963, ჟურნ. „მოამბე“, № 3; 4. ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის გურგენასეული ხელნაწერი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 303—313.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

132 ფ.; 21X34; ლურჯი ფერის რუხული ქალაღი; ახლად ჩასმული კოლენკორგადაკრულ ყდაში; მხედრული; ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება, ორივე ვეფხისტყაოსნის ტექსტს უჭირავს, ქალაღი ოდნავ განსხვავებულია; პირველი ნაწილი ხელნაწერისა შესრულებულია შედარებით გაკრული ხელით, მეორე ლამაზი მხედრულით; პირველი ნაწილი შეიცავს 12 ფურცელს, ხოლო დანარჩენი 120 ფურცელს; მეორე ნაწილში სტროფთა დასაწყისი და სათაურები შესრულებულია სინგურით (ამ ნაწილს გზადაგზა ახლავს ხარვეზები), ხელი და ქალაღი XIX საუკუნისა.

I ნაწილი იწყება სათაურით და ტრადიციული სტროფით: „ანბავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ვეფხის ტყაოსნობით წოდებული“ —

„რომელმან შეჰქმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“

წყდება:

„მეფე ყელსა მოეკიდა გარდაჰკოცნა ვითა შვილი...“

(1957 წ. გამოცემის სტრ. 146).

II ნაწილი იწყება:

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე...“

(1957 წ. გამოც. 157).

წყდება:

„წამს შეიყარნეს ჩნდონი, ლაშქრითა უთვალავითა...“

(ვრცელი გამოცემის სტრ. 1893).

როგორც შეჩვენებამ გარკვევა ხელნაწერის პირველი ნაწილი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან. II ნაწილი კი ერთ-ერთი ვრცელი რედაქციის განმეორებაა, ოღონდ შემდეგი თავისებურებებით. როგორც ვნახეთ, ხელნაწერის ეს ნაწილი თანაკლულია და ამდენად არ ჩანს, თუ როგორი პროლოგი ჰქონდა აქ პოემას. შუა მონაკვეთი თავის ძირითადი სახით მისდევს პირველ რედაქციას (ჩანართების აპლასტი), ოღონდ, ისევე როგორც მოგვიანო ხანის ხელნაწერებს, აქ შემოტანილია რამდენიმე სტროფი სხვა რედაქციებიდანაც (მაგალითად, მეორე რედაქციიდან 408-ე სტროფი: „მას დღესა ლომი ტარიელ...“; 575-ე სტროფი: „შემიგნია იგი კაცი...“; 1033-ე სტროფი: „გამოჰკრილვარ საქმბარად...“; 1034-ე სტროფი: „ვიარები ღვთისა სადა...“; 1598-ე სტროფი: „ვინცა შეუსწრას ჰფარავსმცა...“ და ოსებ ტფილელისეული ინტერპოლაცია: „მისსა მზესა გზა-გზა მოსთქვამს...“ სტრ. 1139). გაგრძელებათაგან ხელნაწერში გადარჩენილია მცირე ფრაგმენტი (სულ რამდენიმე ათეული სტროფი). შესწავლამ გვიჩვენა, რომ აქაც შედარებით ნაკლებჩანართებიანი, პირველი

რედაქციაა წარმოდგენილი (შდრ. მაგ. H—599, S—2829, Q—251. ამავე ტიპის ხელნაწერთა მსგავსად აგრეთვე აქ არ არის 1873-ე სტროფი: „მათ მიუთხრობს პინდოთ მეფე...“ და ა. შ.) მთლიანობაში ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით პირველი რედაქციის ტექსტს მისდევს.

შენიშვნა: ეს ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობია (ასევე არ არის იგი გამოყენებული რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებში). ამ ხელნაწერის რედაქციულ თავისებურებებზე პირველად საუბარია წინამდებარე ნაშრომის პირველ ტომში (იხ. გვ. 191, 209, 263).

Q—1082; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით D

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1660-იანი წლები)

190 ფ.; 36×26; ჩასმულია ტყავგადაარულ მუყაოს ყდაში (რესტავრირებულია 1958 წ.); ქაღალდი სპარსული; მხედრული; სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით; სიტყვათა შორის არის გამყოფი ორწერტილები; პოემის ტექსტი მოთავსებულია ოთხკუთხიან ფერადებიან ჩარჩოში; აშიები შემკულია ყვავილოვანი გრავეურით; შეიცავს 1858 სტროფს; გადამწერი იოსებ ტფილელი უნდა იყოს; ხელნაწერი ინახებოდა ლენინგრადში, ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტის მ. ვორონ-ცოვის არქივში და 1935 წელს ჩამოტანილ იქნა საქართველოში.

სათაურები და პოემის დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველ ამო და სასმენლად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა. ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უქმობენ.

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“

თ ა ვ დ ე ბ ა ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი ს ტ რ ო ფ ი თ :

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერი წარმოგვიდგენს პოემის ვრცელ რედაქციას შემდეგი თავისებურებებით. პროლოგის რიგი აქ აღრეულია (შდრ. ვახტანგის გამოცემის პროლოგის რიგს), შაირობისა და მიჯნურობის შემცველი ტაეპები დანაწევრებულია. ამასთან ხელნაწერის პროლოგი შედარებით თავისუფალია ამჟამად ჩანართებად მიჩნეულ სტროფთაგან (სულ არის ორი ჩანართი: „პირველ თავი დასაწყისი...“ და „ტარიელს კარგსა მოყმეს...“, აგრეთვე თვით იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული სამი სტროფი). ამდენად, აქ გვაქვს მესამე ტიპის პროლოგი. პოემის შუა მონაკვეთით ხელნაწერი მისდევს მეორე რედაქციის შემცველ ნუსხებს, ე. ი. აქ არის მხოლოდ ა და ბ პლასტის ჩანართი სტროფები (შდრ. A—363 და სხვ.), მხოლოდ გზადაგზა ერთვის თვით

იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული სამი სტროფი (ვრცელი გამოცემით 551¹, 1139¹ და 1268¹ სტროფები). პოემის გაგრძელებები აქ წარმოდგენილია მეორე რედაქციით (მღრ. H—2074, H—54 და ა. შ.), ოღონდ „ზაზასული“ ხელნაწერი ამას უმატებს კიდევ ორ ანდრას, რომელიც გადაწერის, თვით იოსებ ტფილელის მიერ უნდა იყოს შეთხზული (ტარიელი ანდრასი— 34 სტროფი და ავთანდილის ანდრასი 27 სტროფი). მთლიანობაში აღებული ჩვენი კლასიფიკაციით ხელნაწერის ტექსტი მეორე რედაქციისას მისდევს.

შენიშვნა: 1. ბოლოში დართულია ლექსითი ანდრასი მეცენატისადმი, რომელიც თვით კალიგრასის მიერ არის შეთხზული: აქ არის შექმნილი ახალგაზრდა კაბუჯის სარდარ სახლთუხუცესის ზაზა ციციშვილის ქველი საქმეები (შემდეგ, როგორც გ. ლეონიძემ გამოარკვია, გადაშლილია მისი სახელი და ნაცვლად ჩაწერილია ლევან მირზა—მამა ვახტანგ VI-სი). 2. ამ ხელნაწერიდან მე-19 საუკუნეში ამოულიათ შოთა რუსთაველის საყოველთაოდ ცნობილი პორტრეტი, რომელიც შემთხვევით იპოვეს გადამყიდველთა შორის ამ საუკუნის 20-იან წლებში. იგი ამჟამად ინახება ხელოვნების მუზეუმში. 3. ეს ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად ცნობილია მისი პირველი მფლობელის ზაზას სახელით (ვეფხისტყაოსნის ზაზასეული ხელნაწერი), ბოლოს ყოფილა ერეკლეს ქალის თეკლას ოჯახში, საიდანაც იგი 1853 წელს საჩუქრად გადაუციათ კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორინცოვისათვის, მ. ვორინცოვის არქივი შემდეგ მოხვდა რუსეთის ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტის არქივში (ლენინგრადში), აქედან კი ეს ხელნაწერი, როგორც ზემოთაუ იყო აღნიშნული, 1935 წელს გადმოგზავნეს საქართველოში.

ლიტერატურა: 1. პლატონ იოსელიანის შენიშვნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოხილვის“ გამოცემაში, 1852, გვ. 154, მისივე წერილი გაზ. „Kavkaz“-ში, 1870, № 13; 2. გ. ლეონიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, კრებ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფილისი. 1935, წიგნი I, გვ. 19—36; 3. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ტსუ შრომები, ტ. III, 1936, გვ. 131—137; 4. ს. ცაიცილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 75—118; 5. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 303; 6. ს. ცაიცილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 66—128; 7. მისივე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული წყაროები, წიგნში „ლიტერატურული წერილები“, 1966, გვ. 73—87; 8. გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის გარშემო, „მაცნე“, 1970, № 4, 5.

Q—1385

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX საუკ. პირველი ნახეარი).

233 ფ.; 33×19; ქალაქი რუსული; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები და საწყისი სტროფები სინგურით; ხელნაწერი

ბლონკულია. დეფექტურია გზადაგზაც (იხ. ფურცლები: 2 და 3; 6 და 7; 41 და 42; 47 და 49; 507—522: 117 და 119; 149—150; 154—155; 165—166; 185—186; 213—214 და 266—229, რომელთა შორის ტექსტი დეფექტურია, ზოგან ჩამატებულია ფურცლები და ტექსტი აღდგენილია ნაგვიანევი ხელით); ქალაქი კვირნიშნაინია (შეიძინევა თარიღიც: 1824 წელი; იხ. 72-ე ფურცელი).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი: „დასაწყისი პირველი ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უხმობენ. ტარიელისა და ნესტანდარეჯანის მიჯნურობა პირველი, იწყება: —

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად, უხმობთ ვეფხისტყაოსნობით არსსა შეიქს კორც არ სულად, საეროა არ ახსენებს სამებასა ერთ არ სულად, თუ უყურა მონაზონმა, შეიქმნების გაპარსულად“

(ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის 1 სტროფი, იხ. ხელნაწერი 1r).

წყდება სტროფზე:

„აწ რადგან აღარ დაიშლი კართ გარეთ ომსა რაზმითა, ღამით გავიდეთ გაპარვით, არ მაშხალითა, ბაზმითა, ცისკრისა ჟამსა დავესხნეთ გმირთა წესითა და ზმითა, ღმერთმან ქმნას, ასრე დავპხოცნეთ არ იყვენნ ხანსა დაზმითა“... (ვრცელი გამოცემის 1975-ე სტროფი, იხ. ხელნაწერის 233v).

შესწავლით გამოიკვია, რომ აქ დატულია ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქცია ჩვენთვის ცნობილი შემდეგი თავისებურებებით: მიუხედავად დეფექტურობისა (პროლოგის ორი ფურცელი ამოხეულია) ჩანს, რომ აქ გვაქვს სტროფთა პირველადი თანამიმდევრობის მქონე პროლოგი, რომელსაც ახლავს რამდენიმე ჩანართი სტროფი (ვრცელი გამოცემით: მე-9, მე-14 და 37-ე სტროფები. შდრ. H—757 და H—54 ხელნაწერებს), რასაც ჩვენ მეორე ტიპის პროლოგს ვუწოდებთ. პოემის შუა მონაკვეთით ტექსტი მისდევს ყველაზე უფრო ვრცელ მესამე რედაქციას. ჩანართების ა, ბ და გ პლასტებით, ხოლო დასასრულის მიხედვით აქ მეორე რედაქციაა წარმოდგენილი (სხვა ხელნაწერებთან შეჯერებამ გააკრევა, რომ ეს ხელნაწერი ზუსტად მიაღწევს 1680 წელს გადაწერილ ცნობილ ბეგთაბეგისეულ ნუსხას H—54). ე. ი. ხელნაწერი მთლიანობაში მისდევს ჩვენი კლასიფიკაციით მეორე რედაქციის ტექსტს.

შენიშვნა: ეს ხელნაწერიც მანამდე უცნობი იყო და ვერ მოხვდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ეა-

რიანტების“ გამოცემაში და მის თავისებურებებზე პირველად საუბარი წინამდებარე ნაშრომის პირველ ტომში (იხ. გვ. 191, 226, 275).

ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტი ახალციხის მუზეუმიდან (ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII ს. დასაწყისი)

2 ფ.: დაზიანების გამო ზომები უცნობია; თითო ფურცელზე მოთავსებულია 12 სტროფი (სულ გადარჩენილია 24 სტროფი, აქედან ზოგი დაზიანებულია): ქალაღი ევროპული; მხედრული; სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; მოეპოვება ქვირინიშანი (ღუზა წრეში ჩვეულებრივი საშუროთ): ქალაღისა და პალეოგრაფიული თავისებურებების მიხედვით მე-16 საუკუნის მიწურულს, ან უფრო ზუსტად მე-17 საუკუნის დასაწყისის განეუთენება (შდრ. რ. პატარიძის ნაშრომი, გვ. 13); ფურცლები დაზიანებულია კიდებზე, ამის გამო ზოგან აკლია სტრიქონთა დასაწყისები და დაბოლოებები, ზემოთ და ქვემოთ დაზიანების გამო ზოგან არ არის სტროფთა პირველი, მეორე ან მესამე, მეოთხე სტრიქონები, ფურცლებს შემოუნახავს პოემის ორი სხვადასხვა ნაწყვეტი (1957 წლის გამოცემის 867—878 და 1069—1080 სტროფები).

ხელნაწერი ჩამოტანილია ახალციხის მუზეუმიდან და ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

I ფურცლის ტექსტის დასაწყისი:

„[ვარ]მან ფერი გაანათლა, ბროლი ბროლად, სათი სათად“
(სტრ. 167,3).

წყდება სტროფზე:

„[მიკუ]ირს, რად ხარ ეკლიანი? შენი პოენა რად აკირ[ად]?“
(სტრ. 878,2).

II ფურცლის ტექსტის დასაწყისი:

„[ზარი გა]ქდა, შემოაკრფა ქალაქისა ერნი სრულ[ად]“
(სტრ. 1075,1).

წყდება სტროფზე:

„[ყმა ვაქრულად იმოს]ების, არ ჩაიცვამს არა მისსა“
(სტრ. 1080,1).

გადარჩენილ მონაკვეთში არ ჩანს, თუ შედგენილობით რომელ რედაქციას მიჰყვება, ოღონდ ძველი რედაქციების პირველ ჯგუფთან (S—2829, W—27 და სხვ.) წაკითხვების განსაკუთრებული სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ ამ ხელნაწერში წარმოდგენილი იყო პოემის ისეთი რედაქცია, რომელიც ვრცელ რედაქციასთან უზრუნველყოფის სიმოკლით გამოირჩევა, რაც ჩვენი კლასიფიკაციით პირველი რედაქციაა (შდრ. ხელნაწერებს H—599, S—2829, W—27 და ა. შ.).

შენიშვნა: 1. ეს ხელნაწერი 1963 წელს ახალციხის მუზეუმში აღმოჩინა ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციამ: პროფ. ილია აბულაძის (ხელმძღვ.) მეცნიერ თანამშრომლების მ. ქავთარიასა და ც. ჭანკიევის შემადგენლობით. ამ ხელნაწერის ფურცლებით იყო გაკეთებული XIX საუკუნის ერთი ხელნაწერის ყდა. ი. აბულაძემ აღნიშნულ ხელნაწერს მიუძღვნა სპეციალური მოხსენება და წერილი (იხ. ქვემოთ), სადაც გამოავლინა, რომ სწორედ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ზემოთ აღნიშნულ რედაქციასთან მოუპოვება მეტი სიახლოვე ახალციხურ ხელნაწერს. აქ წარმოდგენილი აღდგენილი ტექსტის ნიმუშები აღებულია ი. აბულაძის წერილიდან. 2. გასაგები მიზეზების გამო (ფრაგმენტი აღმოჩნდა 1963 წ.) არც ეს ხელნაწერი აისახა ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ გამოცემაში.

ლიტერატურა: ილ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, „მაცნე“, 1964, № 3, გვ. 142—150.

H—ნ4; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით B

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1680)

263 ფ.; 44,5X30; ქალაღი სპარსული; ტყევადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; ამჟამად შეიცავს 2066 სტროფს; აკლია: მეორე ფურცელი, ოდნავ დაზიანებული (250 ფ.-ის შემდეგ ამოვარდნილია 13 ფურცელი, ორ უკანასკნელ ფურცელს კიდეები შემოკვეთილი აქვს); მხედრული — სათაურები და სტროფის დასაწყისები სინგურით, ყოველ სიტყვის ორი წერტილი უზის; ტექსტი მოთავსებულია ჩარჩოებში, რომლის კიდეები მდიდრულადაა მოხატული. გადამწერი: მდივანი ბეგთაბეგ (263რ); დამკვეთი გიორგი XI (262რ); ხელნაწერში დაუწერელია: 261v, 262v, 263v (თუმცა ფურცლებს მოუპოვებათ კიდეების მოკაზმულობა).

პოემის სათაური: „ქ. დასაწყისი, პირველი ამბავი სპარსული რუსთულისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უქმობენ. ტარიელისა და ნესტან-დარეკანის მიჯნურობა, კარი პირველი იწყების. აღიდე, ღმერთო, მეფეთ-მეფე პატრონი შაჰნავაზ, ამინ“.

პოემის დასაწყისი: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად, უქმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს კორცს არ სულად...“ (1—261).

გადამწერის ანდერძები: ა) პროზითი ანდერძი, რომელშიც გადმოცემულია გიორგი XI შექება და მისი გამეფება ვახტანგ-შაჰნავაზის მაგიერ (262რ—263რ). ეს ანდერძი ძალზე უახლოვდება H—757-ის ამავე ანდერძის ზოგად ნაწილს, რაც მათ საერთო წყაროზე მიუთითებს. ბ) ბიბ-

ლოკრაფიული ხასიათის ცნობების შემცველი ანდერძი ხელნაწერის გადამწერზე: გადამწერად იხსენიება მდივანი ბეგთაბეგ (263r), რომელიც არის ცნობილი მწერალი და კალიგრაფი ბეგთაბეგ ავთანდილის ძე მარტაროზაშვილი. გ) ხელნაწერს ახლავს ლექსად შესრულებული ანდერძიც, რომელშიც შექებულია გიორგი XI (262r) და სამი ჩანართი სტროფი ხელნაწერის ბოლო გვერდზე.

ბოლო ფურცელზე მინაწერი: ქვს ჩღეა მოველ საქარუელოდამ სამეფოსა ქალაქში მოსკოვს მე, თავადი გრიგოლ სალთხუცის ძე ქაიხოსრო ჩოლაყოვი. საქარუელის მეფის ირაკლის დროს, და ვიყავი კახეთის სალთხუცისი და ამილახვარი, და ვიშონე აქ მოსკოვს ეს ვეფხისტყაოხანი და წაველ ისევ საქართველოში ჩღეგ (ე. თაყაიშვილით ჩღეე) წელსა. თვესა მისს. ვინც ეს წაიკითხოთ. ამ წერილით მოგონებულ მყავით ქაიხოსრო“ (ხვეულად).

პოემის რედაქციული სახე: ხელნაწერში პოემა ერთ-ერთ ყველაზე ვრცელი რედაქციითაა შემონახული. როგორც ჩანს, პროლოგი თავიდან ხელნაწერში ისეთივე იყო, როგორც H—757-ში. ე. ი. შეიცავდა 40 სტროფს და ჰქონდა ჩვეულებრივი სტროფული თანამიმდევრობა, თუმცა აშემახდ ხელნაწერს აკლია მე-2 გვერდი ე. ი. აქ გვქონდა მეორე ტიპის პროლოგი. პოემის შუა მონაკვეთი აგრეთვე ვრცელია, წარმოგიდგენს მესამე რედაქციას და შეიცავს ჩანართების ა, ბ, გ პლასტებს (აქ არ არის მხოლოდ H—757 ხელნაწერის კუთვნილი 28 სტროფი). პოემაში დასასრული მეორე რედაქციისა (ე. ი. ვრცელია, მაგრამ თავისუფალი ი. ტფილელისა და კიდევ უფრო გვიანდელი ანდერძებისაგან). მთლიანობაში აღებული ხელნაწერი იცავს ჩვენი კლასიფიკაციით მესამე რედაქციის ტექსტს.

ლიტერატურა: 1. Такаишвили, Описание, т. II, вып. III, 1908, стр. 573—579. 2. საქართველოს მუზეუმის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი, ტ. I, 1946 წ. გვ. 43—45. 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 15—20. 4. ს. ყუბანკიეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959 წ., გვ. 301. 5. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, 1963, გვ. 79 და სხვ.

H—412; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით I

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. დასაწყისი)

128 ფ.: 21,5×17; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; ქაღალდი რუსული; ხელნაწერი დაშლილი; აკლია თავი და ბოლო; ნაწერია მხედრული ხელთ: სათაურები სინგურითაა შესრულებული; კვირინიშანი 1803: წიბსა., ტექსტი შეიცავს 1359 სტროფს; მუზეუმში შემოსულია 1911 წელს.

იწყება სტროფით:

„... რა ცნა მეფე მოვიდო. ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა“...

(1957 წ. გამოც. სტრ. 97).

წყდება სტროფზე:

„ანაზღად ცხენნი გაქუსლეს მათრახმან შექნა წრიალი...“

(იმავე გამოც. სტრ. 1414).

ხელნაწერს შემოუნახავს პოემის შუა მონაკვეთი. შესწავლა არკვევს, რომ აქ არის დაცული პოემის მეორე რედაქცია ე. ი. ხელნაწერი ახლოს დგას ამ მონაკვეთში A—263 და Q—1082 ნუსხებთან (ზაზახეული“ ტიპის ხელნაწერებია) და აქ, მართლაც, არის მხოლოდ ა და ბ პლასტის ჩანართები. ამასთან ამ ჯგუფის ხელნაწერთა მსგავსად მოიპოვება 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში შესული ყველა სტროფი (II განსაკუთრებით ახლოს არის A—363 ხელნაწერთან. ამ ხელნაწერებში არ არის იოსებ ტფილელისეული ჩანართები, რომლებიც საერთოდ „ზაზახეული“ ნუსხიდან მომდინარეობენ). ე. ი. ხელნაწერი მოსდევს ჩვენი კლასიფიკაციით მეორე რედაქციის ნუსხებს.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. I, 1946, გვ. 303—309; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 317; მ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 72—73

H—422

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

10 ფ.; 21X16; მოლერკო და თეთრი რესხელი ქაღალდი; უყვლო; თავბოლო ნაქული; მხედრული; გადაწერილია XIX სსს. (ცივინიშანი 1842 წ.).

შეიცავს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა ნაწყვეტს: „ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს“ (ამას მოაყვებს „ანდერძი ტარეილისა, ოდეს მიიცივალა ამირ სოფლით“) და წყდება: „...ამისთა ვერ ჯადვარ, ვერ ფაზარებით...“ (ერც. გამოცემით სტრ. 2023, „ავთანდილის ანდერძიდან“).

რედაქციულად აქ შოთავსებული გაგრძელებები მოსდევს მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს, რომლებსაც ბოლოში ერთვის იოსებ ტფილელის ანდერძები.

შენიშვნა: ეს ხელნაწერიც პირველად არის რედაქციულად შესწავლილი წინამდებარე ნაშრომის I ტომში (იხ. გვ. 275).

ლიტერატურა: H ფონდის აღწერილობა, ტ. I, 1946, გვ. 315.

H—461; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით J

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII—XVIII)

307 ფ.; 28,5X20; ჩასმულია ახალ ყღაში (კოლმეკორვადაქრული მუყაო); ქაღალდი ევროპული; მხედრული; სათაურები სინვერსი; ყოველ

სიტყვას სამწერტილი უზის. ალაგ-ალაგ დაზიანებულია (იხ. ფ. ფ. 1—8, 40 და 279); შეიცავს პოემის 1967 სტროფს (ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. ვეფხისტყაოსნის გარდა, რომელსაც უპირავს 4—198 ფ. აქ მოთავსებულია: 1. როსტომიანის ნაწყვეტი, 2. ბეჟანიანის ნაწყვეტი, 3. თეიმურაზის ლეილჰეყენუნიანი და იოსებ-ზილხანანიანი); გადაწერილი უნდა იყოს XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე (პალეოგრაფ. და რედაქციულ თავისებურებათა მიხედვით); ამავე უკერძო მხარს კვირინშნის შესწავლა (იხ. პატარიძის აღნ. ნაშრ. გვ. 43). ხელნაწერი მუზეუმს 1911 წელს შესწირა ბიძინა გრიგოლის ძე მაცუაშვილმა.

პოემის სათაური დაზიანებულია და იკითხება მხოლოდ შემდეგი: **ქ. ამა ამბისა... ენელათვის...**

დასაწყისი სტროფი: გადარჩენილია მხოლოდ სტრიქონთა დასაწყისი:

„პირველ თავი...

„უხმოთ ვეფხ...

„სასმენელად...

„მსმენელათვის...

უკეთ არის შენახული ტრადიციული სტროფი: „რომელმან შე-
[ქმნა]...“ და ა. შ.

პოემის რედაქციული სახე ხელნაწერის მიხედვით: პოემის ერთ-ერთი ვრცელი და ძალზე თავისებური რედაქციაა, რომელსაც როგორც შედგენილობით, ისე წაკითხვებით განსაკუთრებით ატყვია გადამწერ-რედაქტორის ხელი. მაგალით. აქ გადასმულია პროლოგის თითქმის ყველა სტროფი. პროლოგშია მოთავსებული ეპილოგის ცნობილი სტროფი: „ამირან-ლარჯაანისძე მოსეს უქია...“, ხოლო პროლოგის ბოლო სტროფი: „თუ მოყვარე მოყვრისათვის...“ 31 (40), მოთავსებულია 702 (861) სტროფის შემდგომ (აღსანიშნავია, რომ ასევეა გადატანილი ეს სტროფი მუხბათუნისეულ ნუსხაშიც — W—17), ასევე სხვა ადგილას ზის პროლოგში სტროფი „ესე ამბავი სპარსული“ და ა. შ. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, შეინიშნება, რომ პროლოგის სტროფული თანამიმდევრობა აქ პირვანდელია, ხოლო რადგან ამასთან აქ გვაქვს გაერკობილი პროლოგი (იხ. ჩანართები, რომელიც ამჟამად შეინიშნება ხელნაწერში: „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“ 14; „ამბავი წვრილად უამზოს...“ 21; „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ 33;), ამდენად, ხელნაწერის პროლოგი მეორე ტიპის რედაქციას მიეკუთვნება.

შუა მონაკვეთით ეს ხელნაწერი რამდენიმე სხვა ხელნაწერთან ერთად (S—4499, K—205 და სხვ.) ქმნის თავისებურ ჩვუფს. მაგალითად, 17 სტროფით ნაკლებია იგი 1957 წლის გამოცემაზე, ამასთან იგი შეიცავს ა ჩანართ პლასტებს, რომელთაც აერკობს არა მეორე რედაქციის ბ, ან მესამე რედაქციის გ ჩანართი სტროფებით, არამედ ძალზე სპეციფიკური დ ჩანართი სტროფებით. ამიტომაც, ხელნაწერის ეს რედაქცია

უკავშირდება პირველ რედაქციას და უშუალოდ მის შემდგომ შეესებას წარმოადგენს (იხ. ს. ცაიშვილი „ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები“. გვ. 85) და ქმნის მეოთხე რედაქციულ ჯგუფს. გარდა ამისა ხელნაწერისათვის დამახასიათებელია, რომ აქ არის რამდენიმე ისეთი სტროფი, რომელსაც არ იცნობს აქ აღნიშნული მეოთხე რედაქციის სხვა ნუსხეები (მაგალით. 471 — „...უმზოდ ბრაღია...“; 591 — „კვლა მოახსენეს: მეფეო...“; სტრ. 2241 — „პაემანსა არ მოესწრთ...“; 3791 — „უთხრა თუ დაო...“; 13151 — „უსენ წასულა ქალაქად...“; 13161 — „ავთანდილს გული შეეძრა...“ 13181 — „კვლაცა დავედრე სიფრთხილით...“). ხელნაწერს ახასიათებს სტროფთა აქა-იქ გადასმაც, რაზედაც იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი.

პოემის გავრძელება თავისი შედგენილობით აქ წარმოდგენილია მეორე რედაქციით (იხ. ხელნაწ. H—54, H—2074 და სხვ. მაგალით. აქაც იმავე ადგილასაა მოთავსებული „ავთანდილის ანდერძიდან“ 2050—2057 სტროფები, რომლებიც ადგილს იცვლიან სხვადასხვა ხელნაწერებში).

არის ზოგი გამონაკლისიც, მაგალითად. დასასრულის მეორე რედაქციასთან შედარებით აქ მეტია რამდენიმე სტროფი: მაგალით. 1990¹ — „მიუხდა, ხმალი გარდაკრა...“; 1990² — „მიკვირს. თუ რად...“; 2120² — „შინა მოვიდა...“ (შდრ. ხელნაწერებს: H—2610, S—4499 და სხვა, რომლებშიც არის პირველი ორი სტროფი. ხოლო მესამე არის შემდეგ ხელნაწერებში: S—4988, H—2610, P—10, A—654). ასევე ხელნაწერს აკლია მეორე რედაქციის ზოგი სტროფი: 1886 — „ხვარაზმით გამოემართა...“ 1923 „თვითო კაცი...“ (ამ ხელნაწერში და აგრეთვე H—2610, A—654 ეს სტროფი შერეულია 1924-ე სტროფთან, რაც არ ჩანს ვარიანტების გამოცემის მე-4 ტომში); სტროფი 2024 — „ყოვლთა სწორთა...“ ამ ხელნაწერს ზოგ სხვა ხელნაწერთა მსგავსად „ინდო-ხატელთა აპბაის“ ბოლოს აქვს გადმოტანილი და ა. შ.

მაინც მთლიანობაში აღებული ეს ხელნაწერი მიეკუთვნება ჩვენი კლასიფიკაციით მეოთხე რედაქციას.

ლიტერატურა: 1. ს. კაკაბაძის მიერ 1913 და 1927 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესავალი წერილები; 2. ი. აბულაძის მიერ 1914 წ. და 1926 წ. გამოცემული ვეფხისტყ. შესავალი წერილები; 3. ინგოროყვა, რუსთველიანა. 1926, გვ. 10; 4. თეიმურაზ პირველი, აღ. ბარამიძისა და გრ. ჭაიბიას რედ. 1934 წ. გვ. 09—024, 5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი. ტ. I, 1946, გვ. 338. 6. ს. ყუბანიეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959. გვ. 304, 7. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, 1963, გვ. 39, 85, 124.

H—599; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით E

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (16±6)

267 ფ.; 27×19; ტვიფრული ხის ყდა, ტყავადაკრული (ამჟამად დაზინებული ქვედა ნაწილში); ქალაღი ევროპული; მხედრული; ყოველ

სიტყვას ორი წერტილი უზის; სათაურები სინგურით; ხელნაწერი ამჟამად შეიცავს 1811 სტროფს; ხელნაწერი დაშლილა (მაგრამ დაზიანებული ფურცლები რესტავრირებულია მოგვიანო ხელით იხ. ფ. ფ. 58—66, 107—108, 207—208, 214, 234—235, 240, ამ აღდგენილი ადგილების შესწავლა არკვევს, რომ ტექსტი რესტავრირებულია გვიან, ვახტანგისეული გამოცემის გავლენით); ხელნაწერი დასურათებულია (სულ 39 ილუსტრაცია). ფერადი საღებავებით. გარდა სცენებისა პოემიდან, აქ გამოხატულია არუსთაველის, თვით გადამწერის, დამკვეთისა და სხვათა პორტრეტული გამოსახულებანი. გადამწერილია 1646 წ. ივნის-აგვისტოს თვეებში (267v). გადამწერა — მამუკა მდივანი (თავაქარაშვილი); დამკვეთი — ლევან დადიანი. გადამწერილია სამეგრელოში, როცა მამუკა ტყვედ ყოფილა ლევან II კარზე (იხ. ანდერძები). ხელნაწერი ერთ დროს გრიგოლ ანთაძის საკუთრება ყოფილა (მე-19 საუკ. დასაწყისს, იხ. ანდერძი ყდაზე). ხოლო 1911 წელს მუზეუმს შეუძენია ნინო კორინთელისაგან.

პოემის სათაური: „ამბავი დასაწყისი პირველი ამო და სასმენლად შევნიერი სწავლისათვის მოზიარეთასა. ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ“ (1r).

პოემის დასაწყისი:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები

ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები... (1r).

გადამწერის ანდერძები: ა) „[დი]ქება სრულმყოფელსა ღმერთსა. ყოველთა შემწე-მფარველსა. ვიწყე[ე]ს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულ[ცყავ] [თ]ვრამეტსა აგვისტოსა, ქქსა სამას ოცდათოთხმეტსა, [თუ რა]მ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაშიდ ვწერდი. [ში]გნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორას[ოცდათ]ორმეტი“ (267v). ბ) „ღმერთო, შეიწყალე ამისი მწერალი მამუკა მდივანი“ მიწერილია თავში: „თათბირი ავთანდილისა...“ გ) „აქა ამისი მწერალი მდივანი მამუკა სწერს და ვინც ეს...“ (252r) და სხვ.

სხვა ხელით შესრულებული მინაწერები: ა) ეს სრული ვეფხისტყაოსანი თავისის სრულის სამხატრომთა აზნაურის გრიგოლ ანთაძის არის. უმეტრ-ნაკლებო, რომელთაც გენებოსთ საუბარნი, ესე იხმართ, კარგად გაფრთხილდით, რომ არსად წაბღალოთ და არც დახვიოთ, რომელსე[ე]დაც დიდი შრომა და ღვაწლი არის დადებულო, რომელმაც ზრახოს მოსაპარაუად და ან შეეხოს, მასამც პრისხამდეს მამა, ძე და სული წმინდა ამინ, ამინ, ამინ, და ამინ, ბ) Дворенни (!) Григоръ (!) Антазъ (!) от январ (!), 15 са, 18-са года. გ) „ლუარსაბის წიგნი“ (ზედა ყდის v).

შენიშვნა: გადამწერი არის ცნობილი პოეტი და კალიგრაფი იმერეთის მეფის მდივანი მამუკა თავაქარაშვილი (თავაქარაშვილი, თავაქალაშვილი), რომელსაც ვეფხისტყაოსანი გადაუწერია და ილუსტრაციებით შეუმკია სამეგრელოში, ლევან მეორესთან ტყვეობის ქაშს.

ხელნაწერი რედაქციულად: ჯერ ზოგადად უნდა ითქვას: ხელნაწერი თუმცა პოემის გაერთობილ ტექსტს წარმოგიდგენს, მაინც შედარებით ნაკლებ ჩანართ სტროფებს შეიცავს (ისევე როგორც ხელნაწერები S—2829, Q—261 და სხვ.). ხელნაწერში პროლოგი ძალზე თავისებურია. 1937 წლის საიუბილეო გამოცემასთან შედარებით აკლია პირველი 8 სტროფი და იწყება სიტყვებით. „ესე ამბავი სპარსული...“ ამჟამად ჩანართად მიჩნეულ სტროფათგან არის ვრცელი გამოცემის 33-ე სტროფი („მას ცოცხალი ნუ ელევის...“). პროლოგი აქ 24 სტროფისაგან შედგება. სტროფული თანამიმდევრობა ჩვეულებრივია. ამდენად, ხელნაწერში დატულია პირვეანდელი ტიპის პროლოგი (მხოლოდ თავში აკლია სტროფები. რაც ჩვენი დაკორექტებული დევეტური დედნის მიზეზითაა გამოწვეული. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქც., 1963, გვ. 26—31).

პოემის შუა მონაკვეთის თავისებურებაა, რომ აქ არის ჩანართების მხოლოდ ა პლასტიკ, გამოწვევისა 693^ე სტროფი: „ხვარაჴშით გამოემართა რვეანოზ მეფის შვილიო...“ ეს სტროფი ზოგ ხელნაწერში „ხვარაზმელთა ამბავში“ გვხვდება, ხოლო ზოგში იქვე, როგორც H—599-ში წინ არის გადმოსული. მაგალით ხელნაწერი Q—261, W—27 და სხვ. აღნიშნული სტროფის ამ ხელნაწერებში გაჩენა უფრო გვიანდელი პლასტიკების გავლენით უნდა აიხსნას. მიუხედავად ძველი თარიღისა H—599 ხელნაწერს, როგორც ვხედავთ, ახლავს ეს ერთი სტროფი უფრო გვიან გაჩენილი ჩანართისა. საერთოდ კი ეს ხელნაწერი ამ მონაკვეთში პირველ ანუ უმოკლეს რედაქციას წარმოგიდგენს.

ასევე მოკლე ანუ პირველ რედაქციას შეიცავს ხელნაწერი პოემის დასასრულის გადმოცემის დროს, დაზიანების მიუხედავად, ჩანს, რომ იგი აშკარად მისდევს S—2829 ტიპის ხელნაწერებს (მაშასადამე, H—599 ხელნაწერი მთლიანობაში აღებული იცავს ჩვენი კლასიფიკაციით პირველ რედაქციას).

ლიტერატურა 1. Е. Такашвили, Описание рукописей... т. II, вып. III, 1908 стр. 569 — 572. 2. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყ. 1913 წლის გამოცემის შესავ. წერილი, იმ. ავრთვე „საისტ. მოამბე“ ტ. I, გვ. 125; 3. ვეფხისტყაოსანი, 1926, ი. აბულაძის რედაქც. შესავალი წერილი, გვ. XI; 4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი, ტომი II, 1951, გვ. 51—52; 5. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 303; 6. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები, 1963, გვ. 55—57; 7. გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრაბტოგრაფები, ლატ. ინსტ. კრებული, შოთა რუსთაველი, 1964; 8. Л. А. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре, Тб., 1966, стр. 127—136. 9. შ. ამირანაშვილი, ვეფხისტყაოსნის დასურათება, 1966, გვ. 25—27. 10. ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 93.

H—740; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით Y

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII—XVIII ს. მიჯნა)

121 ფ.; 33×23.5; ჩასპულა ახალ ყდაში (კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა); ქაღალდი სპარსული; მხედრული; სიტყვათა გამკვეთი.

წერტილები; სათაურები სინგურით. ტექსტი ოქრომელნით და ფერადებით შემოხაზულ ჩარჩოშია ჩასმული; დაზიანებულია თავი და ბოლო; გზადაგზა რამდენიმე ფურცელი აღუგენილია მოგვიანო ხელით (ფ. ფ. 69, 70). პალეოგრაფიული და ტექსტის თავისებურებების მიხედვით მე-17 საუკუნის ბოლოს ან მე-18 საუკუნის დასაწყისის ხელნაწერი უნდა იყოს; ხელნაწერი ამჟამად, შეიცავს 1203 სტროფს. მუზეუმისთვის შეუწირავს თინათინ დავითის ასულ კეხელს 1912 წელს.

ხელნაწერი იწყება:

თულათა ხელი უკუივლო, ცრემლნი ცხელნი მოიწურნა...

(სტრ. 93,2).

ტექსტი წყდება:

„წინ მავალნი ღარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს...

(სტრ. 1601).

პოემის რედაქციული სახე ხელნაწერის მიხედვით: ხელნაწერს აკლია თავი და ბოლო, შემორჩენილია მხოლოდ პოემის შუა მონაკვეთი. მაინც ხერხდება რედაქციული სახის აღდგენა: ამ მონაკვეთში ხელნაწერი მისდევს პირველ რედაქციას ე. ი. ურთავს მხოლოდ ა პლასტის ჩანართებს. ამასთან, მოკლე რედაქციათა მსგავსად აქ არ გვაქვს ზოგი ისეთი სტროფი, რომელიც შეტანილია ვახტანგისეულსა და შემდეგ 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში (მაგალით. 1937 წ. გამოც. სტროფები: 191, 193, 339, 655, 968, 1275). ასეთ სტროფთა რიცხვი, როგორც ჩანს, მეტი იქნებოდა, ხელნაწერი დაზიანებული რომ არ იყოს (იხ. S—2829 ხელნაწერი, რომელთანაც სტროფული შედგენილობით ძალზე ახლოს დგას H—740 ხელნაწერი).

ლიტერატურა: 1. ს. კაკაბაძის შესავალი წერილი ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოცემაზე; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H—ფონდი, ტ. II, 1951, გვ. 132; 3. პ. ინგოროვიჩის წერილი, დართული ვეფხისტყაოსნის 1953 წლის გამოცემაზე, გვ. 405; 4. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312; 5. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები, 1963, გვ. 62.

H—757; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით A

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1671)

270 ფ.; 33,5×23; 1956 წ. ხელნაწერი ჩაუსვამთ ახალ ყდაში (კოლნეკორგადაკრული მუყაო); ქაღალდი სპარსული; მხედრული; ყოველ სიტყვას წერტილი უხის; ტექსტი მოთავსებულია ფერადებიან აშიაში; სათაურები შესრულებულია სინგურით; მოღწეულია დაღვიანებლად

(ოდნავ არის დაზიანებული პირველი ფურცელი); შეიცავს პოემის 2129 სტროფს; გადაწერილი — მუშრიბი აღმურანთ ბაღდასარაშვილი გასპარა (269r), გადაწერილია 1671 წ. (269r); ხელნაწერი მუზეუმისათვის შეუწირავს ბეჟან წერეთელს 1912 წელს.

პოემის სათაური: „ქ. დასაწყისი პირველი, ამბავი სპარსული, რუს-თველისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უქმობენ. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა. კარი პირველი იწყების იესო“.

პოემის დასაწყისი:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქუამია იგ სპარსულად,
უქმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს კორც არ სრულად...“
(1r---268v).

გადამწერის ანდერძები: ა) ლექსითი ანდერძი, რომელთაგან პირველი ორი სტროფი („ბრძანებით შემოქმედისა, რა ხელეკავ ესე წერიოთა“... და „მწერლებს ვკადრებ, მაშინმცნონ, რომ არ იყუნენ ჩემზე ზრახვით“...) ამოღებულია ვეფხისტყაოსნის „ზახასეული“ ხელნაწერის ანდერძიდან, ხოლო დანარჩენი 6 სტროფი ღვთაების შესხმას წარმოადგენს. ბ) პროზით დაწერილი ანდერძი ვრცელია და ასევე სასულიერო ხსიათის ტექსტს წარმოადგენს, რომელშიც ავტორი ღმერთს ავედრებს თავის ოჯახს. ამ ანდერძიდან უფრო საგულისხმაო მიბლიოგრაფიული ხსიათის შემცველი ადგილი: „შეკაუწყოდი უფალნო ჩემნო, რომელ ეამსა, ოდეს ამ ვე[ფ]ხისტყაოსანსა ვსწერდი მე, აღმურანთ ბაღდასარაშვილმა, მუშრიბი გასპარამა, მაშინ ღმერთმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით. ენკენისთვის კვ, ქყს ტნთ, შაბათს. კვირადალს, და მაშინვე აღვითქუე მისთვის ეს ვეფხისტყაოსანი...“ (269r-v). აღსანიშნავია, რომ პროზით დაწერილი ეს ანდერძი თავის ზოგად ნაწილში მთლიანად ემთხვევა H—54 ხელნაწერის ანდერძს.

მინაწერები სხვა ხელით: ა) 255v-ზე „ამას ქვევითაც სულ ნაწილსი არის და შოთასივ ცოტა რამ“. ბ) 270v-ზე (ბოლო საცავი ფურცელი) ვეფხისტყაოსნის 1274-ე სტროფი: „თქვა: ყვაი ვარდთა რას აქნეს...“ და ი. ტვილელის „დიდმოუტრავიანის“ 42-ე და 43-ე სტროფები (გ. ლეონიძის 1937 წლის გამოცემით).

შენიშვნა: ხელნაწერში პოემა 2129 სტროფს შეიცავს, მაგრამ აქედან 887-ე, 1866-ე და 1867-ე სტროფი ორ-ორჯერ არის მოთავსებული სხვადასხვა ადგილას.

ხელნაწერის მიხედვით პოემის რედაქციული სახე: პოემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ვრცელი რედაქცია. პროლოგი შენახულია სრულად და ჩანართებიანად 40 სტროფს შეიცავს. პროლოგის სტროფული თანამიმდევრობა ჩვეულებრივია ე. ი. ემთხვევა პოემის ახალ გამოცემებს და წარმოადგენს მეორე ტიპის პროლოგს. პოემის შუა მონაკვეთში ვრცელ ანუ მესამე რედაქციას იძლევა, შეიცავს ჩანართების ა, ბ, გ პლასტებს, რომლებსაც ერთთვის ახალი 28 სტროფი. ეს უკანასკნელი თვით გადაწერის ინტერპოლაციას წარმოადგენს და აქედან არის შესუ-

ლი სხვა მოგვიანო ხელნაწერებში. პოემის დასასრულის მიხედვით მეორე რედაქციაა, რომელზედაც დართულია იოსებ ტფილელის მიერ შესრულებული ანდერძი (ავთანდილის მეორე ანდერძი). აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი სხვადასხვა დედნით სარგებლობდა... პაროლოგი და პოემის შუა მონაკვეთი აღებულია H—54 ხელნაწერის მსგავსი დედნიდან, ხოლო ბოლო თავები (გმირთა გარდაცვალება-ანდერძები) გადამწერს „ზაზასელი“ ხელნაწერიდან (Q—1082) აქეს აღებული. თუ ამთა გამოვრჩებათ, ხელნაწერი მთლიანობაში წარმოგვიდგენს ჩვენი კლასიფიკაციით მესამე რედაქციის ტექსტს.

ეს ხელნაწერი, როგორც პოემის ვრცელი რედაქციის ნიმუში, გამოცემულია 1956 წელს ს. ყუბანეიშვილის მიერ. იგივე დაედო საფუძვლად ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემას.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. H ფონდი. ტ. II, 1951, გვ. 140—141; 2. ვეფხისტყაოსანი. ჩანართი და დანართი ტექსტებით, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1956, გვ. 1—11; 3. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 301; 4. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 14—21; 5. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, 1963, გვ. 77 და სხვ. 6. ხელნაწერზე ვრცელი ცნობები იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძის რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ წერილში (1913 და 1927 წწ.) და ი. აბულაძის რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ (1914 და 1926 წწ.).

H—1839; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით D¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1832 წელი)

177 ფ.: 35.5×21; ახლად ჩასმულია კოლენკორგადარულ მუყაოს ყდაში; ქაღალდი: ნაწერია მხედრულით; დასაწყისი სინგურით; შეინიშნება კვირნიშანი. რომელიც თარიღდება მე-19 საუკუნით; [1829 წ.] პირველ გვერდზე მკრთალად მიწერილია თარიღი — 1832 წელი. გადამწერი გლახუა გიორგის ძე ქუთათელაძე (177v). არის სხვა გვიანდელი მინაწერებიც. შეიცავს 2113 სტროფს.

სათაური და დასასრული: „დასაწყისი ა. ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები, ვეფხისტყაოსნად უხმობენ. ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა მიჯნურობა კარი პირველი იწყების:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქუამია იგი (!) სპარსულად...“

(1r—177r).

დასასრული:

„...ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

გადამწერის, ანდერძი: „დაიწერა წიგნი ესე ვეფხვისტყაოსანი ხელითა აზნაურის ქუთათელაძის გიორგის ძის გლახუასითა, მკითხველთა ამისთა შეეთომა თუ რაამე იხილოთ, ნუ მგმობთ ამისთვის, რომელ გამოუცდელ ვიყავ ამ გუარის დიდი წიგნისა წერისა, ძმანო. ეს ვეფხვისტყაოსანი შეკრულ არს აზნაურის გლახუასა“ 177v.

არის სხვა მინაწერებიც იხ. თავფურცლის r-v, 177v და სხვ. ფონდში შემოსულია 1921 წელს.

ხელნაწერის რედაქციული დახასიათება: შეიცავს 40 სტროფიან, ვრცელ პროლოგს, თანრიგი სტროფებისა ტრადიციულია (ე. ი. მისდევს ძველ ხელნაწერებს. შდრ. 1937 წ. საიუბილეო გამოც. პროლოგი). ხელნაწერი რედაქციულად ზუსტად იმეორებს H—757 და H—54. ხელნაწერთა პროლოგს—ანუ მეორე ტიპის ვრცელ პროლოგს. თემთა გვიანდელი ნუსხაა, მაგრამ საინტერესოა რედაქციულად: აქ H—757, H—54 ხელნაწერების მსგავსად არის ა, ბ და გ პლასტის ჩანართები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ხელნაწერი ამ მონაკვეთში უფრო მისდევს H—2074 ნუსხას, რადგან აქ არ არის H—757 და H—54 ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ზოგი ჩანართი (რომლებიც მათ ა, ბ და გ პლასტების გარდა მოეპოვებათ. შდრ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხვისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959 წ.), მაგალითად, ჩანართი 419, 422—433 სტროფები. ე. ი. იგი სათავეს იღებს მესამე რედაქციის შემცველ ისეთი ხელნაწერიდან (H—2074 ტიპის ნუსხა), რომელსაც მხოლოდ ა, ბ და გ ჩანართები ჰქონდა (ამასთან ხელნაწერში, როგორც ჩანს, დედნის დაზიანების გამო გამოჩენილია ვრცელი გამოცემის 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223 სტროფები).

ამავე ტიპის ხელნაწერთა მსგავსად H—1839-ში არის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ყველა სტროფი, გარდა 1651—1653-ე სტროფებისა (ასმათის გათხოვების ეპიზოდისა).

ხელნაწერში პოემის გავრცელება წარმოდგენილია მეორე რედაქციით, ოღონდ იგი ვაზრდოვანია იოსებ ტფილელის ორივე ანდერძით („ზაზახელი“ ხელნაწერის მსგავსად). სხვა მხრივ იგი ძირითადად მიჰყვება H—54-ე ხელნაწერს (არის ძალზე მცირე გამოწვევები. მაგალით. H—1839-ში შემთხვევით უნდა იყოს გამოჩენილი 2051-ე სტროფი და ა. შ.). ე. ი. ჩვენი კლასიფიკაციით ხელნაწერი მთლიანობაში მიეკუთვნება მესამე რედაქციის ხელნაწერებს.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი, ტ. IV, 1950, გვ. 238; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხვისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 316; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხვისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 42, 81, 133.

H—2074; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით C

შოთა რუსთაველი, ვეფხვისტყაოსანი (XVII ს. პირველი ნახევარი)

260 ფ.; 37x24,5; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა ოქროვარაყინი; მარცხენა ყდის V დაფარულა ოქროცუკვილი ნატიფური სა-

ხეობით, ასევეა მარჯვენა ყდას r-v; ქალაღლი სპარსული; მხედრული; ყოველ სიტყვას სამწერტილი უზის; ტექსტი მოთავსებულია აშიებში, რომლებშიც მოხატულია მღიდრულად; სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები ნაწერია ოქროთი; ჩარაულია ილუსტრაციები: იხ. 1r („აქა ავთანდილისა და სოგრატისაგან ზმობა და თანათინის გაბატონება“; 151v უკელმა ჩაწებებული („აქა ავთანდილი ქაშნაგირი მოკლა“); 257v („აქა ფრიდონისაგან ტირილი ტარიელის საფლავზედა“). ამოვარდნილია: 197, 198, 199, 209—212 ფ. ფ. ზოგიც აკინძულია უსწოროდ.

ხელნაწერი შეიცავს 2018 სტროფს. გადამწერი უცნობია, პალეოგრაფიულად და ზოგი სხვა ნიშნებით ხელნაწერი გადაწერილი ჩანს მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში (დაწვრ. იხ. ჩვენი ნაშრომის I ტომი).

ხელნაწერი მალეებულია 1922 წელს, 9 სექტემბერს მოსკოვის ცენტრ-არქივიდან.

პოემის სათაური: „დასაწყისი პირველი ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უქმობენ, ტარიელისი და ნესტან დარეჯანის მიჯნურობა, კარი პირველი“.

პოემის დასაწყისი:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქუამია იგ სპარსულად,
უქმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს კორც არ

სულად“...

(1r—260r).

გადამწერის ანდერძი არ ჩანს.

მინაწერები სხვა ხელით: ა) მიწერილია ფურცელთა სათვალავი: „ორასორმოცდა ჩვიდმეტა და ნახევარი ფურცელი არის დაწერილი ვეფხისტყაოსნისა“ (260r). ბ) ასეთივე ხელით, რომელიც არც ისე ახალი ჩანს, გადაწერილია ბოლო ორი სტროფი, რომელთაგან პირველი პოემის ტრადიციულ ეპილოგს წარმოადგენს.

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა
აბდულმესია შავაელსა, ლექსი მას უქეს რომელსა
დილდარგეთ სარგისს თმოგუელსა, მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრომელსა“
„ბრძენთა იციან სოფელი, თუ რაზომ ფერად ჭრელია,
სიტკბოსა რასმე გვიჩუენებს, სევდა სდევს გაუყრელია,
უფრო გამოაქუს სიმწარე, ცრუვი არის და ტრელია,
მუხანათია, მიუნდო, არვისგან სანატრელია“ (260r)

გ) ბოლოში ხელნაწერს ერთვის სამი სტროფი, რომლებიც მიწერილი უნდა იყოს იოსებ ტფილელის მიერ:

„შენ მაპიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი
რომელმან ცვრათა უწვიმე და დარი მიეც მზიანი
ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხვა იცი გვიანი,

და ვაიმე, ცუდის ლაყბითა თუ სული დავაზიანო“.

„ვიტარ მოუთქვას ფრიდონმან, ტარიელს სიმხნე-ძალოსა, შეუდრეკლება წყობაში, გულის სიმაგრის სალობა, ლომებრ გულოვნად შემართვა, ვეფხებრ ჩაუქად მალობა.

და ვერა ვარგოთ რა, სიკვდილის რომ ჰქმენით თაქს მალობა“. გტარი ფრიდონ ტარიელსა და ავთანდილ ლომთ უგმირესო, რა მიმართით მებრძოლთ მოსვრად, კმალ კაპარქში მოილესო, მოვისმენდით მის შედეგად, მათ მტერთ გულსა უგმირესო, და ეს სოფელი მუხანათი არ დაინდობს თქვენებრ მქნესო“.

ციტირებულ სტროფათგან პირველი თეიმურაზ პირველს ეკუთვნის (იხ. თეიმურაზის თხზ. სრული კრებული, ა. ბარამიძის და გ. ჭაკობიას რედაქტ. 1934 წ. გვ. 98, სტრ. 310). დ) აშიაზე იოსებ ტფილელის ხელ-რთვა (260v მარჯვ. მხარეს).

ხელნაწერის მიხედვით პოემის რედაქციული სახე: შეიცავს პოემის ერთ-ერთ ვრცელ რედაქციას. პროლოგი მეორე ტიპისაა, შე-ნახულია სრულად და ჩანართებიანად 40 სტროფს შეიცავს. პროლოგის სტროფელო თანამიმდევრობა ჩვეულებრივია ე. ი. ემთხვევა პოემის ახალ გამოცემებს. პოემის შუა მონაკვეთი აგრეთვე ვრცელია და შეიცავს ჩა-ნართების ა, ბ და გ პლასტებს, ე. ი. წარმოადგენს მესამე რედაქ-ციას (ამ მონაკვეთის მიხედვით). ასევე ვრცელი რედაქციითაა მოცე-მული პოემის დასასრულიც. ხელნაწერი საერთოდ ძალზე ახლია H—54 და H—757 ნუსხებთან, მათ წინ უსწრებს, მაგრამ მათი დედანი არ უნ-და იყოს (ს. ცაიშვილი, ძვ. რედაქტ. გვ. 80). სამივე ნუსხა ერთი ტიპის დედნიდან მომდინარეობს. ამდენად, ჩვენი კლასიფიკაციით ხელნა-წერი მთლიანობაში მესამე რედაქციის ტექსტს შეიცავს.

ლიტერატურა: 1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჰავეკავაძის არქივი, 1720. ი. ოქრომკვედლიშვილი პირად წერილში ი. ჰავეკავაძეს ცნობას აწვ-დის ამ ხელნაწერზე, რომელიც ინახება მოსკოვის საგარ. საქმ. სამინის-ტროს არქივში, წერილი დაწერა 1870-იან წლებში: 2. А. Х а х а н о в, Труды восточной комиссии... в. I. т. II. Москва 1895; 3. ს. კაკაბაძე საისტორიო მოამბე, 1924, II, გვ. 152—158; 4. ვეფხისტყაოსნის ი. აბუ-ლაძისეული გამოცემა, 1926, გვ. 16; 5. ს. იორდანიშვილი, ნარკ-ვევები, 1953, გვ. 18—19; 6. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის აღ-წერილობა, ტ. V, 1953, გვ. 41—42; 7. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 27—29; 8. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 302; 9. ს. ცაი-შვილი, ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები, 1963, გვ. 110—112; 10. ვეფ-ხისტყაოსნის დასურათება (XVI—XVII ს. მინიატურები), შ. ამირანაშვი-ლის შესავალი წერილი, 1966, გვ. 24—25; 11. ლ. მენაბდე, ძვ. ქარ-თული მწერლობის კერები, I, 1961, გვ. 239; 12. ვ. ბერიძე, ძვ. ქართ. ოსტატები, 1967, გვ. 14.

H—2610; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით H

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (მე-17 ს. ბოლო წლებისა)

244 ფ.; 23×20; კოლნეკორგადაკრული ჰეკაოს ყდა (1956, XI1);
ქალღალი ევროპული; მხედრული; ყველა სიტყვას სამწერტილი უზის; სა-

თაურები სინვერით; ხელნაწერი დაზიანებულია (67, 242, 243 და 244 ფ. ფ. მხოლოდ ნაწილია გადაჩენილი). ამჟამად შეიცავს 1963 სტროფს: ვადაძე უნდა იყოს იგივე. ვინც გადაწერა S—4988 ხელნაწერი (ს. ყუბანეიშვილი, სტროფ. შედგ. გვ. 304). მოეპოვება ჭვირნიშანი, ისეთივე როგორც. მაგალით., S—4988 (ბუკი სტილიზებულ ფარზე, გვირგვინით, იხ. რ. პატარიძის დასახ. ნაშრომი), ქალაქის თარიღი მე-17 ს. მიწურულით უნდა განისაზღვროს. ამასვე უკერს მხარს პალეოგრაფიული და სხვა მონაცემებიც.

სათაური არ მოეპოვება (ხელნაწერს აკლია პირველი გვერდები).

ხელნაწერში პოემა იწყება 1957 წლის გამოცემის 36-ე სტროფით: „მე გარდავსრულვარ სიბერე მქირს ჭირთა უფრო ძნელია...“ (ხელნაწერი წყდება ვრცელი გამოცემის 2075 სტროფით: „შეიწყნარენით, ნაარსნო...“ შემდეგ აღარ იკითხება).

ხელნაწერს მოეპოვება ახალი ღროის მინაწერები (იხ. საცავი ფურცელი და 132რ).

ხელნაწერის რედაქციული სახე: ხელნაწერს აკლია პროლოგის შეკცველი გვერდები. პოემის შუა მონაკვეთი წარმოდგენილია ჩანართების ა და ბ პლასტით. ე. ი. ამ მონაკვეთში იგი მისდევს მეორე რედაქციას. არის რიგი გადახვევებიც. მაგალითად, აქაც ისევე როგორც S—4988 ხელნაწერში მოთავსებულია იოსებ ტფილელის კუთვნილი ჩანართი „ზაზასული“ ხელნაწერიდან („მისა მზესა გზა-გზა მოსთქვამს... 1139 სტრ.). ამით გარკვეულია ხელნაწერის თარიღი, იგი გადაწერილია არა უადრეს მე-17 საუკუნის 60-იანი წლებისა (ე. ი. „ზაზასული“ ხელნაწერის ჩამოყალიბების შემდგომ), ამასთან ეს მომენტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ ხელნაწერისა და S—4988 ხელნაწერების რედაქციულ სიახლოვეს (თანაც, როგორც აღინიშნა, ორივე ეს ხელნაწერი ერთი ვადაძე უნდა იყოს). დასასრულ, ხელნაწერი ა და ბ ჩანართების გარდა სხვა რედაქციის შემცველი ხელნაწერიდან იღებს კიდევ რამდენიმე სტროფს. მაგალით. 1714¹ — „კვლავ მეფე ჰკითხავს...“; 1723¹ — „ქალსაცა ჰკითხეთ...“; 1723² — „თინათინს ჰკადრეს ყოველი...“; 1723³ — „ქალმან ჰკადრა თუ...“; 1855¹ — „მოახსენა „ხელმწიფეო...“; აღნიშნული სტროფების გამოკლებით H—2610 ხელნაწერი ამ მონაკვეთში შეიცავს ჩანართების ისეთსავე პლასტს, როგორც ეს მეორე რედაქციის შემცველ ნუსხებს ახასიათებს.

პოემის დასასრულის თავები ამ ხელნაწერში (ისევე როგორც S—4988 და სხვა ტიპის ნუსხებში) წარმოდგენილია მეორე რედაქციით. თუმცა არის ზოგი მცირე გადახვევა (დაწვრ. იხ. ს. ყაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები; გვ. 124). ჩვენი კლასიფიკაციით ხელნაწერი მთლიანობაში მეორე რედაქციის ტექსტს შეიცავს.

ლიტერატურა: 1. Е. Такашвили, Описание... т. II, в III, стр. 572—573; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. VI,

1953, გვ. 67; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 117; 4. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 304; 5. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები, 1963.

H—3061; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით V

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

252 ფ.; 28×19,5; ქაღალდი ევროპული; ჩასმულია ახალ ყდაში (კოლენკორგადაკრული მუყაო); მხედრული; სიტყვებს ჯერ წერტილები, ხოლო შემდეგ ორწერტილები უზის; სათაურები და სტროფის დასაწყისებში შესრულებულია სინგურით; ხელნაწერი ალაგ-ალაგ დაზიანებულია (იხ. ფ. 35, 86, 143, 232, 243, 155-156), თარიღი არა აქვს; კვირნიშანი (სამი ნახევარმთვარე — ფ. 3, 4, 5 და სხვ. გვირგვინზე გამობმული ყურძნის მტევანი — ფ. 21, 23, 25, 26 და სხვ. მასრის მსგავსი ნიშანი — ფ. 52, 54 და სხვ.) — ვახტანგის დროინდელი. ხელის მიხედვით ვარაუდობენ, რომ გადაშერი უნდა იყოს გივი თემანიშვილი (წი ფონდის აღწ. ტ. VI, გვ. 368); ამავე აღწერილობაში არ არის აღნიშნული, რომ 1957 წ. გამოცემის 153-ე სტროფამდე გადაწერილია სხვა ხელით (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები, გვ. 71); მთლიანად ხელნაწერი შეიცავს 2006 სტროფს.

ხელნაწერი შექმნილია 1926 წ. კონსტანტინე ბეგთაბეგოვისაგან.

სათაური: „ქ. ამა ამბის დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უკმობენ.“

— „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1r—252v თავდება ტრადიციული სტროფით: „ამირან-დარეჯანის ძე მოსესს უქია ხონელსა“...

შენიშვნა: 1. გადაშერი გივი თემანიშვილი უნდა იყოს. ამას ხელის მსგავსების გარდა მიუთითებს მინაწერი - გივი“ 191-ე გვერდზე; 2. გვიანდელი მინაწერი: „ქ. ოდეს მოვიდა წყეული მქლაკრი აგარაინი საქურისა აღამაჰმადხან და მოაოხრა ტბილისი[!] და უუენ იქცა, შემდგომ მისსა საფასოთი მოვიყლი ვეფხისტყაოსანი ესე მკითხველთა შესაქცევთ მე. ყოვლად უმდაბლესმან ბეგთაბეგომან მღვიანმან ბეგთაბეგ. აღმოკითხველნო, კეთილი წარსტქვით ჩემთვის და არა ბოროტი. რათა თქვენცა შეგეძინოსთ სოფელსა აჰას საწამწუთასა და მერმესა მას საუკუნეს კეთილი და დიდება დაუსრულებელი, ამინ“; 252r. 3. ასევე გვიანდელი ხელით მოთავსებულია სტროფი:

ქ. ბულბულმან მან[!] თქვა: ჩემო მზეო! არეინ არის შენი წორი.
შენზე ჯმით მე ვყიოდე ტურფა რამე შენიერი.
მიალერსებ და გაეითქვას(?) თუნდა ვეგდო შენ ძირს მკვლარი

[ვეოქ]ილვარ... ეს, მზეო, გეხვეწები ვულმდღვარო" (252v)

ხელნაწერის მიხედვით პოემის რედაქციული სახე: როგორც ზემოთ ითქვა, ხელნაწერის პირველი გვერდები (1957 წ. გამოცემის 153-ე სტროფამდე) გადაწერილია სხვა ხელით ვახტანგისეული გამოცემიდან, ამდენად, ეს მონაკვეთი, კერძოდ პროლოგი და მომდევნო სტროფები (153-მდე) წარმოადგენენ ამ გამოცემის ზუსტ პირს. ამის შემდეგ ხელნაწერი პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით გვაქლევს მეორე რედაქციას ე. ი. შეიკავს ა და ბ ჩანართებს (საერთოდ ძალზე ახლოსა „ზაზასეულის“ ტიპის ნუსხებთან).

ხელნაწერისათვის ამ მონაკვეთში სპეციფიკურია შემდეგი: (S—5006) ნუსხის მსგავსად ისიც იცნობს იოსებ ტფილელის კუთვნილ ჩანართს „ამა აზბისა მოსმენა ტარიელს მოაღზინებდა...“ 511'. აღსანიშნავია სხვა ვარუშობაც: თუმცა ამ მონაკვეთში ხელნაწერი მეორე რედაქციას იცავს, იგი მაინც მთლიანად არ არის თავისუფალი ვახტანგისეული გამოცემის გავლენისაგან. მაგალით. სტროფი: „ესე სიტყვა მართალია, არ ჰრელად და არ ხვასრულად... (1497) ჩანართად მიიჩნია ვახტანგის გამოცემამ, თუმცა იგი არის ყველა ძველ ხელნაწერში. ასევე ამოღებულია ეს სტროფი წინამდებარე ხელნაწერიდანაც (შდრ. S—5006 და S—1727). ეს მოჭებაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რომ ხელნაწერი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მე-18 საუკუნეში, კერძოდ, ვახტანგის გამოცემის (1712 წ.) შემდეგ.

გაგრძელებათა მიხედვით გვაქვს აგრეთვე მეორე რედაქცია (შდრ. ხელნაწერი H—54) და ამასთან „ზაზასეულ“ ხელნაწერის მსგავსად აქაც მოთავსებულია იოსებ ტფილელის ორივე ანდერძი. მოკლე რედაქციების გავლენით გადაწერს არ შეუტანია სტროფი: „სოფელო, ვისთა სისხლთა ესეამ... 1940 (იხ. ხელნაწერები H—599, S—2829 და სხვ.). ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს ჩანართი სტროფი გამოცემის 1253-ე სტროფის პარაფრაზს წარმოადგენს. ამდენად, თავისი ძირითადი პლასტით ხელნაწერი მთლიანობაში აღებული პოემის მეორე რედაქციის ტექსტს მისდევს.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. VI, გვ. 368—370; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. 1957, გვ. 93; 3. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312; 4. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძვ. რედაქციები, 1963, გვ. 71, 132.

H—3249; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით S

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

ხელნაწერი წარმოადგენს 1 ფურცლიან ფრაგმენტს; ზომა 22×17; დაყდულია სხვა ხელნაწერებთან ერთად კოლენკორგადაქრულ მუყაოს ყდაში. ჭაღალდი ევროპული (გადარჩენილია კვირინოვნის ნაწილი). მხედრული; შეიკავს 8 სტროფს; გადაწერილი უნდა იყოს (ხელის მიხედვით) მე-17 საუკუნეში. მუზეუმს შეუძენია 1928 წელს.

იწყება:

„[ჯა]მი და ქიქა ყუელაი ფეროზისა და ლალისა
[და არ] ვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთურალისა...
(1957 წ. გამოც. სტრ. 483).

წყდება:

„[ლა] მოვიდა, [ვნახე] ასმათი ჩემთანა მ[ომ]ავალია...“
(სტრ. 490).

არ ჩანს ხელნაწერში მოთავსებული 8-სტროფიანი ფრაგმენტის რედაქციული სახე, რადგან ამ მონაკვეთში (საიუბ. გამოცემის 483—490 სტრ.) სხვა ხელნაწერებსაც არ მოეპოვებათ ჩანართი სტროფები. წაკითხვებით კი იგი უფრო ახლოს დგას პირველ (H—599, S—2829) და ნაწილობრივ მეორე რედაქციის შემცველ (Q—1082) ნუსხებთან.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. VI, 1953, გვ. 470; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, გვ. 306; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 91.

A—803. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით. L

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

160 ფ.; 26,5×18; შეიცავს 1315 სტროფს; ახლად ყდაგადაკრული (კოლნეკორგადაკრული მუყაო — 1956 წ.); თავბოლონაკლულია; შიგადაშიგ აკლია ფურცლები (მაგ. ფ. 61), არის ჩაყრებული ზემდგომი ფურცლებიც (190 და 219); შესრულებულია მხედრულით; ქალაღი ევროპული; აქვს კვირნიშანი სხვადასხვა სახისა, რომელთა გარჩევით რ. პატარიძე ქალაღს ათარიღებს XVII ს. 60-იანი წლებით (იხ. აღნიშნული ნაშრომი, გვ. 26).

იწყება სტროფით:

„ყოვლთა ჰქადრეს ჩვენ უმისოდ თუცა ყოფა გვიარმისცა“...
(სტრ. 176: 1957 წ. გამოც.).

წყდება სტროფზე:

„ქე მამას მწარედ მოსთქმიდა...“

(გრცელი გამოცემის სტრ. 2062).

ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქცია. დაზიანების გამო არ ჩანს ამ ხელნაწერის პროლოგის თავისებურებანი. შუა მონაკვეთით პოემის მეორე რედაქციას მისდევს ე. ი. გაანია ა და ბ ჩანართი სტროფები (შდრ. Q—1082, H—2610 ნუსხებს ამ მონაკვეთში), მხოლოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ხელნაწერს ამიებზე მაწერილი აქვს უფრო ახალი დროის ჩანარებიც (ასეთი ჩვენ 24 შევნიშნეთ, აქედან 12 ამოღებული უნდა იყოს ხელნაწერ H—757-დან, ხოლო დანარჩენი თვით

ამ ხელნაწერის გვიანდელი მფლობელის კეთვნილება უნდა იყოს. (ს. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 69). პოემის გაგრძელებათავე ამ გადარჩენილი მხოლოდ 65 სტროფი, ისიც სხვადასხვა ფურცლებზე. ეს გადარჩენილი ფრაგმენტი სტროფთა კაოდენობის თვალსაზრისით უახლოვდება მეორე რედაქციას (შდრ. იგივე H—2610 და სხვ. ამ ტიპის ხელნაწერებს). ჩვენი კლასიფიკაციით ხელნაწერი მოლანობაში მეორე რედაქციის ტექსტს მისდევს.

ლიტერატურა: I. Ф. Д. Жорданна, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, 1 1902, Книга I, стр. 358. 2. ს. ცუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა. 1959, გვ. 305; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 69, 125.

A—656; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით I

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1867)

188 ფ; 34×21; ქალაღი რუსული; ყლიანი; ორი გაღამწერი (თ. ყორღანი ასახელებს რამდენიმე თარიღს და გაღამწერთ: ი. ზანღუეკლსა და დავით ამირიძეს. იბ. თ. ყორღანის კვემთ დასახ. ნაშრომი, გვ. 138); ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს; 1—22 ფურცლებზე მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი. ხოლო მომდევნო ფურცლებზე სხვადასხვა თხზულებანი (მაგალით. „ომინიანი“, ნაწყვეტი „ამირან-ღარეჯანი. სიღან-“, „სპიღენძის ქალქიანის“ ლექსითი ვერსია) გაღამწერა დაუშთავრებიათ 1867 წ.. ვეფხისტყაოსნის გაგრძელების გაღამწერის დავით ამირიძის ანღერძი მოთავსებულია 22V-ზე.

ამ მოთავსებული ვეფხისტყაოსნის გაგრძელება იწყება სტროფით:

„ქედსა ზედა გარღმოდგა მეტად დიდი ქარავანი...“

(ვრცელი გამოცემის 1780-ე სტრ.).

თავდება:

„ამირან ღარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

(ვრცელი გამოცემის 2126-ე სტრ.).

როგორც აღნიშნა, ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ გაგრძელებას. შეყრებით გაირკვა, რომ ამ წარმოდგენილი გაგრძელებათა ტექსტი მისდევს მეორე რედაქციას (განსაკუთრებით ახლო H—461, H—2610 ხელნაწერებთან. იბ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 128).

ლიტერატურა: I. Ф. Жорданна, Описание..., Книга II, 1902, стр. 138; 2. ს. ცუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა. 1959, გვ. 320; 3. ს. ცაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 128.

ლიტერატურული მუზეუმი — 10768/101

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით Q1

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი (XIX)

185 ფ.; 21,5X18; ქალაქი რუსული; კვირნიშნისანი (თარიღი 1821 წ.); მუყაოს ყდაში; მხედრული (საკმაო ლაშაზე ხელით); შეიცავს პოემის 1932 სტროფს; ხელნაწერი თავბოლონაქლელია, ამოვარდნილია გზადგზა რამდენიმე ფურცელიც. სათურები და სტროფთა დასაწყისი შესრულებულია სინგურით; გადაწერილი უნდა იყოს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში; ეზეზეუმს 1936 წელს ხელნაწერი შეუძენია ივანე სებასტიანოვი.

ხელნაწერში პოემის ტექსტი იწყება სტროფით:

„... იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მძღვარი...“

(1957 წ. გამოცემის 24-ე სტრ.).

ხელნაწერი წყდება:

„მიჯნურობისა საქმილმან. დამწვა ანაგზნო მე მანდა“...

(ერცელი გამოცემის 2076-ე სტრ.).

რედაქციულად ხელნაწერი მისდევს ვრცელ ხელნაწერებს, ოღონდ შემდეგი თავისებურებებით. პროლოგი, მიუხედავად ლაზიანებისა. მე-სამე ტიპისაა (ე. ი. აღრეულია სტროფთა თანამიმდევრობა; შტრ. „ზაზასულ“ ხელნაწერს, ვახტანგ VI გამოცემის და ა. შ.) თანაც შეესებოდა კიდევ უფრო გვიანდელი რამდენიმე ნაშრომი (შტრ. S—4988 ხელნაწერს). პოემის შუა მონაკვეთით აქ შეცვლია მეორე რედაქცია (ჩანართებით ა და ბ პლასტი). ამასთან შედარებით ირკვევა, რომ ხელნაწერი განსაკუთრებით ახლოსაა მე-17 საუკუნის მიწურულის ხელნაწერ S—4988-თან (ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 75). გაგრძელებში ხელნაწერში წარმოდგენილია მეორე რედაქციით (ე. ი. ახლოსაა H—54, S—4988 და სხვ. ხელნაწერებთან). მთლიანობაში აღებულა ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მეორე რედაქციის ტექსტს შეიცავს.

ლიტერატურა: 1. ლიტერატურის მატეანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, ხელნაწერთა აღწერილობა. შეუკრებილი ი. ლოლაშვილის მიერ, 1949, გვ. 28, აღნიშნული ხელნაწერი აქ წარმოდგენილია 31-ე ნომრით; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 319, 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 45, 74, 127—128.

ლიტერატურული მუზეუმი — 12904/100

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით R1

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1802)

168 ფ.; 21,5X17; ქალაქი რუსული (მოლურჭო ფერისა, დაწვადების თარიღი 1801 წ.); ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; ხელი საკ-

მაოდ გარკვეული; თავში აკლია ორი ფურცელი; სათაურების და სტროფების დასაწყისი სინგურიო: ვადაწერილია ბირთველ გიორგის ძე თუმანიშვილის მიერ, 1802 წ. (გვ. 335), ქ. ღუშეთში; მუზეუმში შეიძინა მიხეილ თუმანიშვილისაგან 1937 წ.

ხელნაწერში ტექსტი იწყება სტროფით:

„მიჩნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი...“

(1957 წ. გამოცემის 24-ე სტრ.).

თავდება ვეფხისტყაოსნის ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელს...“

ხელნაწერში პოემის შედარებით კრედი ტექსტია წარმოდგენილი, მაგრამ თავისებურებათა თვალსაზრისით აქ ძალზე რთული ვითარებაა. პროლოგს იყენებდნენ მხოლოდ ერთ გადარჩენილ ფურცელზე მოუღწევია. შეჩერება არკვევს, რომ აქ დაცულია მესამე ტიპის ანუ ისეთივე პროლოგი. როგორც ეს „ზახაყულ“ ხელნაწერშია (სტროფთა თანამიმდევრობითა და შედგენილობით). ძალზე თავისებურ სახეს ატარებს ხელნაწერში პოემის შუა მონაკვეთი, შეინიშნება სხვადასხვა რედაქციული ფენის გავლენა, რაც, როგორც ჩანს, ამ ხელნაწერის დედანშივე უნდა ვეძარაუდოთ. ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ძირითადად პირველი რედაქციიდან (მდრ. H—599, S—2829 ხელნ. და სხვ.) უნდა იღებდეს სათავეს. ამას მოწმობს ჩანართების ა პლასტის თითქმის უკლებლივ არსებობა (ამასთან ხელნაწერში პირველი რედაქციის მსგავსად არ შესულა ზოგი ისეთი სტროფი, რომლებიც მოთავსებულია ვახტანგისა და 1937 წლის საიუბილეო გამოცემებში). მაგრამ ამასთან ხელნაწერში არის რამდენიმე სტროფი მეორე რედაქციიდან (ვრცელი გამოცემით 42, 43, 46, 50, 1540 და 1598 სტროფები) და მეოთხე რედაქციიდან (კერძოდ ხელნაწერი H—461-ის კუთვნილი სტროფები 77¹ და 122²), მაგრამ ამასთან შეინიშნება, რომ ხელნაწერი (ან მისი დედანი) ნაწილობრივ შედარებულია ვახტანგის გამოცემასთან და მისი გავლენით ამოღებულია ზოგიერთი აშკარად რუსთველური სტროფი (მაგ. 1937 წლის გამოცემის 301-ე სტროფი: „ასმათ უთხრა ცრემლით, ლომო...“, 373-ე სტროფი: „შევე, დავე ტახტსა ზედა...“), მაინც პირობითად ხელნაწერი შეგვაქვს პოემის შუა მონაკვეთით პირველ რედაქციითა და მხოლოდ არ უნდა დაგვაიწყდეს მისი წარმოშობის რთული გზა (ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 65). პოემის გაგრძელებათაგან აქ არის მხოლოდ „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რთაც ხელნაწერი შორდება ვახტანგისეულ გამოცემას და უახლოვდება პოემის პირველი რედაქციის შემცველ ხელნაწერებს (ალანისნიშნავია, რომ ჭერჭერობით ეს არის ერთადერთი ხელნაწერი, რომელშიც პოემა მთავრდება „ინდო-ხატაელთა ამბავით“). მთლიანობაში მაინც ეს ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით პირველი რედაქციის ტექსტს მისდევს ძირითადად.

ლიტერატურა: 1. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ლიტერატურული მატრიანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, ივ. ლოლაშვილი, 1949, გვ. 27—28; აქ ხელნაწერი წარმოდგენილია 30-ე ნომრით. 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა. 1959, გვ. 319. 3. ს. ცაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45—46. 64—65.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი, K—205, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით O

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII საუკ. მიწურული)

247 ფ.; 27×20; შეიცავს 2011 სტროფს; ქაღალდი ევროპული; ჩასმულია ტყავადაკრულ ხის ყდაში; მხედრული; სათაურები და სტროფის დასაწყისები სინგურით; ტექსტი ჩასმული ოთხკუთხ ჩარჩოში; გადაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნის მიწურულში (ხელის გარდა ამაზე მეტკველებს ტექსტის რედაქციული თავისებურებანი); მოეპოვება კვირინიშანიც (მისი გარჩევით რ. პატარაძე დებს თარიღს 1680-იანი წლებით. დას. ნაშრომი, გვ. 43); ხელნაწერი შიგადაშიგ ნაკლული და დაზიანებულია; ნაკლული ადგილები ზოგან აღდგენილია გვიანდელი ხელით; ხელნაწერი 1911 წელს შეუქმნია რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძეს; ერთ დროს ხელნაწერი ხელთ ჰქონია ე. თაყაიშვილს, რომელსაც შესანახავად გადაუცია საქართველოს საისტორიო საზოგადოებისათვის (აქ იგი 1117 ნომრით გაუტარებიათ), შემდეგ ხელნაწერი აკლავ დაუბრუნებიათ ქუთაისში. (საინვენტარო წიგნში მხოლოდ 1930 წელს გაუტარებიათ).

სათაური: თავი პირველი დასაწყისი რუსთაველისაგან ნათ[...], პროლოგი იწყებატრადიციული მეორე სტროფით:

„ჰე ღმერთო ერთო შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანი[სა]...“

ტექსტი წყდება:

„რაზმთა მფრეწლო, ყოველთა თქვენთა მებრძოლთა“

მძღვევლნო;

კვლავ ასპარეზათ ტურფანო, უსწორო სამაძღვევლნო;

თქვენ ვისაც შველა უბრძანით, უცხონო შესაძღვევლნო;

და აწ ჩემთა ცრემლთა დენასა კამს თუ ვით გაუძღვევლნო...“

(ვრც. გამოცემის 2114-ე სტრ.).

ხელნაწერში მოთავსებული პოემის ტექსტი ვრცელი რედაქციისაა, რომელსაც შემდეგი თავისებურებანი ახასიათებს. პროლოგის სტროფები აქ ძალზე აღრეულადაა დალაგებული (მაგალით. პროლოგის პირველი სტროფი: „რომელმან შექმნა სამყარო...“ ხელნაწერში რიგით მეორეა და ა. შ.). მაინც შეინიშნება, რომ აქ პროლოგის სტროფები ჩვეულებრივი რიგით ყოფილა დალაგებული, ამასთან მოთავსებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანართი სტროფებიც. ამდენად, ხელნა-

წერი იცავს პროლოგის მეორე ტიპს. პოემის შუა მონაკვეთის შეჯერება ვერჩენებს, რომ ხელნაწერში მოთავსებულია ა და დ ხანართი სტროფები (მდრ. ხელნაწ. H—461, S—4499, W—17 და სხვ.). ამდენად, აქ არის დაცული პოემის შუა მონაკვეთის მეოთხე რედაქცია. პოემის გავრძელებები თავისი ძირითადი სახით მეორე რედაქციას მისდევს, ოღონდ აღნიშნულ პლასტს ერთვის იოსებ ტფილელის ანდერძები და ყველაზე გვიანდელი მეხუთე ანდერძიც (მდრ. ხელნაწერს S—4499). მთლიანობაში აღებული ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მეოთხე რედაქციის ტექსტს მისდევს.

ლიტერატურა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 378—380; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 306; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1962, გვ. 40, 86, 131.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი K—215

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით Q

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

54 ფ.; 25×21; შეიცავს 428 სტროფს; ქაღალდი სპარსული; უყლო; მხედრული; შესრულებულია ლაჰზი ხელით (ბალეოგრაფიულად დაახლ. XVII საუკ.). ფურცლები აკინძულია უსისტემოდ, თანაჰიმღვერობა არ არის დაცული; ხელნაწერი საერთოდ ძალზე დაზიანებულია.

პოემის ტექსტი იწყება:

„მათ მოუთხრობს ჰინდოთ მეფეჲ ქირნი ამფხურეს ნარონები].
ლხინი გვმართებს, აჲ მორჭმულ[თა მნახავთა მოსაწონები]..

(ვრცელი გამოცემით 1873-ე სტრ.).

ტექსტი წყდება:

„მეფეო, ესე თათბარი მამკალ ვინც დამიწუნოსა...“

(1957 წლის გამოცემით 797-ე სტრ.).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი ვრცელი რედაქციისაა. მიუხედავად ფრაგმენტული ხასიათისა ხერხდება რედაქციულ თავისებურებათა გარკვევა. ხელნაწერში პოემის პროლოგი სრულიად დაკარგულია, პოემის შუა მონაკვეთიდან გადარჩენილია რამდენიმე ათეული სტროფი, რომელთა შესწავლა არკუევს, რომ აქ გვაქვს აღნიშნული მონაკვეთის მიხედვით მეორე რედაქცია (ჩანართები ა და ბ პლასტიდან, დაწვრ. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 69—70), ასევე პოემის გაგრძელებანი მეორე რედაქციითაა წარმოდგენი-

ლი (გადარჩენილ სტროფთაგან 21 ჩანართი სტროფი არ არის პარკელ, მოკლე რედაქციებში და მეორე რედაქციის კუთვნილებას წარმოადგენენ. იხ. ს. ცაიშვილის აღნიშნ. ნაშრომი, გვ. 125). მთლიანობაში აღებული ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მეორე რედაქციას განეკუთვნება.

შენიშვნა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობათა პირველ ტომში (გვ. 395—397) აღნიშნულია, რომ თითქმის ხელნაწერი პოემის მართო დამატებებს შეიცავდას, რაც, როგორც ვნახეთ, არაა მართებული; 2. ხელნაწერს აწივებზე მოეპოვება გვიანდელი ხანის რამდენიმე მინაწერი, ცნობა ღა ა. შ.

ლიტერატურა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 395—397; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 306; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ადგილი რედაქციებში, 1963, გვ. 69—70, 125.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი K—383

რუსთაველის სახ. ქართული ლატერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით A¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

181 ფ.; 24×17; ქაღალდი სპარსული; ტყავგადაკრული ხის ყდა (რესტავირებულია). შეიცავს 1475 სტროფს. მხედრული; სათაურები სინგური; ტექსტი ჩანსულა ვარაყიან ჩარჩოებში; პალეოგრაფიულად ხელნაწერი XVII ს. თარიღდება; დარკვეულ ფურცლებში შემდეგ აღუდგენიათ და ჩაუკრავთ ტექსტში. აღდგენილი ტექსტი გადმოვიდა ნიკოლოზ პოლტარაკის (96 ფ.) 1712 წლის გამოცემის მიხედვით.

შემოწირულია სოფ. სევაში (რამა) მცხოვრებ კ. ბაქრაძისაგან (ს. ყუბანეიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ხომ არ არის ეს იგივე ხელნაწერი, რომელზეც არის ცნობა 1909 წლის „ღროტების“ 263-ე ნომერში: „როგორც ვგაბტყობანებენ, რამაში, სევას მცხოვრებს, თავად გრიგოლ ერისთავს ჰქონია ძველისძველი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა“. იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 316).

ხელნაწერი პოემის ტექსტი იწყება სტროფით:

„... ვეჰვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია“
(1957 წ. გამოცემის სტრ. 108,4).

წყდება შემდეგ სტროფზე:

„ცისკრად შეიქმნა კმა ბუკთა, საყვირთა ქოს-ტაბლაკება“
(ერტ. გამოც. სტრ. 1947).

ხელნაწერი მოთავსებული ტექსტი ვრცელი რედაქციისაა და მოეპოვება შემდეგი თავისებურებანი: პროლოგი დაზიანებულია, როგორც ტექნიკური აღწერილობიდან ჩანს, ტექსტი იწყება 108-ე სტროფიდან. პოემის შუა მონაკვეთი ხარვეზიანია. მაინც შესაძლებელია ტექსტის რედაქციული დახასიათება. აქ დაცულია ჩანართების ისეთი რაოდენობა (ჩანართები ა პლასტიდან), რომლებიც მოიპოვება პირველი რედაქციის შემცველ ნუსხეში (შდრ. H—599, S—2829 და სხვ.), ამ მხრივ არ შეინიშნება არცერთი გადახვევა. რაც შეეხება პოემის ბოლო თავებს (გაგრძელებებს) აქ ხელნაწერი უფრო დატვირთულია ჩანართებით და მისდევს შეორე რედაქციას (შდრ. S—3077, A—363 და სხვ.) მთლიანობაში ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით პირველი რედაქციის ტექსტს შეიცავს.

შენიშვნა: 1. გარდა პოლტარაკისა (იხ. 96 ფურცელზე) ხელნაწერის აღდგენაში, როგორც ერთი მინაწერიდან ჩანს, თავისი წვლილი შეუტანია სიმონ კასრაძესაც (იხ. 168v), არის სხვა ხასიათის გვიანდელი მინაწერებიც.

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 316; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 64, 126; 3. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 85.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი K—28 (ძველით 103)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1828)

ხელნაწერი წარმოადგენს მ. ბროსეს მიერ პარიზული ნუსხის (P—10) გადაწერას, რომელსაც გვერდზე მიწერილი აქვს ფრანგული თარგმანები (შეტწილად იმ სტროფებისა, რომლებიც ეახტანგისეულ გამოცემაში შეღიანა); გადაწერა, როგორც ფრანგულად მიწერილი თავფურცლიდან ჩანს, მ. ბროსეს დაუმთავრებია 1828 წელს, ჭერ კიდევ პარიზში ყოფნისას (იხ. ამის თაობაზე აგრეთვე „თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები მარი ბროსესადმი“, ს. ყუბანეიშვილის რედაქც., 1964); ბროსეს ტექსტთან ერთად გადმოუწერია P—10 ხელნაწერის გადამწერის ანდერძი (202v) და სხვა მინაწერებიც (იხ. აქვე P—10 ხელნაწერის აღწერილობა); მარი ბროსეს აღნიშნული ასლი გადმოუტანია მის სხვა ხელნაწერებთან ერთად რუსეთში (იხ. ბროსეს ფონდი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში).

ხელნაწერის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ქ. დასაწყისი, პირველი ანბავი სპარსული რუსთველისგან ქართულთ ნათარგმანები, რომელს ვეფხისტყაოსნად უქმობენ ტარიელისა და ნესტან დარეჯანის მიჯნურობა: —

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები...“

(სტრ. 9; 1957 წ. გამოც.).

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერში დაცულია ისეთივე ტიპის პოემის ვრცელი რედაქცია, როგორც ეს პარიზულ ნუსხასთან ვნახეთ, ამიტომ მას აქ არ განვიხილავთ (იხ. P—10 ხელნაწერის აღწერალობა აქვე).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

JK $\frac{25299}{2}$ რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის

ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით L¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1860)

187 ფ.; 22×18; ჩასმულია მუყაოს ყდაში; ქალღი რუსული; მხედრული; დაუწერელია ფ. 185 (ნაწილობრივ), 186, 187; სულ შეიცავს პოემის 2082 სტროფს; მელანი შავი და ზოგან ლურჯი; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები დაწერილია წითელი მელნით; ტექსტი ზოგან ნასწორებია, ზოგან სტრიქონები აღრევითაა ნაწერი; გადამწერი კ. ასლანოვი, თარიღი 1860 წ. (184v); ბიბლიოთეკაში შემოსულია იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილების კოლექციიდან.

ტექსტის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისისა(!) პირველი საამო და სასმენელად შუენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უქმობენ: —

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია ივ სპარსულად...“

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (183v).

ხელნაწერში წარმოდგენილი პოემის ტექსტი ვრცელი რედაქციისაა და შეიცავს შემდეგ თავისებურებებს. პროლოგში სტროფების რიგი მეორეულია, თანაც ახლავს რამდენიმე დანართი სტროფი ე. ი. აქ გვაქვს მესამე ტიპის პროლოგი. შუა მონაკვეთის პოემის ტექსტი მისდევს მეორე რედაქციის მქონე ნუსხებს და შეიცავს ჩანართებისა და ბლასტებს. ასევე პოემის დასასრული (გაგრძელებები) აქ მეორე რედაქციითაა წარმოდგენილი, ოღონდ დამატებით ახლავს იოსებ ტფილისელი ანდერძები. მთლიანობაში აღებული ხელნაწერი ჩვენი კლასიფიკაციით მეორე რედაქციის ტექსტს შეიცავს.

შენიშვნა: 1. გადამწერის ანდერძი: „აღიწერა ესე ვეფხისტყაოსანი წიგნი ნერსისის სემინარიის მოწაფის ხელთა კარაპეტ ასლანოვისათა:

1860 წელსა გიორგობის 4-სა (184V): 2. იმავე ხელით მიწერილია ლექსი. რომლიდანაც მოგვაქვს ერთი ნაწყვეტი:

ჲელი ვერ გამოვაჩინე. ქალაღმა მიუო ზიანი,
ზოგან მელანა იკლო ფერითა. მან შექმნა მიზეზიანი,
აი ვერ დაუბვი გაწყობით. ვერც შე ლამაზიანი,
და მაშინმცა ვსწერდი ყოველ დღე, როცა დღე ვნახე მზიანი“.

ამ სტროფზე დაკვირვებით ს. ყუბანეიშვილი აღნიშნავს, რომ რადგან ასეთივე სტროფი არის ე. წ. გორგიჯანიძისეულ ნუსხაში, იქნებ ორივე ხელნაწერი ერთი დენდიდან მოდიოდესა (იხ. ს. ყუბანეიშვილის ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, გვ. 319). ეს მოსაზრება არ გამართლდა. გორგიჯანიძისეული ხელნაწერი (იხ. მის შესახებ წინამდებარე ნაშრომი), რომელიც ამაჲდ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება. სრულიად განსხვავებულ ტექსტს შეიცავს. ზემოთ მოტანილ სტროფი კი გადამწერთა შორის გავრცელებულა ლექსაა და მას სხვა ხელნაწერებშიც ვხვდებით.

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959. გვ. 318—319; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963. გვ. 44, 79, 134.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ქართული ხელნაწერები:

№ 7 (P—10), რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით X

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1702)

238 ფ. (აქედან ვეფხისტყაოსანს უკავია 1—2:9 ფ. ყ. შეიცავს 1962 სტროფს); ქალაღს ზომები ჩვენთვის უცნობია; ჩასმელია ყდაში (ე. თაყაიშვილი სპარსულ რივისად მიიჩნევს ყდას); მხედრული; ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს: ვეფხისტყაოსნის გარდა, როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, იშთავსებელია სამთავრო (251—253 ფ. ფ.), სხვაღასხვა ლექსები (257—258 ფ. ფ.) ჲ ა. შ.; გადამწერი აზნაანთ ბეგოას ქალი, თ. რილი — 1702 წ. 15 იანვარი (ფ. 249), გადამწერის ადგილი — შემახია; ხელნაწერის მიკროფილში მიღებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (აქედან გადაღებული ფოტოპირები მოიპოვება რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში).

ვეფხისტყაოსნის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ქ. დასაწყისი პირელი ანბვი საპარსული რუსთაველისგნ ქართულთ ნათარგმნები რომელსან ვეფხის ტყაოსნად უხმობენ ტარიელის და ნესტანდარეჯანის მოჯნურობან“:!

1 სათაურიდანვე ჩანს, თუ რამდენად უწიგნურია გადამწერი. მას სათაური ლექსად მიუჩნევია და სიტყვებისათვის „რომელსა“, „მოჯნურობა“, ბოლოებზე ენ დ. უსვამს (სათაური ოთხსტრიქონადაა დატეხილი).

„ესე ანბავი სპარსული ქართულზე ნათარგმნები...“ (1r)
თავდება ტრადიციული სტროფით:
„ამირან დარეჯანი ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (247v)

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ვრცელი რედაქციისაა და შეიცავს შემდეგ თავისებურებებს. პროლოგის პირველი სტროფები (ისევე როგორც ზოგ ხელნაწერშიც) არ მოეპოვება, სტროფთა თანამიმდევრობა პირვანდელია და მისდევს H—599-ის მსგავს ხელნაწერებს (ოლონდ პარიზულ ნუსხაში გავრცობილია იგი რამდენიმე ჩანართით). ე. ი. აქ დატულია პირველი ტიპის პროლოგი. პოემის შუა მონაკვეთი ძირითადად მესამე რედაქციის ნუსხებს მისდევს. ხელნაწერი საკმაოდ გვიანდელია (გადაწ. 1702 წ.) აქ მოიპოვება ჩანართები როგორც მეორე, ისე ჩარიტადში მესამე რედაქციიდანაც (ღაწურ. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქცია, 1963, გვ. 62); სამაგიეროდ ხელნაწერს ბოლოში ე. წ. გაგრძელებები მთლიანად გაუზიარებია მეორე რედაქცია და დიდ სიახლოვეს ამტკიცებს H—54 ტიპის ნუსხებთან (ზოგიერთი გამოწვევის იხ. ს. ცაიშვილის ქვემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 126). როგორც ჩვენ ბოლო ნაშრომში (იხ. წინამდებარე ნაშრომის I ტომი) გამოვარკვეით, პარიზული ხელნაწერი დაზიანებული დედნიდან მომდინარეობს, ხოლო ფაქტიურად იგი ყველა მონაცემით მესამე რედაქციის ტექსტს იცავს.

შენიშვნა: 1. 249-ე ფურცელზე გადამწერის ანდრძი ლექსად:
ქ. „ესე ლექსი აღამა გარდმოწერა, რომ არის სოეოას ქალი [ა].
. ცოდვისგან ვიტანჯე მიუველეთ ვინც ხართ სომხის შვილია
. აღე წავიდეთ სამოახეს შეივინებეწოთ მარიაბის შვილია
და ცოდვისგან მალ ნუ მამკლავს ვიაჯი თუ თავის დედის შვილია“.
. ეახსენოთ დამბადებელი ღმერთი არსისგან ქებული.
წამის ხანს შექმნა ქვეყანა არვისგან დაწუნებული.
აღამ და იევა, დაბადა კაცთაგან შედარებული,
და ანგელოზი დასი შეამკო, ეშმაკი შექმნი ვნებული“.

და ესე წიგნი არის სამასი რვა(?) არის, და[ი]წერა შამახის, წიგნი იან-
ვარის იე(?) გასულას, ქორონიონს ტე“. არის ასეთი მინაწერი გადაშლილი
სიტყვების ადგილას: „ქ. მე, ცოდვილი ყაზანთ ბეყურს ქალმა, დამიწე-
რია ვეფხისტყაოსანი, ვინა გამოასწერას, შენდობა მითხრას მე“; 2. არის
სხვა მინაწერებაც, შედარებით ნაგვიანევი ხანისა. მაგ. თავფურცელზე:
„ღიად ცული ვეფხისტყაოსანი“. მე-112 ფურცელს აშიაზე: „მე იოანე
სარდლის შვილმა ვნახე, მინდა მეყიდა და აღარ ვიყიდე. 1723. იოანე“.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური
ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები... 1933, გვ. 43—44; 2. ლეონ
მელიქსეთ-ბეგი, სომეხი გადამწერნი „ვეფხისტყაოსნისა“. ლიტე-
რატურული მემკვიდრეობა. I, 1935, გვ. 666; 3. ს. ყუბანეიშვილი,
ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312;
4. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 42.
61—62, 126.

ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა, უორდროპის ფონდიდან
W—17,

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით T

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII ს. ბოლო)

238 ფ.; ზომები ჩვენთვის უცნობია; ქაღალდი; ნაწერია მხედრულით; შეიცავს ვეფხისტყაოსნის 1867 სტროფს. ხელნაწერი პალეოგრაფიულად XVII ს. მიწურულით თარიღდება: ჩართულია 48 ილუსტრაცია, რომელთა მეორე გვერდზე არის სხვადასხვა შინაარსის მინაწერები და ლექსები ქართულ, სპარსულ, ლეკურ და თურქულ ენებზე; ხელნაწერს თავში აქლია და აღდგენილია გვიანდელი ხელით; დაზიანებულია გზადაგზავც (იხ. ს. ყუბანეიშვილის ქვემოთ დასახელებული წიგნი). ხელნაწერის მფლობელი ერთ დროს ყოფილა იმერეთის მეფის დავითის ქალი მზეხათუნი (გარდ. 1830 წ.). ხელნაწერი ამჟამად ინახება ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ ფონდში. მისი მიკროფილმი მიღებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. აქედან გადაღებული პირები არის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში.

პოემის ტექსტი (აღდგენილი ტექსტის გარეშე) იწყება სტროფით:

„მეფე ყელსა მოეხვია გარდაჰკოცნა ვითა შვილი...“

(1957 წ. გამოცემის სტრ. 146; ხელნაწ. 15 რ).

წყდება ვრცელი გამოცემის 2125-ე სტროფზე (ესე ასეთი სოფელი...), რომლისგანაც გადარჩენილია მხოლოდ სარიტმო სიტყვები (იხ. 237v).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ვრცელი რედაქციისაა და შეიცავს შემდეგ თავისებურებებს. დაზიანების გამო წინა თავები შემდეგში აღუდგენიათ. გამოირკვა, რომ პროლოგი და 1957 წ. გამოცემის 146-ე სტროფამდე ეს აღდგენა ნაწილობრივ ჩაუტარებიათ ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით. პოემის შუა მონაკვეთი ხელნაწერში მისდევს მეოთხე რედაქციას და მოეპოვება ჩანართებისა და დ პლასტები (ეს ხელნაწერი ძალზე ახლოსაა ვეფხისტყაოსნის ცნობილ ნუსხასთან — H—461); ასეთივე სურათია პოემის გაგრძელებებშიც. მიუხედავად W—17 ხელნაწერის დაზიანებისა (ზოგი ადგილი აქაც აღდგენილია). იგი ახლოსაა H—461 ნუსხასთან და მისდევს გაგრძელებათა მეორე რედაქციას, ხოლო მთლიანად აღებული ხელნაწერი W—17 იცავს პოემის მეოთხე რედაქციის ტექსტს.

შენიშვნა: აქ წარმოდგენილი ტექნიკური აღწერილობა ძირითადად ემყარება ს. ყუბანეიშვილის ქვემოთ დასახელებულ წიგნს (იხ. გვ. 306—

307), იქვე აღნიშნულია, რომ ხელნაწერის ილუსტრაციების მეორე მხარეს მინაწერთაგან ოთხი ქართული ლექსი ეკუთვნის გოგია ბატონიშვილს (1778—1807), ეს სტროფები მას იმერეთში ყოფნის დროს ჩაუწერია.

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 306—307; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 87, 125.

ოქსფორდის, ბოლდის ბიბლიოთეკა, უორდროპის კოლექციიდან, W—27.

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით Z

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVII)

176 ფ. 25×18; ქალაღი; მხედრული; პალეოგრაფიულად ხელნაწერი XVII ს. თარღდღბა; სათაურღბი და სტროფთა დასაწყისღბი სრღგურით. ხელნაწერი დაზღინღბულია თავში, აკღია აგრღეთღე 82-ე და 140-ე ფურღცღები (ადღგენიღლა 79, 90—92, 133—135-ე ფურღცღღბი დაანღლოღბით XVIII საუღ. ხღლოთ); ჴეიღცღავს ვეფხისტყაოსნის 1536 სტროფს; მოღუღოღება 21 ილუსტრაციღ (ეკღთ. თაყაიშვიღი მათ სპარსულ ყაღღაზღ შესრულღბულად მიიღწღეს); ე. თაყაიშვიღის ცნოღბით, ეს ხელნაწერი პოღლიეკტრღვ კარბღლაშვიღს მიუყიღღნია ეღენღ ერისთავის ასულ თარბანღმოურავისთღვის, საბოლოოღ კი მრღვაღლკვარ ხიფათს გაღღარჩენიღლი ხელნაწერი მოხვედრიღლა ოქსფორღდში, ბოღლის ბიბლიოთეკაში (ამაზღ სათღანადო ლიტერატურღ იხ. ჭვემოზ). ხელნაწერის მიკროფიღლში მიღღბულია საქართველოს სსრ მეცნიერღბათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. აქედან გადაღღბული ფოტოპიღრღბი დაცულია ქართულღ ლიტერატურის ინსტიტუტში და ვეფხისტყაოსნის აკადემიურღ ტექსტის დღღღგენ კომისიღში.

ხელნაწერი იწყება პოემის ვრცელღ გამოცემის 206-ე სტროფის მე-3 სტრიქონით:

„ყოვეღლი პირი მიწისა თქვენ ხრპღლითღ დღღგიმონიღ...“ (ჩაწერიღლია სხვღ ხღლით) (1რ).

წყღღება სტროფზღე:

„ესმა ინღოთღ მეფესღ სენთღგან დღღმიღღბულსღ...“ (ვრღ. გამოცემის სტრ. 1890; ხელნაწერი 176v).

ხელნაწერში წარმოდგენიღლი პოემის ტექსტი ვრცელი რედაქციისაღ და მოღუღოღება ჴემღღევი თღვისღბუღბანღ: დაზღინღბის გამო არ ჩანს პროღლოღის სახე. ჴუღა მონღკვეთი პოემისა მისღღვს პირველ რედაქციის, ჩანართღბას ა პღსტღბით (ერთი გამოწაკღსით: ამ ხელნაწერში არის რღმღღენიღმე სტროფი, რღმღღღბიე ჭერჭეროღბით არღერთ სხვღ ხელნაწერში არ დასტროღღღბღ); გაგრღღღღღბღბს ხელნაწერში დაზღინღბით მოულღწეღია (გღღღარჩენიღლია ვრცელი გამოცემის 1868—1890 სტროფღბი), მაგრღამ ჴესწაღლით ირღვეღვა, რომ აქ დაცულია გაგრღღღღღბათა პირვეღლი რედაქციღ. ასეღე მთღღიანობღში ხელნაწერი იღცღს ჩენი კლასიფიკაციით პირვეღლი რედაქციის ტექსტს.

შენიშვნა: 1. აქ მოთავსებული ილუსტრაციების მეორე მხარეს მიწერილია სავსებით უწიგნური ლექსები. ერთ-ერთი მინაწერიდან ჩანს, რომ ორი მათგანი ეყუთუნის ლუარსაბ თარხნის ზაზას ძეს და დაწერილია 1812 წ. 13 მაისს: „მაისის იგ ქორონიონს უე თარხნის ზაზას ძე ლუარსაბ“. 2. ამ ხელნაწერის ვრცელი თავგადასავალი მოთხრობრილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს, იხ. ეურნ. „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 166—169.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, ეურნ. „მნათობი“, 1958, № 11, გვ. 165—169, მანვე ადრე პრ.იფ. ს. კაკაბაძეს გაპოუვებულ ამ ხელნაწერის აღწერილობა, მაღლიერების გრძნობით მინდა აღენიშნო. რომ სარგის კაკაბაძემ აღნიშნული აღწერილობა ჩვენც გავაცნო. რითაც ვისარგებლე 1955 წელს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციებზე მუშაობის დროს. ეს აღწერილობა გამოყენებულია აგრეთვე ს. ყუბანეიშვილის ქვემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 315; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეელი რედაქციები, 1963, გვ. 63, 121; 4. დ. ლენგვი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ეურნ. „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 151.

II. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის შემცველი ხელნაწერები

S—1515

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირვ. ნახევარი)

124^ა ფ: 35X22 ქალღი, ტყავადაკრულ მუყაოს ყდაში; მხედრული. სათურები და სტროფის დასაწყისი სინგურით; კვირინიშანი 1828 (ედის საცავი ფურცელი); (XIX ს.); დაუწერელია: 1r, 123r—124v პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

[შოთა რუსთაველი]. „ამა ჰამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად შეენიერი, სწავლისათვის მოშაირეთასა, რომელნიცა უქმობენ ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით.

—რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერიითა...“

2r—122v

ხელნაწერის ტექსტი მისდევს ვახტანგისეულ რედაქციას (და არა ე. წ. „არტანუჯულს“, როგორც შეიძლება გვაგვარაუდებინოს ე. თაყაიშვილის აღწერილობამ).

მინაწერი: 1. № 14. სტეფანე მელქოს-ძის აღექსანდრე ჩიგიანიშვილისა ტფილისის მოქალაქისა. სტეფანე ჩიგიანიშვილს ეს წიგნი გამოერთვა ამრუანთ თათელასთვის, რომელიც მისი დისწულა იყო და მეუღლე იყო ტერ შმოვანანთ აბიმელიქიანთ კილა პოლოსასი (მეიდანთან

ბაზრის ემწვილებს წიგნს ასწავლიდა 1840 წლებში, ბექზე დაწერილს და აწერინებდა ბექზევე). პეტრე უმიკაშვილი (ზემო ყდის საცავი ფ.).

2. „პეტრე უმიკაშვილისა“ (ზემო ყდის შიდა მხარე და ყდის საცავი ფ.).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, „Описание“, ტ. II, 1908, გვ. 558; 2. ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. II, 1961, გვ. 362.

S—3430

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

131 ფ.; 36×21; ქალაღი; ხის ყდა; ტყავადყრული; ნაწერია გაყრული მხედრულით; მელანი შავი; შესრულებულია XIX საუკუნის ხელით; ნაკლული; ბოლოშიც მთლიანად ემთხვევა ვახტანგისეულ გამოცემას, ახლავს ვახტანგისავე თარგმანის ნაწყვეტი და ლექსითი ანღერძები. დაუწერელია: 3r—4v, 8v—9r, 85v.

იწყება სტროფით:

„სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი...“ (საიუბ. სტრ. 132) პომეის ტექსტი თავდება ისევე, როგორც ვახტანგის გამოცემა (შღრ. ა. შანიძის მიერ აღღგენილ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი წარმოდგენს ვახტანგისეული გამოცემის პირს.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, „Описание“, 1908, ტ. II, გვ. 560. 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. V, 1967, გვ. 48—49.

S—3441

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი (1841)

112 ფ., 33,5×20,5: ქალაღი; ახლად ჩამღულია მუყაოს ყდაში; ნაწერია მხედრული გაყრული ხელით; სათაურები და სტროფები სინგურიით, ბოლოში ნაკლულია; გადაწერილია 1841 წ. 15 მაისს.

სათაური და დასაწყისი: აქა ამბავია დასაწყისი პირველი, ამო და სასმენლად სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ვეფხვისტყაოსნობით უხმობენ.

— რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძრიელითა...“

წყდება:

„ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტნი დაამზადნეს...“

(1957 წ. გამოც. სტრ. 1639).

ქართულ ხელნაწერთა S ფონდის აღწერილობაში (ტ. V, გვ. 49) ამ მოთავსებული ტექსტი შევჯობით პოემის ვრცელ რედაქციად მიჩნეული. ნამდვილად კი ხელნაწერში წარმოდგენილი პოემის ტექსტი ცხად-პოეტს, რომ აქ გადმოწერილია ე. წ. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. (მხოლოდ რამდენიმე ადგილას ვახტანგისეული ტექსტის ხარვეზები აღდგენილია სხვა ხელით. იხ. 37რ).

შენიშვნები: 1. თავში მიითითებულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1841 წ. თებერვლის 21 დღესა (დაეიწეე ჩუმა-სა წელსა თებერვლის კა დღესა), მაგრამ შემდეგ გადამწერის ხელითვე აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1841 წლის 15 მაისს (იხ. ანდერძი უდაბნე: „წელსა ჩუმა-სა მაისის იე დღესა მოვიწეე ესე ვეფხისტყაოსანი. რომელიც იქით პირზე აწერია, იმ თვეში აღარ მომცა პატრონმა, რო მეწერა და მაისში დაეიწეე“). მოუპოვება გვიანდელი მინაწერებიც (იხ. უდა).

ლიტერატურა: ექვთ. თაყაიშვილი, „Описание“, 1908, ტ. II, გვ. 560—561. 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. V, 1967, გვ. 49—50.

S—3442

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1850)

ფ. 115: 32×21; ქალღი; ნაწერია გაკრული მხედრულით, სინგულ-რით სათაურები და დასაწყისი სტროფებისა, მანამდე ყოფილა 250 გვერდი (იხ. პავინცია) და აკლია წინა ფურცლები. როგორც ჩანს ამ ფურცლებზე სხვა თხზულება ყოფილა მოთავსებული, რადგან ვეფხისტყაოსნის პირველი სტროფები უკლებლადაა წარმოდგენილი. გადაწერილია 1849—1850 წლებში (112v). გადამწერი სიმონ ივანეს-ქე ყორღანოვი.

სათაური და დასაწყისი: „ამა ანბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენლათ შეენიერია სწავლისა თვის მოშაირისა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა, ამ წიგნს ვეფხისტყაოსნობითა უხმობენ, — რომელმან შექქმნა სამყარო...“

თავდება ტრადიციული სტროფით: „ამირან-დარეჯანის ძე...“

რედაქციულად ვახტანგისეულ გამოცემას მის-დევის (ბოლოს არ ახლავს ვახტანგ VI „თარგმანი“).

შენიშვნა: 1. ბოლოში წარმოდგენილია გადამწერის ანდერძი: „აღიწერა ეს ვეფხისტყაოსანი ქალაქსა ტფილისსა ხელითა კოლეცკის რელისტრატორი სიმონ ივანეს ძე ყორღანოვისათა. დაიწყო გარდმოწერა 1849-სა წელსა ლეონობისთვის 18-სა. გათავდა წერა 1950-სა ახალ წელიწადსა ღღესა...“

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, „Описание“, 1908, ტ. II, გვ. 559. 2. ქართ. ხელნაწ. აღწერილობა, ტ. V, 1967, გვ. 50.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1937)

ვეფხისტყაოსანი მოთავსებულია 1r—162v-ზე; 23×18; ქალღი; ტიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა (ამჟამად ჩასმულია მუყაოს ყდაში); მხედრული (გაქრული ხელით). ვადამწერი მოსესა ყორღანოვი (162v, 163r). ვადამწერილია 1837 წ.

ხელნაწერში მოთავსებულია სხვა თხზულებებიც. მავალით. 1. მეფე ერეკლეს შემოკლებული ისტორია ომან ხერხეულიძისა (გვ. 165r—194v), 2. ამ თხზულებას წინ უსწრებს „შაჰნამეს ქართული ვერსიის პროლოგიდან ცნობილი სამი სტროფი: ა) ბავრატ ვნახე მარანსა ჯღა... ბ) რას მიმერჩი ბერი ბერსა... გ) ვიცი ჩემო სერაპიონ... 3. ნაწყვეტი ქართლის ცხოვრებიდან (195r—197v), 4. სარჩევი ვეფხისტყაოსნისა (198r—199v), 5. ზალდასტანის ვამოცდა (200r—202v), 6. ლექსითი ანდერძი სამსტროფიანი (203r).

ხელნაწერში მოთავსებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი იწყება: ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო სასმენელად შვენიერი სწავლისათვის მოშარეთას(!) ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობითა უხმობენ —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...

(1957 წ. ვამოც. 1 სტრ.).

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა...

შეჯერებით ვამოიკვა, რომ ხელნაწერში მოთავსებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი ვახტანგისეული ვამოცემიდან მომდინარეობს.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში მოთავსებულია ანდერძები, რომელთაგან აღსანიშნავია: „ადიწერა ესე ვეფხისტყაოსანი ქალაქსა ტიფლისისა ხელითა აზნაურის მოსესა ყორღანოვისათა იტოა ჩემთათვის; უფალმან მრავალ-ჟამიერ ჰყო სახსენებელი მათნი და სალხინოთა აღმოიკითხვიდენ, ამინ. კრთობულ იყვენთ, რომელთაცა ამგვარი წიგნები ნახოთ და ვამოწერთ ამაზედან იქირ ნახულოთ, ამაღ რომე მათ ვავილ წინაპართა კელმწიფეთა და ფალავანთა ამავენი მეორედ განაახლოს შესაქცევარად უცხო არის და მათად საგონებლად უკუე თუ ყრმან კაცმან რომე ამგვარი წიგნები ნახოს და იკითხოს კარგია, ამაღ რომე ენასა გაიმართავს და კაი მსწავლულიც შეიქნება. ჟამი მოხვდება, რომე ამისთანა წიგნის კითხვა მრავალს ალაგას ვამოადგეს ჯელმწიფეთა თუ ამხანაჟთა თანა და მრავალს მცნებასაც შეიმადგებს კითხვითა. დაიწერა და დასრულდა ესე წიგნი ვეფხისტყაოსანი ტიფლის ქალაქსა თვით პატრონის მოსეს ყორღანოვისა ჯელითა თვესა აგვისტოს ათსა წელსა ჩულს.

რომელთაცა ესე წიგნი აღმოიკითხოთ. ვიხოვ. მე ამისი მწერალი ცოდელი ვკითხველთაგან შენდობითა მამიგონებდეთ. აგრეთვე ძენო ჩემნო,

რათა თქვენსა იყვნეთ დღე გრძელობით და ხსენებულნი წინასა ღმრთისა
საუბრით „ამინ. 1837 აგვისტოს 10 — 1837 წელსა ქს — ფკ.

ესე წიგნი დაწერილა და დარჩების საკითხავად,
მწერალისა ქელი ლებების მიწასა ძეხს არის ავად.
ქვეყანა სულ ცუდათ მიდის, რაც უქნია იმავე თავად.

- და თუმცა ესე უწერია, შესაქცევრად ართე თავად.
მე დაწერე ყორღანოვმან კეთილ შობილ მოსესამან,
თუმცე ჭელმწიფენი ყოფილან, განავლო მათმა ანბავმან,
არ გამკიცხოთ წერისათვის, დრონი მამცა ჩემმა ყამმან,
და შენდობითა მახსენებდეთ, ბერმან თქვას თუ გინა ყამმან.
ესე ლექსი რომ დაწერე, იტყვიან წელსა ათასსა;
მოყვეე ნელა შევასრულე, აქ მოემატა რვა ასსა,
კიდევ რიცხვსა ამას უნდა, გახლება ოცდა ჩვიდმეტსა,
როცა ესე გავათავე, იყო აგვისტოს თვის ათსა...

დასრულდა ესე ვეფხისტყაოსანი და კიდევ ამის შემდეგ ნეტარხსე-
ნებელი მეფისა ირაკლის შემოკლებით ისტორია ამის დამწერისა პატრო-
ნის მოსეს ყორღანოვისათა ძეთა ჩემთათვის საკითხვათა(?) და ჩემდა სა-
გონებლათა... ტანა 1837 წელსა“; (163v).

ვეფხისტყაოსნის პროლოგში ჩართულია ერთი სტროფი, რომელსაც
არ იცნობს უკანასკნელ ხანებში გამოსული ვრცელი ვეფხისტყაოსნის
გამოცემები:

„იგი მზისა შესა... შესადარი(!), არის ვითა მთვარე სრული,
ყოვლის ფრითა შემკობილი ვსთქვათ, ვითაა ალვა რგული,
მისნი მქვერტნი მას იტყვიან. ედემით არის მოსული,
ქება მისი არვის ძალეცს, რაზომც იყოს სიბრძნით სრული“.

სხვა ხელით მინაწერთაგან სატიტულე ფურცლის მეორე მხარეს აღ-
სანიშნავია გავრცელებული ლექსის პარაფრაზი: „ერთხელ მეც ვიკავ
ვიკავი, მოკვრიფე ია და ვარდი...“ (სულ ოთხი სტრიქონი).

ლიტერატურა: 1 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი,
ტ. VI. 1969, გვ. 312—314.

Q—230

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. ათიანი წლები)

244 ფ.; 19×16; ქალალი (ცისფერი); მუყაოს ყდა, ყუაზე გაცვეთი-
ლა; 1 ფრთა მოცილებულია; მხედრული; XIX ს. დასაწყისში (ქვირნი-
შანი: 1808—1809); დაუწერელია: 240r—244v.

სათაური და დასასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველად
ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელსა
და ლესტანდარეჯანისა ამ წიგნს ვეფხისტყაოსნობით უქმობენ — რო-
მელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერია...“

2r—206v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მის-
დევს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემას

მისი დამატებითი ნაწილებითურთ (აქლია მხოლოდ თავფურცელის ტექსტი). 1712 წ. გამოცემისებურად ტექსტს წინ უძღვის: I. „უახანჯეთ ბეკლის იგავი...“ (1r—v). II. „შადიდებელი წჷრისა საწეპისა, მე, კვარტომობით, ძირმოღვმობით დაეთიანმან...“ (ვახტანგის ანდერძი), (1v).

2. ტექსტს ერთვის: I. შესტამზე მიქაელის („მიქელაი“) ანდერძი: „აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ჰელოსა...“ (206v). II. „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონიშვილია გამგებლის პატრონის ვახტანგისა. — მე ვსწერ, ძმისძული მეფისა გიორგისა...“ (206v—329v).

წყდება: „ფქჷ: ამითა გონება სამი არის — პირველად ღმთისა, მერმე ანგელოზისა“.

3. გადამწერის უწიგნერობის წყალობით ტექსტი მრავალ ადგილას დამახინჯებულია.

4. ძველ გვერდობლივ პაგინაციაში (ა-ეოთ) შეცდომებია: ძე-ს მისდევს აზ; ტყე-ს ტყმ მდარია აგრეთვე ფანქარი შეარღუებული მერმინდელი პაგინაცია (იხ. 71—72-ს შუა გამორჩენილია 1 გვ.)

ლიტერატურა: 1. ქართულ სელნაწერსა აქწერილობა. Q ფონდი, ტ. 1, 1957, გვ. 245.

Q—246

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1867 წ.)

113 ფ.; 24,5X22; ქაღალდი; ტვირთული ტყავით შემოსული ყლიდან დარჩენილია II ფრთის ფიცარა და ტყავი (ორვე მოცილებული), რომელშიც ჩადებულია დაშლილი, თავნაკული სელნაწერი: მე-13 ფურცლისაგან მხოლოდ პატარა ნაშთია დარჩენილი; მხედრული, ს.თაურები წითელი მეღვინით; 1867 წელს; გადამწერი ხარების დეო-ს შობლის შონას. ტრის იკონომოსი ნიკიფორე; აღვილი; სოფელი ხარება. სამეგრელოში, შექმნილია ნინო ბაკრაძის ასულის დევებეისისაგან (თბილისის მცხოვრები), 1933 წ.

ტექსტი იწყება:

„აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
[მაგ] რა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია...“

1r—92r.

ტექსტი იწყება 1712 წლის გამოცემის რქმ (12B) სტროფით და თავდება ამავე გამოცემის ჩვბთ (1589) სტროფით. საერთოდ, წარმოადგენს ვახტანგისეულ გამოცემიდან გადაწერილ რომელიღაც ხელნაწერის პირს.

შენიშვნა: ა) დართული აქვს: „შესტამზე მიქაელის ლექსი: „აწ დაიბეჭდა...“ 92r; ბ) ვახტანგის: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“ (92v—112v). „თარგმანი“ ბოლონაკულია: აქლია ისევე სტროფის თარგმანიდან ბოლომდის.

ტექსტი მრავალი შეცდომით არის გადმოწერილი: მაგ. „ვეფხისტყაოსნის“ „სამსა სძებნე წელიწადსა იგი შენი საქებარი“ — გადმოწერილია: „სამსა მებრ წელიწადსა იგი შენი სამუბარი“.

ეს გარემოება გეაფიქრებინებს, აღნიშნულია ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის აღწერილობის I ტომში, რომ გადამწერს დედნად ჰქონია ნაბეჭდი ტექსტის გადანაწერი და არა ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“.

გადამწერი ნიკიფორე. „ხარების ღთსიმშობლის მონასტრის იკონომოსი“, უძღვის თავის ნაშრომს თავის დედას. გეგეპკორის ასულს კესა მარტიველს (113r-v).

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნაწ. აღწერ. Q-ფონდი, ტ. I, 1957, გვ. 253.

Q—280

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

187 ც.; 21X17,5; ქალაღი; ტეიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა. თოქმის მოცილებული; 1—14 ფ. ფ. მოშლილი; 5, 181 ფ. ამოვარდნილი; მხედრული; სათაურები წითელი მელნით; XIX ს. I ნახევრის; შეძენილია ალექსი ლეონიძისაგან.

ხელნაწერი იწყება: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათჳს სხუა და სხუა აზრისა: —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

ხელნაწერში პოემა თავდება ტრადიციული სტროფით („ამირან-დარეჯანის-ძე...“), რომლის ბოლო სტრიქონია:

„და ტარიელს — მისსა რუსთველსა, მისთვის

ცრემლშეუშრობელსა“.

ხელნაწერის ტექსტი გადმოწერილია 1712 წლის გამოცემიდან, მაგრამ მას არა აქვს დასაწყისში ნაბეჭდი გამოცემის თავფურცელი. ბაგრატიონთა ლერბის ქვეშ მოთავსებული ლექსი და 1712 წ. გამოცემის ვახტანგის ცნობილი ანღერძი (სადიდებელად წსა სამებისა და სხვ.) ტექსტის შემდეგ კი ამ გამოცემიდან ხელნაწერს დართული აქვს: ა) მესტაპზე მიქაელის ორსტროფიანი ლექსი (157r). ბ) „თარგმანი პირველი... ბატონიშვილისა, ვამეგბლისა, პატრონისა ვახტანგისა. — მე ვსწერ. ამისწული მეფისა გიორგისა...“ (157v—187r).

ვახტანგის „თარგმანი“ თოქმის მთლიანად არის გადმოწერილი (ბოლოში რამდენიმე სტრიქონი აკლია), ალაგ-ალაგ ტექსტის დამახინჯებათ და შემოკლებით.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერ. Q-ფონდი, ტ. I, 1957, გვ. 292.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII ს. მიწურული)

178 ფ.; 32X20; ქალაღი (ალაღ-ალაღ გასერილია; 45—46, 53—54 ფ. ამოვარდნილია: 47, 63, 87 ფ. ზოგან რესტავრირებულია XIX საუკ. ხელით და ა. შ.); ქალაღი ჰვირნიშინანია (XVIII საუკ.); ღელნაწერი წარმოადგენს კრებულს: ჟერ მოთავსებულია გაღექსილო „წმინდა გიორგის ცხოვრება“ და შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“. გაღაჟწერი — მანანა. ხელნაწერი შექმნილია ანასტასია კვესადისაგან.

ვეფხისტყაოსანი იწყება 42-ე ფურცილიდან. სათაური და ტექსტის დასასრული: „ამა ამბო[ს]ა დასაწყისი პირველი ამო და სასმენლად შეენიერი სწავლის[ათვის] მოშაირეთასა ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...

ტექსტი თავდება:

„თინათინ ზედა აწჳვა ტახტსა მეფესა ზეთასა.

ტარიელს უთხრა: შენ დაჯე! სწადიან ბჳესა-ბჳეთასა.

ღღეს ტახტი შენი შენ გმართებს მეტად ყოველთა ღღეთასა“

(სტრ. 1542, 1957 წ. გამოც.).

ხელნაწერში მოთავსებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი მომდინარეობს ეახტანგისეული გამოცემიდან. გარდა ზუსტი ტექსტური დამთხვევისა, აჳსვე მოწმობს ა) თავში დართული ბეჳდის იგავი (იგი აჳც 1712 წლის გამოცემის მსგავსად ნუსხახუტურითაა შესრულებული). ბ) ხელნაწერში გაღმოსულია ეახტანგის გამოცემის თავაჳზულობა და ა. შ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერ კრებულში მოთავსებული ორივე თხზულება ერთი ხელითაა ნაწერი. იხ. ანღერძი გაღაჟწერისა:

„ღავეწერე წიგნი საერო!. ეს სამღთო უკეთესია.

ზოგს ის უყვარს და ზოგს ესა — ამ სოფელს ესე წესია.

რომელს რომელი გენებოს, იკითხეთ ორივე ესია,

1 იგულისხმება „ვეფხისტყაოსანი“.

2 იგულისხმება „წმ. გიორგის ცხოვრება“.

და დამწერს შენდობა მიზძანეთ, თქვენც შეგაწვეათ მესია
კანონად მიჩნდა მსოფლიო მხნეთა ამბავთა წერანი,
ნაშრომთა ჩემთა ნაყოფნი ვპოვე სარგებლად ვერანი
შესაქცევია გულისა, სულსა შევმატე მე რანი?
რას მომეხმარვის ტარიელ, როს ვიქმნა მიწა, მტვერანი...

თ ა ვ დ ე ბ ა :

„წმინდაე გიორგი, მომხედე, შენგან წყალობა-ჩვეულსა!
მ ა ნ ა ნ ა ლ ი რ ს მყავ სუფევას, ეშმაკთგან ნუ მყოფ ძლეულსა!
მიხსენ სატანას ჭელთაგან, ნუ მომცემ ღვთისგან წყეულსა!
უხვად მომფინე წყალობა, ანგელოზთ მიმეც რჩეულსა“.

2. ხელნაწერში არის მინაწერები სხვადასხვა შინაარსისა (მეტწილად
საეტიმოლოგიური), რომლებიც შესრულებულია სხვა ხელით. ასევე 41-ე
გვერდზე მიწერილია ოთხსტრიქონიანი შაირი:

„ხელი შევიქმენ აწ, ხელი! საწერელს ხელი ვახელი.
ვისთვისაც გული ვახელი, ვერ ვიქმენ მისი მნახელი.
მიუვარდა მისი სახელი, ვინ მზედ არს დასასახელი.
ის ჩემი მოსანახველი ნეტამც [ჩემათ] ვახელი“.

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. 1,
1957, გვ. 309—310.

Q—375

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

71 ფ.: 33×21,5-ქაღალდი; უყულო; დაშლილი; მხედრული; დასაწყის-
ები სინგურით; ნაკლული; ქაღალდის ქვარნიშანი — 1841 წ. (13 ფ.);
დაწერილია სხვადასხვა ხელით; (XIX ს. შუა წლები); შემოწერილია
1936 წ. გ. ბანიაშვილისაგან (1r).

ტექსტი იწყება:

რომელმან შექმნა სამყარო... 4r—71v

წყდება:

„ფატმან მოვიდა, ავთანდილ ხმა ესმა მისგან ოხისა,
იტყოდა, მომკლავს, უცილოდ, ტანი ალვისა მოხისა,
გვერდსა დაისვა ბალიშსა, მისცა მისისა ნოხისა,
ვარდის ბალსა უჩრდილობდა ჩრდილი წამწამთა ქოხისა...“

(სტრ. 1260, 1957 წ. გამოც.)

როგორც შესწავლით გაიკრკვა აქ მოთავსებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი ვახტანგისეული რედაქციისა.

შენიშვნა: 1 ტექსტს შიგადაშიგ ბევრი აკლია; 2: ტექსტში მრავალი
გაუმართავი ადგილია; 3. პირველ გვერდზე მიწერილია რამდენიმე ლი-
რიკული ლექსი (1r—2v).

მინაწერი სხვა ხელით: „წელსა ჩუ გარდაცვალება მეფისა ჩვენის
გ ი ო რ გ ი ს ა. თვესა დეკემბერსა კმ დღესასა“ (3r).

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნ. აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. I. 1957.
გვ. 398.

Q—431

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

111+136 ფ.; 32,5×20,5; ქალღვრ.; ქალღვრედაკრული მუყაოს უდა;
ყდამოვარდნილი; დაზიანებულია: ფ. ფ. 1—III, 1, 2; პირველ ფურცელ-
ზე ტექსტი ზოგ ადგილას გადასულია; თავბოლონაკლები; აკლია III ღა
1 ფ. ფ. შორის; ქალღვრე მრავალ ადგილას დალაქავებულია (XIX ს.).

ვეფხისტყაოსანი:

„... მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“... (1r—136v)

წყდება:

„...ტარიელ შექდა მეფისა გამყრელი გამომსალამე“.

(1957 წ. გამოც., სტრ 1576).

ტექსტი მის დევს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტან-
გისეულ გამოცემას, წყდება ჩვენ სტროფზე.

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნ. აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. I. 1957.
გვ. 432.

Q—433

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

200 ფ.; 20,5×16,5; ქალღვრ.; მხედრული; სათაურები და დასაწყისი
ასოები სინგურით; ტყავედაკრული ტვიფრული სის უდა; ზემო უდა მო-
ვარდნილია; ამოვარდნილია ფ. ფ. 1—47, 191—200; ყოველი თავის დასა-
წყისში თავსამკაულები, პრიმიტიული, შავი და წითელი მელნით შეს-
რულებული; XIX ს.; შეფენილია სოფიო ფაღვანთან.

ვეფხისტყაოსნის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბავისა და-
საწყისი საამოდ და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირე-
თასა. ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —
რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ (1r—200r)
პოემა თავდება ტრადიციული სტროფით:

ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ჭონელსა...“ შემდეგ მოდის

ვახტანგის გამოცემის ლექსითი ანდერძი: „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა“...

ვეფხისტყაოსნის ეს ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგის ეულ ნაბეჭდი გამოცემის პირს, მაგრამ ტექსტს არ მოეპოვება: ა. ვახტანგ VI-ის კომენტარები. ბ. თავფურცელის ტექსტი. გ. „გასინჯეთ ბეჭდის იგავი...“ დ. ვახტანგ VI-ის წინასიტყვაობა: „მადიდებელი წმიდისა სამებისა მე გვარტომობით, ძირმოღმობით...“

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნ. აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. 1, 1957, გვ. 433.

Q—484

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1840)

186 ფ.; 33×21; ქალღვანადკრული მუყაოს ყდა; მხეჯრული; დასაწყისი სიტყვები სინგურით; ნაკლული; გადამწერი — ქაიხოსრო დაეთის ძე ხიზანოვი (8r); გადამწერის ადგილი — დედოფლის წყარო და გორი (8r); არის თარიღი (1841 წელი (8r) და 1840 წელი (146r); ვეფხისტყაოსნის გარდა ხელნაწერი შეიცავს „პირიანს“ და „ბარამგულანდამიანს“; ვეფხისტყაოსანი მოთავსებულია 10—146 ფურცლებზე შექმნილია ელისე ჭიჭეიშვილისაგან 1937 წ. (ლანჩხუთში).

ვეფხისტყაოსნის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ამ ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შუჭნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა — ვეფხისტყაოსნად უქმობენ. —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“... (ამას მოსდევს ვახტანგის გამოცემის ლექსითი ანდერძი, რომელიც თავდება სტროფით: „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკოსა უნსა სმულსა...“).

პოემის ტექსტი ხელნაწერში ვახტანგის ეული გამოცემიდან მომდინარეობს, ოღონდ არ მოეპოვება ამავე გამოცემის დანართები (შესავალი — ანდერძი, თარგმანება და ა. შ.).

ახლავს მცირე ლექსიკონი.

შენიშვნა: 146-ე ფურცელზე იკითხება გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა, მკითხველნი; იყვენ სადიდებელად ემანუილისა და უბიწოდ მშობელი-სა. წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი აღიწერა ქაიხოსროვ დაეთის ძე ხიზანოვისაგან ჩემ-სა წელსა, თიბათვის ია-სა დღესა:

„აბა ძმანო და დანო, მკითხველნო ამა წიგნისანო,
იფიქრეთ, თუ ეს სოფელი რა მიუღწობელი ყოფილა.“

დავსწერე და დავასრულე წიგნი ესე სამურია(!)
და გთხოვთ ოდეს იკითხოთ, არ მყოთ თქვენგან დაუეწყარი..“

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. I, 1957, გვ. 444—445.

Q—566

შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი (XIX)

133 ფ.; 33×20,5; ქალაღი (ცისფერი); უყდო; დაზიანებული; მხედ-
რული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ვეირნიშანი, 1815 წ.).

პოემის სათაური და პირველი სტროფი: „შესავალი პირუჭლი
ვეფხისტყაოსნის. ქ. ამბისა ამის დასაწყისი პირველი, ჰამო და სასმე-
ნელად შვენიერი სწავლისათჳს მოშაირეთასა, ტარიელს და ნესტარ(!)
დარეჯანის(!) ვეფხის-ტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა...“

თავდება:

„ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა...“
(1r—114v).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვახ-
ტანგისეული გამოცემიდან.

შენიშვნა: 1. ვეფხისტყაოსანს ერთვის: „თარგმანი პირველი წიგნისა
ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონიშვილის გამგებლის პატრონის ვახ-
ტანგისა, — მე ვსწერ, ძმისწული მეჴის გიორგისა და ძე ლევანისა, გამ-
გებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას...“ 114v—133v (წყდება სიტყვებ-
ზე: „სიკუდილი ყველას ცუდად შეიქსა... რული კაცის გულის სიხარ-
ბეს“); 2. ხელნაწერს ერთვის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ლექსი-
კონი.

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნაწ. აღწერილობა. Q ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 46.

Q—609

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

165 ფ.; 35×21,5 ქალაღი; უყდო; დაშლილ-დალაქავებული; ნაკლუ-
ლა; მხედრული; XIX ს. (ვეირნიშანი: 1846); შექმნილაა ლოლუასაგან.

ტექსტი იწყება სტროფით:

„...ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბე...“

[მო] ბურთალსა მოედანი. მართლად ცემა, მარჯვე ქნე[ვა]...

წყდება 1957 წ. გამოცემის 166მ-ე სტროფზე:

„...და ვის არ შეუცვლის კარგია, ორისავ იყავ მსლებელი“

(1r—152v).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვახტანგის ეული გამოცემიდან, რასაც შეჯერებასთან ერთად ამტკიცებს ვახტანგის თარგმანების ერთი ნწყვეტი, რაც ერთვის პოემის ტექსტს.

შენიშვნა: ვეფხისტყაოსნის კომენტარი — „ვახტანგ ბატონიშვილის თარგმანი, პირველი წიგნისა“ — არის წარმოდგენილი მხოლოდ 42 მუხლამდის, მაგრამ ფურცლების დაკარგვის გამო აკლია განმარტებანი მუხლებისა: ა, ბ, გ, დ, იდ, იე, იზ, იმ, ით, კ, კა კბ, კვ, კდ, კე-ს (დასაწყისი).

ლიტერატურა: 1. ქართ. ხელნაწ. აღწერილობა Q-ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 69.

Q—622

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

153 ფ.: 33.5×20,5: ქალაღი: ჟაგადაკრული ტვიფრული ყდა, მოცილებული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ვერნიშანი: 1832, 1834, 1835).

სათაური და ტექსტის დასაწყისი: „ამა ამბის დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად მშვენიერის სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

(1r—153v)

პოემის ტექსტი თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერში მოთავსებული პოემის ტექსტი მომდინარეობს ვახტანგის გამოცემიდან.

ვეფხისტყაოსანი სრულია. ბოლოს ერთვის აგრეთვე დედნის, ვახტანგის გამოცემის, მესტამბის ბოლოსიტყვაობა ლექსად, რაც წყდება სტროფზე:

... დაესრულა ესე წიგნი ქორანიკონს უნ-სა სმულსა“.

შენიშვნა: ყდის ყუაზე ამობეჭდილია: „ქენინა ნატალია ირაკლის ასული აბაშიძე-მაჩაბლისა, ხოლო ზედა ყდის შუაზე: „ვეფხისტყაოსანი რუსთაველისა“.

ლიტერატურა: ქართ. ხელნაწ. აღწერ. Q ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 77.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

94 ფ.; 19×15,2; ქაღალდი, უყდო, საკმაოდ დაზიანებული და დაშლილი; ხელნაწერს აკლია თავში და ბოლოში. ნაწერია მხედრულით; თავის სათურები და სტროფის დასაწყისები დაწერილია წითელი მელნით. ხელი დაახლოებით XVIII საუკუნისა. მოეპოვება კვირინშიანი.

ხელნაწერში მოთავსებული ნაწყვეტი პომისა იწყება სტროფით:

„...იტყვის, მ მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისა...“
(სტრ. 836; 1957 წ. გამოც.).

წყდება:

„...და აღრე მივიდეს მეფისა სახლად, საყოფად, არებად“
(სტრ. 1939 წ. გამოც.).

აქ მოთავსებული ტექსტი მისდევს ვახტანგისეულ გამოცემას.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 178.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

71 ფ.; 22×17; ქაღალდი: უყდო; მხედრული; თავბოლონაკული; დაზიანებულია ფ. ფ. 62—67; (XX ს.); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადამოსცა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

პომის ტექსტი იწყება სტროფით:

„...ქალი სტირს და ცრემლსა არფქვევს(!), ხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“ (სტრ. 46; 1957 წ. გამოც.).

წყდება:

„კვლავ ერთმანეთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვანები, დასკვენს(!) იგი თათბირს ტარიას განაზრახები...“ (სტრ. 1408, იმავე გამოც.).

აქ მოთავსებული ტექსტი მისდევს ვახტანგისეულ გამოცემას.

შენიშვნა: თავფურცელზე წერია: „ვეფხისტყაოსანი, ხელნაწერი მესხეთიდან. დაწერილია მაისურაძის პაპის პაპის მიერ სოფ. მუსხხუი“.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 188.

Q—734—1

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

219 ფ.; 31X205; ქალაღი მოღურჯო და თეთრი ფერისა; კოღენ-კორგადაკრული მუყაოს ყდა; ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს; ვეფხისტყაოსანს უკირავს 1—165 ფურცლები (იგა ნაწერია მხედრულით მოღურჯო ქალაღდზე), ხელნაწერის შემდეგი ნაწილი უკირავს „გრამატიკას“; დაუწერელია 166—171 ფურცლები. მოღურჯო ქალაღდს მოეპოვება თარიღიანი კვირინიშანი — 1819 წ. ხელნაწერში ტექსტი ბოღონაკულია; ყოველი თავის დასაწყისი შემკულია თავსამკაულებით; ეს ხელნაწერი მუზეუმს (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტს) გაღმოეყა რუსთაველის სახეღობის ლიტერატურის ინსტიტუტიდან.

პოემა აქ იწყეება პირველი ტრადიციული სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

წყდება ეპიღოგის სტროფით:

„ამირან-ღარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“, რომელსაც ერთვის ვახტანგ VI კომენტარები. მკირე ლექსიკონი.

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცეშიდან.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 189.

Q—780—1

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

191 ფ.; 35X22; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ბოღონაკული, დაშლიღი, ნაწერია მხედრულით, სათაურები სინგურით (XIX საუკ.); დაუწერელია 179v—180r; ხელნაწერი შეიყავს კრებულს. ვეფხისტყაოსანი მოთავსებულია 1—172 ფურცელზე (შემდეგ ამას მოსდევს ნაწყვეტი რუსუღანიანიდან); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტს) გაღმოეყა რუსთაველის სახეღობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ამბის დასაწყისი პირველი, ამოღა სასმენელად მშვენიერის სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-ღარეჯანისა. ვეფხისტყავოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

(1r—172v)

კრებულში მოთავსებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან. პოემის ტექსტს აქ 1712 წლის გამოცემის მსგავსად ერთვის ვახტანგის მიერ შესრულებული კომენტარებიც (რომლებიც წყდება 305 ტაგის განმარტებაზე).

შენიშვნა: ყდაზე არის ზოგი გვიანდელი მინაწერიც.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. II. 1958, გვ. 222.

Q—797

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

85 ფ.; 34,5×22; ქალღლი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; თავბოლონაკლული; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურითა ნაწერი (XIX ს.).

ტექსტი იწყება: „რა მოგშორდე, მახსენებდე. სიყვარული ჩემი გქონდეს, არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს...“
(1r—61r).

ხელნაწერის ტექსტი მისდევს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ტექსტს.

შენიშვნა: 1. ტექსტს დასაწყისში აკლია სტროფები: ა-ლოდ (1—774). 2. დართული აქვს: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის (61v—85v) წყდება ტპზ (387) სტროფის განმარტებაზე.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. II. 1958, გვ. 227—228.

Q—798

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1842)

184 ფ.; 35×22; ქალღლი; ტყავგადაკრული მუყაოს დაზიანებული ყდა; მხედრული; სათაურები და ყოველი სტროფის პირველი სიტყვა სინგურიით; გადამწერი ეფემია სვიმონის ასული ჯავახოვი (184v); 1842 წ. (საცავი ფურცლის r).

სათაური და დასაწყისი: „ქ. ამ ანბის დასაწყისი პირველი ამოდ მშვენიერისსა და ნესტან-დარეჯნისა ვეფხვისტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა... 1r—184v.

ტექსტი მისდევს ვახტანგ-სეულ „ვეფხისტყაოსანს“.

შენიშვნა: პოემის ტექსტს, რომელიც 17:2 წლის გამოცემიდან მონაწილეობს, ვახტანგ VI-ის კომენტარები არა აქვს დართული.
ანდერძი: 1.

„ამა სოფლისა სიმკნე-სიმდიდრე იმ სოფელს არ საქებელი, ინდოთ და არაბთ მეფეთა ანბავთა შესაგებელი, ჭავჭავიძის ქალმა აღეწერე სულისა არ მარგებელი, და მკითხველნი, ღმერთსა მიიხივე კეთილი მისაგებელი. თამარ მეფისა ბრძანებით შეთხზული რუსთველი(!) ენითა, ვახტანგ მეფისა დროს ბეჭდული მესტანზე მიქაელითა, მჰანამა(!) ეპოვე ნიშანი, მეც დავეყერ ჩემი ქელითა, და ვინც რომ იკითხოთ, შექცეთ(!) სიტყვათა მოსმენითა. ვეფხისტყაოსნად ხმობილი ამბავი სამთა გმირისა, შესწმა ლომთა და მნათობთა და გარდახდომა ქირისა, რუსთველისაგან ნათქვამი ქება ბროლთა მკირისა და მკითხველო, ღმერთსა მიმადლე კეთილი მისაგებელი“ (184V).

2. „აღიწერა წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი კეთილშობილის სვიმან ჭავჭავიძის ასულის ეფემიასაგან მიერ(!) წელსა ჩემსსა, მარიამობისთვის ვ-სა დღესა“ (საცავი ფურცელი 1).

მინაწერი: „წიგნი ეკუთვნის რომან ანტონის ძე ჩუბინიშვილს (საცავი ფურცლის 1).

3. ხელნაწერში არის რამდენიმე ჩანართი ვრცელი რედაქციიდან 2¹, 2²), რომლებიც ასევე მოხვედრილა სხვა მოკლე რედაქციის შემცველ ნუსხებში. მაგალით. H—925 და სხვ.

ლიტერატურა: 1 ქართ. ხელნაწ. აღწერ. Q ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 288.

Q—1146

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1828)

8 ფ.: 34×21; ქაღალდი (ღურჯი ფერისა); ყდა ახლად გადაკრული მუყაოსი; ნაწერია მხედრულით; წარმოადგენს კრებულს; პირველი სამი გვერდი უქირავს ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტს (18 სტროფი პოემის პროლოგიდან); ვეფხისტყაოსნის ეს ფრაგმენტი ნაწერია ჩვეულებრივი წესით: დასაწყისი სტროფებისა სინგურით. ხელნაწერის დანარჩენი ნაწილი უკავია ცნობილ ლექსს „ქალი“ („კარგ ქალს ვინ ღირსა...“), ნაწყვეტი კარაბაღინის ტიპის თხზულებიდან, სხვადასხვა სენტენციები და ა. შ. აქვე თარიღი 1823 წელი (3v).

სათაური და დასაწყისი: „ქ. ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შვენიერი ტარიელს და ნესტანდარეჯან ვეფხისტყაოსნობით უხმობენ.

„რომელმან შექმნა სამყარო...“

წყდება:

„თვალთა მისგან უნათლოთა...“ (1957 წ. გამოცემის სტრ. 10).

ეს ფრაგმენტი ზუსტად მისდევს ვახტანგისეული გამოცემის პროლოგს.

Q—1210

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1831)

123 ფ.; 33,5×20; ქალაღი; მოკვიტალო ფერისა; მუყაოს ყდა; აქვს კვირნიშანი (გვირგვინზე ჩამოკიდებულია ჭვარი); სატურები და სტროფის დასაწყისები წითლურით; გადაწერილია 1831 წ. (108რ).

სათურები და დასაწყისი: „ამა ამბის დასაწყისი პირუჭლი; ამო და სასმენელად შუჭნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ:

„რომელმან შექმნა სამყარო...“

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია...“

ხელნაწერში ამას მოსდევს ვახტანგისეული გამოცემის ანდერძი: „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა...“ (108რ) და ნაწყვეტი ვახტანგის თარგმანიდან.

ხელნაწერი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარე ტექსტს.

შენიშვნა: პოემის ტექსტის ბოლოში არის მინაწერი: „აღიწერა ჩყლასა წელსა (1831 წ.) იანვრის ლსა დღესა (გადაწერისავე ხელი უნდა იყოს).“

Q—1321

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. დასაწყისი)

169 ფ.; 31×20; ქალაღი (აქედან 157 ფ. თერთია, ხოლო დანარჩენი მოლურჯო ფერისა); ყდა ტყავადაკრული მუყაო; ტეიფრული და მოვარაყებული; ორივე ფერის ქალაღს მოეპოვება კვირნიშნები (ლურჯზე შეინიშნება თარიღი — 1807 წ.); ხელნაწერი ბოლონაკლულია (წყდება 1712 წლის გამოცემაში მოთავსებულ კომენტარების ჩტმ სტროფზე), ნაწერია მხედრულით; ხელნაწერი მე-19 საუკუნის ათიანი წლების მიწერულს უნდა იყოს შესრულებული.

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შვე- 7. ს. ცაიშვილი

ნიერი სწავლისათვის მოშარეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა... (1r)

პოემა თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (136v)

ამას მოსდევს ორსტროფიანი ლექსითი ანდერძი 1712 წლის გამოცემიდან: „აწ დაიბეჭდა სტამბაში...“ და „დაესრულა ესე წიგნი...“; ხოლო შემდეგ 136-ე ფურცლიდან იწყება იმავე 1712 წლის გამოცემის კომენტარები: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა თქმული ბატონისშვილის გამგებლის პატრონის ვახტანგის... და ა. შ.

შესწავლით ირკვევა, რომ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობდა.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის აწიებზე, აგრეთვე ბოლო ფურცელზე არას გვიანდელი მინაწერები, რომელთაც ტექსტთან კავშირი არა აქვთ.

Q—1369

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1839)

259 ფ.: 21×17; ქალღღი: ტყავადაკრული მუყაოს ყვავა; მხედრული: ქალღღის აქვს შტეშველი ჭვარწინის ნაცვლად (ეს შედარებით ახალი მოვლენაა); ხელნაწერი დაუზიანებლად არის მოღწეული (ოღონდ დედანი ბოლოში დეფექტური ჰქონია, ამიტომ ჩუზ სტროფზე წყდება ვახტანგის კომენტარები); გადაწერილი სიმონ მიქიევი, გადაწერილია 1839 წელს (255v).

ხელნაწერში მოთავსებულია ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ამა ამბის დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოშარეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს(!) ვეფხისტყაოსნით უხმობენ:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ (1r)

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (206v)

ამას მოსდევს ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის ორსტროფიანი ლექსითი ანდერძი: „აწ დაიბეჭდა სტამბაში...“ და „დაესრულა ესე წიგნი...“; ხოლო შემდეგ ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კომენტარები, რომელიც წყდება ჩუზ სტროფის განმარტებაზე, ბოლოში კი ტექსტს დართული აქვს სარჩევი.

შესწავლით ირკვევა, რომ ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეულ რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ანდერძი გადამწერისა: „მწერლობითი სემინარიის მოწაფის სიმონ მიქიევისაგან: კეთილ მოღრეკილნო მკითხველნო! თუ შეეცდომა რაამე იხილოთ ნუ შეუტრიაცყოფთ, არამედ გამოუცდებლობასა ჩემსა შეუნდეთ: ჩულოთ-სა (1839) წელსა. მაისის ვ-სა (6) დღესა“ (255); 2. ხელნაწერს მოეპოვება გვიანდელი ხანის მინაწერებიც. მაგალით. ყდაზე. სატრეტულე ფურცლებზე და ა. შ.

H—167

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. დასაწყისი)

115 ფ.; 34,2×21,5; მულერჯო ქალაღი; ტყავგადაკრული ხის გრტეხილი და მოცილებული ყდა; დაშლილი; დაზიანებული; ნაკულუ (აკლია შიგადაშიგ); მხედრული (სათურები სინგურიო); XIX ს. (კვირნიშანი: 1802). მოეპოვება გვიანდელი მინაწერები. 112v, 113v, 114v, 115r-v.

ი წ ყ ე ბ ა სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...

(1r—114r)

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემის ტიპის მოკლე რედაქციიდან, იმეორებს ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

ლიტერატურა: H ფონდის აღწერილობა. ტ. I, 1946 წ. გვ. 116.

H—248

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით T¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

35 ფ.; 22×17; კოლენჯორგადაკრული ახალი ყდა; ქალაღი (ცისფერა); ხელნაწერის მხოლოდ თავია შენახული; ნაწერია მხედრულით (ზოგი სტროფის დასაწყისი სინგურიო); ხელისა და ქალაღის მიხედვით ხელნაწერი XIX საუკუნე. უნდა იყოს: დაუწერელია 3v. შეიცავს 443 სტროფს; საცემო შემოსულა 1911 წელს.

ი წ ყ ე ბ ა: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...

(1 r).

წ ყ დ ე ბ ა: „ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარე შიგან ბაღი“...

(35v; სტროფი 397, 1957 წ. გამოც.).

ხელნაწერი როგორც პროლოგი. ისე შუა მონაკვეთით (რაც გადარჩენილია) ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარეობს. მაგალით. პროლოგი მთლიანად ემთხვევა 1712 წლის გამოცემის მოცულობასა და თანამიმდევრობას. ასევე ემთხვევა შუა მონაკვეთი. მაგალით. აქაც ვახტანგის გამოცემის მსგავსად არ არის სტროფები 301, 302, 323, 373 და 415

(1957 წ. გამოცემის მიხედვით). მათ სიახლოვეზე მიუთითებს ის, რომ H—248 ხელნაწერში გადმოსულია 1712 წლის სპეციფიკური წაკითხვები და ზოგჯერ კორექტურული ცომილებანიც კი (მაგალით. შდრ. სტრ. 167, 175, 1957 წ. გამოცემისა).

მე-19 საუკუნის სხვა ხელნაწერთა მსგავსად აქ ვახტანგისეული რედაქციის გარდა წყაროდ გამოუყენებიათ ერთი ხელნაწერები (H—757 და H—54 ტიპისა) და იქიდან შემოუტანიათ რამდენიმე ჩანართი (მაგალით. ერთელი გამოცემის 50, 60, 69, 93, 124, 166, 171, 197 სტროფები).

ამდენად ხელნაწერი H—248 ამოღებულ უნდა იქნეს 47 მნიშვნელოვანი ხელნაწერის სიიდან, რომელთაც ლიტერატურის ინსტიტუტში გაუქვლად ვარიანტები (იხ. „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, ტ. I, 1960).

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, 1946, ტ. I, გვ. 177; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 320; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 91.

H—288

შოთა რუსთაველა, ვეფხისტყაოსანი (1820)

106 ფ.; 31.6×20.4; ქაღალდი; მუყაოს გაცვეთილი ყდა (ყდა და წინა ფურცლები ქიისაგან არის დაზიანებული); სრული; მხედრული (სათაურები სინგური). ზოგან ახლავს თავბოლოკაზმულობანი; 1829 წ. (104r-v). გადამწერი — დიაროქი ზაქარია გაგვნივი (104r-v).

იწყება: „ამ ამბისა დასაწყისი პირველი, ამოდ სასმენელად მშვენიერი, ჰსწავლისათვს მოშაირეთასა, ტარიელის და ნესტან-დარეჯანისა, ვეფხისტყაოსნობით — რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“ 3r—104r.

ანდერძი: 1. „განსრულა, დიდება ღმერთსა, ამბავი ესე სამთა მეფეთა. რომელ არს ვეფხისტყაოსანი, კელითა დიაროქი ზაქარია გაგვნივისათა. ჩყეთ-ს წელსა ივლისის ი-ს“ (104r). 2. „ყოველნი მკითხველნი, ამა ვეფხისტყაოსნისანო. თუმცა შეეცდომა რამე იხილოთ, ზოგი დედნის ბრალი არს და ზოგი ჩემი, ამ მწერლისა, ამისთვის რომელ ჩქარა ვსწერდი, არც მელანი ვარგოდა და შეათაც მინდოდა. შეცდომისათვის ნუ მწყვეთ, არამედ ლოკუ მომიხსენებდეთ, რათა თქვენცა მოგეტყვენეს შეცდომანი თქსნი. ჩყეთ-სა წელსა, ივლისის ი-სა, დიაროქი ზაქარია გაგვნივი“ (104v).

შენიშვნა: თავი და ბოლო საფარველი ფურცლებითაა დაფარული (!—2: 105—106). რომელზეც იკითხება რაღაც პოეტური ტექსტი.

ხელნაწერს ერთვის აგრეთვე ნაწყვეტები ელისაბედ რუსიევისა (იქვე ეკვანს მარიამიტურთ ეტრფილება დარია“...) და თავად სიმონ მაყაევის („ესრეთ შვენის შვილთა მსხმელსა...“) ლექსებიდან.

ხელნაწერი გადმოწერილია ეხსტანგისეული გაშოცემის მსგავს მოკლე რედაქციიდან, ძირითადად იმეორებს ამ გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი, ტ. I, 1946, გვ. 213.

H—408

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

226 ფ.; 38X20,3; მეყაოს ყდა; სრული; მხედრული (სათაურები სინგურით); ხელნაწერი ილუსტრირებულა, შოეპოვება თაეზოლო კაზმელო-ბანიც; XIX ს. დასაწყისი. გადამწერი ჩარკეიანი მანოელ (გვ. 449); დაუწერელია გვ. 5—8, 450—452.

სათაური და დასაწყისი: „ამა ამზის დასაწყისი, პირუჭლი, ამო და სასმენლად უშენიერი სწავლისათჳს მოშარეთანსა, ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“

(9—365 გვ.).

შენიშვნა: უძღვის: ა) თაეფერცელი „ვეფხისტყაოსანი, აწ ახალ დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა ენასა მადლებელსა საქართუშლოს მყარობელისათა უფლისა უფლისა ეხსტანგისა. შრომოთ [და] წარსაგებულთა მისიეე მყარობელისათა, გამართა კელთა კელმწიფის კარის დეკანოხის შვლის მიქელისათა, ქალქსა ტფალისს, ქრისტესს აქეთ ათას შიოდას და თორმეტსა, დასაბამიდგან ეიღრე აქმდე შევილითან ორას ოცსა“ (გვ. 1); ბ) „ბეჭდის იგავი“ — „განჩეუთ ბეჭდის იგავი. მჰსმენელურ ნუ გაქუსთ წყინება...“ (გვ. 2—4).

ერთვის: ა) თარგმანი პირველი წიგნისა ამო ვეფხისტყაოსნისა, თქული (!) ბატონისშვილის გამგებელს პატრონის ეხსტანგისა. — მე ვსწერ ძმისწული მეფის გიორგისა და ჭე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ეხსტანგ წიგნსა ამას...“ (366—365); ბ) თარგმანი პირველი წიგნისა ამის. — რომელმან შექმნა ლთინ შექმნა ქეშყანა. ქეშყანასა მისცა ძალი თვისილია ძლიერებით...“ (გვ. 369—449).

ანდერძი: „მანოელ ჩარკეიანის მიერ აღწერილი. სტანჰს-ვეფხისტყაოსნიდამ გარდმოწერილი უმეტაეკლებოე. ჩაეითხეულა ჯა გამართულია იელისის ით, წელსა ჩყიშ, დაეით რექტორი“ (გვ. 449).

როგორც ანდერძიდანვე ჩანს, ხელნაწერი მოდის უშუალოდ ეახსტანგისეული გამოცემიდან, ოღონდ ზოგჯერ შეცვლილია ორიოგრაფიულად, როგორც ამავე ანდერძიდან ჩანს, დაეით რექტორის მიერ. როგორც ცნობილია, დაეით რექტორმა ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ორიოგრაფიით გამართა მე-19 საუკუნის რამდენიმე ხელნაწერი.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II-ფონდი, ტ. I, 1946, გვ. 303.

H—455

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

156 ფ.; 20,6×17; ქალაღი; უყდო; დაშლიდი; ნაკლედი (ხელნაწერს აკლია ფურცლები: უკ. უკა; ჩტლე-ჩტნე სტროფთა შემტველი). მხედრული (სათაურები სინგურით). მე-19 საუკ. ხელი.

იწყება:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...(1r)

წყდება:

„... და ხვალე შეგყრი ლომო მზესა, თავი მისკენ არე მარე
(158v).

გადმოწერილია ვახტანგისეული რედაქციის შემტველი დედნიდან, ენობრივადც ამავე გამოცემის თავისებურებებს შეიცავს (ხელნაწერი შეიცავს 1957 წ. გამოცემის 1—1532 სტროფებს).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი, ტ. I, 1946, გვ. 33.

H—741

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი ნახევარი)

155 ფ., 32×21; მოლურჯო ქალაღი; უყდო; დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (კვირნიშანი 1821); შემოწირულია თებრონია იორამის ასულ თარხნიშვილისაგან.

სათაური და დასაწყისი: „იმა ანზის დასაწყისი პირველი, ამოდ სასმენელად შეენიერი, სწავლისათვის მოშაირეთა, ტარიელას და ნესტან-დარეჯანის ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა...“

1r—155r

მინაწერი: „კნიაჟნა თებრონია იორამის ასული თარხან-მოურავი
(1r)

ხელნაწერი მამლინარეობს ვახტანგისეული გამოცემის ტიპის რედაქციიდან, შეიცავს ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II-ფონდი, ტ. II, 1951, გვ. 133.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1869)

99 ფ.; 33,5×20; ქალღი; მუყაოს ყდა; მხეურელი; 1869 წ. (99v);
ფ. ფ. 15 და 26 ამოვარდნილია; შემოწირულია მარიამ გიორგის ასულ
თარხნიშვილისაგან.

დასაწყისი:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყენა ზეციით მონაბერითა...“

(1r—99v)

ანდერძი: „წელსა ჩყმათ, მარტის კმ“ (99v)

მინაწერი: „გიორგი თარხანოვი გარდაიცვალა ჩუბგ წელსა,
იანვრის მ“ (99v)

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემის
ტიპის რედაქციოდან, შეიცავს მსგავს ენობრივ თავისებურე-
ბებს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. II,
1951, გვ. 135.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

36 ფ.; 34×22; ქალღი, უყდო; თავბოლონაკლელი; დაზიანებული
(პირველსა და მეორე ფურცელს მარჯვენა კუთხე მოხეული აქვს. ფ. 23-ის
ტექსტის ნახევარი ჩამოჭრილია სიგრძეზე, ფურცლები ამოჭრილია შიგა-
დაშიგაც); მხედრული („დედაბრული“ ხელით; დასაწყისში სათაურები სინ-
გურით, შემდეგ — ფანქრით); XIX ს.; შემოწირულია მაგდანა ზურაბის
ასულ იმედაშვილისაგან.

იწყება:

„...არის(!) პირველი მიჯნურობა არ დაჩნევს(!) ჳირთა მალვა,
თავისწინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჳონდეს ხალვა...“ (2r—36)

წყდება:

„...ავთანდილს უსამ მოართვა ვაჳართა შემოთვლილობა:

შენგან ვართ გამაგრებული, ჩვენ ვიცით ჩვენი ფლილობა“...

(სტრ. 1054, 1957 წ. გამოც.).

მონაწერები: ა. „ესე ვეფხისტყაოსანი კნენინა მართასი არის,
სალხინოდ მოხმარდეს“ (გარეკანზე). ბ. „მაგდან იმედაშვილისა“ (27r).

ხელნაწერი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან (ან ამ გამოცემის პირიდან), ენობრივად მსგავს თავისებურებებს შეიცავს. ძალზე ახლოსაა H—2930 და პროლოგში აქაც არას ჩანართი: „ხარ თმათა მისთა სადარო, სურნელებისა იაო... (11!, ვრცელი გამოცემით).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. I, 1951, გვ. 134.

H—025

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

99 ფ.: 33X21; ქაღალდი; უყდო; დაშლალი; დაზიანებული; თავბოლო-ნაკლული (აკლია შიგადაშიგაც); მხედრული (სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); [XVIII ს.]; შემოწირულია ვასილ კარბელაშვილის მიერ.

იწყება:

„...[ვთქვა] მიჯნურობა პირველი დ[ა] ტომი გვართა ზენასა, ძნელათ სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენისა(!)...“

(1957 წ. გამოც. სტრ. 20).

წყდება:

„...ქვერეტა ახელებს მკვერტელთა, ყოფაქცევისა და ზმისა, დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა, ბრძნად ნაკმაზისა“...

(იმავე გამოცემით, სტრ. 1519).

ხელნაწერში თუმცა არის რამდენიმე ჩანართი (მაგალით. 2¹, 2² — იხ. ვრცელი გამოცემა). მაგრამ სხვა ნიშნებით (შედგენილობა, სტროფთა თანამიმდევრობა, ენობრივი მონაცემები) იგი ვახტანგისეული გამოცემის გავლენით არის შექმნილი. ამდენად არ არის ზუსტი H-ფონდის აღწერილობაში (ტ. II) წარმოდგენილი დახასიათება. შდრ. Q-798 ხელნაწერს, სადაც ასეთივე ვითარებაა.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. II, 1951, გვ. 293.

H—037

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

98 ფ.: 34X21,5; მოლურჯო და თეთრი ქაღალდი; უყდო; ნაკლული; დაზიანებული (დასაწყისში 7 და ბოლოში 3 ფურცელი სინესტიკანა დაზიანებული); მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. შექმნილია გრიგოლ დიდებულისაგან.

იწყება: „...[აწ] რაცა გითხრა, თუ ამ[ა] საქმეს[ა] დამ[მორჩილ-
დები], რასაცა ეძებ მიხვდები, უცილოთ არ ასცილ[დები]...“ (სტროფი
254, ვეფხისტყაოსანი, 1957 წლის გამოცემა — 1r—98r).

წყდება: „...რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა,
დადრკა მდაბლად ეთაყვანა. პირსა ზედან დაეფინა...“ (იგივე გამოცე-
მა, სტროფი 1528).

შეკერებით ირკვევა, რომ ტექსტი ვახტანგისეული რედაქ-
ციის გავლენას ატარებს, როგორც შედგენილობის, ისე ენობ-
რივი მონაცემებით.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1951,
გვ. 311.

H—064/ა; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით B¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

12 ფ.; 34×22; ახლად კოლენკორგადაკრული მეყაოს ყდით: ქალა-
ლი; კვირინიშანი თითქოს 1787 წელი(?); შეიცავს 148 სტროფს; შემოსუ-
ლია ნინო კლიმენტის ასულ ბოლგარსისაგან 1913 წელს.

იწყება 1957 წლის გამოცემის 90-ე სტროფით:

„...რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა...“ (1r)

წყდება იმავე გამოცემის 375-ე სტროფზე:

„...ეზომს დიდის შემართება გულსა მისსა უთნევია...“ (12v).

ხელნაწერის დეტალურმა შესწავლამ გაარკვია, რომ ეს ნუსხა შეც-
დომითაა შეტანილი 47 მნიშვნელოვან ხელნაწერში, რომელთაც გაუეთ-
და ვარიანტები (იხ. ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ვა-
რიანტებას“ პირველი ტომი) რვი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქაც არ
არის 1957 წ. გამოცემის სტროფები: „აწ, ესე მივირს რა იყო...“ (111).
„ქალმან უბრძანა ზარი მღევს...“ (125), „მოუკლივარ თანათინის სურ-
ვილსა...“ (152), „ასმათ უთხრა, ლომო...“ (301), „შევეწევიოდა: ლამო-
და...“ (302), „წიგნი წიგნსა ეწეოდა...“ (323), „შევე დავქე ტახტსა...“
(373). რაც ვახტანგისეული გამოცემის სპეციფიკაა და არის მე-17 საუ-
კუნის ხელნაწერებში. ხელნაწერი ასევე იმეორებს ვახტანგის გამოცემის
თავისებურ წაკითხვებსაც (იხ. ვარიანტების გამოცემის, პირველი ტომი).

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი,
ტ. II, 1951, გვ. 329; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელ-
ნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 316; 3. ს. ცაიშვილი,
ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 89.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

9 ფ.; 34×22; ქალღი: უცდო; დაშლალა; ნაკლული; მხედრული; XIX ს. (კვირნიშანი 1837 წ.). მე-9 ფურცელი დაუწერელია; შემოწირულია ნინო ბოლგარსკის მიერ.

იწყება: „წიგნი ვეფხისტყაოსანისა. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყენა ზეციით მონაბერითა...“ (1r)

წყდება 1957 წ. გამოცემის 91-ე სტროფზე:

„... უბრძანა: კელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე...“

და მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მდგომარე“... (8v).

ხელნაწერი მისდევს ვახტანგისეულ გამოცემას და იმავე თავისებურებით ხასიათდება.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. II, 1951, გვ. 329.

Н—1090

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

116 ფ.; 33×21; ქალღი: ტყავადარული მუყაოს ყდა (მოცილებული; 5, 110—116 ფ.ფ. ამოვარდნილი; 1, 4, 5, 14 ფ.ფ. დახეული); მხედრული (სათაურები და ყოველი სტროფის პირველი სიტყვა — სინგურით); მე-19 ს. კვირნიშანი 1829 (7 ფ.). ნაყილია 1914 წ.

სათაური: „ამა ჰამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შეუზნიერი, სწავლისათვის მოშაირეთასა, რომელნიცა უქმობენ ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით“.

პოემა იწყება:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ (1r)

წყდება:

„ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა;

იგი ორნივე გაყრისა დაწვა ცეცხლისა ალამა;

სრულად ჰინდონი მისტირან. ცრემლმან მინდორ[ი] დალამა:

და ავთანდილ იტყვის: „მამკლავო სოფლისა მე სამსალამა“

(1660-ე სტრ. 1957 წლის გამოცემით)

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული ტიპის მოკლე რედაქციიდან, იმეორებს ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს. ტექსტი წყდება ვახტანგის გამოცემის ჩვეულებრივ სტროფზე.

შენიშვნა: ხელნაწერი ატარებულია მინაწერებით ყდაზე და შუა ფურცლებზე (იხ. 1r, 8r, 10r, 14r, 66v, 67i-v, 68r, 104r, 105r, 107v, 111r, 116r. ბოლო ფურცელზე მიწერილია აგრეთვე გამოცანები).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1948, გვ. 76—77.

H—1128

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

333 გვ. (167 ფ.) 21,7×17,5; ქაღალდი; უყდო (დაშლილი, 331—333 გვ. დაფურცლული, დახეული); მხედრული (სათაური სინგური); მე-19 საუკ.

სათაური: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად მშუჭნიერის(!) სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელის და ნესტან-დარეჯანის(!) ვეფხისტყაოსნობით უხმობენ“ (გვ. 1—333).

პოემა იწყება:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...

თავდება:

ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა.

აბდულმესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,

დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას, ენადაუშრომელსა.

და ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლმშეუშრობელსა“.

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემის მოკლე ტიპის რედაქციიდან, იმეორებს ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

ხელნაწერს არ ახლავს ვახტანგის გამოცემის ანდერძი, კომენტარები და ა. შ.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1948, გვ. 110—111.

H—1270

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

88 ფ.; 34×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა ხისა (გატეხილი, მოცილებული, ფ.ფ. დალაქავებული; კიდევამდებოხელი: 1 ფ.

დარჩენილია პატარა ნაფლეთის სახით, 5, 69, 70, 71, 84—88); თავმო-
ლონაკული; მხედრული; (სათაურები სინგურით); მე-19 ს. შემოწირუ-
ლია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

პოემის ტექსტი იწყება:

.....მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი...“

(სტრ. 52,1)

წყდება:

„როსტევეანისთვის წატანა(!) ძღვნად ტურფები ჯუბაჩები.

კვლავ კურკელი თვალთა თლილთა, არ კოვსები, არ ჯამები(!)...“

(სტრ. 1658; 1957 წ. გამოც.)

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემის მოკლე ტიპის რედაქციიდან, იმეორებს ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. III, 1948, გვ. 211.

H—1280

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

109 ფ.; 33×20: ქალალი (ლურჯი); მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; მე-19 ს. კვირნიშანი 1822 (24 ფ.) შემოწირულია ექვთ. თაყაიშვილისაგან 1916 წ.

სათაური: „[ამა] ამბისა დასაწყისი პირველი ამო და ამო სასმენელად შვენიერი სწავლისათვის, რომელნიცა უხმობენ ტარიელსა და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით“.

პოემა იწყება:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერიითა...“ (1r)

წყდება:

„... და ტარიელ, მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-

შეურომელსა“

(სტრ. 1669; 1957 წ. გამოც.)

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემის ტიპის მოკლე რედაქციიდან, იმეორებს ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

ხელნაწერს ახლავს მინაწერები, ზოგი მათგანი ვეფხისტყაოსნის სტროფებს წარმოადგენს, ხოლო ბოლოში მიწერილია ცნობილი ხალხური ლექსი, რომელიც გოდერძი ფირალიშვილს მიეწერება: „აღსდევ გმირთ-გმირო“...

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. III, 1948, გვ. 211.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი ნახევარი)

116 ფ.; 33,5×22; ქალაღი. მოღერჯო ფერისა; უყდო; მხედრული; დასაწყისები სინგურით; ქალაღი დაზიანებულა (ციღეები შემოკვეთილი); ბოღონაკლული, აკლია შიგადაშიგ; კვირინიშანი 1814 (1 ფ.); XIX ს.

სათაური: „ქ. ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა(!) ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ვეფხვის ტყაოსნობით უხმობენ“ (1r).

პოემა იწყება:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...

პოემას ერთვის ვახტანგ VI-ის კომენტარები, რომელიც წყდება ყკზ — სტროფზე (116v).

ხელნაწერი მომღინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან და იმეორებს ამ გამოცემის თავისებურებებს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. H-ფონდი, ტ. IV, 1950, გვ. 188—189.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

10 ფ.; 22,5×17. უყდო, ნაწყვეტი; დაზიანებული. მხედრული (XIX ს.); ნაწერია უღამაზო ხელათ; ბოლო ფურცლის ნაწილი მოხეულია.

იწყება:

„... და რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უყამობა“ (1095)

წყდება:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი...

[გაღ]ანამცა მას იახლე მისი ეტლი, არ თუ წბილი“. (1256).

გადარჩენილია მხოლოდ 1095—1256 სტროფები (შდრ. 1957 წ. ვა-მოცემას); ტექსტი მისღევს ვახტანგისეულ გამოცემას.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. V, 1949, გვ. 30.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი ნახევარი)

197 ფ.; 31X19; ქალაღი, სხეადასხვა ჟერისა; ტყავადაკრული ტყიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურიით (XIX ს.); კვირინშანი 1820 წ. გადამწერი: ნიკოლოზ (4r—v); ილუსტრაციები (ყდად შესრულებული): 2v, 6v, 8r-v, 86v თავბოლო სამყაულები: 3r-v 5r; 6r; 7r-v; 9r-v.

სათაური: „პირველ თავი, დასაწყისი წიგნისა ვეფხის ტყაოსნად წოდებულისა. მოთხრობა ძველთა ისტორიათა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ლექსად თხზული ამო და სარგებელი სწავლისათჳს მოშაირეთასა“. — „რომელმან შექმნა“... (5r—197v).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარეობს. (H-ფონდის V ტომის აღწერილობაში ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი შეედომით ვრცელ რედაქციადაა ნაჩვენები).

ტექსტს ხელნაწერში წინ ერთვას რამდენიმე ლექსი. როგორც ჩანს თვით გადამწერის შეთხზული (ერთ სტროფში ძალზე უხეშად იხსენიებს რუსთველს)¹ და აკროსტიხი, რომლის კიდურწარწერილობა გვაუწყებს: „ბრწყინვალე კენინა ელენას“.

საცავ ფურცელზე მინაწერები, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ეკუთვნის კენინა ნინო ივანეს ასულ ყარალოვისას. ეს წიგნი შეიცავს თავიდან ორას ფოთოლს“.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. V, 1949 წ. გვ. 31.

H—2823

შოთა რუსთაველი; ვეფხისტყაოსანი (1806)

197 ფ.; 31X30; ქალაღი; მხედრული, სათაურები სინგურიით; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; გადამწერი ონოფრე; 1806 წ. (197v).

სათაური: „ვეფხისტყაოსანი — ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენლად შეენიერის სწავლისათჳს მოშარეთასა(!). ტარიელს და ნესტან დარეჯანსა. ვეფხისტყაოსნობით უხმობენ“.

იწყება: „რომელმან შექმნა სამყარო..“ (1r—237v).

ხელნაწერი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემის ტიპის მოკლე რედაქციიდან, იმეორებს, ამავე გამოცემის ენობრივ თავისებურებებს.

¹ ეს სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით: „რუსთველო ახ, თუ დრო გაქვს“... არის აგრეთვე ხელნაწერ A—530-ში.

შენიშვნა: ერთვის ორსტროფიანი ანდერძი, სადაც ნათქვამია, რომ ეორონეიდან საქართველოში ჩამოსული ონოფრე კანდელაკია ვაღაშყერი და ხელნაწერი მიუერთებულა ანდრია ალექსისძისათვის (237v).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. V, 1949, გვ. 223.

H—2850

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX საუკ. პირველი ნახევარი)

275 ფ.: 31×20; მხედრული; მუყაოს ყდა (XIX); კვირნიშანი 1617 წ.

სათაური: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტარ(!) დარეჯანისა ვეფხის ტყაოსნისაგან“.

პოემა იწყება: „რომელმან შექმნა სამყარო“... (გვ. 1).

ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან, ერთვის ამავე გამოცემის ანდერძებიც.

წიგნში ჩაყვრებულია სხვადასხვა ფურცლები (მაგალ. 273-ე გვერდზე „საქართველოს გაზეთის“ № 36, 18:9 წლის ნოემბრის 7) და მინაწერებიც.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. VI, :953, გვ. 238.

H—2880

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

98 ფ.: 35,5×21,5; ქალაღი; უყდო; დაზიანებული, ნაკლული; გადაჭერი ელისაბედ ჩუბინაშვილი (1r) — XIX საუკ. ქართლიდან; შემოწარულია გ. ჩაჩანიძის მიერ 1924 წ.

სათაური: „ანბავი დასაწყისი პირველი და ამოდ სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშარეთა(!) და ტარიელისა ნესტან-დარეჯანისა. ვეფხისტყაოსანი. —

იწყება: „რომელმან შექმნა სამყარო...(1r)

წყდება: „ვარდსა სწებვენ და აპობენ, ტირიან და ცრემლი სდიან...“

(სტრ. 1570; 1957 წ. გამოც.)

ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად ვეფხისტყაოსანის ვახტანგისეულ გამოცემას მისდევს.

შენიშვნა: ხელნაწერთა აღწერილობის (H-ფონდის) VI ტომში აღნიშნულია, რომ აქ ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემა იყოს დატული. ნამ-

დვილად კი ყველა ნიშნით ხელნაწერის ტექსტი 1712 წლის გამოცემას მისდევს, ოღონდ პროლოგში ჩაურთავთ ერთი სტროფი:

„ხარ თმათა მისთა სადარო სურნელებითა იაო.

მომხედე შენთვის მტირალსა, თაჲ რას დაგილიაო?

ზილფნი უმგზავსო ზუნბულსა, ძოწსა აქვს კარი ღიაო,

შიგ ოცდაოთხსა მარგალიტს უბია სამაიაო“.

ასევეა H-743 ხელნაწერში (2r), რაც ამ ორი ნუსხის ახლო კავშირზე მიუთითებს. ეს სტროფი დაბეჭდილია ვეფხისტყაოსნის ვრცელ გამოცემაში, იხ. სტრ. 111.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. VI, 1953, გვ. 286.

A—580

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1834)

122 ფ.; 20×34 სმ. ტყავდაკრული ყდა; სათაურები და დასაწყისი სინგურით; მხედრული; გადამწერი იოსებ კეპულაძე, თარიღი 1834 წ. კვირნიშანი 1832 წ. ვეფხისტყაოსანის გარდა შეიცავს ნაწყვეტს ალექსიანდან.

სათაური და დასაწყისი: „ამა ჰამბისა დასაწყისი პირველ ამო და სასმენელად მშვენიერი, სწავლისათჳს მოშაირეთასა, რომელნიცა უხმობენ ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხვის ტყაოსნობით: — რომელმან შეჰქმნა...“

თ ა ვ დ ე ბ ა ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი ს ტ რ ო ფ ი თ :

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია... (117v).

რ ე დ ა ქ ი ე უ ლ ა დ ა ქ მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ის ტ ე ქ ს ტ ი მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ი დ ა ნ .

შენიშვნები: ხელნაწერს ახლავს სხვადასხვა მინაწერები. მაგალ. 1. საკმაოდ ცნობილი ანტირუსთველური სტროფი „მე რუსთველო თუ დრო... გაქვს შიტომ ასე ლექსებს ჩმახე...“ 2. ვახტანგის გამოცემის ლექსითი ანდერძიდან სტროფი: „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა...“ (118r). 3. მინაწერი სხვა ხელით: „ჩყლე — წელსა მაისს თერთმეტს დღესა მოვიდა თოვლი...“ (122v). 4. ხელნაწერის გადაწერის თარიღისათვის: „ვანსრულდა ესე ამბავი. იანვრის კე დღესა, ჩყლდ. ღმერთმა მოახმაროს მას. ...ნელაძეს, ამინ დაესწერე იოსებ კეპულაძემ“ (ტექსტის ბოლოში არსებულ ამ მინაწერიდან ჩანს, რომ გადაწერა დასრულებულა 1834 წელს და არა 1762 წელს, როგორც ეს აღნიშნულია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა მეორე ტომში. 5. ზემოთ მოტანილი ანტირუსთველური სტროფი („მე, რუსთველი...“) არის აგრეთვე ხელნაწერ H—2055-ის გადამწერისეულ ანდერძში (3v—4r).

ლიტერატურა: Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, 1902 г, Книга II, стр. 76.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

193 ფ.; 33×21; ყდა მუქაოს (საკმაოდ გაცუთილი); მხედრულია: ხელნაწერი შეიცავს კრებულს; პირველი ნაწილი უკავია ვეფხისტყაოსანს (122 ფ.), შემდეგ ვახტანგ VI კომენტარების ნაწევებს, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა თხზულებებს (მაგ. ჩახრუხადის „თამარიანი“, იაკობ ღუმბაძის (შემოქმედელის) მიერ ვალსიფიკირებული „აბდულმესია“, ნაწყვეტი „იოსებ-ზილიხანიანიდან“, მცირე ლექსები და ა. შ.); ხელნაწერს მოეპოვება კვირნიშანი (1835 წ.). ზოგი მისი ნაწილი გადაწერილი უნდა იყოს დავით ამირიძის მიერ (იხ. 134r, 150v).

ვეფხისტყაოსანი იწყება: „ამა ამბვის დასაწყისი პირველი მოსახსენებლად მშვენიერი სწავლისათვის მოშირეთასა ტარიელის და ნესტან დარეჯანის ვეფხისტყაოსნობით უხმობენ —

„რომელმან შექმნა სამყარო ძლიათ(!) მით ძლიერთა...“

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ ამას მოსდევს ლრსტროფიანი ლექსითი ანდერძი 1712 წლის გამოცემიდან: „აწ დაიბეჭდა სტამბაში“ — და ა. შ.

რედაქციულად ხელნაწერის ტექსტი მომდინარეობს 1712 წლის ანუ ვახტანგისეული გამოცემიდან. აქედანვე აღებული ვახტანგისავე კომენტარებიც (იხ. ხელნაწერის 122—134 ფ. ფ.).

შენიშვნები: ხელნაწერის სხვადასხვა გვერდზე მოთავსებულია ანდერძები, მინაწერები, რომელთაგან საინტერესოა შემდეგი: ა) „წიგნი ეკუთვნის დავით ამირიძეს, დასრულდა ესე ანბავი ვითა სიზმარი“ (აქვე ხელრთვა ამირიძისა)... (135r) „ეს ვეფხისტყაოსანი მე მქონდა და დავასრულე, აგვისტოს 10-ს, 1861 წელსა“ (იქვე). ბ) „დასრულდა ესე მეფის (თამარის) ქება შესხმანი და გადმოვწერე მე დავით ივანეს-ძემ ამირიძემ წელსა ჩყოზ-ს, იანვრის კზ-ს“, ე. ი. 1867 წ. 27 იანვარი (151v). გ) დავით ამირიძის გადაწერილია აგრეთვე ხელნაწერი A—654, რომელიც ვეფხისტყაოსნის ვაგრძელებებს შეიცავს (იხ. აქვე, ვრცელი რედაქციების აღწერილობაში).

ლიტერატურა: 1. Описание рукописей Тифлисского Церковного музея, 1902, Книга II, стр. 139—140.

A—855

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1790)

154 ფ.; 11,3×18,5; შესრულებულია ლამაზი მხედრულით; დასაწყისი სტროფებისა და სათაური სინგურით. გადაწერილია 1790 წ. (იხ. თავფურცელი და 249-ე გვერდი); კვირნიშანი მოეპოვება; ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმში შემოსულა გრიგოლ ორბელიანის მემკვიდრეთაგან:

ვეფხისტყაოსნის ტექსტის გარდა აქ მოთავსებულია ვეფხისტყაოსნისავე ლექსიკონი (განმარტებულია 670-მდე სიტყვა), შესრულებული იმავე ხელით.

ვეფხისტყაოსნის დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი. ამო და სასმენელად შუჭნიერი სწავლისათჳს მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უქმობენ. —

„რომელმან შეჰქმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა“...

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერის ყოველმხრივი შესწავლა არკვევს, რომ აქ დატანილია პოემის იგივე რედაქცია, რაც გვაქვს 1712 წლის ანუ ვახტანგის გამოცემაში (მხოლოდ შეტანილია ზოგიერთი ორთოგრაფიული ცვლილება, რომელთაგან მეტი წილი ანტონ კათალიკოსის სკოლიდან იღებს სათავეს: უბრჯვეს ხმარება, მოთხრობითი ბრუნვის გრაფიკული ნიშანი საკუთარი სახელებისათვის და ა შ.).

შენიშვნები: 1. ხელნაწერის გადაწერის თარიღი: გადაწერა დაუწყიათ 1790 წლის 14 თებერვალს და დაუმთავრებიათ 1790 წლის 13 აპრილს, რაც აღნიშნულია თავფურცელზე და 249-ე გვერდზე; 2. ხელნაწერისთვის გადაწერის დაურთავს ძალზე საგულისხმო ლექსიკონი (განმარტებულია 670-მდე სიტყვა), რომელიც ჩვენის აზრით მისივე შედგენილი უნდა იყოს; 3. 250-ე გვერდზე გადაწერისვე ხელით მოთავსებულია აკროსტიხი სახელებით გიორგი და იოანე:

„გონება შენი სიბრძნით განათლებული
იქმნა რა ჩემგან, შემეცნებულ შ ძმარ
ოდენ მოგიძღვენ, სიყვარული მყვარველსა
რომლისა ნიშნად, შენმან შემყვარებულმან
გიმკენ აღწერთ, შენგან შეყვარებულნი.

აკროსტიხის გიორგი და იოანე-ს პიროვნება ჩვენთვის ამჟამად უცნობია. ერთ-ერთი მათგანი იქნებ იყოს გადაწერილი და ლექსიკონის ავტორიც. გასახსენებელია ის გარემოებაც, რომ ხელნაწერი შემოსულია ორბელიანთა ოჯახიდან.

ლიტერატურა: 1. М. Т. Джана швил и, Описание Рукописей Церковного музея, 1908, Книга III, стр. 82, 2. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 79.

А—850

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1814)

130 ფ.; 21×31; ლურჯი ქაღალდი; ჩასმულია ახალ ყდაში, საერთოდ რესტავრირებულია; მხედრული, მე-19 საუკუნე. ხელით; თანეაყლული, შიგადაშიგ დაზიანებული და ნაკლები. გადაწერილი სოლომონ ონიკოვი — 1814 წელი. კვირინიშანიც ამასვე უკერს მხარს (1813 წ.).

იწყება სტროფით:

„კაცად ხორცისად ვით ითქმის ასე თვალთაგან ფარული...“

(1957 წ. გამოც. 162-ე სტროფის მე-2 სტრიქონი)

პოემის ტექსტი თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან ღარუჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“...

ხელნაწერი რედაქციულად ძალზე რთული აღნაგობისაა, ერთი შეხედვით აქ ვრცელი რედაქცია (ყოველშემთხვევაში „ინდო-ხატელთა“ ამბამდე მაინც) უნდა გვქონდეს, მაგრამ აქ შეიძინევა ძალზე სპეციფიკური ვითარება. დეტალურმა შესწავლამ, ვრცელ და მოკლე რედაქციებთან შეჭერებამ გარკვევა, რომ ხელნაწერის ძირითადი ფენა მომდინარეობს ეახტანგისეული გამოცემიდან (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის სტროფები, რომლებიც არ არიან 1712 წლის გამოცემაში, ისევე როგორც წინამდებარე ხელნაწერში და სამაგიეროდ მოიპოვება ყველა ვრცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერში. მაგ. 1957 წ. გამოცემის 301, 302. ან 23 და სხვ. სტროფები, ამასვე მოწმობს სრული დამთხვევა ხელნაწერისა და 1712 წლის გამოცემის დაბოლოებისა და ა. შ.). მაგრამ ამასთან შეინიშნება, რომ რიგი სტროფებისა ხელნაწერის გადამწერს შემოტანილი აქვს პოემის ვრცელი რედაქციიდან¹ ჩვენ მიერ აღნუსხულია ასეთი 16 სტროფი (ვრცელი გამოცემით: 166, 169, 171, 197, 230, 233; 857, 873, 888, 889, 976, 977, 998, 1198, 1512, 1598). აღსანიშნავია, რომ ყველა სტროფი, გარდა ორისა (867 და 1598) მომდინარეობს პოემის ვრცელ რედაქციათა შორის, ყველაზე მოკლე I რედაქციიდან (მაგ. H—599, S—2829); ხოლო აღნიშნული ორი სტროფი II რედაქციის კუთვნილებაა.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში პოემის ტექსტს მოსდევს ცნობილი, ორ-სტროფიანი ანდერძი 1712 წლის გამოცემიდან („აჲ დაიბეჭდა სტამბა-ში...“); 2. ბოლო გვერდზე მოთავსებულია ანდერძი: „ალიწერა წიგნი ესე კელითა სოლომონ ონიკოვისათა ცთომილებისა რაჲსამე შენდობის მოქენე ვარ, ალიწერა 1814 ჩჲიდ წელსა“ თიბათვის(!)...”

ლიტერატურული მუზეუმი — 10769

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

185 ფ.; 30×21; ქალაღი, ღია მოღურჯო ფერისა; ტყავკადაკრული ხის ყდა (დაზიანებული); სრული; მხედრული; საკმაოდ ღამაზი ხელით; შემკულია ორნამენტებით; ეს უკანასკნელი, სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით; ხელნაწერს რამდენიმე ფურცელი დაცილებული

¹ იქნებ ვრცელი რედაქციიდან დასესხება უკვე ამ ხელნაწერის დედანშივე იყო ჩატარებული, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგი ჩამატებული სტროფი ხელნაწერში ჯერ კიდევ აშიაზე მოიპოვება (მაგ. საიუბილეო გამოცემის 553-ე სტროფი: „მე დაეშვერ ვაია წესითა...“, რის არ არსებობა ეახტანგის გამოცემაში აშკარად აჩენდა ხარვეზს), ან ჩამატებულია ტექსტში აკრუტულად, არა თავის ადგილას (მაგ. საიუბილეო გამოცემის 1514-ე სტროფი: „ფრიდონ წაყუა...“).

აქვს: გადამწერი: ნინო ზედგინიძე, დაახლოებით მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში. კვირინიშანი — 1809 წ. დაუწერელია I—III ფურცლებზე.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ქ. ამ აქმების დასაწყისი პირველი. ამოდ სასმენელად მშვენიერი ტარელის და ნესტან დარეჯანის ვეფხვის ტყაოსნობით უჩამობენ. —“

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...

პოემის ტექსტი თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“... (159v).

ტექსტი რედაქციულად 1712 წლის ანუ ეახტანგისეულ გამოცემას მისდევს, ოღონდ გზადაგზა სხვა ვრცელი რედაქციის წესდელი ნუსხებიდანაც არის შემოტანილი დამატებითი სტროფები (მაგალით. პროლოგში დაუმატებიათ შემდეგი ჩანართები: ვრცელი განოცემის სტროფები: 9, 14 და 18). ეახტანგისეულს გაეღუნას მოწმობს ავრთვე ხელნაწერში მოთავსებული 1712 წლის ლექსითი ანდერძი („დაესრულა ესე წიგნი ქორნიკონს უნსა სმელსა...), ეახტანგ VI თარჯანი (წყდება ყბ სტროფზე).

შენიშვნა: პირველ ვერდზე მოთავსებულია ანდერძი, რომელიც თითქოს გადამწერისავე ხელით უნდა იყოს შესრულებული: „ნებითა და შეწყვენითა ღთისათა აღიწერა ესე ვეფხის-ტყაოსანი, სრული და უნაკლებო. ზედგინის ქალი ნინოსავანა. ეინც აღმოიკითხოთ ეს წიგნი, შენდობას მიბრძანებდეთ. ამინ“ (1r).

ლიტერატურა: ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 2. მატანე 5 წიგნი, მეორე ნაკვეთი, შეადგინა ივ. ლოლაშვილმა 1949. გვ. 28—29. აქ ეს ხელნაწერი აღნიშნულია 32-ე ნომრით.

ლიტერატურული მუზეუმი — 12910

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

239 ფ.: 24×30; ქაღალდი; მსედრული (ზოგი ადგილი აღდგენილია სხვა ხელთ): გადამწერილი ჩანს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (ქაღალდს მოეპოვება კვირინიშანი); აღდგენილი ადგილები შესრულებულია 1853 წელს (გვ. 462). დაუწერელია გვ. 66. 76. 82. 86, 94, 111, 140, 142, 146, 156, 168, 178, 184, 195, 224, 228, 232, 242, 266, 284, 342, 348, 356, 352, 388, 392, 398, 402. ხელნაწერა აღდგენილია სალომე წვიმეტაიანის შივრ (გვ. 462); ხელნაწერას ერთ-ერთი მჯლობელია კონია ბაქრაძე (გვ. 462).

პოემის სათაური და დასაწყისი: „ამა ანბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარეელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —“

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...
თ ა ვ დ ე ბ ა ვეფხისტყაოსნის ტრადიციული სტროფით:
„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა... (231v).

რედაქციულად ხელნაწერში მოთავსებული პოემის ტექსტი 1712 წლის ანუ ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს.

შენიშვნა: ტექსტს ახლავა მისი განმარტებლის საღომე წვიმეტიანის მინაწერები („განახლებულ იქნა წელსა ჩუბგ-ს. ივლისის დ. ღლესა“ — გვ. 462) და მისივე ლექსითი ანდერძი და ანბანთქება. 473—475-ე გვერდებზე არის მასი მფლობელის კონია ბაქრაძის მინაწერი. 74, 77—78, 476—477-ე გვერდებზე არის სხვა სახის მინაწერებიც.

ლიტერატურა: ხელნაწერთა აღწერილობა. ლიტერატურული მატრიანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე. შეადგინა ივ. ლოლაშვილმა 1939 წ. გვ. 31—32. აღწერილობაში ხელნაწერი 37-ე ნომრითაა მოთავსებული.

ლიტერატურული მუზეუმი — 18878

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი (XIX)

161 ფ.; 23X21; ქაღალდი მოღურგო ფერისა; ტყვადარეულ მუყაოს ყდა (დაზიანებული). მხედრულ, საკმაოდ ღამხი ხელით: ხელნაწერი დაზიანებულია (აქვია თავი და ზოგი ფუციელი ვაჯაგზა, ზოგიც დაზიანებულია); სათაურები და სტროფთა დასაწყისი აწმურით; კვირნიშანი 1816 წ. გაღაწერილი უნდა იყოს მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში.

პოემა იწყება სტროფით:

„[გული ერთსა და]ჯეროს. ეუშტი მოხედეს, თუნდა ქუშიო“...
(1957 წ. გამოცემის 25-ე სტროფი)

თ ა ვ დ ე ბ ა ვეფხისტყაოსნის ტრადიციული სტროფით:

ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა... (1r—158v)

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი პოემისა მომდინარეობს 1712 წლის ანუ ვახტანგისეული გამოცემიდან.

შენიშვნა: 1. პოემის ტექსტს ერთვის 1712 წლის გამოცემის ლექსითი ანდერძი („ადესრულა ესე წიგნი ქორთიკონს უნა სმელსა...“); 2. „საბიებელი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნის (159r—160v); 3. არს ასეთი მინაწერიც განსხვავებული ხელით: ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელაც ივ. ლოლაშვილის აზრით (ქვემოთ დასახ. ნაშრომში, გვ. 29) სემიონ მელენიეთუხუცესს უნდა ეკუთვნოდეს. მინაწერის თარიღი 1850 წლის 17 მაისი (161).

ლიტერატურა: ხელნაწერთა აღწერილობა, ლიტერ. მატრიანე, წიგნი 5. ნაკვეთი მეორე, შეადგინა ივ. ლოლაშვილმა 1949, გვ. 29, აღწერილობაში ხელნაწერი აღნიშნულია 33-ე ნომრით.

ლიტერატურული მუზეუმი — 18379

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

47 ფ.; 33X21; ქალღიმი; უცლო (დაფურცლული); დაზიანებული (აკლია თავსა და ბოლოში). მხედრული, ულამაზო ხელით; გადაწერილი უნდა იყოს 30-იან წლებში (ქვირნიშანი 1821 წ.).

იწყება სტროფით:

„გულსა უთხარ ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცული წოლა“...
(1957 წ. გამოცემის 585-ე სტრ.)

წყდება სტროფზე:

„ფატმან თქვა ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს ორანი“...
(იმავე გამოცემის 1268-ე სტრ.)

შეჯერებით გაირკვა, რომ გადარჩენილ მონაკვეთში პოემის ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან (მაგალ. სტრ. 586, რომელიც არ არის მხოლოდ 1712 წლის გამოცემაში და ტექსტუალურ ხარვეზს აჩენს, არ არის ამ ხელნაწერშიც და ა. შ.). ამასვე მოწმობს სხვა ენობრივი დამთხვევებიც.

ლიტერატურა: ხელნაწერთა აღწერილობა, ლიტერ. მატრიანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, შეადგინა ივ. ლოლაშვილმა 1949, გვ. 29. „აღწერილობაში“ ხელნაწერი აღნიშნულია 34-ე ნომრით.

ლიტერატურული მუზეუმი — 12909

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

IV+152 ფ.; 31X20; ქალღიმი; მუყაოს ყდა (მუუკინძავთ 1918 წელს — 7r); ნაკლები (აკლია როგორც თავში და ბოლოში, ისე შიგნითაც) მხედრული, ნაწერია ულამაზო ხელით; სათაურები და სტროფის დასაწყისი სტროფები შესრულებულია სინგურით; გადაწერილი უნდა იყოს მე-19 საუკუნის დასაწყისში (ქვირნიშანი — 1802 წ.); დაუწერებელია 1r—1v. 91r-v, 151r—152v.

პოემის ტექსტი იწყება სტროფით:

„ხამს მიჯნური გონიერი, არ მეძაეა, ბილწი მრუში“...
(1957 წ. გამოცემის 25-ე სტრ.)

ტექსტი წყდება:

„ვპოვე და ლექსად გადავსტქვი. ამითა ვილაყებთანნი“...
(1957 წ. გამოცემის 1667-ე სტრ.)

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი ვახტანგისეული გამოცემიდან მიმდინარეობს.

შენიშვნა: აქვს გვიანდელი მინაწერი, რომელშიც ტარასი კანდელაკი აღნიშნავს, რომ 1918 წელს მან აკინძა ეს დაზიანებული ხელნაწერი.

ლიტერატურა: ხელნაწერთა აღწერილობა, ლიტერ. მატრიანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, შეადგინა ივ. ლოლაშვილმა 1949, გვ. 30, „აღწერილობა-ში“ ეს ხელნაწერი აღნიშნულია 36-ე ნომრით.

ლიტერატურული მუზეუმი — 21079

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

172 ფ.: 29×20; ქაღალდი (სხვადასხვა): ყდა მუყაოსი, ტყავგადაკრული; ხელნაწერი ნაწილობრივ 1712 წლის ნაბეჭდ ტექსტს წარმოადგენს. ხელით ნაწერია ფ. ფ. 1—16, 26—28. 30—32. 110—112, 160, 165—171; გადაშვრი არ ჩანს. ამ ფურცელთაგან ზოგს მოეპოვება კვირნიშანი. ბოლოში ტექსტს მოსდევს ლექსიკონი.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ესე ამბავი... შუშნიერი სწავლისათვის მოშიირეთასა ტარიელისა და ნესტან... რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“

იმ ნაწილშიც, რომელიც არ არის ბეჭდური და ხელითაა შევსებული ტექსტი 1712 წლის გამოცემიდან მომდინარეობს.

შენიშვნა: 1 ტექსტს მოსდევს ლექსიკონი; 2. აქვს 1873 წლის (გვ. 170) და 1865 წლის მინაწერები.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 44

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

138 ფ.: 32×20. ქაღალდი (მოლურჯო ფერისა), ყდა ტყავგადაკრული მუყაო; მხედრული, შესრულებულია ლამაზი ხელით, სათაურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები სინგურით; კვირნიშნისა და კალიგრაფიის მიხედვით ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში; ხელნაწერი არქივში შემოსულია სოფ. მერეთში მცხოვრებ ნიკოლოზ ფურცელაძისაგან 1924 წ.

ხელნაწერში პოემა იწყება ტრადიციული სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

თავდება ასევე ტრადიციული სტროფით:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (3r—135v).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მისდევს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციას (1712 წლის გამოცემას).

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ახლავს გვიანდელი ხანის მრავალი მინაწერი, მეტწილად მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა. მაგალით. 137-ე ფურცელზე არის ლექსითი შესხმა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ლეარსაბ ფურცელაძეს და ეძღვნება დავით და იოანეს (ბატონიშვილებს), შესხმა შესრულებულია 1832 წელს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრარქივი, 1949, გვ. 40—41.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 02

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

57 ფ.: 21,5×17; ქაღალდი, მუყაოს ყდა; მხედრული, საკმაოდ ლამაზი ხელითა შესრულებული; სათაურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები სინგურით. მე-19 საუკ. პირველი ნახევრის (ქაღალდის, კალიგრაფიის მიხედვით); თავ-ბოლო ნაკლული; არქივში შემოსულია 1924 წელს დიმიტრი დუკანოზიშვილისაგან (თელავის მცხ.).

ტექსტი პომესა იწყება სტროფით:

„სამი არის მოყვრისაგან, მოყვრობისა გამოჩენა“

(სტრ. 177; 1957 წ. გამოცემით)

წყდება სტროფზე:

„რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა...“

(სტრ. 1548; იმავე გამოცემით)

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრარქივი, 1949, გვ. 89.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი, № 166

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

135 ფ.: 20,5×14,5; ქაღალდი; ჩასმულია ახალ ყდაში (ტყავისა), მხედრული, შესრულებულია გაკრული ხელით; მოხატულობა არ გააჩნია, შიგადაშიგ სათაურები სინგურითაა დაწერილი, კვირინშანი მოეპოვება (გვირგვინი და პორიზონტ. ხაზები), ხელნაწერი არქივში შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან, მოსკოვი.

ხელნაწერში ტექსტი იწყება სტროფით:

„ესე თქვა და შემობრუნდა დაღრეჭი[ლო] წამოვიდა...“

(სტრ. 100; 1957 წ. გამოც.)

ტექსტი წყდება:

„მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი:..“

(სტრ. 1150, იმავე გამოც.).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მისდევს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციას (1712 წლის გამოცემა).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრარქივი, 1949, გვ. 162.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 280

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

1199 ფ.; 33X21; ქაღალდი, მოლურჯო ფერისა, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ამჟამად რესტავრირებულია), მხედრული, ნაწერი ორი ხელით (მე-20-ე ფურცლიდან): სათაურები შესრულებულია სინგურით; აქვე ჰვირნიშანი (იკითხება RM); ხელისა და ქაღალდის მიხედვით მე-19 საუკუნისა უნდა იყოს; ხელნაწერს ახლავს ლექსიკონიც; ხელნაწერი შემოსულია არქივში 1925 წ. გ. მუხრანელისაჲან.

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის სათაური და დასაწყისი: „ამ ამბისა დასაწყისი პირუჭლი ამით სასმენელად შუჭნიერი ჰსწავლისათვის მოშაირეთასა; ტარიელის და ნესტან-დარეჯანისა, ვეფხისტყაოსნობით: —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

ტექსტი თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1r—99v)

ამას მისდევს სტროფები, რომლებიც წარმოადგენენ 1712 წლის გამოცემის ლექსით ანდერძს („აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი კელისა...“).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი პოემისა ვახტანგისეულ რედაქციას მისდევს (1712 წ. გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერში პოემის ტექსტს მოსდევს ვახტანგ VI კომენტარები: „თარგმანი პირველი, წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა...“; 2. ერთვის ლექსიკონი; 3. არის სხვა ხასიათის მინაწერებიც 1r, 3r, 119r და სხვ.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრარქივი, 1949, გვ. 252—253.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 425

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX საუკ. პირველი ნახევარი)

118 ფ.: 35,5×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა (რესტავირებული); მხედრული, გაკრული ხელით; ხელნაწერი ალაგალაგ დაზიანებულია (ფ. ფ. 7, 110—112 და სხვ.); სათაურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები ზოგჯერ სინგურითაა შესრულებული, ქაღალდისა და კალიგრაფიის მიხედვით მე-19 საუკუნის უნდა იყოს (ყერძოდ, ამ საუკუნის პირველი ნახევარისა).

ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი: ამა ამბისა დასაწყისი პირველი: —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“
პოემის ტექსტი თავდება ტრადიციული სტროფით:
„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ამას მოსდევს 1712 წლის გამოცემის ლექსითი ანდერძი, ხოლო შემდეგ მოთავსებულია რამდენიმე სტროფი „ინდო-ხატაელთა“ ამბიდან („ქედსა ზედან გარდამოდგნეს მეტად დიდი ქარავენი“...).

ხელნაწერში მოთავსებული პოემის ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ეახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერს აშიებზე, თავში, ბოლოში, მოეპოვება მრავალრიცხოვანი მინაწერები, რომელთა შორის თარიღის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია: ა) „წელსა ჩყმა (1841 წ.) თებერვლის...“ ბ) „ჩყმ თებერვალს დაიბადა ასული...“ და ა. შ.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრარქივი, 1950, გვ. 68.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 445

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX საუკ.)

134 ფ.: 32×21; ქაღალდი; მუყაოს ყდაში (რესტავირებულია); მხედრული, საკმაოდ ლამაზი ხელი; დაზიანებული, ბოლოში ნაკლულია; სათაურები სინგურით; ხელისა და ქაღალდის მიხედვით მე-19 საუკ. უნდა იყოს; არქივში შემოსულია 1924 წ. ილია ჭავჭავაძის წიგნთაგან.

ტექსტის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბის დასაწყისი პირველად ამო და სასმენელად მშვენიერია, ჰსწავლისათვის მოშიარეთასა, ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა. ამ წიგნს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“

წყდებ ა სტროფზე:

„გამოეგებნეს არაბნი, სამეფო დააშვენა მან

ნახა მზე მისი, მიჰრიდა მისთა სურვილთა წყენამან

მისთანა ტახტზედ დავეჯდა, აღხინა მკურეტთა ლხენამან,

გააქელმწიფა გვრგვნი ზეცით ნოსულმან ზენამან“

(სტრ.1662: 1957 წ. გამოც.).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ეპიტაფიის ეპიტაფიის ეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. აქეს რამდენიმე მინაწერი აშიებზე. მაგ. იხ. 1r, 2r და სხვა, რომელთაც ტექსტთან საერთო არა აქვთ.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 537

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII საუკ.)

102 ფ.; 35,5×21; ქალღლი. ტყავგადაკრული ყდა (რესტავრირებული); მხედრული, სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგური; ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკვლია, ქალღლისა და ხელის მიხედვით მე-18 საუკ. პეორე ნახეარს უნდა ეკუთვნოდეს. მოეპოვება ჰვირნიშანი, ხელნაწერი შემოუწირავს იაგორ ციციშვილს 1925 წელს.

ტექსტი იწყება სტროფით პოემის პროლოგიდან:

„მე რუსთველი ჳელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი...“

(სტრ. 8; 1957 წ. გამოც.)

წყდებ ა სტროფზე:

„ტარიელცა უთხრა ჳებით იმედისა გათავება...“

(სტრ. 1548, იმავე გამოცემით).

აქ წარმოდგენილი ტექსტი პოემისა მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ეპიტაფიის ეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: ხელნაწერის აშიებზე, თავში და ბოლოში არის გვიანდელი მინაწერები.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრარქივი, ტ. II, 1950, გვ. 138.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი 798

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1813)

188 ფ.; 32×20,5; ქალღლი; ტყავგადაკრული ყდა; მხედრული (გადაწერილი სხვადასხვა ჩანს); სათაურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვე-

ბი სინგურით; ხელნაწერი დაზიანებულია და მოღწეული (ზოგი ფურცელი ამოვარდნილია, ზოგიც დახეული); ხელნაწერს ბოლოში ერთვის ვახტანგ VI კომენტარები ბექდური გამოცემიდან. ახლავს მცირე ლექსიკონიც; ერთ-ერთი გადამწერი ქაიხოსრო ბაქრაძე უნდა იყოს, თარიღი 1813 წ. კვირნიშანი (ასოები F, A, O ტვიფრებიც); შეუძენიათ 1957 წ. კანდელაკისაგან.

სათაური და პოემის დასაწყისი: „ამ ამბის დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი პოემისა მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ახლავს მინაწერები, მათ შორის საყურადღებოა ერთ-ერთი გადამწერის ცნობა: „ალიწერა ჭელითა ბაქრაძის ქაიხოსროსითა ქორანიკონს ჩეიგ (1813 წ.) ნოემბრის დ...“, არის სხვა ხასიათის უმნიშვნელო მინაწერებიც.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი № 204

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1839)

199 ფ.; 33,5×20,5; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; სათაურები და დასაწყისი სიტყვები სტროფისა სინგურით; მხედრული, საკმაოდ ლამაზი ხელი; ხელნაწერია ნაკლები და დაზიანებულია; ზოგი რვეული დარღვეულია და ფურცლები ამოცვენილი. ზოგი ფურცელი ჩამოხეულია (მაგ. 43-ე ფურცელი); გადაწერილია 1839 წ. (199), გადამწერი დიმიტრი ებიფანე გაწერელოვი (199r-v), დამკვეთად ჩანს ილემენი იოანე კალაგანიძე (199v).

ხელნაწერში პოემის ტექსტი იწყება:

„... [ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა] მებრძოლთა მძლეობა;

[ვისცა ეს სრულად არა სკიპრს, აკლია მიჯნურთ ზნეობა...“

(სტრ. 23; 1957 წ. გამოც.)

მთავრდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელთა...“ (1r—179r) ამას მოსდევს ორსტროფიანი ლექსითი ანდერძი ვახტანგისეული გამოცემიდან („აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი კელისა“... და „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკოსს უნსა სმულსა...“).

ერთვის ვახტანგ VI კომენტარებიც, იწყება: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა, თქმული ბატონის შვილის განმგებლის პატრონის ვახტანგისა“..., ბოლოში მოთავსებულია ლექსიკონიც.

რედაქციულად აქ მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემიდან.

შენიშვნა: 1. 199-ე ფურცელზე მოთავსებულია გადამწერის ეგნატის ქე დიაჩოქი ებიფანე გაწერელოვის ანდერძი. სადაც აღნიშნულია, რომ ეს სამუშაო შეუსრულებია „იოანე ილუმენის კალაგანიძის დაკვეთით“ წელსა ჩელთ-სა (1839 წ.), ოქტომბრის შ-სა“. 2. ამავე ფურცლის მეორე მხარეს დამკვეთი კალაგანიძე გვაუწყებს, რომ ამ ხელნაწერს სწირავს თავის ძმისწულს ბარბარას. 3. გზადგება ამიებზე არის გვიანდელი მინაწერებიც, სახელისა და გვარის წარწერები, მაგ. დავით ჩიქვანი, ტარიელ იოსელიანი, კონსტანტინე ლოლობერიძე, ნიკო ელიავა და ა. შ.

ლიტერატურა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 376—377.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი № 209

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1843 წ.)

159 ფ.; 32×20; ქალაღი, ტყავადაკრული მუყაოს ყდა ტვიფრული და ვარაყიანი; ყდა დაზიანებულია; მნედრული, საკმაოდ ლამაზი ხელით; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; 1843 წ. (159წ), ნაკლები და დაზიანებულია; ფურცლები ზოგან აღდგენილია ქალაღისივე ნაჭრებით (ისინი ზოგჯერ ფარავენ ტექსტს), ზოგ ფურცელზე მოიპოვება მარტივი თავკაზმულობაც.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბვისა დასაწყისი პირველა ამო და სასმენელად მშვენიერ[ი] სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

პოემის ტექსტი მთავრდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1რ—149ვ) ამას მოსდევს 1712 წლის გამოცემის მსგავსად ორ სტროფიანი ლექსითი ანდერძი „აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა“... და „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა“...

რედაქციულად ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. პომის ტექსტს ერთვის ნაწყვეტი ვახტანგ VI-ის კომენტარისა: „თარგმანი პირველი წიგნის ამის ვეფხისტყაოსნისა...“ (149r—159r), ახლავს მცირე ლექსიკონიც; 2. 159-ე ფურცელზე არის მინაწერი, რომელიც თვით გადაშერასავე უნდა ეკუთვნოდეს: „ჩემგს წელსა... თებერვალს გასრულდა. დიდება ღმერთსა, ამინ... თხოვნით მე აზნაურმა, რომელიც... უკეთუ მეც...“; 3. არის გვიანდელი მინაწერები. ზოგი კალმით, ზოგი ფანქრით; დასახელებულია რამდენიმე პირის სახელი და გვარი და ა. შ.

ლიტერატურა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 385—386.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ხელნაწერი № 214

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

127 ფ.; 33×23; ლურჯი ქაღალდი; ხელნაწერი ამჟამად რესტავირებულია, ჩამოღობილია ახალ მუყაოს ყდაში; მხედრული, ხელი გაკრული და საკმაოდ ულამაზოა; სათაურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები სინგურით; აქვს უბრალო თავკაზმულობა; ზოგი ფურცელი დაზიანებულია (43-ე, 44-ე, 45-ე), ამოხეულია რამდენიმეც (ახალი ნუმერაციით 46-ე და 47-ეს შორის). მოეპოვება კვირნიშანი. ქაღალდისა და ხელის მიხედვით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

პომის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამოს და სასმენად..“

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“

პომემა თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1r—117v) აღნიშნულ სტროფს მოსდევს ნაწყვეტი ვახტანგ VI-ის გამოცემის ლექსითი ანდერძიდან „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა...“

რედაქციულად ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მოდის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ტექსტს ხელნაწერში დართული აქვს ვახტანგის „თარგმანი პირველი წიგნის ამის ვეფხისტყაოსნისა...“, ახლავს მცირე ლექსიკონიც 117v—127r; 2. აქვს სხვადასხვა დროის და სხვადასხვა შინაარსის გვიანდელი მინაწერები, მათ შორის, თითქმის მთლიანად, ცნობილი ლექსი „ჩალი“ („გლისპი დიაცი თუ იყოს მამაკაცის სახლს მყოფელი...“); 3. ხელნაწერი მუზეუმისათვის შეუწირავს კირილე ლორთქიფანიძეს.

ლიტერატურა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 394.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი,
ხელნაწერი № 289

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

196 ფ.; 21,5×17,5; ქალაღი, ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; სათურები სინგურით (XIX); ნაკლული და დაზიანებული; აქვს მარტივი თავკაზმულობა; ერთი თავის ბოლო გაფორმებულია და აქვს მინაწერი „მოსე“. 61r—62v დაუწერელია. მუზეუმს შეუძენია 1924 წელს ნ. ლორთქიფანიძისაგან.

პოემის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ამა ამბვისა დასაწყისი საამოდ და სასმენლად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტანდარეჯანს, ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. — რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა“ (1r—196v).

წყ დ ე ბ ა სტროფზე:

„თვით ორნივე ერთად მსხდომნი, ნახეთ მზეცა ვერ[ა] სჯობდეს...“
(1957 წლის გამოცემით სტრ. 1638).

აქ მოთავსებული ტექსტი რედაქციულად ვახტანგისეულს (1712 წლის გამოცემა) მისდევს.

შენიშვნა: 1 ხელნაწერს ახლავს რამდენიმე უმნიშვნელო ხასიათის მინაწერი ბოლო გვერდზე.

ლიტერატურა: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 24.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი,
ხელნაწერი № 598

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

101 ფ.; 34,5×21; ქალაღი, ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული; შესრულებულია საკმაოდ ულამაზო ხელით; აქვს კვირნიშანი, ქალაღი და გადამწერის ხელის მიხედვით შესრულებულია მე-19 საუკუნეში; ხელნაწერი შიგადაშიგ ნაკლული და დაზიანებულია; მუზეუმს გადასცა ზესტაფონის რაიონის, სოფ. ალავერდიდან ლერი კონაძემ.

ხელნაწერში პოემის ტექსტი იწყება სტროფით:

„თქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან...“

(სტრ. 21,3; 1957 წ. გამოც.)

წყ დ ე ბ ა სტროფზე:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს...“

(სტრ. 1663; იმავე გამოც.)

რედაქციულად ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი ვახტანგისეულს (1712 წლის გამოცემა) მისდევს.

შენიშვნა: ხელნაწერის აშეგზე და ბოლოშიც არის გვიანდელი მიწერები.

ლიტერატურა: ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 219—224.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება,
ხელნაწერი E—74 (105)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1811)

150 ფ. (აქედან დაწერილია 147 ფ.); 22×18; ჩასმულია მაგარ ყდაში; მხედრული; სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით; ხელნაწერი დეფექტურია შუაში (აკლია 1957 წლის გამოცემის 142—302 სტროფები); გადაწერილია 1811 წლის 21 აპრილს; გადაწერი იოანე იალღუზის ძე.

ხელნაწერში პოემა იწყება სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა...“ (2r—150v).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ბოლოში ახლავს გადაწერის ანდერძი: „დიდება ღმერთსა ყოველთა მსრულდა: — სრულ იქმნა ჭელითა იოანე იალღუზის ძისა აპრილის 21, წელსა 1811“; 2. ეს ხელნაწერი წარმოადგენს პარიზის ქართულ ხელნაწერთა ფონდში მოთავსებულ ნუსხის № 8 (12) პირს (იხ. ამ ხელნაწერის აღწერილობა აქვე). ეს გამოირკვეა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების E—74 ხელნაწერისა და ექვთ. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული პარიზული ნუსხის (8) აღწერილობის შედარების შედეგად.

ამ ორი ხელნაწერის ასეთი საახლოვე გვაფიქრებინებს, რომ პარიზული ნუსხა P—12 (ექვთ. თაყაიშვილის აღწერილობით № 8) და ლენინგრადის E—74 შესრულებული უნდა იყოს იოანე იალღუზის ძის მიერ. შემდეგ პირველი მათგანი 1825 წელს საფრანგეთის კონსულს გაშვას წაუღია (იხ. ექვ. თაყაიშვილის აღწერილობა „პარიზის ქართ ხელნაწერები...“. 1933, გვ. 45), ხოლო მეორე კი რუსეთში გაუტანიათ. არც ის არის გამორიცხული, რომ პარიზული ნუსხა უბრალოდ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ნუსხის E—74-ის პირი იყოს. ამის შემოწმება შესაძლებელი გახდება პარიზული და ლენინგრადის ხელნაწერების უშუალო შეჯერების შემდგომ (ამისათვის საკმარისი პარიზული ნუსხის ფოტოპირის მოპოვება მინც).

8. 10v გვერდზე მოგვიანო ხელით მიწერილია ვეფხისტყაოსნის ორი ჩანართი სტროფი: „მონანი მიღგეს ჩვენ ვნახეთ... (ვრც. გამოც. სტრ. 122²) და „მეფემან ბრძანა ვინ არის...“ (ვრც. გამოც. სტრ. 124).

ლიტერატურა: 1. ა. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხისტყაოსანზე. ვაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234; 2. Р. Орбелин, Собрание грузинских рукописей Института востоковедения, Ученые записки Института востоковедения, том IX, 1954, М.-Л., стр. 54.

**აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება,
ხელნაწერი E—75 (106)**

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX საუკ.)

227 ფ.; 21,5×17,5, ჩასმულია ყდაში; ტყავადაკრული მუყაო, მხედრული; სათაურები და სტროფთა დასაწყისები წითლურით; ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია; შემოწირულია ბარათოვისაგან (სულხან ბარათა-შვილი, ს. ც.) 1840 წლის 10 ივნისს.

ხელნაწერი იწყება სტროფით:

[„მი]ჯნურობა არის ტურფა საცოდნელად ძნელი გვარი...“
(სტრ. 24; 1957 წ. გამოც.).

წყდება სტროფზე:

„ყოელთა სწორთა წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს...“
(სტრ. 1664; იმავე გამოც.).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა). მხოლოდ ზოგიერთი ადგილის წაკითხვაში არის მცირეოდენი განსხვავებები.

ლიტერატურა: ა. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხისტყაოსანზე, ვაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234; 2. Р. Орбелин, Собрание грузинских рукописей Института востоковедения, Ученые записки Инст-тута востоковедения, том IX, 1954, М.-Л., стр. 54.

**აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება,
ხელნაწერი H—40 (22)**

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

50 ფ.; 35×22; ჩასმულია ყდაში; მხედრული; საკმაოდ გაუწაფავი ხელით ნაწერი; თავ-ბოლო ნაკლული, დეფექტურია შუაშიც (მე-14 და მე-15 ფურცლებს შორის); გარეკანზე აწერია თარიღი 1838 წ. თუმცა ხელნაწერი ადრე უნდა იყოს შესრულებული (დაახ. XVIII საუკ. მეორე ნახევარი, შდრ. კვირინიშანი).

ხელნაწერში პომეის ტექსტი იწყება სტროფით:

„ყმა შევიდა თაყვანი სცა მადლი რამე მოახსენა...“ (სტრ. 145)

წყდება სტროფის მეოთხე ტაეპზე:

[„თვარა ყოლა არ გიძლენილი ჩემ[ი] [გი]თხრა სიძუნწერა...“

(სტრ. 1406).

ხელნაწერში მოთავსებული პომეის ფრაგმენტები მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა), თუმცა ახლავს რამდენიმე ზედმეტი სტროფიც, მაგალითად „მისი მძებნელი იყოსმცა ...“ (ვრც. გამოც. სტრ. 377) და „მე დაუშვრი ვითა წესია...“ (იმავე გამოც. სტრ. 699).

შენიშვნა: 1. მინაწერი გარეკანზე: „ტარიელისა რაოდენნიმე სტიხნი მიზოძა შეგრენ“ ძველ ხელწერილისა, ახალსა სვიმონ ტაბიძე. 1839 წ.“ (იქვე არის იმავე ხელის მინაწერი სხვა თარიღით — 1839 წ.).

ლიტერატურა: 1. აკობაძე, ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხის ტყაოსანზე, გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234; 2. Р. Орбели. Собрание грузинских рукописей Института востоковедения, Ученые записки Института востоковедения, том IX, 1954, М.-Л., стр. 54.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება,
ხელნაწერი М—47 (24)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1830 წ.)

46 ფ.; 32×20: ჩასმულია ყდაში; მხედრული; წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტს; დაწერილია მხოლოდ 2—41 ფურცელზე (შემდეგ მიუთოვებით გადაწერა). ხელნაწერი აღუწერია მ. ბროსესაც, რომელიც ხელნაწერის გადაწერად თვლის სვიმონ ტაბიძეს და თარიღად 1839 წელს ასახელებს (იხ. ხელნაწერის თავფურცელი).

იწყება პომეის პირველი სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

წყდება სტროფზე:

„ინდოეთს შეიღთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი“

(სტრ. 311).

ხელნაწერში მოთავსებული ფრაგმენტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. სატიტულე ფურცელზე ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა ამაღლებულისა საქართულლოს მყარობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისსა. შრომითა და წარსაგებელითა მასუ მყარობელისათა. გაიმართა ქელითა კარის დეკანოზის

1 დედანში „ვედრენ“, რაც შეგრენის დამახინჯებაა (შეგრენის მოღვაწეობის შესახებ იხ. რ. ორბელის დასახელებული ნაშრომი, გვ. 55).

შვილის მიქელისათა, ქალაქსა ტფილისს ქრისტეს აქეთ. ათას შვიდას და ათორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათასსა ორას ოცსა". 2. აღსანიშნავია ერთი თავისებურებაჲ: გადამწერს ვახტანგის კომენტარები წინ, ტექსტში გადმოუტანია სათანადო სტროფების შემდეგ, კომენტარები სხვა ხელთაა ნაწერი (მ. ბროსეს ხელი უნდა იყოს, ეგვევ დავადასტურა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების თანამშრომელმა რ. ორბელმა), როგორც ჩანს მ. ბროსე ამ სახით ამზადებდა პირველ ხანებში ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემას.

ლიტერატურა: ა. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხისტყაოსანზე, გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 234; 2. Р. Орбели, Собрание грузинских рукописей Института востоковедения, том IX, 1954, М.—Л., стр. 54.

ლენინგრადის სალტიკოვ-შიჩერინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის
ხელნაწერთა განყოფილება, ხელნაწერი № 14

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

137 ფ.; 20,5×16; ქაღალდი, მოლურჯო ფერისა; ჩანსულია ყდაში; მხედრული; სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით; შედარებით დაუზიანებლადაა მოლწეული; ქაღალდისა და კალიგრაფიის მიხედვით მე-18 საუკუნის მიწერული; მოეპოვება მინაწერები: 1რ, 38ვ, 136ვ, 137რ.

იწყება სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1რ—137ვ).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერს მოეპოვება მინაწერები, რომელთაგან აღსანიშნავია მინაწერი ბოლო ფურცელზე, რომელიც თითქოს ტექსტისაგან განსხვავებული ხელით უნდა იყოს შესრულებული: „ღმერთო შენიწყალე ამისი დამწერი კნიაზ ღმიტრი საქაქაძე:—

„ღმიტრი მელმის ღმიტრის, მე შენი უშენობანი,
ამად რომ გვექონდა მრავალ წელს ერთმანერთისა ცნობანი,
სიყვარული და აღერსი, ჯდომა და სეირნობანი,
ბოლოდ გაგვეარნა სოფელმან წაგვიხვნა ლხინთა თხრობანი“.

მოსკოვი, ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო
არქივი, ფონდი. 134წ, ხელნაწერი 290

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1812)

136 ფ.: 33×21; თავიდან აკინძულა ყოფილა, შემდეგ ყდა შემოკლია; ქალაღი; ნაწერია მხედრულით: სათაურები და სტროფთა დასაწყისები შესრულებულია სინგურით; ქალაღს მოეპოვება კვირინიშანი (მათ შორის შეიძინევა წელი: 1810 და ასოები „40“; გადაწერი ნინო მისურაძე, თარიღი 1812 წელი (136r); აღნიშნული ხელნაწერის მიკროფილმი მოიპოვება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

სათაური და დასაწყისი ტექსტისა: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენლად შუენიერი სწავლისათჳს მოშაირეთა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით უხმობენ: —

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა...“

პოემის ტექსტი თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

[ამას მისდევს 1712 წლის გამოცემის ორსტროფიანი ლექსითი ანდერძი: „აწ დაიბეჭდა სტამბაში...“ და „დაესრულა ესე წიგნი...“, შემდეგ კი მცირე ნაწყვეტი ვახტანგ VI კომენტარიდან: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა...“, რომელიც წყდება სიტყვებზე: „მასცა მოჰკლავს და თვითცა მოკულების აწ მე...“].

რედაქციულად წინამდებარე ხელნაწერი 1712 წლის, ანუ ვახტანგისეული გამოცემის პირს წარმოადგენს.

შენიშვნა: 1. ბოლო ფურცელზე მოთავსებულია გადამწერის ანდერძი: „წელსა ჩვიბ (1812 წ.) თვეს ნოემბერსა მ (30) ამ რიცხვეში დაწერილი არს: საქართველოს აზნაურიშვილი მისურაძის ასული ნინო; პირველი ხელნაწერი არის და რაც შეეძლომით მამსვლია ნუ დამგომობ“ (136r); 2. ხელნაწერს ახლავს გვანდელი მინაწერებიც. რომელთაც ტექსტთან კავშირი არა აქვს (მეტწილად ბოლო ფურცელზე).

ლიტერატურა: 1. შალვა გოზალიშვილი, უცნობი ხელნაწერი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, № 28.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ბიბლიოთეკა აკ $\frac{71}{4}$

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX—XX სს.)

56 ფ.: 33×22,5; ქალაღი (ხაზებიანი, რვეულის ტიპისა), ყდა კონკორისა, რესტავირებულია; მხედრული, დაუწერელია 1—6 ფურცლები (თანაც ეს ექვსი ფურცელი სიგარტეში უფრო მოკლეა), ვეფხის-

ტყაოსნის ტექსტი მე-10 ფურცელამდე ჩვეულებრივადაა ნაწერი, ხოლო მე-10 ფურცლიდან სტრიქონები ორ-ორ სვეტადაა ჩატეული; ხელით და ქალაღლით ხელნაწერი მე-19 საუკუნის მიწურულის ან ეფრო მე-20 საუკუნის დასაწყისისაა. ბიბლიოთეკაში შემოვიდა იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილების კოლექციიდან.

ტექსტი იწყება სტროფით:

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა...“ (7r) თ ა ე-
დ ე ბ ა პოემის ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა... (54v)

ამას მოსდევს ორსტროფიანი ლექსითი ანდერძი 1712 წლის გამოცემიდან, შემდეგ კი პოემის თავების სარჩევი.

შესწავლით გამოირკვა, რომ აქ მოთავსებული ტექსტი ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარეობს.

შენიშვნა: 1. აქვს მინაწერები სხვადასხვა ხასიათისა (მათ შორის ქართული ასოებით დაწერილი სომხური ლექსებიც). მაგალით. 56 ფურცელზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ბიბლიოთეკა ა K $\frac{72}{4}$

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი ნახევარი)

144 ფ.; 33x22; ქალაღლი; ყლაში ახლად ჩასმული (რესტავრირებული); მხედრული; გზადაგზა ფურცლები დაზარანებული (ამოღებულია შუა აღვილას); შეიმჩნევა კვირნიშნები (მათ შორის თარიღიც: 1838 წელი); ბიბლიოთეკაში ხელნაწერი შემოსულია იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილების კოლექციიდან.

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბვისა დასაწყისი პირველ ამო და სასმენელად შეენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან[ნ] შექმნა სამყარო ძალათა მით ძლიერითა...“ (1r)

წყდება ეპილოგის ერთ-ერთ სტროფზე:

„დავითის ქნარი(!) ვითა ვთქვენე სიჩალზე სიხაფეთანი ესე აბმავი უცხო[ნი] უცხოთა ხელმწიფეთანი... (144v)

შესწავლით გაირკვა, რომ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ბიბლიოთეკა K $\frac{256359}{2}$

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი ათეული წლები)

154 ფ.; 21×17; ქაღალდი; ტყავგადაკრულ ყდაში; მხედრული; სათურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; ხელნაწერში მოთავსებულია ნაწყვეტი დიმიტრი ბაგრატიონის პოემიდან „ქეთევან წამებული“. მოუპოვება კვირინიშანი (თარიღი 181...); ბიბლიოთეკაში შემოსულია ბუკინისტურა მალაზიიდან 1966 წ. ოქტომბრის თვეში.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი: „აქა ამბის დაწყება პირველი ამო და სასამენელი... მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უკმობდენ: —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა... (3r)

წყდება სტროფზე:

„ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა შოათოვდეს...“

(150v).

შესწავლით გამოირკვა, რომ პოემის ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წ. გამოცემა).

შენიშვნა: 1. ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემდეგ მოთავსებულია ნაწყვეტი (21 სტროფი) ასეთი სათაურით: „წამება ქეთევან დედოფლისა, ახლად თქმული თეოდის დიმიტრი ბაგრატიონი(!) მიერ“ (151v—154r). იგი თითქოს შესრულებულია სხვა ხელით; 2. მეორე ფურცელზე არის ვეფხისტყაოსნის სარჩევის ერთი ნაწყვეტი, მას წინ სხვადასხვა მინაწერებიც უძღვის (მეტწილად ასტროლოგიური ხასიათისა); 3. თავფურცელზე არის მფლობელის მინაწერი: „ეხსტანგს ზაქარიას ძე საძაგლიშვილის წიგნებიდან. სოფ. ქვემონიკოზი“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკა F — 20242

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1830)

126 ფ.; 22×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; სათურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით; ქაღალდი კვირინიშანიანი (თარიღი: 1238 წ.), ზოგი ფურცელი დაუწერელია (2—15 ფ. ფ. აქედან

მე-8-ზე მოთავსებულია ვეფხისტყაოსნისავე ნაწყვეტი; გადამწერი: აე-ტიქ გორგიჯანოვი, გადაწერის თარიღი 1839 წ. (გვ. 245).

ტექსტის სათაური და დასასრულის სტროფი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენლად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა... (1r)

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა...“ (119r) (ამას მოსდევს 1712 წლის გამოცემის ორსტროფიანი ლექსითი ანდერძი და ვახტანგის მიერ შესრულებული „თარგმანი“, შემდეგ გადამწერის ანდერძი და „სარჩევი წიგნისა ამის...“).

შესწავლით გამოირკვა. რომ ხელნაწერში მოთავსებულია ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. გადამწერის ანდერძი: მწერლობითა ჩუღურეთში მცხოვრებული ავეტიქ გორგიჯანოვისაგან კეთლ მიღრეილნო თუ შეცდომა რამე იხილოთ, ნუ შეურაცყოფთ. არამედ გამოუცდელობისა ჩემსა შეუნდეთ: ჩულო-სა წელსა (1839 წ.). ღვინობისთვის 3-სა დღესა“ (გვ. 289): შემდეგ იქვე იმავე ხელით ერთსტროფიანი ლექსი:

„წელი ვერ გამოვიჩინე ქალაღმან მიყო ზიანა,
მელანმა უფრო ფერთა მან შექმნა მიზეზიანი.
ასო ვერ დავსვი გაწყობით, ვერც ზოე ლამაზიანი,
და მაშინაც ვსწერდი ყოველდღე. როცა დღე ენახე მზიანი
(ქვემოთ მიწერილთა 1839, ქორონიკონს -- ფკზ).

2. ხელნაწერის თავში და ბოლოში არის გვიანდელი მინაწერები, რომლებშიც მეტწილად აღნიშნულია ამა თუ იმ პირის დაბადების თარიღები და ა. შ. 3. ეს ხელნაწერი პირველად აღწერა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა. იგი ერთ დროს პოეტ ოვანეს თუმანიანის ყოფილა, შემდეგ ეს დაკარგულად ითვლებოდა (შდრ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, გვ. 319). ხელნაწერი აღმოჩნდა თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ამაზე იხ. ლევან შენაბდღე. ძველი ქართული მწერლობის კერები, 1962, ტ. I, ნაკვეთი მეორე, გვ. 619). ლეონ მელიქსეთბეგის აღწერილობაში დაშვებულია უზუსტობა ქორონიკონის აღნიშვნაში (ლიტერატურული მემკვიდრეობა. ტ. I, 1935, გვ. 669). ასევე არ გამართლდა ამ ხელნაწერისა და ასლანიშვილის კოლექციის ხელნაწერის (ლიტ. ინსტიტუტის ლიტერთ L¹) სიახლოვის ვარაუდი, რაც ს. ყუბანეიშვილმა გამოთქვა ზემოაღნიშნულ წიგნში.

ლიტერატურა: 1. ლეონ მელიქსეთბეგი, გორგიჯანოვისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა, გაზ. „კომუნისტი“, 1923, № 75; მისივე,

სომეხი გადამწერი „ვეფხისტყაოსნისა“, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, ტ. I. გვ. 669; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 319.

**ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის
დამდგენი კომისიის ფონდიდან**

**შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი
ნახევარი)**

13 ფ.; 35×21; ქალაღი; უყლო; მხედრული; სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით; ქალაღი კვირნიშნია (შეინიშნება ქალაღის თარიღი — 1821 წ.); ქალაღისა და ხელის მიხედვით ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის ოციან წლებში; ხელნაწერი აკინძულია უსწოროდ. ჭერ მოთავსებულია სტროფები თავიდან ფატმანი ავთანდილს ნესტან დარეჯანს ამბავს უამბობს (1957 წლის გამოცემით, სტროფები: 1121—1212). ხოლო შემდეგ ნაწყვეტი წინა თავებიდან (იმავე გამოცემით, სტროფები: 8—104); დაუწერელია მე-13 და ნაწილობრივ მე-7 ფურცელი. ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას გადასცა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა ლეინაძემ.

ხელნაწერში ტექსტი იწყება:

„ფატმანისაგან ნესტანდარეჯანის ამბის მბობა ავთანდილთანა: —
„ამა ქალაქსა წესია დღესა მას ნავროზობასა...“ (სტრ. 1121, 1r)

წყდება სტროფზე:

„ხანი გამობდა იკითხა. ნეტარ რასა იქს ქალიო...“ (სტრ. 104, 12v).

შესწავლით გამოიკვია, რომ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის

ხელნაწერი № 124

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1839)

144 ფ.; 30×20; ქალაღი; ჩასმულია ყდაში; მხედრული; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; დაუზიანებელი; გადაწერილია 1839 წ. გადაწერი ზედგინიძე ფებრონია (იგავე მანანა). შემდეგი მფლობელი ალექსანდრე გარსევანიშვილი.

ხელნაწერში პოემის ტექსტი იწყება პირველი სტროფით:
„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“
თავდება ეპილოგის ტრადიციული სტროფით:
„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1r—144v).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა). ოლონდ გზადაგზა (ყერძოდ, პროლოგში და პოემის შუა მონაკვეთშიც) ერთვის რამდენიმე ჩანართი სტროფი, რომელიც ამოღებულია პოემის ვრცელი რედაქციის შემცველი რომელიღაც ნუსხიდან.

შენიშვნა: 1. ვეფხისტყაოსნის ტექსტს ხელნაწერში მოსდევს ორ-სტროფიანი ანდერძი პოემის 1712 წლის გამოცემიდან („აწ დაიბეჭდა სტამბაში ...“და „დაესრულა ესე წიგნი...“); 2. ბოლოში მოთავსებულია გადამწერის ანდერძი: „აღწერა ესე ვეფხისტყაოსანი ზედგინიძის ასულ ფებრონიასგან, ჩყლთ წელსა (1839 წ.) აპრილის პირველსა დღესა...“ ამას წინ უძღვის სამსტროფიანი ლექსითი ანდერძი, სადაც დამატებულია ცნობა, რომ ფებრონიას სახელი მონაზვნობაძე მანანა ყოფილა; 3. ხელნაწერს მოეპოვება მფლობელის ალექსანდრე გარსევანიშვილის რამდენიმე უმნიშვნელო ხასიათის მინაწერი; 4. ხელნაწერს დართული აქვს ერთ ფურცლიანი დამატება, რომელზეც მოთავსებულია ნაწყვეტი „ხილთა ქებიდან“.

გეგმეკორის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხელნაწერი № 1 (1825 წ.)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი

187 ფ.; 33×22; ქაღალდი; ჩასმულია ტყავგადაკრულ ამოტიფტრულ ყდაში; მხედრული; გვერდები მოხაზულია; დაზიანებულია 2—5 ფურცლები (აღდგენილია სხვა ხელით). კვირნიშანი მოეპოვება (თარიღი 1824 წელი და ასოები HKΦ); გადამწერის თარიღი 1825 წ. ხელნაწერის ერთ-ერთი ადრეული მფლობელი: პეტრე მოწერელა (187v). მუზეუმს 1957 წელს გადასცა ლუდმილა მოწერელიამ.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი: ამო და სასმენელი. და შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უქმობენ(!): —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“
პოემის ტექსტი მთავრდება ტრადიციული სტროფით:
„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ამას მოსდევს ლექსითი ანდერძები 1712 წლის გამოცემიდან („აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი კელისა...“ და „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა“).

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ბოლოში ახლავს ვახტანგ VI-ის კომენტარები: „თარგმანი პირველი წიგნისა ვეფხისტყაოსნისა...“ და მცირე ლექსიკონი, რომელიც ვახტანგისავე განმარტებების მიხედვითაა შედგენილი; 2. ხელნაწერს აქვს მრავალი მინაწერი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ა) ბოლოში მიწერილი, როგორც ჩანს გადამწერისავე ხელით, ხელნაწერის შესრულების თარიღი: ჩყეე (1825 წ.), ივნისის ხუთი. ბ) ხელნაწერას ერთ-ერთი მფლობელის, რომელსაც სტროფთა სათვალავიც გაუკეთებია, პეტრე მოწერელის მინაწერი ბოლოში, გ) აშიაზე და ბოლოში მიწერილია ცნობები დადიანთა სახლისა და სხვა ფეოდალთა შესახებ (მაგ. ნახსენებია დავით დადიანი, კონსტანტინე დადიანი და სხვ.).

ლიტერატურა: გ. შიქაძე, ვეფხისტყაოსნის უცნობი ხელნაწერი, გაზ. „თბილისი“ 1965, 12 ოქტომბერი.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

218 ფ.; 17X11; ქალღღი; ჩასმულია ხის ტყავადაკრულ ყდაში (ყდა ნაწილობრივ მოშორებულია). მხედრული, სათაურები შესრულებულია სინგურით, გადაწერილია მე-19 საუკ. გადამწერი უცნობია; ტექსტს აკლავს ბოლოში იხ. სტრ. ჩფჰ, ჩფჰჰ, ჩფჰტ (ვახტანგისეული გამოცემისა); ხელნაწერი ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩამოუტანიათ სოფ. სევადან, ბაქრაძეების ოჯახიდან.

ხელნაწერში ტექსტი იწყება სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

წყდება სტროფზე (გადარჩენილია მხოლოდ პირველი და მეორე ტაქტი):

„ქართველთა ღმერთისა დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად“.

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ბოლოში შემორჩენილი აქვს ერთი ფურცელი, რომელზედაც გვხვდება ნაწყვეტი რომელიღაც ლექსიდან. იწყება სიტყვებით: „მოვე, ვიხილე ბალი კლდოვანი შიგან წალკოტი მწვანოლოვანი“ და წყდება: „თუმცა გული ქვისა გქონდეს, რატომ ცვილებრ არ დადნები, ნაცვლად მისა საბრალთა გული შენთვის მაწუხდება“...; 2. ეს ხელნაწერი აღწერა და აღწერილობა გადმოგვცა პროფ. ს. ყუბანეიშვილმა.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა,
ქართული ხელნაწერები № 8 (P—12)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1811)

120 ფ.; ქაღალდის ზომები ჩვენთვის უცნობია; ქაღალდი ჩასმულია მუყაოს ყდაში; ნაწერია გაქრული მხედრულით; გადამწერი იოანე იალღუზის ძე; თარიღი 1811 წ.; ხელნაწერი საქართველოდან წაუღია და პარიზის ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს 1825 წ. 17 ნოემბერს იმ ხანებში საფრანგეთის კონსულს ტფილისში გამბას (ეს აღწერილობა ეკუთვნის პროფ. ე. თაყაიშვილს და მას არ მოაქვს სხვა ცნობები ხელნაწერის გარეგნულ ნიშნებზე).

თარიღი და ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის მოცულობა გვაფიქრებინებს, რომ აქ წარმოდგენილი უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია (1712 წ. გამოცემა) მოდინარე ტექსტი.

შენიშვნა: 1. ბოლო გვერდზე გადამწერის ანდერძი: „დიდება ღმერთსა ყოველთა მსარულს[ა]; სრულ იქმნა კელითა იოანე იალღუზის ძისათა: აპრილი 21, წელს 1811“; 2. რომ ამ ხელნაწერში ვეფხისტყაოსნის მოკლე ტიპის რედაქცია უნდა იყოს დაცული, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მ. ბროსე პარიზის ხელნაწერთავე ვრცელ ნუსხად მიიჩნევდა მართო 1702 წელს შემახიში გადამწერილ ნუსხას (P—10), რომელიც აგრეთვე პარიზის ბიბლიოთეკაში ინახება (ამ ხელნაწერის აღწერილობა იხ. ზემოთ). ამასთან გამოირკვა, რომ იალღუზის-ძის ნუსხის პირი ამჟამად ლენინგრადში ინახება (იხ. ზემოთ ლენინგრადის ნუსხათა აღწერილობა, E—74).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ქართული ხელნაწერები და იგი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1923, გვ. 45.

პროფ. ს. ყუბანეიშვილის პირადი არქივიდან

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

118 ფ.; 31,5×21; ქაღალდი: უფლო: ნაწერია მხედრულით; სათაურები და სტროფთა დასაწყისები წითლურათ. შეინიშნება კვირნიშნები, რომელთაც ახლათ თარალები (მაგალით. 1833, 1834, 1835 წწ.), აღენად ხელნაწერი მე-19 საუკუნის 30-იან წლებს მიეკუთვნება; ხელნაწერი ბოლონაეულია, გზადგზა აქვს ხარკეზები (42 და 43, 114 და 115 ფურცლებს შორის); ხელნაწერი ინახება პროფ. ს. ყუბანეიშვილის არქივში.

ხელნაწერში მოთავსებული პოემის სათაური და დასაწყისი სტროფი: „წიგნი ესე რომელს არს ვეფხისტყაოსანი წოდებული სპარსულიდამ ქართულსა ენასა ზედა თარგმნული ბირთველის მიერ გალექსილი მკითხველთათვის მხიარულ მყოფელი: —

რომელმა შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა“ (1r)

წყდებატროფზე:

„ვინცა გწადდეს ქრამდ შეირთე სამეფოსა ეპატრონე,

მუნდალმა გემსახურებდი, თავი შენი დაგვამონე,

ასპათ ფერხნი გარდუკოცნა, შენგანაო ჩემი ღონე,

და მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე“ (სტრ. 1650, 118v)

შესწავლით ირკვევა, რომ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს.

შენიშვნა: 1. უნდა აღინიშნოს, რომ სათაურში მოხსენებული ბირთველი არის არა გამლექსეული ან მთარგმნელი, არამედ გადამწერი; 2. წიგნში აქვია ვურცლები (ამის გამო ხელნაწერში არ არის 1937 წლის გამოცემის სტროფები 524—537 და 1484—1529); 3. აკად. ვ. კეკელიძის აზრით, ეს ბირთველი არის არა დუშეთის მაზრის „ზასედატელი“ ბირთველ თუმანიშვილი (1832 წლის შეთქმულების მონაწილე), რომელსაც სხვათა შორის 1802 წ. გადაუწერია ვეფხისტყაოსნის ძალზე თავისებური ნუსხა, არამედ ეს უნდა იყოს გორში ასეთივე სამსახურში მყოფი სხვა ბირთველ თუმანიშვილი (იხ. ვ. კეკელიძის „ეტიუდები“. IV. 1957, გვ. 27—31).

ლიტერატურა: ვ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური საკითხბეუ-
ტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 27—31.

პოეტ კონსტანტინე ქიქინაძის არქივიდან

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1851)

148 ფ.; 34×21; ქალაღი, ტყავაკრული ხის ყდა, მხედრული, სათაურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები სინგურიან; მოეპოვება ქვირინიანი; ხელნაწერი დაუზიანებლად არის მოღწეული (ოღონდ დედანი ჰქონია დეფექტური); გადამწერი გრიგოლ მიქელაძე, გადაწერის თარიღი 1851 წ. (148r), გადაწერის ადგილი საირპე.

ტექსტის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი (ეს სიტყვა ასომთავრულითაა — ს. ც.) ამო და სასმენელად მშვენიერი სწავლისათვის მოშაირეთას ტარიელს და ნესტან დარეჯანს ეფხისტყაოსნობით უხმობენ, აწ დავიწყით და ამბავი ესე: —

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა...“ (1r)

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (147v).

(ამას მოსდევს ერთი სტროფი 1712 წლის გამოცემის ლექსითი ანდერძიდან: „დაესრულა ეს წიგნი...“ და ა. შ.).

როგორც შესწავლით გამოირკვა, აქ მოთავსებულ ტექსტი (მცირეოდენი გამოწვევის გარდა, რომელთა შესახებ იხ. ქვემოთ შენიშვნაში) მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

შენიშვნა: 1. ტექსტი, როგორც აღინიშნა, 1712 წლის გამოცემას მისდევს, ოღონდ რამდენიმე ადგილას შეუვსიათ ამ გამოცემის ხარვეზი, მაგ. დამატებულია სტროფი „მე დავშეერ ვიოა წესია საურავ გარდახდისა“ (1937 წლის გამოცემით 553-ე სტროფი), რის რუსთველრობაზე ჭერ კიდევ დავით რექტორმა და თეიმურაზ ბაგრატიონმა მიუთითეს (იხ. ამ შრომის პირველ ტომში), ასევე გადამწერს ბოლოში ჩაურთავს რამდენიმე სტროფი (სულ 13 სტროფი, ვრცელი გამოცემით 1780—1792 სტროფები); 2. გადამწერის ანდერჰი: „დალათუ არა ჭერ იყო ჩემ მიერ წერა ამისა მეგობრისა სიყვარულმან მიყო წიგნისა ამის წერად და დავსწერე მოკლე ვამ, მაგრამ ფრიად ძველი და დარღვეული იყო დედანი და ნაკლე, რაც შემეძლო ვეცადე გასწორება და რაც აკლია ვერ მივხვდი უწერელა ადგილები დაუტევე და ვინც მართელი ვეფხისტყაოსანი იშოოს მით შეასრულოს და სხვა თუ რამე ნაკლებობა ნახოთ ნუ მიზრახავთ და ნუცა მწყევთ, ფრიად მოხუცებულმა ვსწერე, ვიდრე სამეოცდა ათორმეტის წლის განვლილმა — მდაბალი მონაზონი გრიგოლ ბერი მიქელაძე, საირმის უდაბნოსა შინა მცხოვრები; მხილველთა ყოველთა გთხოვ. შენდობას მიბრძანებდეთ: წელსა ჩენა, დეკემბრის კ-სა. თავადის კაცია ახვლედიანის სვიმონის ძის არის და მრავალ წელ ახმაროს სიციცხლესა და ბედნიერებას შინა და მისკეს ღმერთმან დღეგრძელი და საუკუნო სუფევა. ამინ (148r-v); 3. ცნობილი სტროფი: „როს ნაჰარმაგვეს მეფენი...“ მოთავსებულია ასეთი სათაურით: „თქმული რუსთველისა თამარ მეფის ქვაპა ზედა დაწერილი“.

„როს ნაჰარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დაქვსხნეს,
თურქნი, სპანი(!) და არაბნი საზღუართა გარე გამესხნეს,
თეფზნი ამერთა წყალთაგან იმერთა შინა შთამეხსნეს,
და აწ ამისა მოქმედსა, ხელი გულზედა დაქვსხნეს“.

ამ სტროფს მოსდევს სხვა ხასიათის ერთსტროფიანი ლექსი, იმავე ხელით ნაწერი:

„რა აქლემი ცასა ზმიდეს კაზმა(!) სიბრძნე იჩინოსა;
ვირი მღერდეს, მგელი მღუღლობდეს, დათვი მოძღურად იჩინოსა,
მგელი ლომსა, ჩიტი ვნაოსა, მწყერი სდედღეს მიმინოსა,
მამინ მიხუდე შესა მზესა შესაყრელად სალხინოსა“ (148r).

III. ვეფხისტყაოსნის შერეული (კომპილაციური) რედაქციის ხელნაწერები

S—1727; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით H¹
შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1825)

133 ფ.; 31×20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; რომლის ტყავის ყუა დაზიანებულია; მხედრული; სათაურები სინგური; 1825 წ. (133v); გადამწერი: ანა ამილახვარისა; (133v); ყოველი ცალკე თავი შექმულია თავკაზმულობით (ფერადით). აღნიშნულ ფონდში შემოსულა რაფიელ ერისთავის წიგნებიდან¹.

„ამბავი პირველი როსტევეან არაბთა მეფისა.

— იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღთისაგან სვიანი“... 3r—133v.
მთავრდება:

„... პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი
და ებოვე და ლექსადლ[!] გარდავთქვენ, ამითა ვილახუეთანი“.

ვეფხისტყაოსნის ტექსტს წინ უძღვის შესავალი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი აამაო[!], სასმენელად მშვენიერი, სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ისტორია, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ“ (1r—3r).

ტექსტიც და შესავალიც ძირითადად ვახტანგისეული გამოცემისებურია (იხ. 1r-დან 116v).

116v-დან v—133-მდე მოთავსებულია დამატებანი

ა. „ტარიელისაგან ინდოეთ მეფის სიკვდალის ცნობა“ (116v—118r)

ბ. „ტარიელისაგან ინდოეთს მისელა და ხატაველთ დამორჩილება“
(118r—121r)

გ. „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“ (121r)

¹ ანა ამილახვარი პოეტ რაფიელ ერისთავის დიდება იყო. ფონდის აღწერილობათა 111 ტომში გაურკვეველია თუ რომელ არაგვის ერისთავ რაფიელზეა საუბარი, იხ. გვ. 153.

- დ. „აქა ტარიელის დასწელება და ხვარაუშისაჲ მეფისაგან სისხლის-
ძებნად მოსულა“ (122r—127r)
- ე. „აქა ომი ხვარაზმელთა, ინდოთ, არაბთა და თურქთა“ (127v—130r)
- ვ. „ანდრძი ტარიელისა, ოდეს მიიკვალა“ (130v—131r)
- ზ. „სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა“ (131r—v)
- თ. „ანდრძი ავთანდილისა სიკვდილის ეჲს“ (131v—132v)
- თ. „სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა (132r—v)
- ი. „მოსულა ფრიდონისა, ტარიელის, ავთანდილის და მათთა ცოლთა
ზედა დატირება (132v—133v).

ტექსტი ვახტანგისეული გამოცემის ჩუგხ სტროფის ბოლომდის, ცოტაოდენი გამოწკლისით, იმეორებს 1712 წ. ნაბეჭდს გამოცემას.

ტექსტის დანარჩენი ნაწილი 116v-დან, „ტარიელისაგან ინდოთ მე-
ფის სიკვდილის ცნობიდან“ მოყოლებული ბოლომდის (გვ. 133v) გან-
სხვავებულია და ვრცელ რედაქციას მისდევს. შესწავლით გამოირკვა,
რომ აქ წარმოდგენილი დამატებები მომდინარეობენ გავრძელებათა მი-
ხედვით პირველი რედაქციის შემკველ ნუსხათაგან
(განსაკუთრებით ახლოა H—599-თან).

ანდრძი (გადამწერსა): „დასრულდა თვესა ოქტომბრის (ე)
დღესა, წელსა ჩყე (1825 წ. 25 ოქტომბერი)“;

„აღწერე მე, თავადის ავთანდილ ამილახორივის
კნენი ანანამ ესე ვეფხისტყაოსანი ძისა ჩემის თა აღქვანდრე-
სათვის. ანანა“ (133v).

მინაწერები: 1. ა) აკროტიხი. რომელშიც იკითხება: დავით
ანნავარ. ბ) მეორე აკროტიხში: ვეფხისტყაოსანი: შეკრული მიიღე
შენი ძმის დავით თუმანოვისაგან.

2. ამ შენს ნაღვაწსა მდუმარედ დავშვარი სევდით აღესილი.

აღვრსით ეკონი ცრემლ-ფრქვევით. სად გიწერია საქელი,

რად არ მელირსა უბედურს გამეცან მშობლის მშობელი!

ასულმაც დედას მოგბაძა: წერილი გვეო დაობლებული.

კ. ბარბარე (ჭორჭაძისა). 133v.

ლიტერატურა: 1. ე. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, გვ. 561,
№ 324 (—1727) აღწერილობა; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.
S—ფონდი, ტ. III, გვ. 153—154, 1963; 3. ს. ყუბანეიშვილი, ვეფ-
ხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, 317; 4. ს. ცაიშვილი,
ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 121.

S—2315; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით K¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

115 ფ.; 32X21; ქალალი (მოლურჯო ფერის); ლიდერინს ახალი
ყდა; მხედრული; სტროფის დასაწყისები სინგურით; თავ-ბოლო ნაკლე-
ლი; გადაწერილია ორი უცნობი გადაწერის მიერ (XIX ს.).

იწყება ვეფხისტყაოსნის 1957 წ. გამოცემის 120,3 სტროფიდან:

„... შემოვიდა მის წინაშე თინათინის მონა ზანგი
და მოახსენა, გიბრძანებსო ტანი ალვა, პირ[ი]მანგი (1r—115).

წყდება:

„... ვეზირსა ჰრქვა: უამარი არ დავადგები(!) არად არა,
ტარიელის ომსა თავად ემოწმების არად არა,
ხვარაზმშაპ თქვა: არ ეგების უპასუხონ ლაშქართ არა,

და ვეზირმან თქვა: გარეთ რაზმი მოვაგვაროთ ღონითა რა...“
(ვრცელი გამოცემა 1968 სტრ.).

ხელნაწერის რედაქციული თავისებურება: ხელნაწერის ძირითადი ნაწილი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და ბოლოში დართული აქვს ვრცელი ხელნაწერებიდან ამოღებული გაგრძელებები, რომლებიც როგორც ახლა გარკვეულია ზუსტად მისდევს გაგრძელებათა მეორე რედაქციას. (იხ. წინამდებარე ნაშრომის I ტომი).

ლიტერატურა: ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, 1908, გვ. 561) იხ. აგრეთვე ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. III, 1963, გვ. 190, ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძე. რედაქციები, 1953, გვ. 127, 139.

Q—278

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი¹ (1826)

132 ფ.; 31×20,3; ქალღა; მხედრული; თანაკლული. დაზიანებული: 1—6. 83—85; დახეულია 14—17, 30—31. 85—105; ამოვარდნილია; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა (დაზიანებული); გადაწერილია 1826 წ. ყარაბაღი, სოფ. ჩანახიში. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტის სახელით.

იწყება ვეფხისტყაოსნის პროლოგის ბოლო სტროფით:

„სიარული, მარტოობა შვენის, გაჭრად დაეთკლების.

იგონებდეს, მისგან კიდევ ნურაოდეს მოეცლების

და არ დაჩნდეს მიჯნურობა, სჯობს თუ კაცთა ეახლების...“

(1957 წ. გამოც. სტრ. 31).

¹ ეს გაგრძელებებიანი ხელნაწერი გამორჩენილია ლიტერატურის ინსტიტუტის „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ (4 ნაკვეთად, 1960—1963 წწ.).

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა...“

(ერცელი გამოცემის სტრ. 2121).

ხელნაწერი შერეული ტიპისაა. იგი პოემის ამჟამად აღიარებულ ძირითადი ტექსტის მანძილზე მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან, ხოლო ინდო-ხატულთა ამბიდან მოკლებული აქ წარმოდგენილია პოემის ჩანართებიანი დასასრულო, რომელიც სათავეს ერცელი რედაქციებიდან იღებს. თავისი ხასიათით ეს გაგრძელებანი ახლოს დგანან I ტომში აღწერილი მეორე რედაქციის შემცველ ნუსხებთან (მაგალ. H—54, H—2074 და ა. შ.) მაგრამ კონკრეტულად, სტროფთა თანამიმდევრობით, ბოლო თავებში ხარვეზებითა და წანაკითხებით იგი ახლოს დგანს მე-19 საუკუნის ისეთ ნუსხებთან, როგორცაა A—1123, H—66 და განსაკუთრებით კ. ი. გრიშაშვილის კუთვნილ ნუსხასთან, რომელიც გადაწერილია 1840 წ. მაგალითად, აქაც არ ახრის გმირთა ერცელი ანდერძები, ძალზე შემოკლებულია გმირთა გარდაცვალების ამბები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი Q—279 თარიღით წინ უსწრებს მე-19 საუკუნის აღნიშნულ ხელნაწერებს.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ლექსითი ანდერძი არკვევს თარიღსა და გადაწერის ადგილს (ყარაბაღი, სოფელ ავეტარანუცი ან კი ჩანახჩისს — წერს გადაწერი. ასხენებს ნიკოლოზ პირველს და ასახელებს თარიღს 1826 წლის 4 ივლისს). ეს ლექსითი ანდერძი შთაგონებულია ვახტანგის კომენტარებით, კერძოდ ის სტროფები, რომლებიც საღვთო მიჯნურობას ეხება. 2. 192-ე ფურცელზე არის შედარებით გვიანდელი მინაწერი: „შია მალალს კეთილშობილებას მიხაყ ყორღანოვს...“ (დასაწყისია წერილისა); 3. ყდაზე, განსხვავებული ხელით მიწერილია ერთი მაჟამური ტიპის ლექსი (ლექსში ნახაენებია აშული შამხი მელქო) და ერთი სტროფი რომელიც დაე მუხამბაზისა; 4. ხელნაწერს ერთის ლექსიკონი (121r—131r); 5. ხელნაწერში მოთავსებულია ვახტანგ VI მაჟამებიც (119v—120r).

ლიტერატურა: 1. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტი, ტფ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, V, 1936, გვ. 201—207; 2. ა. შანიძე, ვახტანგი, როგორც ლექსიკოგრაფი, იხ. 1712 წლის აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 370; 3. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q-ფონდი, ტ. I, 1957, გვ. 291—292.

Q—768

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX ს. პირველი ნახევარი)

117 ფ.: 35×21, ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; დასაწყისები სინგურით; ქაღალდის კვირნიშანი 1833 წ. (იხ. ფურც. 85), მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი.

1 ეს ხელნაწერი გამორჩენილია ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ (4 ნაკვეთად, 1960—1963 წწ.).

ვეფხისტყაოსნის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი და ამის სასმენლად: — როჲელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“ (1r—110r).

აქ ფაქტიურად წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ორი რედაქცია. პირველი — ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ანუ ვახტანგისეული გამოცემა თავიდან ბოლომდე, ბოლო თავები (კერძოდ, ინდო-ხატაელთა ამბავი) ისევეა შემოკლებული, როგორც 1712 წლის გამოცემაში. მეორე ნაწილი კი შეიცავს პოემის გავრძელებებს. აქ მეორედ, მაგრამ უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ინდო-ხატაელთა ამბავი, შემდეგ ხვარაზმელთა და გმირთა გარდაცვალების ეპიზოდები. მართალია, ბოლოს ხელნაწერი, როგორც ჩანს, სარგებლობს ხარვეზიანი დედნით, მაინც შეჯერება სხვა ნუსხებთან არკვევს, რომ აქ წარმოდგენილია გავრძელებათა ვრცელი. ანუ მეორე რედაქცია (მდრ. H—54 და ა. შ.).

შენიშვნა: 1. ვახტანგისეული ტექსტი და შემდეგ გავრძელებები ერთი გადამწერის მიერ უნდა იყოს შესრულებული; 2. ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტებს ბოლოში ერთვის ვახტანგის კომენტარების (ა-ოვ სტროფებისა) ნაწყვეტი, მცირე ლექსიონი და ა. შ. (111r—116r). 3. ხელნაწერის მფლობელი ყოფილა ალექსანდრე სიმონის ძე გამრეკელი (117r). იქვე მინაწერიც: „ალექსანდრე სიმონის ძე გამრეკელს მისი პატივისმცემელი თ. ივანე აფხაზი, 6 თიბათვეს, 1879 წ. თიანეთი“.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. II, გვ. 215.

Q—799; რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით O¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XVIII)

161 ფ. 21×17 ქაღალდი; მუყაოს ვადა; ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლეულია; შეიცავს 1545 სტროფს; ნაწერია მხედრულით; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები შესრულებულია სინგურით; (XVIII ს.); კვირნიშნები იხ. 151—153; რ. პატარიძის დაკვირვებით (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 44) ეს არის რუსული ქაღალდი რუსულივე კვირნიშნებით (BF და CT), რაც 1765—1776 ქრონოლოგიურ პერიოდს მიეკუთვნება. ხელნაწერი შექმნილია 1942 წელს.

ხელნაწერში პოემის ტექსტი იწყება სტროფით
„მოშიარე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი ორი...“
(1957 წ. გამოცემის 15-ე სტრ.)

წყდება:
„ავთანდილ უთნრა ტარიელს ესე სიტყვები ორები...“
(იმვე გამოცემის 1564-ე სტრ.)

ხელნაწერში ტექსტი არი პლასტისაგან შედგება. პირველი (იხ. ფურცლები 1—20, იხ. სტრ. ვრცელი გამოცემიდან 19—312) პლასტი მომდინარეობს ვრცელი რედაქციიდან. კერძოდ, პროლოგი აქ შეესაბამე ტიპისაა (სტროფთა თანამომღერობითა და მოცულობის მიხედვით), ხოლო შემდეგი ნაწილი ე. ი. 312 სტროფამდე მისდევს პოემის მეორე რედაქციას ე. ი. ახლავს ჩანართები ა და ბ პლასტებიდან. ხელნაწერი საერთოდ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ამავე რედაქციის ნუსხას S—4988-სთან, რომელიც მე-17 საუკუნის მიწურულსაა გადაწერილი (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ჰელი რედაქციები, გვ. 45, გვ. 74), აგრეთვე წინამდებარე ნაშრომს I ტომი.

ხელნაწერის მომდევნო პლასტი (ვრცელი გამოცემის 312-დან ბოლომდე) მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან, როგორც ამას ხელნაწერის შედარება-შესწავლა არკვევს (ემთხვევა როგორც შედგენილობით, ისე ენობრივი თავისებურებებითაც).

შენიშვნა: 1. 45რ-ზე არის ნინაწერი: „ვინმლო კარგი დასწერო, ჩემო სიცოცხლეო შეილო. ბატონო ელენე“; 2. ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობაში (იხ. Q-ფონდის აღწერილობა, ტ. 11, გვ. 228—229) ეს ხელნაწერი შეცდომით მოლინად ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარედ არის მიჩნეული.

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. 11, 1958, გვ. 228—229; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 319; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 45, 74.

II—86, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერით N1

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1832)

134 ფ.; 31,3×19,2; ქალაქი ჩანძულია მუყაოს ყდაში: ნაწერი მხედრულით (სათაურები სანაგური): გადაწერილია 1832 წ. (134რ); გადამწერი — კნეინა ნინო ამილახვაროვისა (134რ); 127რ-ზე სურათი ყოფილა დაწებებული: შეიცავს 1721 სტროფს; მუხუდს შეუძენია 1909 წელს.

იწყება: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო სასამე[ნ]ელად, მშვენიერი სწავლისათჳს მოშარეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ისტორია, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

თავდება სტროფით: „ამირან-დარეჯანის ძე...“

გადამწერის ანდერძი: „ადვწერე მე თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვის კნეინა ნინომ. დასრულდა თეესა მაისისა, ა დღესა, წელსა ჩულობ“ (134რ).

ხელნაწერი რედაქციულად ნარევი ტიპისაა. პროლოგი და შუა მოწყვეთი (ინდოხატავლთა ამბას ჩათვლით) გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემის ტიპის რედაქციიდან (ე. ი. აქაც ინდოხატავლთა ამბიდან

გადარჩენილია მხოლოდ ნესტანისა და ტარიელის ქორწილის შემცველი სტროფები). ხოლო გაგრძელებები გადმოღებულია სხვა წყაროდან (ამდენად მცდარია H ფონდის აღწერილობათა I ტომში მოცემული ცნობა, თითქოს ხელნაწერი შეიცავს ვრცელ რედაქციას. იხ. გვ. 52, შენიშვნა). რაც შეეხება დასასრულს ანუ გაგრძელებებს, ეს ხელნაწერი, როგორც ჩანს, საარგებლობდა პირველი რედაქციის შემცველი ხელნაწერებიდან ე. ი. აქ გაგრძელება პოემისა შედარებით მოკლეა (შეიცავს დაახლოებით 160-მდე სტროფს). აღსანიშნავია აგრეთვე რომ ეს ხელნაწერი დიდ სიახლოვეს ამეღვენებს ამ ნაწილში ასეთივე შერეული რედაქციის მქონე ხელნაწერთან — S—1727 (ამ სიახლოვეზე ოცნალები იხ. ს. ცაიშვილის ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 121—122).

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, 1946, ტ. 1, გვ. 42; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 319; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 121—122.

H—783, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის ლიტერით J¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1857)

145 ფ.; 33×21: ჩასმულია ახალ ყდაში (კონკრეტადაკრული მუყაო). მხედრული (შენიშვნება სხვადასხვა ხელი); სათაურები სინგურით; სულ შეიცავს 1644 სტროფს; გადამწერია — ივანე დავითის ძე სომხიევმა (დღეშიდან) — 96r; გადაწერა დამთავრებულა 1857 წ. 27 მარტს (96r); საცემში მიუღიათ 1912 წელს.

სათაური: „აქა ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტანდარეჯანის, ვეფხისტყაოსნობით უხმობენ —

„რომელმან შებეჟნა(!) სამყარნო(!) ძალითა მით ძლიერთა“...

წყდებ ა:

„გამოვიდა თარა ვეზირ, ბრძენ პლატონის დიდად დარი“...

(სტრ. 2011).

შენიშვნა: 1. 96r-ზე არის გადამწერის ანდერძი: „1857-სა წელსა, მარტის 27 დაწერე ესე წიგნი მე, ივანე დავითისძემ სომხიევმა, დღეშიდან“; 2. პოემის ტექსტში ვრცელი გამოცემის 476-ე სტროფის მიყოლებით ჩამატებულია 9 სტროფი, რომელთაც კავშირი არა აქვთ პოემის სიუჟეტთან (იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყ. სტროფ. შედგენილობა, 1959, გვ. 317. საინტერესოა, როგორც რუსთაველთან პოლემიკის თავისებური სახე).

პოემის რედაქციული სახე ხელნაწერის მიხედვით: ხელნაწერის პროლოგი და შუა მონაკვეთი წარმოადგენს ვახტანგისაული გამოცემის პირს

(იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძე. რედაქციებზე, 1963, გვ. 127), ხოლო დასასრულით იგი მოდის სხვა დეზინდან. აქ დატეული დასასრულის მეორე რედაქცია (შდრ. H—54 და სხვ. ნუსხები): არის მცირე გამოწვევის (ხელნაწერში არ არის პირველი პლასტიდან სტროფები: „აღლუ-მი ნახა მეფემან“... 1884. რაც შემთხვევით დეფექტი ჩანს. ასევე არ არის 1919 და 1967 სტროფები ვრცელი გამოცემიდან). აღსანიშნავია, რომ ეს მომენტი (ვახტანგისეული გამოცემის გავლენა) არ არის შემჩნეული H-ფონდის აღწერილობათა II ტომში და ხელნაწერში დაცულ ტექსტს პოემის ვრცელ რედაქციად მიიჩნევენ (ტ. II, გვ. 167—168).

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. II, 1951, გვ. 167—168; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 317; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1962, გვ. 127.

A—1123, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის ლიტერით №1

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1833)

148 ფ.; 33×21; ტყავადაკრული ხის ყდა; შეიცავს 1850 სტროფს; გადაწერა დამთავრებულა 1833 წ. ერთ დროს ხელნაწერ. ფლობდა მაკრინი მარაბელი; მუზეუმის აღნიშნულ ფონდში (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში) შემოსულა 1920 წელს.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შვინიერისა სწავლისათვის მოწაირეთასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ვეფხისტყაოსნობით უკმობენ.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“
თ ა ვ დ ე ბ ა :

„მითქვამს და კვლავ ვსთქვა სოფლისა სიტრუვე კვალად
კვლადობა“

(ვრცელი გამოცემის 2110-ე სტრ.).

აქ წარმოდგენილი პოემის ტექსტი ინდო-ხატაელთა ამბამდე მომდინარეობს ვახტანგის გამოცემიდან. შევლევ კი ხელნაწერი სარგებლობს ვრცელი გაგარძელებების მქონე ნუსხიდან. თუმცა ძალზე თავისებურადაა წარმოდგენილი გაგარძელებათა ტექსტი (აღრუელით თანამიმდევრობა), მაინც ჩანს, რომ აქ გვაქვს მეორე რედაქცია (შდრ. S—4499, K—205 ნუსხებს).

შენიშვნა: 1. ანდერძი გადამწერისა: „აღიწერა იკოლისს კა ამდენს, წელსა ჩყლგ-სა“ (148v); 2. მფლობელის ანდერძი: „ეს ვეფხისტყაოსანი არს მაკრინას, მარაბლის ასულის“ — (148v).

ლიტერატურა: 1. ქართულ სელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი, ტ. IV, 1954, გვ. 145; 2. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 319; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 127.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება,
ხელნაწერი M 48 (27), ლიტერატურის ინსტიტუტის
ლიტერით S¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1823).

209 ფ.; 30,5×20. ტყავადაკრულ ტეიფრულ ყდაში; შეიცავს 1945 სტროფს (ამას ემატება ცალკე ფურცლებზე დაწერილი 52 სტროფი). მხედრული. სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით. გადაწერა დაუშთავრებიათ 1823 წლის 23 თებერვალს, პეტერბურგში; გადამწერი: ასლან საფაროვი, რომელსაც ეს სამუშაო შეუსრულებია იმერეთის დედოფლის ანას დაკვეთით, შემდეგ ხელნაწერს ფლობდა კონსტანტინე ბატონაშვილი, რომლისგანაც შეუქენია პეტრე ქებაშეს (მასვე გადაუწერია სტროფები ცალკე ფურცლებზე), ხელნაწერში შეცდომით ჩაკერებული იყო გიორგი ავალიშვილის წერალი ზაქარია ფალავანიშვილისადმი. იგი ამჟამად გადატანილია ხელნაწერში K—5, რომელიც ავალიშვილს კუთვნობდა და მასვე გამოუგზავნია ზაქარია ფალავანიშვილისათვის ალბათ ახალ გამოცემისათვის გამოსაყენებლად.

პოემის სათაური და ტექსტის დასაწყისი:

„ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შევნიერის,
ხწავლისათვს ნოშაირეთასა, ტარიელს და ნესტან დარეკანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

თ ა ვ დ ე ბ ა ჩანართი სტროფით:

„დიდება შენდა, დიდება, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო.

ჩვენ უღირსთაგან უცნობო, ენითა მოუთხრობელო,

„ცასა და ცისა მნათობთა საკვირვლად მაბრუნებელო,

ქვეყნისა ქართა, ჰაერთა და ზღვათა შემწრწუნებელო“

(ეს სტროფი მარტო ამ ხელნაწერშია: იხ. 167v).

1 ამ წერილის შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილის წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან...“ აგრეთვე ელ. მებრეკელი: ვიორგი ავალიშვილის „მოგზაურობის“ შესავალი წერილი.

ხელნაწერი ძალზე რთული აღნაგობაა. პოემის პროლოგი და შუა მონაკვეთი მომდინარეობს ვახტანგის ეული რედაქციიდან (ბოლოში შეიმჩნევა ხარვეზები, რომელთაგან ზოგი აღდგენილია), შემდეგ ხელნაწერს ერთის გაგრძელებანი, რომელთა შესწავლით გაირკვა, რომ აქ წარმოდგენილია გაგრძელებათა მერე რედაქცია, რომელსაც ამასთან ერთის იოსებ ტყელების მიერ შეთხზული ორივე ანდერძი (2063¹, 2079—2105 სტროფები). ზემოთ აღნიშნული 52 სტროფი, რომელიც ტექსტში ჩასამატებლად აღმოუწერია პეტრე ქებაძეს. როგორც გამოირკვა ამოღებულია ისეთი ტიპის ვრცელ რედაქციათაგან. რომლებიც დაუცავს ხელნაწერებს H 599, Q—930. Q—261 და სხვ. (ე. ი. ვრცელ რედაქციათა შორის შედარებით უფრო მოკლე რედაქციებიდან), მაგრამ უფრო ზუსტად კი ეს დამატებული სტროფები, როგორც გაირკვა, ემთხვევა ხელნაწერს IV—27, რაზედაც დაწვრილებით იხ. 1841 წლის გამოცემის წყაროების შესახებ მსჯელობის დროს. (იხ. წინამდებარე ნაშრომის I ტომი, გვ. 337—347).

შენიშვნა: 1. ხელნაწერში პოემის ტექსტს მისდევს ლექსითი ანდერძები 1712 წლის გამოცემიდან და ნაწყვეტი ვახტანგისეულ კომენტარებიდან (168—194 ფფ.); 2. გადამწერის ანდერძი: „წელსა 1823 სანჯრ პეტრებურღსა შინა სრულ იქმნა. მათჲა უმაღლესობამ იმერეთის დედოფალმა ანანამ დამაწერინა მჲ. უკეთუ რასმე შეცდომა იყოს. შენღობას ემოქნებო. ასლან საფაროე თებერვლის: კმ“ (194v); 3. მინაწერები სხვა ხელით: „მე, პეტრე ქებაძემ შემდგომად დედოფლის ანასა გარდაცვალებისა ვიყიდე კოსტანტინე ბატონისშვილისაგან ეს წიგნი“ (194v). პეტრე ქებაძესვე ეკუთვნის სხვა მინაწერებიც, მაგალითად: „ეს მუხლები ერთი ვეფხვისტყაოსნისა იყო, ძველებური, დიდხნის დაწერილი თავის მხატრობითა. შეეპოწმეთ სხვა ვეფხვისტყაოსნება და არც ერთში არ იყო, მართო იმ ვეფხვისტყაოსნის გარდა და იქილამ გადმოვსწერე და თაუ-თავის ალავას დაუნიშნე, სადაც ეს წითლური მუხლები სწერია. ესენი რომ გათავდება, ეს შავათ დაწერილი მუხლები იმას ზედ მოეგმის, ზოგან ორი მუხლი ერთათ არის დაწერილი შავათ, ის ორივე ერთათ უნდა“ (3v). „ვინც ეს წიგნი გადაწეროთ. ეს მუხლები ჩაუწერეთ, სადაც ეს წითლური ციფრები უსხდეს და ხაზიცა იყოს წითლური, იქ უნდა ჩაუწეროთ, დიდათ საპირო არის, რომელიც ვამომიწერია თამარ მეფის დროს დაწერილის ვეფხვისტყაოსნიდგანა“ (195r); 4. არის სხვა ხაზითის მინაწერებიც, მათ შორის ლათინურ ენაზეც, რომელსაც ქართულადვე მარი ბროსეს ხელით აქვს მიწერილი: „ვეფხვისტყაოსნიან ბარსოფა კოჲა ჩემთვის ბოძებული ქებაძის მიერ 1840 კე რედ (1r); 5. ამავე ფონდში (იხ. K—1, ახალი შიფრით) არის ჩამდენიმე ფურცლიანგან შემდგარი ხელნაწერი, რომელშიც კვლავ პეტრე ქებაძეს, რაღაც გარკვეული მიზნით, ცალკე გადაუწესხავს ის 52-ე სტროფი, რომელიც ზემოთაც იყო ნახსენები.

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხვისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 320; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხვისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 90, 134; 3. P. P. Orbeli, Собрание грузинских рукописей Института Востоковедения, Ученые записки Института Востоковедения, IX, 1954, М.-Л., стр. 54.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი¹ (XIX)

ფ. 122; 34×22; ქალაღა, ახლად ჩასმელია მუყაოს ყდაში, მხედ-რული; ქალაღი ორგვარია (პირველი ნაწილი, კერძოდ 238-ე გვერდამდე ნაწერია შეღარებით ძველ ქალაღზე, განსხვავებული ხელით); ხელნაწე-რის აღნიშნულ პირველ ნაწილში სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; ქალაღისა და კალიგრაფიის მიხედვით მე-19 საუკ.

ხელნაწერის I ნაწილი იწყება პირველი სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

წყდება სტროფზე:

„კვლავ აკოცეს ერთმანეთსა გაიყარნეს იგი ქალნი...“

(სტრ. 1573, 1957 წ. გამოც.)

ხელნაწერის II ნაწილი იწყება სტროფით:

„ათასჯერ იტყვის ვაგლახსა არ სულთქმა უერთხელდების...“

(სტრ. 1574, 1957 წ. გამოც.)

წყდება სტროფზე:

„უკან მისდევს ხვარაზმშას გმირნი ორნივე მეფენი...“

(ვრცელი გამოცემის სტრ. 1955).

ხელნაწერის I ნაწილი მოჰდინარეობს ვეფხისტყაოსნის ვახტან-გისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა).

II ნაწილი შეიცავს ფრაგმენტს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათაგან: კერძოდ, „ინდო-ხატაელთა ამბიდან“ და „ხვარაზმელთა ამბიდან“, სულ 3 ფურცელს, 39 სტროფს (აქედან 14 სტროფი „ინდო-ხატაელთა“ ამბიდანაა, ხოლო 25 სტროფი „ხვარაზმელთა ამბის“ იმ ეპიზოდებიდან, სადაც ხვარაზმელთა დამარცხებაა მოთხრობილი, ეს უკანასკნელი ურაგმენტი ახლოსაა პოემის გაგრძელებათა მეორე რედაქციასთან).

პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის არქივიდან, № 524
რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის ლიტერით V¹

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1840)

194 ფ.; 31×20,5; ქალაღი; ყდა ტვიფრული მუყაოსი, ტყავადა-კრული; შეიცავს 1814 სტროფს; დაუწერელია ბოლო ფურცლები (155—

¹ ამ ხელნაწერის მონაცემება ვერ მოხვდა ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ (4 ნაკვეთი, 1960—1963 წწ.). რაღვან ეს ნუსხა მაშინ უცნობი იყო.

194). ყოველი სათაური იწყება ახალ გვერდზე, სტროფებს მიწერილი აქვს ნუმერაცია ასოებით; თავდება ჩყყა-თი (1821) ე. ი. თავდაპირველად ხელნაწერი 1821 სტროფს შეიცავდა (თუმცა ზოგი სტროფი განშორებულია); გადაწერილია 1840 წ. (155v), გადამწერი მღვდელი უნდა იყოს (იხ. იქვე სიტყვები: „ინებოს ღმერთმან, ცოდვის მღვდელს მისცეს სალუფვეელი“). ხელნაწერი ინახება ი. კრიშაშვილის სახლ-მუზეუმში.

იწყება სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

(სტრ. I. 1957 წ. გამოც.).

წყდება სტროფზე:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

(სტრ. 1669. 1957 წ. გამოც.)

რედაქციულად ეს ხელნაწერი შერეული ტიპისაა: I ნაწილი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან. II ნაწილი ინდო-ხატაელთა ამბიდან მოკიდებული წარმოდგენილია ვრცელი რედაქციით. შესწავლით გამოირკვა, რომ აქ დატულია გაგრძელებათა შეორე რედაქცია (ამასთან ხელნაწერი ამ მონაკვეთში დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს S—1717 და H-66 ხელნაწერებთან. იხ. იქვე მათი დახასიათება).

ლიტერატურა: 1. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული დახასიათება, 1959, გვ. 320; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 128.

IV. ვეფხისტყაოსნის „არტანუჯული ვარიანტის“
ხელნაწერები

S—305

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

256 გვ.; 24,5×20; ქაღალდი, ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს
უდა; მხედრული; XIX საუკ. I ნახევარი; გადამწერი იოანე იოსების ძე
ლარაძე (გვ. 241) დაუწერელია 242—256 გვ.

რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი, „ჰამბავი პირველი როსტე-
ვან არაბთა მეფისა.

— იყო არაბეთს როსტევან მეფე ლუთისაგან სვიანი...“

(5—240 გვ.)

თ ა ვ დ ე ბ ა —

„ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-
შეუშრობელსა“.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „შესავალი პირუტლი ვეფხისტყაოს-
ნისა. ამა ამბისა დასაწყისი პირუტლი, ჰამო და სასმენელად შუშნიერი
ქსნავლისათჳს მოშაირეთასა ტარიელსა და ნესტან-დარეჯანისა, რომელ-
სა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ.

— რომელჲან შექმნა საძყარო ძალითა მით ძლიერითა...“

2. როგორც ეს აღნიშნულია ა. ბარამიძის ხელით დაწერილ აღწე-
რილობაში, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა თუმანიშვილისეული (არტანუ-
ჯული) რედაქციისა არის.

3. დავით კარიჭაშვილის ხელით, ფანქრით, 01 გვ. მინაწერია: „ეს
იგივეა, როგორც S—4732“.

ანდერძი (გადამწერისა): „სახელითა... ლუთისა... სრულ იქმნა წიგნი
ესე, ხმობილი ვეფხისტყაოსნად, კეთილშობილს კოლლეცკის რელის-
ტრატორის იოანე იოსების-ძე ლარაძის მიერ“ 241 გვ.

ისევე როგორც ამ ტომის ნუსხებში იქ ვახტანგისეულ გამოცემას ემატება გ. თუმანიშვილის მიერ შეთხზული სტროფები (დაწვრ. იხ. ჩვენი ნაშრომის I ტომში).

ხელნაწერი შეიცავს არტანუჯულის სახელით ცნობილ რედაქციას და ახლოსაა ვახტანგისეულ გამოცემასთან, ოღონდ გარდა ჩანართი სტროფებისა, შეტანილია ზოგი ორთოგრაფიული ცვლილებები, რომლებიც მომდინარეობენ დავით რექტორისაგან.

ლიტერატურა: 1. S—ფონდის აღწერილობა, ტ. I. გვ. 358; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. 1957, გვ. 15.

S—1586

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

155 ფ.; 31,5X21; ქაღალდი; მეყაოს ტყავდაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწერი: დიანოქი პეტრე ტაბლიაშვილი (140); XIX ს. კვირინშანი 1831 წ. შემოწირულია პეტრე უმიკაშვილის მიერ.

სათაური და დასაწყისი: „შესავალი პირუშლი ვეფხვს ტყაოსანისა, ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ჰამო და სასმენელად შუშნიერი ჰსწაულისათვს მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა. რომელსა ვეფხვსტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალით მით ძლიერითა
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყუნა ზეცით მონაბერითა...

შენიშვნა: 1. ტექსტს დარღული აქვს: ა) საძიებელი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“ (141r—142v). ბ) -ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა აღმოსაენობლად...“ (143r—154v).

2. ხელნაწერი არტანუჯული რედაქციისა (იხ. ანდერძები. აგრეთვე ამას მოწმობს რედაქციული თავისებურებანი).

ანდერძი: „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზსა და მბაღსა, თუმც იყენეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ჰმობილნი საქართუშლოსა შინა ბეჭდილნი და ჰელწერილნიცა, გარნა ფრიად განრყუნილნი და არად სახმარნი, ამისთვის მისცემოდა გულსმოდგინება თავადსა სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს თუ შანოვს გიორგი ეგნატისძეს და მოეგოვა უძეშლესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი, კერძოთა არტანუჯისათა და ეს მე პეტრე ყარიბშან ლარაქემ შრავლითა შრომითა და ღვაწლის დადებით აღწერა(!) მშუშნიერის ხელით და აღვილ-საკითხავთ. ხოლო მე ესე კნაზ მამუკა ორბელიანის¹ სამრავალუამიეროდ და ბედნიერებისა შინა მოსახმარებლად აღვსწერე ფრიად ულირსმან პეტრე დიანოქმან ტაბლიაშვილმან, მოსეს ძემ“ (140v).

¹ „მამუკა ორბელიანი“ სხვა ხელით და სხვა მელნით არის ჩაწერილი ტექსტში.

მინაწერები: 1. „ეს ვეფხისტყაოსანი ეყუთვნის კენინა ქეთევან გიორგი ერისთვის ასულს ჯანბაკურიანობელნიანისას (ზემო ყდის საცავი ფურცელი).“

2. „წელსა 1880, ქ. თბილისი კენინა ალექსანდრა მელიქოვისას“ (ზემო ყდის საცავი ფურცელი).

3. „წელსა 1866, აპრილის 2 დღესა ველიკი კნიაზ მიხაელ ნიკოლაინს მოევიდა დეპეშა, რომ იმავე დღეს 4 სათს(!) შუადღეს შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე გულაობდა ლეტნი ბაღში და კალასკაში ჩასაჯდომად რომ მიბრძანდა, ვილაცა ავაზაკმა დამბაჩა დასცა და უენებლად გადაარჩა. საბრზე შერმუსრა. ამისთვის 5 აპრილს სიონის კაფედრაში იყო პარაკლისი და გადაიხადა არქიელმა ევსეიმ, გვარაჲ იყო ილინსკი. ველიკი კნიაზი მიხაელ ნიკოლაიჩი იქ ბრძანდებოდა. ყოველნი სამხედრო და სამოქალაქო ჩინები და ქალები, ყველანი იქ ვაყავით და ღმერთს მადლობა შევეწირეთ მისის იმპერატორებას(!) უენებლად გადაარჩენისათვის. ეს ამბავი 11 საათს ღამისას გრიგორი ორბელიანს ებრძანებინა და ესეც, რომე ხვალ სიონში ჩამოდითო. რადგანაც იყო იმ დროს ლენერალ-ატუტანტი(!), დეპარეზინა(!) და ებრძანებინათ მისთვის ეს შემთხვევა. იმ ღამეს აღარ გვინება(!), სამწუხაროც ეს იყო, რომ ის ავაზაკი გამოდგა რუსიეე, თვის ხემწიფეს დამბაჩა დასცა იმისთანა აშელის კაცსა (155).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი „Описание“, ტ. II, 1908, გვ. 558; 2. ქართ. ხელნაწ. აღწერილობა S ფონდი, ტ. III, 1963, გვ. 44—45; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957. გვ. 65.

S — 2086

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

130 ფ.; 36×22,3; ქალღლი (ზოგან ლაქებიანი და დაზიანებული), ყდა — ტვიფრული ტყავადაკრული ხისა; ხელნაწერი ბოლონაკლულია დაშლილი; მხედრული ხელით ნაწერი, სტროფების დასაწყისი სინგურით, აქვს თავსამკაულები: იხ. გვ. 15, 29, 31; ბოლოსამკაული: გვ. 28, 104, 148. დაახლოებით XIX საუკუნის პირველი ნახევარი. ექვთ. თაყაიშვილის აზრით. ხელნაწერი შესრულებულია იმავე პირის (პეტრე მოსეს ძე ტაბლაიშვილის) მიერ, რომელმაც გადწერა S-1586 ნუსხა (Описание, т. II, стр. 557—558), რაც მტკიცდება ამ ორი ხელნაწერის შეჯერებითაც.

პოემის სათაური და დასაწყისი ხელნაწერის მიხედვით: „შესავალი ვეფხისტყაოსანისა პირუელი. ამა ამბისა დასაწყისი პირუჭლი. ჰამო და სასმენელად შუჭნიერი ჰსწავლისათჳს მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. — რომელმან შეჰქმნა საძყარო ძალითა მით ძლიერითა...“

გვ.1—251.

შედეგა:

„... ტარიელ მადლსა იხდიდა, ტურქა სიტყვთ და ენითა დიდად ვიამე მეფეო, პირუშლ ნახვთა თქუშნითა, მერმე აღგუავსენ მრავლითა, უსასყიდლოთა ძღუშნითა ვიცი შორი-შორ არ ჩავლა, ჩუშნ თქუშნა კარგად კჳქმენითა“ (სტრ. 1441, 1957 წ. გამოც.).

შენიშვნა: 1. ხელნაწერის 252—253 გვერდებზე მომდევნო 11 სტროფის მხოლოდ დასაწყისია სინგურით დაწერილი; 2. ხელნაწერზე სხვა ხელით, ლურჯი ფანქრით მიუწერიათ (იქნებ თვით ექვთ. თაყაიშვილს): „გადაწერილია პეტრე მოსეს ძის ტაბლიაშვილისაგან, რომელიც(!) გადაწერა 1925 წ.“, ხელნაწერზე არის სხვა უპნიშვნელო ხასიათის მინაწერებიც (იხ. გვ. 259, 260).

რედაქციულად ხელნაწერი იმავე ტიპისაა, რომელსაც ჩვენ არტანუჯული ვარიანტის სახელით ვიცნობთ (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65), ამასვე მოწმობს ამ ხელნაწერის შეჭერება S-1586 ხელნაწერთან, რომელსაც იგივე გადაწერი მიყავს და შეიყავს სწორედ არტანუჯულ ვარიანტს.

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, გვ. 557—558; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65. 3. ქართ. ხელნაწ. აღწერილობა, S-ფონდი, ტ. IV, გვ. 145—146

S — 2781

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1836)

250 გვ.: 34,5 × 22; ქალღლი; მეყაოს ყდა; დაშლილი, პირველი გვერდი დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი. სათაური სინგურით; გადაწერი: ჭარის მამის მდივანი გიორგი მიყეროვეჭი; 1836 წლის 28 აგვისტო (გვ. 259). დაუწერელია: გვ. 250; შეძენილია გამრეკელისაგან.

პოემის სათაური და დასაწყისი სტროფი: „შესავალი პირველი ვეფხისტყაოსანისა, ამა ამბისა, და პირველ ამო და სასმენელად შვენიერი სწავლისათვის ...ასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ გვ. 1—230.

რედაქციულად ხელნაწერი არტანუჯული ვარიანტისაა, რასაც არკვევს ხელნაწერის შეჭერება სხვა ამ ტიპის ნუსხებთან (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65).

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტს ერთვის: „სამიბებელი წიგნისა ამისა ვეფხისტყაოსნისა“ (გვ. 260—232); 2. ერთის აგრეთვე ლექსიკონი: „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა თარგმანი საცნობელად ლექსთასა“ (გვ. 232—248). ლექსიკონზე დართულია შემდეგი სახის განმარტება: „განმარტება ლექსთა ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთველსა თვისსა ამა შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვიეთთაგანმე მძიმელ საცნობელ და მისახდომ იქნებიან, ამისთვის აქ: ანბანსა ზედა ასხმულნი არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისითა მხილველთაგან ადვილ მისახდომელად, ხოლო მრავალთა უწყიან და არად სახმარ არს მათთვის განმარტება ლექსთა და ესე შრომა დაშთების, რომელთაცა სახმარ ექმნების, ესრედ ეწერა უძველესა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (გვ. 248).

ხელნაწერს ახლავს სხვა მინაწერებიც: 1. „სრულ იქმნა დიდბა ღმერთსა. ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადა. თუმცა რუენეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ხმობილნი საქართველოსა შინა დაბეჭდილნი და ქელნაწერილნიცა, გარნა ფრიად განრუენილი და არად სახმარნი. ამისთვის მიცემოდა გულსმოდგინება თავადს სტატსკის სოვეტნიკს და კავალერს თუ მანოვს გიორგის ეგნატის ძეს და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა და ესე მე მუნიტგან გადმოვსწერე მრავლითა შრომითა და ღუაწლისა დადებითა ყვარის მამის მღვიანმა გიორგი მიეეროვეჯისათა. აღწერა ესე თვესა აგვისტოსა 18-სა დღესა. ჩუღუ-სა წელსა“ (გვ. 249)¹.

2. „რაცა თავსა უწერია, კაცსა იგი გარდაბდების, ცა, ქუეყანა დარღვევის, და ღუთის ბრძანება არა სადა წარხდების, ჯელი მშრომელთა მიწლებს და ნაშრომი შთების, შრომილი ესე ვეფხისტყაოსანი, რომელთაცა ეკუთვნის ღმერთმან კეთილად მოახმაროს. ამინ“ (გვ. 249). ხელნაწერზე არის სხვა უფრო გვიანდელი მინაწერებიც (მაგალით. გვ. 249 და სხვ.).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, 1908, გვ. 558; 2. ს. თაყაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65; 3. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. IV, 1965, გვ. 178—179.

S — 4782

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1827)

164 ფ.; 34×21; ქალაღი; აქვს ჰვირნიშანი (ფ. 10); ყდა — ტავგადაკრული მუყაო; ნაწერია ლამაზი მრგვალი ასოებით, მხედრული, შავი მელნით; სათაურები და სტროფების დასაწყისები შესრულებულია წითლურით; შეიცავს 1604 სტროფს; გადაწერა დასრულებულია 1827 წლის

¹ ეს ანდერძი დამახასიათებელია ამავე რედაქციის შემცველ სხვა ნუსხათათვისაც (შდრ. H — 1079, S — 4732 და სხვ.).

1 იანვარს. გადაშვრი პეტრე ლარაქე (142r) ხელნაწერის მფლობელნი: თავადი ნოლოკავევი, ხოლო 1877 წელს იგი შეუძენია დ. ბაქრაძეს. ხელნაწერს ბოლოში ახლავს ლექსიკონი და საჩიებელი.

სათაური და დასაწყისი: „შესავალი პირველი ვეფხისტყაოსნისა. ამა ამბისა დასაწყისი პირუჭლი, ჰამო და სასმენელად შუჭნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა. რომელსა ვეფხის-ტყაოსნობით უკმობენ: —

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერიითა...“
(1957 წ. გამოც. 1 სტრ.)

თ ა ვ დ ე ბ ა :

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“
(1957 წ. გამოც. 1669-ე სტრ.).

რედაქციულად ხელნაწერი წარმოგვიდგენს ე. წ. პოემის არტანუჯულვარიანტს. ამას მოწმობს როგორც რედაქციული აღწავობა (აქ მოიპოვება გიორგი თუმანიშვილის მიერ დამატებული 17 სტროფი. შდრ. H—1079 ხელნაწერის აღწერილობა:) ისე ენობრივ-ორთოგრაფიული ფაქტები (აშკარაა დავით რექტორის რედაქციული შეშაობის კვალი). როგორც ეს გამოჩვენებულია ჯერ ალექსანდრე სარაჯიშვილის („არტანუჯული ვარიანტი“, ძვ. საქართველო, ტ. IV), ისე ჩვენს წიგნში (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65—74) ეს ხელნაწერი პეტრე ლარაძეს გადაუწერია დავით რექტორის მიერ გიორგი თუმანიშვილისათვის გადაწერილ ხელნაწერიდან H—1079, რომელშიც თავის მხრივ გიორგი თუმანიშვილს შეუტანია მის მიერ შეთხზული 17 სტროფი. თავის მხრივ კი პეტრე ლარაძის ეს ხელნაწერი შეიქმნა დედანი არტანუჯული ვარიანტის შემცველ სხვა ხელნაწერებისათვის.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში (იხ. გვ. 283) არის ანდერძი: სრულ იქმნა დიდება ღმერთსა ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა: — თუმცა იყუნეს წიგნი ვეფხის-ტყაოსნობით კმობილი საქართველოსა შინა ბეჭდილი და ქელწერილიცა, გარნა ფრიად განრყენილი და არად საქმარნი, ამისთვის მისცემოდა გულს მოდგინება თავადს სტატისკის სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის-ძეს და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხის-ტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაძემან მრავლითა შრომითა და ლუწლის დაღვებითა მუნით გარდმოვსწერე იანვრის ა-სა დღესა ჩუკუზ-სა წელსა.

ქელი მშრომლის მიწდების,
ხოლო შრომილი მისი კმთების;

2. ლექსიკონს ხელნაწერში უძღვის შემდეგ სახის განმარტება: „განმარტება ლექსთა ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრფენსა მას შოთა რუსთველსა, თვისსა ამას შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვიეთთაგანმე შიმიდ საცნობელ და მისახლომ იქმნებინ, ამისთვის აქა ან-

ბანსა ზედა ასხმულ არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითი თვისთა მხილველთაგან ადვლ მისახდომელად; ხოლო მრავალთა უწყუიან და არად საქმარ არს მათთჳს განმარტება ლექსთა. და ეს შრომა დაკშობებარს მათთჳს. რომელთაცა საქმარ ექმნების. ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (162r).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიაშვილი. Описание 1908, ტ. II, გვ. 554—556; 2. აღ. სარაჯიშვილი, არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა. კრებ. ძველი საქართველო, ტ. IV; 1914—1915, გვ. 1—30; 3. აღ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 81—84; 4. ს. ცაიშვილი. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957. გვ. 65—74; 5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. VI, 1969, გვ. 78—79.

Q—376

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

155 ფ.; 35,5×22,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული (მსხვილი, კალიგრაფული); სათურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; ქაღალდი დაზიანებული. ამჟამად ხელნაწერი რესტავირებულია; თავბოლო ნაკული. ქაღალდის კვირნიშანი — 1827 (ფ.ფ. 2—3); XIX; შეძენილია სოფ. მეტეხში შაქრო მალაშვილისაგან 1936 წელს.

ვეფხისტყაოსანი იწყება:

„ამა საქმესა მიჯნურნი ნუ უქმობთ მიჯნურობასა...“ (1r—134v).

წყდება:

..... მობრუნდა, სპათა უბრძანა აეთანდილის თაყვანება,

ესეაო მეფე თქუძნი, ასე იქმნა ლთისა ნება.

დღეს ამას აქუს ტახტი ჩემი, მე სიბერე, ვითა სნება

ჩემად სწორად მსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი ცნება...“

(სტრ. 1546; 1957 წ. გამოც.).

შედარებამ ცხადყო, რომ ხელნაწერი ზუსტად მისდევს ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს (შდრ. H—1079, S—4732). ეს აღნიშნული ჰქონდა აღ. სარაჯიშვილსაც. იხ. ძველი საქართველო. ტ. IV, გვ. 1—30. იხ. აგრეთვე, ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65.

შენიშვნა: 1. ტექსტს აქვს სტროფების, გვერდების და რვეულების ანბანური სათვალავი; 2. ერთის: ა) „საძიებელი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“ (135v—137v), ბ) „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა“ (139r—153v); 3. ლექსიკონის ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილია: „განმარტება ლექსთა... ბრძენსა მას შოთა რუსთაველს...სა ამას... მილსა ვეფხისტყაოსანსა შინა რომელნიც [ვი] ეთთავანმე მძიმედ საცნობელ და მისახდომ იქმნებიან, [მი]თვის აქა ანბანსა ზედა აახმულნი არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითი თვისი-

თა, მხილველთაგან ადვილ მისახდომელად. ხოლო მრავლთა უწყიან და არა საქმარ არს მათთვის განმარტება ლექსთა და ესე შრომა დამთების მათთვის, რომელთაჲსა სჯმარ იქმნების. ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (154r).

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა Q-ფონდი. ტ. I, 1957, გვ. 398—399; 2. იხ. აგრეთვე ალ. სარაჭინაშვილისა და ს. ცაიშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომები.

Q—737

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი (XIX საუკ.)

109 ფ.; 32,5X21; ახლად ჩასმული კოლენკორის ყდაში; მხედრული: ქალღი; რესტავრირებულია; აქლია 3 და 4 ფ. ფ. შორის; გადამწერი დიაროქი ბასილ სიმონის ძე ცხაკია (საცეფ ფურცელზე), ქალღი და ხელით XIX საუკ. ხელნაწერი 1942 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდს გადმოეცა შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან.

სათაური და პოემის ტექსტის დასაწყისი: „შესავალი პირველი ვეფხისტყაოსნისა. — ამა ამბისა დასაწყისი პირველი ჰამო და სასმენელად შევნიერი ჰსწავლისათჳს მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტანდარეჯანის რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ (1 სტრ.)

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1r—109v)

შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ხელნაწერში წარმოდგენილი პოემის ტექსტი ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს მისდევს (ზუსტად ისეთივეა პოემის შედგენილობა, როგორც ეს ამ „ვარიანტის“ დახასიათების დროს ვნახეთ).

შენიშვნა: 1. გადამწერის ანდერძი მოთავსებულია საცეფ ფურცელზე: „სრულ იქმნა წიგნი ესე ხმოპილი ვეფხისტყაოსნისა დიაროქის ბასილ სიმონის-ძის ცხაკიას მიერ“; 2. ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობაში (Q-ფონდის II ტომში) დაშვებულია უზუსტობა. ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ვახტანგისეული გამოცემის პირად არის ჩათვლილი (გვ. 191).

ლიტერატურა: 1. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q ფონდი, ტ. II, 1958, გვ. 191.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

121 ფ.; 35X21; ქაღალდი; უყულო; დაზიანებული (ხელნაწერის წინა მ ფ. 112. 113. 120 და 121 ფ.ფ. მეტად დაზიანებულია და ქიისაგან შექმნილი; 39 — უკუდგოა დაწერილი და თანაც ჩვირედინი ხაზები წაშლილია); დაშლილი; ნაკლები; მხედრული (საათურები და სტროფების დასაწყისი სინგური); ფურცელზე, რომელზედაც თარიღია ჩამოხეული, შეინიშნება 183... (113r), რაც იმას ნიშნავს, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1830 წლიდან არა უგვიანეს 1840 წლამდე (H-ფონდის აღწერილობაში თარიღის წაკითხვაში შეცდომაა დაშვებული, თითქოს ხელნაწერი 1803 წელსაა გადაწერილი. იხ. ტ. 1, გვ. 221), მართლაც, სხვა ადგილას ამასვე ამტკიცებს კვირინიანიც, რომელიც 1831 წელს აღნიშნავს¹. დამკვეთი — გიორგი ეგნატის ძე თუმანოვი (საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ხელნაწერის დედნიდან მოდიოდეს — ს. ც.) — 112v; დაუწერელია: 82v, 83r.

იწყება: „შესავალი პირუტლი ვეფხისტყაოსანისა. ამა ჰამბისა დასაწყისი პირუტლი, ჰამო და სასმენელად შუჭნიერი ჰსწაულისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. — ა.

რომელმან შეჰქმნა საწყარო, ძალითა მით ძლიერით[ა]...“ 1r—112v.

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მისდევს ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს, იმეორებს ისეთივე შედგენილობასა და ენობრივ თავისებურებებს (შდრ. ხელნაწერების H—1079 და S—4732 აღწერილობებს).

შენიშვნა: 1. ახლავს გადამწერის ანდერძი „სრულ იქმნა. დიდება დმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბაღსა! თუმცა იყუნეს წიგნი ვეფხისტყაოსნობით კმოზილნი, საქართუქელოსა შანა დაბეჭდილნი და ჰელწერილნიცა, გარნა ფრიად განრყუნილნი და არად საქმარნი, ამისთვის მისცემოდა გულსმოდგინება თავადს სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძესა, და მოეპოვა უძუტლესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე მუნითგან გარდმოვსწერე მრავლითა შრომითა და ღუაულისა დადებითა“ — 112v (ეს მინაწერი, როგორც ამ ტიპის ხელნაწერების შესწავლა არკვევს ერთი დედნიდან მოდის. იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 65—75).

¹ ეს ჩვენ მიუთითეთ 1957 წ. (იხ. ჩემი წიგნი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957 წ. გვ. 65), ამ ხელნაწერის დათარიღებაზე იხ. აგრეთვე გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, კრებ. „შოთა რუსთაველი, მეცნ. აკადემია, 1966 წ. გვ. 361—362. თუმცა, როგორც ჩანს, გ. მიქაძე არ იცნობდა ჩვენ მოსაზრებას აღნიშნული ხელნაწერის თარიღზე.

მინაწერი სხვა ხელით ძოიბოება აგრეთვე 1r-ზე;

2. ბოლოში ერთის: ა) „განმარტება ლექსთა ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრძენსა მას რუსთველსა თვისსა ამას შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვიეთაგანმე მძიმედ საცნობელ და მისახდომ იქმნებია. ამისთვის აქ, ანბან[სა] ზედა ასხმულნი არიან ლექსნი იგი მის გასქმარტებითა თვისითა მხილველთაგან ადვილ მის: [ხლო]ქველად, ხოლო მრავალთა უწყიან და არად საქ[მ]არ არს მათთვის განმარტება ლექსთა. და ესე შრომა დაშთების მათთვის, რომელთაცა საცქმარ ექნების. ესრედ ეწერა უძველეს[სა] და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (113r). ბ) „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა...“ („ჩ“-ით მთავრდება: 114r—120v). გ) „საქიებელი წიგნისა :მის ვეფხისტყაოსნისა (სარჩევი)...“ (121r-v).

3. H-ფონდის აღწერილობაში დათარიღების დროს დაშვებულია შეცდომა, თარიღი აღდგენილთა არასწორად და ამასთან არ არის მიღებული მხედველობაში კვირნიშანიც (იხ. H-ფონდის აღწერილობა, ტ. I, 1946, გვ. 221).

4. ამ ტიპის ხელნაწერებს მოეპოვებათ საერთო ანდერძი და დაახლოებით მსგავსი ლექსიკონები, რომელთა უმთავრესი წყაროს შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის I ტომი. (სპეციალურად იხ. იმ თავში, სადაც განხილულია ვეფხისტყაოსნის „არტანუჯული ვარიანტი“).

ლიტერატურა: 1. ექვთ. თაყაიშვილი, Описание, გვ. 579—581. 2. H-ფონდის აღწერილობა, ტ. I, 1946, გვ. 221; 3. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65—74.

H—933

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1834)

158 ფ.; 30×20; ქაღალდი; მუყაოს დაზიანებული ყდა; მხედრული; 1834 წ. (1r—142r); გადაწერი — სოლომონ გიორგის ძე გარაყანიძე (1r—142r) ადგილი სოფ. ბოჯოფინი (1r); შექმნილია თამარ ზაალიშვილისაგან.

„შესავალი პირუჭლი ვეფხისტყაოსნისა. ამა ამბისა დასაწყისი პირუჭლი, ჰამო და სასმენელად შუჭნიერი, ჰსწავლისათვის მოშაირთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა... (2r—142r).

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი მისდევს ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს, როგორც შედგენილობით, ისე ენობრივი თავისებურებებით.

შენიშვნა: 1. უძღვის თავფურცელი, -- ვეფხისტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისაგან თამარ ჰეფის დროსა. გასწორებული და რს, დაწერილი სოლომონ გარაყანიძისაგან განმარტებითურთ. სოფ. ბოკოწინი, 1834 წელსა. შალის 5 რიცხვსა (1r), 2. ერთის: ა) „სამიეზელი წიგნისა შინს ვეფხისტყაოსნისა“ (142v—141v). ბ) „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა“ (145r—158r);

3. გადამწერის ანდერძები: ა) «განმარტება ლექსთა ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთაველსა თვისა ამას შრომილსა ვეფხისტყაოსნისა შინა, რომელნიცა ვიეთთაგანმე მძიმედ საცნობელ და მისახვამ იქმნებინა. აპისტოვის აქა ანბანსა ზედა ასხმულნი არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისითა, მხილველთაგან ადვილ მასხადომელად, ხოლო მრავალთა უწყიან და არად საქმარ არს მათთვის განმარტება ლექსთა. და ესე შრომა დაშთების მათთვის, რომელთაცა საქმარ ექმნების. ესოეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (158r). ბ) «სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, ყოველთა მიზეზსა დამბადსა; თუმცა იუუნეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ჰქმობილნი, საქართუშლოსა შინა ბეჭდვალნი და ჭელწერილნიცა, გარა უძველესი ნაწერი პოეზილი კერძოთა არტანუქისათა, გინა საათაბაგოჲსათა, რომელ არს ახალციხის ფაშალიკი, გაშინჯული და უმჯობესად შერაცხილი გამოცდვალთა და სწავლულთა კაცთაგან, ვიხილე მე და მუნით გარმოეწერე უმეტნაკლებოდ, რაოდენ ძალმედუა: და აპისტოვას ვითხოვ მკილეულთაგან, არა გამკიცხოთ. პოლპორუნიკი სოლომონ გიორგის-ჟე გარაყანიძე“ (142r).

ემთხვევა 3. ლარაძის ანდერძს, რომელიც სხვადასხვა ვარიაციით უარბულია რამდენიმე ხელნაწერზე და გადმოსცემს ეთომდა ხელნაწერის მშობლების ისტორიას).

ლიტერატურა: 1. H-ფონდის აღწერილობა, ტ. II, 1951, გვ. 298. 2. ს. ცაიშვილი. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 65—74.

H—1079

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1823)

I11+254 ფ.: 32,3×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (სა-თურები სინგურით); ამოვარდნილია: 1,8—9, 164—165 ფ. ფ. დახეულია; 1.153 ფ. მხედრული; 1823 წ. 21.11 (208 r) გადამწერი: „კეთილშობილი ალექსის ძე რეკტორი დავით“, „სტატისკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თუმანოვისათვის“ (208r); დაუწერელია: I—!11, 4v; 5r—v; 11v; 20r—v; 22v; 36r—v; 40r—v; 44v; 48v; 55r—v; 59r—v; 61v, 62v, 71v; 74v; 76v; 82r—v; 88r—v; 94r—v; 96v; 99v; 101r—v; 104r—v; 108v; 114r—v; 116r—v; 121r—v; 125r—v. 131v, 136r—v; 142v; 145v; 149r—v; 152v; 158r—v; 172v; 180r—v; 188v; 194r—v; 205v; 208v; 247v; 248r—v; 252v; 253—254r—v; დატოვებულია შემოხაზული ადგილები (ილუსტრაციებისათვის?) 123r—v; 124r; 146v; დახაზულია ერთი ვარსკვლავი (122v) შემოწერილთა ანნა ალექსანდროვს ასული ამილახერისაგან 1914 წ.

„შესავალი პირუჭლი ვეფხისტყაოსნისა. ა. ამა ამბისა დასაწყისი პირუჭლი, ჰამო და სასმენლად შუჭნიერი ჰსწავლისათჳს მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა ა... 1r—208r.
პოემის ტექსტი თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:
„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა... (202v)

ვეფხისტყაოსნის წინამდებარე ტექსტი 1712 წ. ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს მისდევს (ამოებზე ვრთუის სტროფები, რომლებიც ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს განეკუთვნება (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგ. რედაქცია, გვ. 68—70).

შენიშვნა: 1. ვადაშურს — დავით რიქტორს — შერქანია ტექსტში ორთოგრაფიული შესწორებანი: ა) ჰაეის ხშირი ხმაზება. ე-ს ნაცვლად შ-ს ხმარება, ე-ს ნაცვლად უ-სი და სხე. ბ) პუნქტუაციაში — ორწერტილის შეცვლა წერტილით, გ) ანტონ პირველის მიერ შემოღებული ასო რ-ს ხმარება (218r — ვახტანგის თარგმანის ტექსტში და სხე.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ჩართულია გიორგი თუმანოვის ნაქვაში სტროფები: 12r, ქვემო არშიაზე, 46v, ზეგო არშიაზე, 66v ქვემო არშიაზე; 197r ქვემო არშიაზე, ხოლო 204r—205v-ზე — თერთმეტ სტროფი ჩამატებულია ვახტანგისეული გამოცემის მიჯნ სტროფის შემოიგ, ჩთაშ სტროფის წინ; გარდა ამისა, ამავე თუმანოვის მიერ „ნახსოვებია“ ტექსტის მრავალი ადგილი თითქმის ყოველ გვერდზე, ზოვან შეცვლილია მთელი სტრიქონები, მაგალ. 4r-ზე და სტროფის ქვემოთ. დაწყებით მიწერილია ერთი სტროფი: „რადგანც ეცაბა სიყვარულა საყვარელსა ვერ ეთმობის...“

3. ვეფხისტყაოსნის ტექსტს დაართულა აქვს თანაკლეული „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა. თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“ იწყება „მეტაბოზის სიტყუა იმის წინ სირცხვილც იყო და უკადრისიცა...“ 209r—147r.

4. ვახტანგის „თარგმანის“ ტექსტში ვადაშურს ორ ადგილას თვალსაჩინო შეცდომა მოსვლია: სინჯურით ნწერი დასაწყისი სიტყვები არ შეესაბამება „თარგმანის“ ტექსტს ლ. ლა (218r) ბ. ნ-ზე 219r—220r

5. ვადაშურს — დავით რიქტორს დაერთავს „სამსებელი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“. 249r—252; მასვე აღწერს: „ეს ყოველი სიტყურა თავში თავების რიცხვი (57).

6. ეს ხელნაწერი, რომელიც ძირითადი პლასტით ვახტანგისეულ გამოცემის პირს წარმოადგენს, პირობით არის შემოკრანილი ე. წ. არტანუჯული ვარიანტების ხელნაწერთა შორის. რადგან ამოებზე მინაწერი „არტანუჯული ვარიანტის“ სტროფები აქედან შევიდა სხვა ამავე ტიპის ნუსხებში. ამდენად H—1079 წარმოადგენს „არტანუჯული ნუსხების“ პრო-

ტოგრაფს (დაწერ. იხ. ჩვენი ნაშრომის I ტომში, სადაც საუბარია „არტანუჯული ვარიანტის“ წარმოშობაზე).

მ ი ნ ა წ ე რ ი ბ ი: 204r; 205r; 208r.

ანდერძები (გადამწერისა) 1) „დიდება ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოელისა კეთილისასა. სრულ იქმნა ძალითა ღმერთსა ვეფხის ტყაოსანი. აღვსწერე მე, კეთილშობილმან აღექსისძემან, რეკტორმან დავითმან. მისის ბრწყინულების სტატსკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგი თუმანოვისთვის, თთუშსა ფებერუარსა რიცხუსა. კი. წელსა. ჩუკგ. ქვს. ფია“. (208r; „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს).

2. „საძიებლის დასრულება, რომელიც ჰქმნა მეფემან ვახტანგ, ჟამსა ვეფხისტყაოსნის დასრულებისასა. ოდეს დაბეჭდვნა. დავით რეკტორი (247r, ვახტანგის „თარგმნია“ ტექსტის ბოლოს).

3. „ამ ვეფხისტყაოსანს საძიებელი, დაწყების რიცხუში, თავების ზედწარწერა, ფურცლის ნიშნები საძიებელში მე გაუკეთე. ძველადგან არც დაბეჭდილს ვეფხისტყაოსანსა ჰქონდა და არც ჰელნაწერთა. კეთილშობილი აღექსის ძე დავით, რეკტორი“ 252r. 4. ხელნაწერში არის აგრეთვე მისი შემდეგი მფლობელის ბარბარე ქობულაძის მინაწერები.

ლიტერატურა: 1. ალ. სარაჯიშვილი, „არტანუჯის ვარიანტი“ ვეფხისტყაოსნისა“, ძველი საქართველო, 1915, ტ. IV, გვ. 1—30; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, 1929, ტ. III, გვ. 68—69; 3. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, გვ. 81—84; 4. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 58—70.

H—1205

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1833)

123 ფ.; 35,2×22; ქალაღი, დაზიანებული (იხ. ფ. 144—115); ნაწერია მხედრულით; ხელნაწერში ტექსტი თავნაკულია; გადაწერილია 1833 წ. მარტის 17. გადამწერი აზნაური სოლომონ ბლაღოჩინის ძე ილ. ნასიძე (115v).

პომის ტექსტი იწყება სტროფით:

„... მას უშმაგო ვით მიენდოს. ვინ მოყუარე გაამყლავნოს“

(1957 წლის გამოცემის 29-ე სტროფი).

თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი, როგორც შესწავლით გამოირკვა, ნაღვეს ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯული ვარიანტის.

შენიშვნა: 1. გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა. დიდება ღმერთსა. ყოელსა კეთილსა მიზეზსა და დამბაღსა“... „თთუშა იყუენეს წიგნი ვეფ-

ხისტყაოსნობით კმობილნი საქართველოსა შინა ბექლილნი და ქელწე-რილინცა, გარნა ფრიად განრყენილნი და არად საქმარნი. ამისათჳს მის-ცემოდა გულს-მოდგინება თავადს სტატსკის სოვეტნიკს და კავალერს გიორგი ეგნატის-ძეს და მოებოვა უძველესი ნაწერი ვეფხის-ტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა და ესე მე მუნიტ შავათ გადმოვსწერე ხუთს დღე-სა და ღამეს. შემწეობითა ჩემის მძინათა და ღვაწლის დადებოთა ჩემითა. აზნაურმან სოლომონ ბლაღოჩინის ძემ ილ. ნასბემ. მარტის იზ-ს დღესა. ჩყღ წელსა.

„რაცა თავსა უწერია კაცსა, იგი გარდაჰხდების,
ცა, ვეყანა დაირღვევია, ღვთის ბრძანებუ- არ წარხდების.
ქელი მშრომელი მიწდების და ნაშრომი კელავ დაშობის“.
(115v).

2. ტექსტს ერთვის ლექსიკონი და საძიებელი, როგორც საერთოდ აღნიშნულ „ვიკიანტის“ შემცველ ნუსხებში; 3. ტექსტში შეტანილია ორთოგრაფიული ცვლილებანი, რომლებიც ამ ტიპის ნუსხებში თავდა-პირველად შეიტანა დავით რეჭტორმა (იხ. H—1079 ხელნაწერის აღწე-რილობა და ა. შ.); 4. ხელნაწერის აშიებზე გვეხდება მრავალი მინაწე-რი სტროფები, რომლებიც პოემის ვრცელ რედაქციებიდან მომდინა-რეობენ (მაგალითად იხ. ფურცლები: 8, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 20, 21, 22, 23, 26, 30, 47, 50, 51, 54, 55, 57, 58, 72, 92, 94, 107, 113 და სხვ.). 5. სინვენტარო დაეთარში ე. თაყაიშვილს ჩაუწერია: ვეფხის-ტყაოსანი, მხდ. (მხედრული — ს. ც.), ლარაძის ვარიანტისა“.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი. ტ. III, 1948. გვ. 155—156; 2. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახ-ტანგისეული რედაქცია. 1957. გვ. 65—67.

ლიტერატურული მუზეუმი — 12914

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1860—1862 წწ.)

III—267 ფ.: 33×21; ქალაღი; ტყავგადარული მუყაოს ყდა; სრე-ლი: მხედრული; სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურით; ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს: 1—229 გვერდები ვეფხისტყაოსანს უკირავს. 231—241 გვერდებზე ვეფხისტყაოსნის ლექსიკონია მოთავსებელი. ხო-ლო შემდეგი გვერდები უკავია წმინდა გიორგის წამებას: გადამწერი ი. ბროძელი (გვ. 229), გადაწერილია XIX ს. 60-იან წლებში.

პოემის სათაური და დასაწყისი: „ამბისა დასაწყისი პირვე-ლი, ჰამო და სასმენელად შუშნიერი, ჰსწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხ-მობენ. —

„რომელმან შექმნა სამყარო. ძალითა მით ძლიერითა...“

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

შესწავლით გამოირკვა. რომ ხელნაწერი წარმოადგენს არა ვრცელ რედაქციას, როგორც ეს ადრე იყო აღნიშნული (შდრ. ივ. ლოლაშვილის მიერ ქვემოთ დასახ. აღწერილობის გვ. 32—33), არამედ ვეფხისტყაოსნის არტანუჯულ ვარიანტს ე. ი. აქ წარმოდგენილია ვახტანგისეული ტექსტი, რომელიც შევსებულია გიორგი თუმანიშვილის მიერ შეთხზულ 17 სტროფით (ამ ვარიანტის დასასიათება იხ. ნაშრომის I ტომში).

შენიშვნები: 1. გადამწერის ანდერძი: „სრულ-იქმნა წიგნი ესე, დიდება ღმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზ[ი]სა დამბაღსა, ჩუბ-სა წელსა, აპრილის 8-სა დღესა, ჭელითა კოლეესკის სეკრეტარის, აზნაურის ივანე იოსების-ძე ბროძელისათა. ჭელი მშროპელისა მიწდების, ხოლო შრომილი მისი შთების. წამკითხველნო ვეფხისტყაოსნისა ამის, შენიშვნენ შრომასა ამა ჩემსა არა ღირსად ამისთვის, რომ დაბეჭდილნიცა მრავალნი არიანო, მართალია გარნა უწყოდეთ, რომ წიგნი ესე დაწყობილი იყო ჩემგან მაშინ, როდესაც ხსენება არსად იყო დაბეჭდილის ვეფხისტყაოსნისა, ხოლო რადგანაც უმეტესი იყო დაწერილი და მცარელი მიკლდა. ამისთვისა აღარა დაუტევე ძველი შრომა ჩემ და აწმყოსა წელსა შევასრულე. ი. ბროძელი (გვ. 229). მისივე მინაწერი: „მოიხსენე, უფალო. და შეიწალე მეოხებითა წმიდა გიორგისათა აზნაური ივანე ბროძელი სახლობითურთ და მოყვასითურთ თჳსითა. იდ-სა მარტსა, ჩუბ-სა წელსა, სრულ იქმნა ჭელისა მისისაგან“ (გვ. 298). 2. მეორე ფურცელზე მისი შეილის მინაწერი, რომელიც გვაუწყებს, რომ ივანე ბროძელი გარდაიცვალა 1874 წ. 22 იანვარს. 3. ხელნაწერი საინტერესოა აგრეთვე თავისი ვრცელი ლექსიკონით.

ლიტერატურა: 1. ლიტ. მატჩანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგ. ივ. ლოლაშვილის მიერ. 1949. გვ. 32—33; აქ ეს ხელნაწერი 38 ნომრითაა აღნიშნული; 2. ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957. გვ. 65.

**V. ხელნაწერები, რომლებიც მომდინარეობენ
ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემიდან**

ლიტერატურული მუზეუმი — 19380

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1863)

130 ფ.: 34×21; ქაღალდი: ტყავგაჯაგრელი შეყოს ყდა: სრული; მხედრული, საკმაოდ ლამაზი ხელით; გადამწერი: თომა არბუშანიანი. 1863 წელი (124r); დაეწერელი: 1r--2v, 124v--139v.

პოემის სათაური და დასაწყისი: „...ამა ამბის დასაწყისი პირველი. ამო და სასმენელად მშვენიერი. სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ“.—

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“...

თ ა ვ დ ე ბ ა ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს ექია ხონელსა“... (8r—123r).

აქ წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ბროსე-ფალავეანდის მიერ აღწერილი ხელნაწილის (34: წლის გამოცემიდან).

შენიშვნა: 1. პოემას წინ უძღვის: ა. წინასიტყვაობა (2v—7v) და ბ. ბოლოსიტყვაობა. ლექსად თქმული აკად. შარი ბროსეს მიერ (123v—124v); 2. ხელნაწერის ერთობ ვადაწერისავე ანდერსი: „დასრულდა ეს ვეფხისტყაოსანი, და აღიწერა ჟელაო: თომა არბუშანიანისათა. ეს წიგნი დაბეჭდილი წიგნიდან გადაწერე და, რომელმაც მასში ნაკლებობა გამოვლინა, ნუ მწყვეთ; გვედრებთ. ყოველთა წამკითხველთა: თითო პირი შენდობა მიპრქანეთ; ან ასო ნაკლები იყოს ან ცუდი დაწერილი, მომიტყვეთ ყოველთა. აღიწერა მარტის ი დღესა ჩუჟგ წელსა“ (124v).

ლიტერატურა: ლიტერ. პატიანე, წიგნი 5. ნაკ. მეორე, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგ. ივ. ლოლაშვილას მიერ 1949, გვ. 30, აქ ხელნაწერი აღნიშნულია 35-ე ნომრით.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი № 59

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1859)

135 ფ.; 33×20; ქაღალდი; ჩაბმულია ყდაში; მხედრული; საკმაოდ ულაპაზო ხელი. მოხატულობა არ გააჩნია; გადაწერილია 1853 წელს (135); ხელნაწერის მფლობელი ევა ფიცხელაური; არქივში იგი შემოსულ- 1924 წელს, სოფ. იკოთის მცხ. ნინო პეტრიაშვილისაგან.

ხელნაწერში პოემის ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი: „ამ ამბისა დასაწყისი პირველი ამოდ სასმენელად მშვენიერი სწავლი-სათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ვეფხის ტყა-ოსნობით უხმობენ —

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“
თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“ (1r—134v).

ხელნაწერში მოთავსებული პოემის ტექსტი მომდინარეობს ბროსეს, ფლავანდიშვილის და ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგში 1841 წელს გამოცემული ტექსტიდან (ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური გამოცემა).

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ამიერბუჩქ, ბოლოში არის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შინაარსის მინაწერები, ანბანსებები, აქვე სტროფი ბროსეს გამოცემაზე დართული ანდერძიდანაც („შესრულდა ბეჭდვა სტახთ აპათ ქორონიკონს ფარ კან თანსა...) და ა. შ.

საქართველოს ცენტრარქივი, ხელნაწერი 683

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

154 ფ.; 22×18; ქაღალდი; ყდა შემოცლილი. თავ-ბოლო ნაკლები მხედრული (დაწერილია სხვადასხვა ხელით). XIX საუკუნე; შემოსულია არქივში 1945 წ. ხელნაწერი შეიცავს კრებულს: 1. ვეფხისტყაოსანი და 2. როსტომიანი (ორივე ნაწყვეტის სახითაა მოთავსებული).

ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტის დასაწყისი:

„იყო არაბეთს როსტევან მეფე ღმრთისაგან სვიანი...“

წყდება:

„ვაჟ, სოფელმან სოფელს მყოფი ყველა დასეა ცრემლთა

დენით“...

(სტრ. 700,4: 1957 წლის გამოც.)

შესწავლით გამოიკვია, რომ აქ მოთავსებული ტექსტი ვეფხისტყაოსნისა მომდინარეობს ბროსეს 1841 წ. გამოცემიდან.

შენიშვნა: 1. ცენტრაქციუს აღწერილობაში არ არის მითითებული ხელნაწერის რელაქციული თავისებურებანი; 2. თარიღი (XVIII ს.:უცენე) არ არის ზუსტი, რასაკვირველია, ბროსეს ჩებინაშვილ-ჭალაჯანი-შვილის გამოცემა 1841 წლამდე ვერ გადაიწერებოდა. ე. ი. ეს ხელნაწერი შესრულებულია XIX საუკუნეში.

ლიტერატურა: ქარულ ხელნაწერთა აღწერილობა, ცენტრაქციუსი, 1950, გვ. 186.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა F—104

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (1840)

114 ფ.: 31X20; ქალღი, ყდა მუყაოს (საკმაოდ გაცვეთილი), მხედრული; სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით, გადამწერა: სვიმონ ტერ-სიმონოვი, გადაწერილა 1849 წ.

ტექსტის სათაური და დასაწყისი სტროფი:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლავითა...“ (1რ)
პოემა სრულდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

(ამას მოსდევს ცხრა სტროფიანი ანდერძი: „ღმერთო აღიდე კელმწიფე...“ და ა. შ.. რომელიც მომდინარეობს ვეფხისტყაოსნის მეორე, 1841 წლის გამოცემიდან).

შესწავლით გამოიკვია, რომ აქ მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს 1841 წლის გამოცემიდან.

შენიშვნა: 1. ანდერძი ლექსად (საკმაოდ უხეირო ქართული), სადაც ნათქვამია, რომ გადაწერა დასრულებულია 1849 წელს, გადამწერი სვიმონ ტერ-სიმონოვი ხელნაწერს უძღვნიხ ზურაბ მატყევეის ძე მირზოევს; 2. ხელნაწერში პოემის ტექსტს ერაჟის მცირე ლექსიკონი, რომელიც აგრეთვე ამოლებულია 1841 წლის გამოცემიდან.

ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი № 132

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

233 ფ.; 33X21; ქალღი; ჩასმულია ყდაში; შეიცავს 1637 სტროფს; მხედრული: ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, აქედან ვეფხისტყაოსანს

უკირავს 61—249 გვერდები; გადამწერი მე-19 საუკ. მოღვაწე ვინმე მეს-
ხი — ივანე გვარამაძე (1831—1912 წწ.). ხელნაწერში პოემას მოსდევს
სამეცნიერო.

ხელნაწერში პოემის ტექსტი იწყება სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

პოემა თავდება ტრადიციული სტროფით:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი პოემისა მომდინარეობს დ. ჩუ-
ბინაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის 1846 წლის გა-
მოცემიდან (რომელიც ფაქტიურად ბროსი-ჩუბინაშვილ-ფალაქანდი-
შვილის 1841 წლის გამოცემის განმეორებას წარმოადგენს. იხ. ს. ყუბა-
ნეიშვილი: ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან. 1966, გვ. 61—64).

შენიშვნა: 1. ხელნაწერში, ისევე როგორც ჩუბინაშვილის გამოცემა-
ში (1846 წ.) პოემის ტექსტსა და სამეცნიერო შორის მოთავსებულია შოთა
რუსთაველის სახელით ცნობილი სასულიერო ხასიათის ლექსები: ა) „თა-
მარ მეფემ რომ ხალიფაზედ გაიმარჯვა ზახულის ლუთისმშობელს დროშა
და მან[ი]კი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა“
და ბ) „იამბიკო ესე თქმული რუსთაველის მიერ, ზედა-წარწერილ არს
ხატსა ზედა ზახულის ლუთის-მშობლისასა“; 2. პოემის ტექსტს ხელ-
ნაწერში წინ ერთვის მცირე წინასიტყვაობა, რომელშიც საუბარია ვეფხის-
ტყაოსნის ღირსებებზე, მისი ავტორის ცხოვრების დროსა და წარმოაქ-
ლობაზე (შოთა იყო მესხეთიდან, ასპინძის რუსთაიდან და ა. შ.), ეს წინა-
სიტყვაობა თვით გადამწერს მესხ მწიგნობარს ივანე გვარამაძეს (ვინმე
მესხს) უნდა ეკუთვნოდეს; 3. წინამდებარე ხელნაწერი, როგორც აღ-
ნიშნულია ზემოთაც, კრებულს წარმოადგენს და ვეფხისტყაოსნის გარდა
მოთავსებულია შემდეგი თხზულებანი: ა) „წამება ქეთევან დედოფლისა,
გალექსილა“ (გვ. 0—1), ბ) „ლექსი ანბანთაგან წმინდა სამებასა ზედა“
(გვ. 1—4), გ) „სიტყვისგებანი ძველ ფილოსოფოსთა საყოფაქცეო“
(გვ. 5—33), დ) „საამოვნო მოთხრობანი და ცხოვრებანი ფილოსოფოს-
თა...“ (გვ. 34—46), ე) „ბუნებანი თვლებთა, პირუტყვთა, მხეცთა და
მფრინველთანი“ (გვ. 47—60), ე) „შესხმა თამარ მეფისა და დავითისა
ბაგრატიონთა“ (გვ. 249—273), ზ) „ხსენება ყოვლთა წინათ და სხუა
დალექსილინთა“ (გვ. 274—279), თ) „საბა ორბელიანის მომგზავრებისა
საფრანგეთში“ — ივ. კერესელიძის ეურნ. „ცისკრიდან“ (გვ. 280—364),
თ) „ლექსიკონსა შინა ხმარებულნი ლექსნი უცხო გვართანი“ (გვ. 365—
372), კ) „საქართველოს ძველი ზნეობანი და სხუა დალექსილინი“ (გვ. 373—
400), ლ) „თამარიანი“ და არჩილ მეუღის სწავლანი“ (გვ. 401—416), მ) ქარ-
თული ლექსიკონი... (გვ. 417—462), ივ) იამბიკონი მეფეთა და ბრძენთა-
თვის ქართველთა (გვ. 463—466).

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (XIX)

154 ფ.; 30×20; ქაღალდი, ჩასმელი ყდაში; მხედრული; შენახულია
საკმაოდ კარგად; ხელისა და ქაღალდის მიხედვით №-19 საუკ. მეორე ნა-
ხევარი.

ხელნაწერში პოემა იწყება პირველი სტროფით:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

თავდება ეპილოგის ტრადიციული სტროფით:

„ამირან-დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს ბროსე-
ჩუბინაშვილ-ფალავანდიშვილის რედაქციით 1841 წ.
გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტიდან.

შენიშვნა: 1. საინტერესოა პოემის სათაური, რომელიც მომდინარეობს
1841 წლის გამოცემიდან: „ვეფხისტყაოსანი — Барцова книга — პოემა
დაწერილი შოთა რუსთაველისა მიერ — ახლად დაბეჭდილი შეერთებუ-
ლითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდისშვილისა და
დავით ჩუბინოვისათა — სანკ-პეტერბურს — სტანბაში სახელმწიფო აკა-
დემიის მეცნიერებათა 1841 г. წ. წყმა — წელსა“

VI. ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტები (ეპიგრაფიკა, მინაწერები)

1. ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრიდან:

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე მიწერილია ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი; ტექსტი მიწერილია გაბმით, პროზაული ნაწარმოების მსგავსად, ოღონდ სტროფებს ერთმანეთისაგან ყოფს პატარა პორიზონტალური ხაზები; ვანის ქვაბის წარწერებს და კერძოდ, აღნიშნულ ორ სტროფს მკვლევარი ერთხმად მე-15 საუკუნეში შესრულებულად თვლიან. სტროფი მიწერილი უნდა იყოს ზეპირად, ამიტომ შეიცავს ბევრ დამახინჯებას. ტექსტი კედელზე მიწერილი უნდა იყოს პოეტი ქალის ანა ჩხეულაშვილის მიერ. ქვემოთ მოგვყავს ორივე სტროფი იმ სახით, როგორც ეს უკანასკნელად წარმოადგინა შ. ონიანმა სპეციალურ ნაშრომში:

„ქ. ციხეს ვზი ეზო მალალსა, თუ[ა]ლწ[ი] [ძლი]ე შემომაცდებდა,
გზა გურაბ[ი]თა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუშაგწ[ი] ნაბადსა არა დაცდებდა,
მათსა შემბელთა დაჯოკენ, ცეცხლურებ მოედებ[ი]ან.
ჩემო ნუ მოხუ[ა]ლ ჩემზედან სხუ[ა]თა მებრძოლთა წ[ე]სითა,
ნურცა მე მომკლ[ა]ე ჭირითა ამისგან უარესითა,
დამთმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უ[ა]რესითა“.
(სტრ. 1300 და 1301, 1957 წ. გამოც.).

შენიშვნა: 1. ტექსტი ზეპირად არის მიწერილი კედელზე. ეს ჩანს შემდეგიდანაც: გამოტოვებულია 1301-ე სტროფის მესამე ტაეპი („შენ მკვდარსა გნახე, დაიწვი, ვითა აბედი კვესითა“), შეცვლილია ფრაზები (მაგალით. „დღისით და ღამით მოკმენი“, ამის ნაცვლად იკითხება: „მაშიგან ორნი გუშაგწ[ი]“, ასევე „ნუთუ ესენი გეგონენ“, ამის ნაცვლად იკითხება: „ჩემო, ნუ მოხუ[ა]ლ ჩემზედან“ და ა. შ. 2. ვარიანტების შესწავლით გაირკვა, რომ აქ წარმოდგენილი ტექსტი ბევრად უფრო ახლოა პოემის ამ მონაკვეთში ჩვენ მიერ პირველ რედაქციად მიჩნეულ ტექსტების შემცველ ხელნაწერებთან. აღსანიშნავია, რომ ეგვევ შეხედულება გამოთქვა 1959 წ. შ. ონიანმა (იხ. მისი, ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარ-

წერაში. ქ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საუბრილო კრებული, 1959, გვ. 291, ამავე ნაშრომიდანვე მოკვამქს ზემოთ ვეფხისტყაოსნის ორი სტროფის .ლღვენილი ნიმუში).

ლიტერატურა: 1. კოლა ესმაშვილი (ნათნაძე), გაზ. „კომუნიკატი“, 1936, № 197; 2. ლ. მესხელიშვილი, „ვაჟანის ქვაბთა განგება“, 1939, გვ. 10; 3. ე. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან (მასალები ს.ქართველოს და კავასიას ისტორიისათვის, 30, 1954 წ. გვ. 167—180; 4. ქ. კეკელიძე, კომენტარები თამარაანის ზოგიერთი ტაეპისა. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955, გვ. 28—29. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956, გვ. 216; 5. შ. ინიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 34—36, მისივე, ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, ქ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საუბრილო კრებული, 1959, გვ. 287—293; 6. ნათაძე, ს. ცარიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 42.

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S კოლექციიდან № 3180ა:

ხელნაწერი წარმოადგენს საღვთისწავლო ფრაგმენტს, შეიცავს 41 ფურცელს, ეტრათი, ეყდო, ნაწერა XII—XIII საუკუნისათვის დამახასიათებელი ნუსხურით, ხელნაწერი დამილია, ზოგან დაზიანებული (ფურცლები დაღრღნილია). ერთ-ერთ ასევე დაზიანებულ ფურცელზე (36რ) ქვემოთ, აშიაზე მიწერილია მხედრული ასოებით ვეფხისტყაოსნის ორი ტაეპი. მოგვამქს ისე, როგორც ეს წაკითხულია აღნიშნულ ფრაგმენტის გამომქვეყნებელ თ. ბრეგაძის მიერ:

„ქ. ვაი სოფელო, რა[ს] მამბრუნებ. რაშიინ ხარ, რა ზნი გჳირსო, ყწელი შენი მონღ[ობილი][ნია] დაგმცა ჩემებრ [ტირსო]“.
(სტრ. 951; 1957 წ. გამოც.)

შენიშვნა: 1. თ. ბრეგაძის აზრით, რაც ამჟამად გასაზიარებელი ჩანს, მინაწერი „შესრულებულია XIV საუკუნისათვის დამახასიათებელი მხედრულით. („ბ. ვ. რ. კ“-ს მოხაზულობა. „შ“ და „ჩ“-ს ნუსხური დაწერილობა, გადაბრუნებული „ი“) იხ. მისი, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 94, აქვე მოთავსებულია აღნიშნული წარწერის გადმონახაზიც; 2. მინაწერი შესრულებული უნდა იყოს ზემოთადა, რასაც ამხელს რიგი უზუსტობა (მაგ. „რაშიინ ხარ“ და ა. შ.) და ზოგან სიტყვათა რიგის შეცვლა (მაგალით. შებრუნებული რიგითაა წარმოდგენილი შემდეგი ადგილი „რაშიგან ხარ. რას გეამბრუნებ“); 3. წაკითხვითაგან რედუქციული თვალსაზრისით აღსანიშნავია ფორმა „მამბრუნებ“, მაშინ როცა ხელნაწერთა უმეტესობაში არის ამავე სატყვის მრავლობითი ფორმა: „გეამბრუნებ“. შესწავლით ირკვევა, რომ მინაწერში აღბეჭდილი ფორმა არის

სწორედ პირველი რედაქციის მქონე რამდენიმე ხელნაწერში, მგალით. H—599 — „მაბრუნებ“; S—2829 — „მაბრუნებ“ და ა. შ.

ლიტერატურა: 1. თ. ბრეგაძე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 93—94.

3. ბერთის სახარებაზე მიწერილი ვეფხისტყაოსნის ერთი ტაეპი:

ბერთის სახარებაზე, რომელიც ქ. ყარსში შეუძენიათ ამერიკელ მისიონერებს და ამჟამად ინახება მასაჩუსეტის შტატში (ბოსტონის მახლობლად), მიწერილია ერთი სტრიქონი ვეფხისტყაოსნიდან, ბერთის ოთხთავი ეტრატზეა ნაწერი. ზოგი მკვლევარის (რ. ბლეიკი, ა. შანიძე) აზრით, იგი X საუკუნეშია გადაწერილი, ხოლო შ. ამირანაშვილის დასკვნით მე-9 საუკუნის მიწურულში. აღნიშნული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ქვემო აშიაზე ნუსხური ხელით მიწერალია ვეფხისტყაოსნის ერთი სტრიქონი, რომელიც ა. შანიძის მოსაზრებით მე-15 საუკუნისა უნდა იყოს. ქვემოთ მოგვაქვს ეს ადგილი ა. შანიძისეული წაკითხვით:

„მართლად (მართლად) იტყვის მოციქული: შიში შეიქს
სიყუარულსა (სიყვარულსაა)“
(სტრ. 1045,5; 1957 წლის გამოც.).

შენიშვნა: 1. აღნიშნულ სტრიქონს მოსდევს მინაწერისავე ავტორის შემდეგი სიტყვები: „ოთველსაა ვისჲ იორდანეს შ. ლწ (შეუნდენეს ღმერთმანი)“.

ლიტერატურა: 1. R. Blake and S. Ter Nersesian, The Gospels of Bert'ay An Old Georgian Ms. of the tenth century, „Bizantion“, 16, 1944; 2. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956, გვ. 016—017; 3. შალვა ამირანაშვილი, ბერთის ოთხთავის მინიატიურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებისათვის, კრებ. „ორიონი“, 1967, გვ. 87—88.

4. ვეფხისტყაოსნის ორტაეპიანი მინაწერი H-კოლექციის 1796 ხელნაწერზე:

შეიცავს 102 ფ.; 21X14; ქაღალდი; უყდო; დაფურცლული; ნუსხური; მთავრული ასოები სინგურით; თანაკლული; აკლია შიგადაშიგადა; კიდევები შემოკვეთილია; შეიცავს „ღაფთნის“ ტექსტს; გადაწერილი — მარჯობი (102v); მე-16 საუკუნე. ერთ-ერთ ფურცელზე (102v) მიწერილია ვეფხისტყაოსნის ორი ტაეპი:

„ქ. ღმერთმან თუმცა ენა ჩემი, ქებად შენდა უშენოსა,
შენთვის მკვდარი აღარ ვიტყვი აგრემც მ[ო]მ[კ]ლავ უშენოსა“
(სტრ. 494; 1957 წლის გამოც.)

შენიშვნა: 1. ამ მინაწერს დაახლოებით XVI—XVII საუკუნის მიჯნით ათარიღებენ (თ. ბრეგაძე). 2. ხელნაწერებთან შედარებით საინტერესოა მხოლოდ მეორე სტრიქონის სიტყვა — „აგრემც“ („ამასა“ ნაცვლად). რომელიც ჭერჯერობით არ დასტურდება არც ერთ ხელნაწერში.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. H-ფონდისა, ტ. IV, 1950, გვ. 221; 2. თ. ბრეგაძე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 94—95.

5. მინაწერი A—424 ხელნაწერზე:

ხელნაწერი წარმოადგენს ოთხთავს. გადაწერილია ნუსხურით XVII საუკუნეში. 168v-ზე იმავე საუკუნის ხელით მიწერილია:

„[საწ]უთრო ყოველი ვისაც ტაროცი უხუდებ[ის]:
[ზოგჯე]რ მზეა და ოდესმე ცა რისუით [მოუქუხ]დების“

ლიტერატურა: 1. თ. ბრეგაძე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 95.

6. ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტროფი S—418

ხელნაწერიდან:

ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს; 96 ფ.; ზომები 31,5×19,3; ქალღმერთი, ყვითელი ფერის ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; თანაკლულო; მხედრული; სათაურები და სტროფების დასაწყისება სინგურიო: შეიცავს თეიმურაზ პირველისა და არჩაილის თხზულებებს; მოეპოვება მინაწერები, მათ შორის ვეფხისტყაოსნისა (გვ. 62, 69, 155 და 182). აქვს ჰერონისიანი [XVIII].

„ქ. ვარდი ჰქნებოდა. ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა...“

(სტრ. 954, 1957 წ. გამოც.)

„ჩემნი ჰქმუნვა ჰირსა ჩემსა არცა მატს და არცა დიდობს...“

(სტრ. 754, 1957 წ. გამოც.)

„თუ უმისოდ სოფელს ყოფნა რაოგან ჰირად არ მიღირდა...“

(სტრ. 846, 1957 წ. გამოც.)

„ქ. ამა ღღემან დაგავიწყა, გული იგი ვინ დაბინდა...“

(სტრ. 298, 1957 წ. გამოც.)

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. I, გვ. 521—530; 2. თ. ბ რ ე გ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი...; ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962 წ. გვ. 95.

7. ვეფხისტყაოსნის სტროფი A—76 ხელნაწერიდან:

ხელნაწერი, რომელიც „რჩულის კანონის“ ტექსტს შეიცავს, ორი ნაწილისაგან შედგება. გვ. 1—495 უფრო ძველია და მე-14 საუკუნეს მიეკუთვნებენ. მეორე ნაწილი ე. ი. 496—619 გვერდები, როგორც ქალაქის შესწავლით გარკვეია რ. პატარიძემ (კვიციანიშის — ლუზა წრეში — თავისებური მოხაზულობა) XVI—XVII საუკუნით თარიღდება. სწორედ ამ მეორე ნაწილის ბოლოს (გვ. 619) მიწერილია ერთი სტროფი ვეფხისტყაოსნიდან:

-ქელსა გარდ[ა]ვადეგ ლომი-ვეფხრნი(!) მოვიდე[ს] [ერ]დგან
რებულნი,
სახედ ვამგზ[ა]ვსე [მიჯნ]ურთა ცეცხლი დამეგზნა გზეუ[ლნი],
შეიყარნეს და შეიბნეს იბრძოდე[ს] [გამწ]არებულნი,
დევი სდევს, ვეფხი[მიურბ]ის ჩემგან არ არის ქებული“

შენიშვნა: 1. სტროფი, როგორც ჩანს, პოემის თავისებურ. შეიძლება ითქვას, ფოლკლორულ ვარიანტს წარმოადგენს (დააკვირდი: მე-4 ტაეპში „დევის“ ხსენებას); რაც მიუთითა კიდეც აქად. კ. კეკელიძემ (იხ. მისი, რუსთველოლოგიური შენიშვნები, ეტრედები, ტ. VIII, 1962, გვ. 168—169); 2. ამავე ნაშრომში კ. კეკელიძე მე-14 საუკუნით თარიღებს ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელშიც მოთავსებულია ზემოთ მოტანილი მინაწერი, რაც ზუსტი არ არის. როგორც ირკვევა, ხელნაწერის 496—619 გვერდების ქალაქი XVI საუკ. მიწურულით ან უფრო ზუსტად XVII საუკუნით თარიღდება (შდრ. თ. ბ რ ე გ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი... ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 95).

ლიტერატურა: 1. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტრედები, ტ. VIII, 1962, გვ. 168—169; 2. თ. ბ რ ე გ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 95.

8. ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი A—1812 ხელნაწერიდან:

ხელნაწერი (თეოდორე სტოდიელი, სწავლანი სულიერნი) XVI საუკუნისა (ამას მხარს უჭერს კვიციანიშის), შეიცავს 113 ფ.; ზომები 30X20,5; ტყავგადაკრული ყდა; ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია (განსაკუთრებით, ერთ ღრას სინესტეში ყოფნის გამო); შესრულებულია ნუსხურით, სათაურები ნაწერია სინგურით, გადამწერი უნდა იყოს ქოქმის ძე, ელია (103v). აქვს მინაწერები (ზოგი ტექსტისავე ხელით), ზოგიც მხედრულით.

მაგალ.: ყდის II ფრთის საცავ ფურცელზე მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი:

„ქ. ნაომარსა, დაკოდისა ქელი ყელსა ჩამომება.
დედოფალი საჯდომთაგან ადგა, წინა მომეგება.
ვითა შვილი გარდა[მ]კოცნა, დაწვი ვარდი [დამაღება],
და მითხრა: ნუ ექ[უე] ამას იქით, თულა მტერი შემოგება!
(სტრ. 481, 1957 წ. გამოც.)

შენიშვნა: ვეფხისტყაოსნის უკანასკნელ გამოცემებთან შედარებით აქ საინტერესოა ბოლო სიტყვა „შემოგება“ (გამოცემებში: „შელაგება“), რაც დადასტურებს პოულობს რიგ ანგარიშგასაწეე ხელნაწერებში (იხ. Q—1082, S—2828, Q—261, A—363, H—3061, ოქსფორდის W—27 და ა. შ.).

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი, ტ. IV, 1954, გვ. 420—425.

9. ვეფხისტყაოსნის ერთი სტრიქონი A—1313 ხელნაწერიდან:

271 ფ.; 9,1×6,6; ქაღალდი. ტყავით შემოსილი ხის ყდა; ხელნაწერი თანაკლულია; კიდებგაცევაილი და საკმაოდ გასერილი; ნაწერია წვრილი ნუსხურით; სათაურები შესრულებულია სინგურით; წარმოადგენს ლოცვანთა და საგალობელთა კრებულს; თარიღი — XVIII საუკ. გადამწერი: ბესარიონ (42V); მინაწერები გადამწერს ეკუთვნის: „ქრისტე ღმერთო! შიიწყალე ცოდვილი ბესარიონ“ (42V); იმავე ხელით ერთ-ერთ ფურცელზე (109V) არის მიწერილი თავისებურად შეცვლილი ერთი ტაეპი ვეფხისტყაოსნიდან:

„ეს არს ესე სოფელი, არვისგან მისანდობელი“

(სტრ. 1668, 1957 წ. გამოც.)

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი, ტ. IV, 1954, გვ. 384—385.

10. ვეფხისტყაოსნის სტროფები A—1350 ხელნაწერიდან:

შეიცავს „ქამნ-გულანს“, 231 ფ.; 22,5×15,2; ქაღალდი; ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებულია; ყდა ხისა; ტვიფრული ტყავით შემოსილი; ნაწერია კოთხვა-მიგებით ორ-ორ სვეტად; ნუსხურით; თარიღდება XVII საუკუნით; გადამწერი მარკოზ ბერი (88R); ვეფხისტყაოსნის პირველი ნაწილები ნაწერია ნუსხურით (18R) და წარმოადგენს ერთ-ერთი ცნობილი აფორიზმის თავისებურ პარაფრაზს:

„ესე ანბავი მართალი ჩინეთს ქვაზედა სწერია:
ვინ კაი საქმეს[!] არ ეძებს, იგი თავისა მტერია“
(შდრ. სტ. 854, 1957 წ. გამოც.)

მეორე ნაწყვეტი (229v—230r, ქვემო აშიებზე) ნაწერია მხედ-
რულით:

„ჰე, ჰე, საყვარელო, ჩემო ჩემთვინ დაკარგულო!
იმედო და სიცოცხლეო, გონებო, სულო, გულო!
არა ვიცი, ვინ მოგკვეთა, ზეო, ედემს დანერგულო!
ცრემლმა ცხელმა რით ვერ დაგწო, გულო ასჯერ დადაგულო“
(შდრ. სტრ. 309, 1957 წ. გამოც.)

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A-ფონდი, ტ. IV, 1954, გვ. 434—437.

11. ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტი A—1758 ხელნაწერიდან:

წარმოადგენს პროფ. ალექსანდრე ცაგარელის მიერ 1850—1870-იან წლებში შედგენილ კრებულს სხვადასხვა ავტორების ლექსებისა და ნაწყვეტებისაგან; გადაწერილია მის მიერვე; 30-ე განყოფილებაში მოთავსებულია (24r) ნაწყვეტი ვეფხისტყაოსნიდან:

„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყულულა,
იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა...“
(სტრ. 862, 1957 წ. გამოც.).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-ფონდი, ტ. V, 1955, გვ. 221—222.

12. ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ტაეპი S — 1000 ხელნაწერიდან:

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი. შეიცავს 538 გვერდს; 31×21; ქალაღი; ტყავდაკრული ხის ყდა; სათაურები და განსამარტავი სიტყვების პირველი ასოები სინგურით; XVIII ს. ხელნაწერს ახლავს მრავალი მინაწერი და შენიშვნები; მათ შორის პირველ გვერდზე არის მიწერილი სამი ტაეპი სტროფიდან:

„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი...“ (სტრ. 711, 1957 წ. გამოც.)

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. III, 1963, გვ. 66—69

13. ვეფხისტყაოსნის სტროფები S—1516 ხელნაწერიდან

წარმოადგენს კრებულს; 74 ფ.; 37×22,5; ქალღი; უცხო; დაშლილია და ამოცენილია; ჰერნიშანი XIX საუკუნეს მიუთითებს; მოთავსებულია ნაწყვეტები სხვადასხვა მწერალთა თხზულებებიდან; შემოსულა პეტრე უმიკაშვილისაგან; 61—62 ფურცლებზე არის ნაწყვეტები (მეტწილად „მაჯამები“) ვეფხისტყაოსნიდან:

„ერთგან დასხდეს ილაღობეს, საუბარი ასადაგეს...“

(სტრ. 137 და სხვა, 1957 წ. გამოც.)

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, 1961, ტ. II, გვ. 302—307.

14. ვეფხისტყაოსნის სტროფები S—1548 ხელნაწერიდან:

112 ფ.; 33×21; ისეთივე კრებულია და იმავე პირისაგან (პ. უმიკაშვილი) არის შემოსული, როგორც ხელნაწერი S—1516 (იხ. ზემოთ). სხვა თხზულებათა ნაწყვეტებთან ერთად აქც მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის მაჯამური სტროფები (78v—79v).

„ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს...“

(სტრ. 137 და სხვ. 1957 წ. გამოც.)

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S-ფონდი, ტ. II, 1961, გვ. 346—349.

15. ვეფხისტყაოსნის რამდენიმე აფორიზმი S—1612

ხელნაწერიდან:

ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს; 22 ფ.; ქალღი; ზომები სხვადასხვაა, ხელიც ასევე; XIX საუკ. სხვა თხზულებათა ნაწყვეტებთან ერთად მე-19 ფურცელზე მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის აფორიზმები:

„კაცი არ ყველა ჰსწორია, დიდი ჰსძეს კაცით კაცამდის“

„მაშინლაა ლხინი ამო, რა გარდხდის კაცი ჭირსა“

„ჰსჯობან ყოელთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“

და ა. შ.

ლიტერატურა: 1. ე. თაყაიშვილი. Описание, ტ. II, 1903, გვ. 449—455; 2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S-ფონდი, ტ. II, 1963, გვ. 68—71.

16. ვეფხისტყაოსნის სტროფები S—1738 ხელნაწერიდან:

მ. ხოჯაევის სხვასიტყაობითი მოთხრობა; 70 გვ.; 21×16,5; ქალაღი; მხედრული; თარიღი 1823 წ.; თარგმანი რუსულიდან; გაღამწერი იოსებ რატიშვილი (გვ. 51); არის სხვადასხვა ხელით, სხვადასხვა ხასიაღთის მინაწერი. მათ შორის სტროფები:

- „ვარღსა ჰკითხეს: ეგზომ ტურღა... (სტ. 878, 1957 წ. გამოღ.)
„კაცო ძალღსა ნუ იქაღი... (სტრ. 1046, 1957 წ. გამოღ.)
„რა მოგეშორე, მას აქათ სიღოცხლე (სტრ. 1008, 1957 წ. გამოღ.)
„ვაი, სოფელო რა შიგან ხარ, რას გვაბარუნებ... (სტრ. 951, 1957 წ. გამოღ.)

ლიტერატურა: 1. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. S-ფონღი, ტ. III, 1963, გვ. 161—162.

17. ვეფხისტყაოსნის დასაწყისი სტროფები და აფორიზმები S—2304 ხელნაწერიდან:

წარმოადგენს კრებულს; 10 ფ.; 17,5×11; ქალღლი; უყღო; დაშლიღლი; მხედრული; თარიღი XVIII საუკ.(?). სხვადასხვა ავტორთა თხზულეღბებია; მათ შორის დასაწყისი სტროფები ვახტანგისეული გამოღეშიღდან (სათაურით) და პოეშიღდან ამოკრეფიღლი რამღენიშე აფორიზმი (1რ—4რ).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონღი, ტ. III, 1963, გვ. 185.

18. ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი S—2399 ხელნაწერიდან:

წარმოადგენს კრებულს, 32 ფ.; 21×17,5; ქალღლი; დაწერიღლია სხვადასხვა ხელით (1რ—3ვ და 4რ—32ვ); გაღამწერი: სულხან მასისურაღე მეღრე ნაწიღის (იხ. 12რ, 32ვ); თარიღი ხელნაწერის აშევე ნაწიღისა — 1843 წ. (29რ); სხვა ნაწევეტებთან ერთად მე-18 ფურცელზე არის ერთი სტროფი ვეფხისტყაოსნიღდან: „კაცო ძალღსა ნუ იკეღბი...“ (სტრ. 1046, 1957 წ. გამოღ.).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონღი, ტ. III, 1963, გვ. 244.

19. ვეფხისტყაოსნის რამღენიშე სტროფი S—4099-ე ხელნაწერიდან:

გადარჩენიღლია ხელნაწერის მხოლოდ ბოლო ნაწიღი; ქალღლი; ნაწეღრია მხედრულით; გაღამწერიღლია 1837 წ. (გაღამწერის ანღერძი ბოლოში „დასრულღდა ჩყღზ-სა წელღსა. თებერღლის გ-სა დღესა); აქ მოთავსებულღი

სტროფები გადაწერილია 1712 წლის გამოცემიდან. გადარჩენილია მხოლოდ უბილოგის ნაწყვეტი (1957 წლის გამოცემით: სტრ. 1666, 1667, 1668, 1669), რომელსაც მოსდევს 1712 წლის გამოცემის ორსტროფიანი ანდერძი: „აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი კელსა...“ და „დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სრულსა...“

ლიტერატურა: 1. ე. თაყაიშვილი, Описание, ტ. II, 1908 წ. გვ. 468; 2. ქართ. ხელნ. აღწერილობა. S-ფონდი, ტ. VI, 1969, გვ. 76.

20. ვეფხისტყაოსნის სტროფები S—435 ხელნაწერიდან:

შეიცავს ამირანდარეჯანიანის ტექსტს, III+117 ფ.; 35×22; ქალღი (შეკრულია რეჟულებად); ნაწერია ორ სვეტად; თარიღი XIX ს. ბოლოში. მიწერილ რამდენიმე სტროფიდან ერთ-ერთი ვეფხისტყაოსნის კეთვნილებაა.

„ვის ხატად ღთისთ გიტყვიან ფილოსოფოსთა წინანი,
მიშველეთ რამ ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვი მაცვია რკინანი,
ბალახჩისა მმუშენელმა სათი დავკარგე, ვინანი,
მაშინ ვერ გაეძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“
(სტრ. 837, 1957 წ. გამოც.).

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. S-ფონდი, ტ. I. გვ. 573; სხვათა შორის, აქ არაა აღნიშნული, რომ ეს სტროფი ვეფხისტყაოსნიდანაა.

21. ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი H—9, ხელნაწერიდან:

